

საქართველო
20200009



ISSN 0132-1307

სელენეკ 4
1990



სელფენება

4 • 1990

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ყოველთვიური ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ნოღარ გურაბანიძე

სარედაქციო კოლეგია:

ზურა აბაშიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
აკაკი ბაქრაძე,
ვახტანგ ზერიძე,
ნოღარ გაბუნია,
ლილი გვარამაძე,
ვასილ კიკნაძე,
ნოღარ მგალოზლიშვილი,
ზურაბ ნიჟარაძე,
ნათელა ურუშაძე,
რევაზ ჩხეიძე,
ანტონ ფულუაძე,
ნიკო შავვაძაძე,
ნოღარ ჯანაბერიძე.

თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
ქორეოგრაფია
ტელევიზია

რედაქციის მისამართი: 380029 თბილისი, კაშოს ქ. № 18
ტელ. 95-10-24, 95-18-24

მხატვრული რედაქტორი პავლე შიშინაძე

საქართველოს კვ ცენტრალური
კომიტეტის გამომცემლობა.

თბილისი, 1990

ნოვერშია:

კონო

| | |
|-----------------------------------------------|----|
| ნათია ამირეჯიბი — | |
| დროთა ეპარანი | 2 |
| შეხვედრა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ | 9 |
| ლეილა ალექსანდერი — | |
| ანდრეი ტარკოვსკის იღვრელება და სანიღვრელობანი | 58 |

თეატრი

| | |
|--------------------------------------------------------|-----|
| ნოდარ გურაბანიძე — | |
| სავსე ქუჩები და ცარიელი დარბაზები | 35 |
| დიმიტრი ჭანელიძე — | |
| ფუქსსახილველისეული გაღმერთებული ნადირთაბანის მისტიკები | 40 |
| სიუნან სონტაგი — | |
| იონესკო | 120 |
| ნადია შალუტაშვილი — | |
| აკაკი ვასაძის უკანასკნელი ინტიმები | 126 |

მხატვრობა

| | |
|----------------------------------------|-----|
| ოთარ ჩხეიძე — | |
| წმინდა ნინო (პოესა) | 133 |
| ბუნება — მხატვრის შთაბრძნება (დიპლოგი) | 30 |

მუსიკა

| | |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| გაიანე ალიბეგაშვილი — | |
| ვარძის მოხატულობა | 51 |
| ინტიმები ალფრედ ფნიტასთან | 88 |
| დენიზა სუმბაძე — | |
| გიდგომონებანი სამთავროს (მცხეთის) წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტირში | 73 |
| თეიმურაზ ფანჯიკიძე — | |
| შურნალ „ჯგარი ვაზისას“ სამი წლის ბავშვები | 98 |
| ფარნაოზ კოტეტიშვილი — | |
| „მშვენიერების ჰარმონია“ და „ქვეყნის საერთო მშვენიერება“ ანუ ალექსანდრე შაზბაძის ესთეტიკური მრწამსისათვის | 111 |

დროთა ეკრანი*

(გიორგი შენგელაიას რეჟისორული
შემოქმედების დასაწყისი)

ნათია აშირაჯიანი

გიორგი შენგელაიამ კინომოღვაწეობა „ვეიკის“ სტუდენტური საკურსო ნაშრომით დაიწყო, 1960 წელს მან დოკუმენტური ფილმი გადაიღო ფიროსმანზე... და თითქოს ეს იყო რეჟისორის გამორჩეულობის ათვის წერტილი. ბერძნებს უთქვამთ: დასაწყისი გზის ნახევარიაო — მისი სამი საუკეთესო კინონაწარმოები შემოქმედთა ცხოვრებაზეა აგებული. მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი — არის გიორგი შენგელაიას კინემატოგრაფიული „კვლევისა“ და თხზვის იმპულსი.

შემოქმედის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ნაწარმოების გააზრება თავისებურ მიმართულებას მოითხოვს; როცა ხელოვანი ხელოვანზე ფიქრობს და ამის შედეგად თავის ქმნილებას ვგთავაზობს, იქ ორივე მათგანის სულიერი განწყობილებაა მისადაგებული. შესაძლებელია, აგრეთვე ფილმის გმირი-ხელოვანის ხატი სრულიად ახალი ხედვით წარმოისახოს და უფრო მეტი თავისებურება გამოჩნდეს არა თხზულების პერსონაჟისა, რომელზეც იქმნება ნაწარმოები, არამედ თვით რეჟისორისა, ან შემოქმედისა, რომელიც მასზე თხზავს თავის ქმნილებას. ამგვარ ვითარებას თუნდაც მცირეოდენი დოზით, ალბათ, ყველგან შევხვდებით... რომენ როლანის „გამოკვლევებში“ ბეთოვენზე ალბათ, თავისთავადი ავტორისეული განწყობილება სჭარბობს კვლევის პერსონის ქეშმარიტ მხატვრულ არსს.

* კინომოღენ ნ. აშირაჯიანის წერილების ციკლი თანამედროვე კინოს ისტორიის ცალკეული ეტაპების (50-60-70-იანი წლები) ხელახალი გააზრების ცდაა (იხ. „ს.“ № 1, 4, 9, 11, 1989, № 3, 1990).

როცა ვუყურებთ გიორგი შენგელაიას ფილმებს ხელოვანთა შესახებ (გვულისხმობ „ალავერდობას“ და „ფიროსმანს“), ძირითადად მისეული თვალსაზრისისა მხატვრულად იდენტიფიცირებული შემოქმედის ნაღვაწთან. მაგრამ, ამავე დროს, მასში წარმოსახულია რეჟისორის მხატვრული ხედვის ინდივიდუალობა და ახლებური ჭკრეტა დროისა და ხელოვანის ურთიერთობისა...

ფილმში „ალავერდობა“ მწერალ გურამ რჩელიშვილის განწყობილებაა ეკრანზე წარმოჩენილი და აგრეთვე — მხოლოდ გიორგი შენგელაიასთვის დამახასიათებელი გამომსახველობითი მხატვრული მანერა... მწერლისა და კინორეჟისორის ერთობლივი თვალსაზრისი ადამიანზე და მათ სამყაროზე ხელოვნების სხვადასხვა დარგებში — ლიტერატურისა და კინემატოგრაფიაში — სხვადასხვა ინდივიდუალური მხატვრული აზროვნებით გამოიხატა ეკრანზე..

გურამ რჩელიშვილი და გიორგი შენგელაია ერთი თაობის წარმომადგენლები არიან, ორივეს ბავშვობა ყალბი ღირებულებების გაფეტოშების ეპოქაში — სტალინიზმის დროსაა გატარებული, ჭაბუკობა — კი ამ ღირებულებათა გაუფასურებაში — სტალინიზმის უკუგდებაში... 50-იან წლების მეორე ნახევარში მოხდა იდეალების სრული გადატრიალება: ხალხს ხელიდან გამოეცალა „კერპი“. რომელიც მას ძღვევამოსილი და ბრძენი, მათზე მოფიქრალი და მათთვის დამამწვრალი ეგონა, სინამდვილეში კი იგი აღმოჩნდა დიქტატორი, რომლის, სიბრძნე ყოვლისმომცველ კაცთა

კვლასა და თვითგანდიდებაში გამომჟღავნდა... ადამიანები მიხვდნენ თავის შეცდომას და დაიქსაქსნენ, ზოგი კვლავ მისტიროდა ძველ „იდეალს“ — ეროვნულ „სიამაყეს“, ზოგი კი უიდეალოდ დარჩა, დაბნეული, სულიერად განადგურებული, რის შედეგად „უკერპობის“ ვაკუუმი „ჰამა-სმიით“ შეავსო, მომხვეჭელობამ და მატერიალურად მომძლავრების სურვილმა დაისადგურა მომხმარებელთა მისის ყოფაში. ადამიანს კი სულიერი საზრდო სჭირდება, პირუტყვივით იგი მხოლოდ ნივთიერებათა ცვლას ვერ დასჭერდება, დაგროვილი სულიერი ენერჯია იდეალს უნდა მოემსახუროს, უიდეალობის შემთხვევაში კი ადამიანს სულიერი გადაგვარების საფრთხე ელის. სწორედ ეს აწუხებდა გურამ რჩეული-შვილს და მის თანამოაზრეს გიორგი შენგელაიას, რომელმაც მეგობრის დაღუპვის შემდეგ განაგრძო და ეკრანზე მხატვრულად წარმოსახა საშიშროება ადამიანთა „გამეჭიანებისა“.

ფილმში „ალავერდობა“ ნაჩვენებია ურწმუნოთა სადღესასწაულო თავშეყრა რწმენის სავენეში, ბრბოს უნიჭობა ზუროთმოძღვრების გენიალური ქმნილების—ალავერდის ფონზე: ადამიანები, რომლებმაც იპრობეს თავის ყანებსა და ზვრებში, მაგრამ შრომის ნაყოფი მხოლოდ მომხმარებლურად, ჰამა-სმისათვის გამოიყენეს. მათ დაავიწყდათ, რომ შრომას თავისი მალალი, უანგარო და არამიწიერი მიზანიც სჭირდება, ეს სულიერი მიზანი კი დაკარგულია და ამიტომ ადამიანები გადაგვარების საფრთხის წინაშე დგანან. მოზიემე მედლეობეთა შორის სიტყვაც არ ისმის სამშობლოს, თუ სხვა უზენაესი გრძობის შესახებ, არ ჩანს სიყვარული ადამიანისა და ადამიანისადმი, დაცალკეებულ მოქიფეთ ღვინოც კი არ აერთიანებთ.

ალავერდობა — მოსავლის აღების დღესასწაულია, მოსავლის აღების სიხარულის, თუ „ქირანახლის“ აღმნიშვნელი საზეიმო თარიღი. ეს არის დღე, როცა ადამიანები ალავერდის სავენეში ღმერთს შესთხოვენ ხოლმე მომავალი წლის უხვი მოსავლის აღების სიხარულს. მაგრამ „ალავერდობის“ პერსონაჟებს ღმერთი ნაკლებად ახსოვთ, ისინი არც ღვთისმოსიშინი არიან—გალეშილები ტაძრის შუაგულისაკენ როკავენ და ტალახიანი ფეხსაცმელებით შემოსილ ფეხებს უშვებენ

წმინდა ხატებს, ღვთიურ სიწმინდეს ^{შეც} რაცხაყოფენ, უხეში ღრიალით ეკლესიის ჩუმ გარინდებას დაარღვევენ. მედლეობით უდიერებით თითქოს წიშალა სავენის ულამაზესი ლანდშაფტი, ტაძარში „ჩატოვებუ-ლი“ ადამიანის გენია... მოსავლის აღების სიხალხო საზეიმო ღვინო დეგრადირებულია. ადამიანები ღვინოს სვამენ და არას თხზავენ — არ ისმის სადღესასწაულო მკვერმეტყველება და ხალხური სიბრძნე, ტრადიციულად კი ქართული სუფრა გონებაშეხვილობით უმალღეს ზელოვნებას აღწევდა. „ალავერდობაში“ ადამიანები მღერაიან და მელოდიას არ გამოსცემენ, არ ძღერს ქართული ხალხური სიმღერის პოლიფონია და „ერთობა“, ადამიანები ცეკვავენ და მათ მოძრაობაში უფრო უმიზნო შეჭიბრის ყინია, ვიდრე ხალხური ცეკვის პლასტიკური მშვენიერება. დღესასწაული მდაბიური ინსტინქტების გამომზეურებად გადაიქცა. უმიზნობა ადამიანებს შემოქმედებით უნარს აკარგვინებს, ათთოკაცებს, დაპირისპირება ალავერდის ტაძრის მხატვრულ შედევრსა და მოქიფე ხალხის ანტიშემოქმედებას შორის დრამატურგიულ კოლიზიას ქმნის. მაგრამ მძაფრი წინააღმდეგობა აგრეთვე თვით მედლეობეთა ქცევაშია ნაჩვენები... ადამიანთა ეს ჩგუფი, რომელიც გაუკუღმართებულ ღვინოს ეწევა, ხომ თავის პოტენციალში ფლობს ხალხური სიბრძნის, მკვერმეტყველების, პოლიფონიისა და პლასტიკის უნარს, მაგრამ მომხმარებლური ცხოვრების გამო იგი უარყოფს საკუთარ თავს, ნიჭიერებას და ეროვნულ ტრადიციას.. ამ უარყოფის საფუძველი კი ადამიანთა უიდეალო და ურწმუნო არსებობაა... ადამიანი გაუცხოვდება საკუთარი მოწოდებისა და ბუნებრივი არსებობისადმი.

„ალავერდობის“ გმირი — გურამი (მსახ. გვიდარ ფალავანდიშვილი) კრიტიკულად განწყობა მედლეობეთა მიმართ, მას სურს ღვინისაგან დათანჯული, უაზრო ნირვანაში მყოფი ადამიანების გამოფხიზლება, გაბრაზება და დატბორილი სულიერი უძრაობისაგან გამოყვანა. ამ მიზნით, იგი ერთ-ერთ მედლეობეს ცხენს მოპარავს და შორს გაქუსლავს. გურამი შეძლებს დამარტოვებულ ხალხს ერთ მუჭად შეკვრას, მათ ცხენის დაბრუნებისა და გამტაცებლის დასჯის ერთიანი სურვილი გაუჩნდებათ. გურამი ტაძრის გუმბათი-

პ.კ. სსრ კ. მარქსის 3
სსს, სსს. ჩესკებ.

დან გადმოსძახებს ვარინდულ და თვალპყრობილ მედღეობეთ, მაგრამ ვერას ეტყვის... გურამმა ისინი ვააერთსულოვნა, მაგრამ სხვა გზა, სხვა იდეალი, რომელიც უაზრო არსებობისაგან იხსნიდა, ვერ შესთავაზა. ეს ის შემთხვევაა, როცა თვით გმირს არ გააჩნია სუბსტანცია. მიუხედავად ამისა, გურამი ჩვენი თანამედროვეობის ეთიკური გმირია, რადგან მან შესძლო პროტესტის გამოძღვანება, იგი შემგუებული არაა, რადგან მას შეუძლია გაბრაზდეს ტრადიციების გაყალბების გამო და ხელი შეუშალოს ადამიანთა გადაგვარებას, მას კრიტიკული პათოსი, წინააღმდეგობის გაწევის და ხალხის ერთ მუქად შეკვრის უნარი შესწევს...

გურამი გმირია, რადგან იგი ინდივიდია, რომელსაც სურს სამართლიანობისა და ზნეობისაგან გამომდინარე საკუთარი ნება გაავრცელოს მის გარემომცველ გადაგვარებულ საზოგადოებაზე, მაგრამ ეკლესიის გუმბათზე „ღმერთთან“ ახლოს აღმართული იგი თავის იდეალს ვერ გამოთქვამს, მაგრამ გურამი მათგან განსხვავდება იმ განცდით, რომ იცის რა არის ცუდი და ეძებს უკეთესს. იგი ამჟამად „უღმერთოა“, მაგრამ ღმერთისა და იდეალის, სამართლიანობისა და ზნეობის მადიებელი. უკმაყოფილება არსებული ვითარებითა და გარემოცვით მას ღვთიური ჰეშმარიტებისაკენ უბიძგებს...

მითოლოგიური, ანტიკური, ქრისტიანული ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშებში გმირი ის ინდივიდია, რომელსაც სამართლიანობა და ზნეობა ამოძრავებს. მის ზნეკეცნობაში ამოიკითხება სუბსტანციისა და ადამიანის ინდივიდუალობის ერთობა. გარდასულ საუკუნეთა ლიტერატურაში გმირი სუბსტანციის გარეშე არ მოქმედებდა, მისგან განსხვავებით XX საუკუნის დასავლეთის ლიტერატურული პერსონაჟები უიდეალონი არიან, ღმერთდაკარგულები... უცხოურ ლიტერატურათმცოდნეობაში ისინი ანტიგმირებად იწოდებიან. თანამედროვე ხელოვნების პერსონაჟები ზნეობრივად დაკნინდნენ, უიდეალობისა და უღმერთობის გამო „წინაპართა“ ნაკვალევს ვერ გაჰყვნენ (ჯოისის, კაფკას, კამიუს, ფელინის, ბერგმანის, ანტონიონისა და სხვათა ნაწარმოებთა გმირები, ანუ ანტიგმირებია ნავულისხმევი).

„ალავერდობაში“ ანტიგმირები მედღეო-

ბენი არიან, გურამი კი — გმირია, რადგან მას, ჰეგელის გამოთქმა რომ ვინმარტო, საუკუნის გმირის“ ერთი თვისება — ინდივიდუალობა გააჩნია, ხოლო მადიებელი და მოქმედი ადამიანი იდეალსაც დაეუფლება ფილოს მხატვრული საზრისიც სუბსტანციის ძიების აუციულებლობას ასახავს.

„ალავერდობის“ ავტორები — გურამ რჩეულიშვილი და გიორგი შენგელაია, ოპერატორი — ალექსანდრე რეხვიაშვილი და მხატვარი — გიორგი ოჩიაური შემოქმედთა ის პროგრესული ნაწილია, რომელიც მაშინდელ გადაგვარებულ აწმყოს უარყოფდა და ახალი იდეალის აღორძინებაზე ფიქრობდა... ამგვარი პოზიცია იყო დამახასიათებელი 60-იანი წლების ახალგაზრდა ხელოვნათა წრეებში, თუმცა გარეგანი ცენზურული ძალები მას ერთთავად უარყოფდნენ.

„ალავერდობა“ გურამ რჩეულიშვილმა 1959 წელს დაწერა, ერთი წლის შემდეგ, 26 წლის ასაკში მწერალი ტრავიკულად დაიღუპა... იგი ვერ მოესწრო გიორგი შენგელაიას ფილმს, რომელიც 1962 წელს შეიქმნა. მწერალმა ჩინებულად გადმოსცა მისი თაობის მტკივნეული ეპოქალური და, ამავე დროს, ეროვნული კრიზისის პრობლემა... გურამ რჩეულიშვილმა განსჯერტა ღირებულებათა გადაფასების მიზეზით შექმნილი სამოციანელი ინტელიგენციის სულიერი ჰეშმარიტება და ამ გაუგებრობის ალყიდან თავის დაღწევის გზა დასახა... ცხენის ვატაცება და რბოლა თვალუწვდენელი მინდვრის ასპარეზზე — პოეტური მეტაფორაა, უაზრობიდან თავის დაღწევასა და ცხოვრების უმაღლესი სუბსტანციის ძიებას რომ გულისხმობს...

ფილმი „ალავერდობა“ გამოვიდა რამდენადმე „ბიოგრაფიული“ მონაცემებით თანამედროვე მწერალზე. ფილმი ფიროსმანზე კი ისტორიულ-ბიოგრაფიულია, თუმცა ორივეგან სიტყვა ბიოგრაფია ამ შემოქმედთა მხატვრულ თვალსაზრისზე უფრო მეტყველებს, ვიდრე მათი ცხოვრების ქრონიკალურ ყოფით განრიგზე...

ფიროსმანი ქართული კულტურის ერთი დიდი მწვერვალია, ყველას ფიქრს რომ დაუფლებია. პუბლიცისტები, დრამატურგები, ხელოვნებათმცოდნეები, მწერლები იკვლევდნენ მხატვრის ცხოვრებას და ეძებდნენ უპატრონოდ მიმოფანტულ მის სურათებს...

მოხდა ისე, რომ 1965 წელს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო-სარედაქციო კოლეგიაში ერთდროულად აღმოჩნდა ორი სცენარი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისათვის. პირველის ავტორები იყვნენ: გიორგი ლეონიძე (ფიროსმანაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთ-ერთი პირველი მკვლევარი), ნოდარ წულუისკირი, თენგიზ აბულაძე... ფილმი უნდა დაედგა თენგიზ აბულაძეს. ფიროსმანის როლი უნდა შეესრულებინა — სერგო ზაქარიაძეს, მეორე სცენარი ეკუთვნოდა ერლომ ახვლედიანს და გიორგი შენგელაიას (ფილმის რეჟისორი — შენგელაია უნდა ყოფილიყო).

ორივე სცენარი ლიტერატურულად და კინოდრამატურგიულად მაღალ შეფასებას იმსახურებდა. არჩევანი გაძნელდა, კინოსტუდიისათვის განკუთვნილი ექვსი-შვიდი ერთეული, რაც აგრეთვე ამდენივე რაოდენობის ფილმს გულისხმობდა. ვერ ჩაიტევდა გეგმაში ერთდროულად ერთ თემაზე დაწერილ ორ ფილმს, ამგვარი სიტუაცია მეტად იშვიათია კინოხელოვნების ისტორიაში, თუმცა მუნჯი კინოს პერიოდში რამდენიმე ვარიანტია „ომისა და მშვიდობის“, „პამლეტის“, მაგრამ ისინი ერთდროულად იშვიათად იქმნებოდა; „ქართული ფილმის“ შემთხვევა უნიკალური აღმოჩნდა, სასცენარო-სარედაქციო განყოფილებამ ვერ მიიღო გადაწყვეტილება და იგი მიანდო ამ სცენარების არჩევანისათვის სპეციალურად ჩამოყალიბებულ ჟიურის, რომლის შემადგენლობაში ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ მოწვეული. ერლომ ახვლედიანის და გიორგი შენგელაიას „ფიროსმანმა“ ერთი ხმის უპირატესობით გაიმარჯვა... გიორგი ლეონიძის, ნოდარ წულუისკირის და თენგიზ აბულაძის სცენარი მხატვრულად საინტერესო იყო, იგი თავისი „კონკურენტისაგან“ განსხვავდებოდა მეტი ცხოვრებისეული ძარღვით, ფიროსმანი იქ უფრო რეალური იყო, ერლომ ახვლედიანთან და გიორგი შენგელაიასთან კი მხატვრის ცხოვრება უფრო მეტად მითოლოგიურ პლასტში წარმოისახა.

გერონტი ქიქოძე ნიკო ფიროსმანაშვილზე ამგვარად წერს: „მან ქვეყანას უშუალოდ შეხედა, ამიტომ მის მხატვრულ ხილვას გასაოცარი გულუბრყვილობის, მოულოდნელობისა და პირველყოფილობის ბეჭედი აზის“...

მიუხედავად მხატვრის „გულუბრყვილობისა“, მის შემოქმედებაში განკვეთილია ეპიკობრიობის სულიერი კრიზისი და პოეტური მომავალი. ფიროსმანაშვილმა თავისი დროის ეპოქალური შექირვება ასახა და აგრეთვე მხატვრული აზროვნებით თანამედროვეობას ბავრად გაუსწრო. ცხოვრების საზრისის, ბოროტება-სიკეთის ფიქრით შეპყრობილი იგი მუქი ფერებით ამხვეილებდა ყურადღებას უსამართლობაზე, ადამიანთა კეთილშესრულებასა და მარტოობაზე.

ფიროსმანი ქართული კულტურის ლეგენდარული სინამდვილეა. ლეგენდა იყო მისი იღუმელი ყოფა, ხოლო ფერწერაში გამოხატული სული კი — ილუზორული სინამდვილე... ამიტომაც სჭარბობს ფილმში მითოლოგიური პლასტიკა...

მხატვარზე შექმნილი კინონაწარმოები სხვადასხვაგვარ პრობლემას ეხება ხოლმე. ზშირად, ხელოვანის სახე პოლიტიკურ-სოციალურ გარემოებასთან ურთიერთობაში იკვეთება, ხან კი საზოგადოებასთან იგი პოლიტიკური სიტუაციის გარეშეა დაკავშირებული. შემოქმედის ხალხთან კომუნიკაცია თუ არაკომუნიკაბელობა თავისებურ ანაბეჭდს ტოვებს მის ნაღვაწში და ამ გზით იკითხება მისი ნეგატიური თუ პოზიტიური მიმართება გარემოსადმი, ორივე შემთხვევაში მოჩანს ის სამყარო, სადაც მას უხდება ყოფნა...

მართალია, ფიროსმანის ცხოვრების მონაცემები დოკუმენტური სიზუსტით არ ვიცით, მაგრამ ნათელია, რომ მის ფერწერულ პერსონაჟთა თვალეში გამოხატული სევდა მარტოხელა მხატვრის წუხილის, სიყვარულის, გრძნობათა დღევის ამსახველია. სწორედ, ფერწერული განწყობილების ეს გზა აირჩიეს სცენარის ავტორებმა ერლომ ახვლედიანმა და გიორგი შენგელაიამ ნიკო ფიროსმანაშვილის ხატის შესაქმნელად.

ბევრი რეჟისორია სახვით-პოეტური კინოს ავტორი, მაგრამ გიორგი შენგელაიას შუქწერული მანერა მათგან განსხვავებით გონივრულიცაა, იგი მხოლოდ ესთეტიკურ პლასტში არ გვთავაზობს თვალწარმტაც საეკრანო სახვას, რეჟისორის გამომსახველობა კონცეფტუალურია და აგრეთვე მეტაფორულ-სიმბოლური ქვეტექსტის შემცველი...

გიორგი შენგელაიას და ერლომ ახვლედიანის სცენარის მიხედვით ფიროსმანი განდევნილი

ლია, საზოგადოებას იგი არ ეტანება, თუმცა შესაძლოა, სულიერი ურთიერთობა სწყურია. „იციო რა ძმებო, ავაშენოთ დიდი სახლი, ქალაქის შუაგულში, ყველასათვის რომ ახლოს იყოს. ვიყიდოთ სამოვარი, შევიკრიბოთ ხოლმე, ვსვათ ჩაი და ხელოვნებაზე ვილაპარაკოთ“ — მიმართავს იგი ქართველ მხატვართა საკრებულოს... მაგრამ ამ სულიერი კონტაქტის დამყარება ვერ მოხერხდა... ფიროსმანს თანამოაზრე ვერ გამოუჩნდა ვერც უბრალო ხალხში და ვერც ელიტარულ ინტელიგენციაში... და თუ შემოქმედება სხვებთან გამართული დიალოგია, ფიროსმანის შემთხვევაში იგი მარტოხელა კაცის „მონოლოგად“ გაიხსნის...

ფილმში მხატვარი, ყრმობიდან მოყოლებული, ეძებს თავის ადგილს გარემოცვაში... მყუდროდ მოფარდაგებულ, მცენარეებით მოკაზმულ სახლს და მისდამი კეთილად განწყობილ ადამიანებს ტოვებს... ვერც მატერიალურ შეძლებაში ვერ პოვებს ბედნიერებას და საკუთარ დუქანს გამოკეტავს; ვერც სიყვარულს შეაფარებს თავს. გარემოსაგან ღვინით განტევებული იგი ხსნას ხატვასა და თრობის ნირვანაში ეძებს... მისი დაუდგრომელი სული შემოქმედის მიძიებული და მბოროტია სულია...

ფიროსმანის როლი გიორგი შენგელიამ არაპროფესიონალ მსახიობს, მაგრამ პროფესიონალ მხატვარს — ავთანდილ ვარაზს მიანიჭა. ფილმის გადაღების შემდეგ გიორგი შენგელიამ ინტერვიუში განაცხადა: „ავთო ვარაზმა გააცოცხლა ფიროსმანი, მისი ცხოვრებით იცხოვრა, იმთავითვე დავრწმუნდი არჩევანის სისწორეში — მხატვრის როლი ისევე მხატვარს უნდა შეესრულებინა. ისეთივე მართალსა და ალალს“.¹

მსახიობის საშემსრულებლო მანერა დიდად მიესადაგება ფიროსმანისეულ მხატვრულ სამყაროს... სისადავე, ვნებათაღელვის პირველქმნილება, ამავე დროს ბრძენკაცის ჩაფიქრება ცხოვრების ამოებაზე, ნეგატიური დასკვნის გულახდილი გამოხატვა გაკვირვებით, ტოლერანტობა, თავმდაბლობა და აგრეთვე სიამაყე „გრაფისა“ (ასე უწოდებდნენ მხატვარს მახლობლები)...

თანამედროვენი ფიროსმანს იგონებდნენ, როგორც ყოფაში მხიარულ ადამიანს, ვარაზი-შენგელაიას მიერ შექმნილ ხატულ მხატვრულ სევდიანია; ალბათ, ამგვარი შექვერული სახე უფრო უპრიანია, რადგან მისი სულის მიღებული „მოწმენი“ და „მეგობრები“, რომელთაც „დარდს უზიარებდა“, იყვნენ მისი ფერწერული პერსონაჟები... არცერთი მათგანი არ არის ღიმილიანი და ხალისიანი, თითოეული მარტოობის კაეშანსა ჰყავს დაუფლებული, რაც აგრეთვე მათი ავტორის მუშენვარებაზე მეტყველებს, ამიტომაც სწორია ვარაზი-შენგელაიას მხატვრული გადაწყვეტილება, როცა მხატვარი მარტოსულად ასახეს და არა მხიარულ ყარაზხელად.

ავთო ვარაზის ფიროსმანი ოდნავ ილუზორულიცაა, იგი მიწიერი სინამდვილის პირში არ არის, უფრო ოცნებისა და ჭკრეტის ადამიანია, ამ ცოდვილ მიწაზე თითქოს „შემთხვევით“ მოვლენილი მგზავრია. იგი შორეულიცაა და ახლობელიც, იგი ლეგენდაცაა და სინამდვილეც.

ილუზორულობა არის ფილმის ძირითადი სტილური ფორმა — იგი იქმნება ხმა-ხედივით მონტაჟური ჯერით. დიალოგების აკუსტიკური თავისებურების და მიზანდასახული კადრის ვიზუალურობით...

პარაბოლისათვის დამახასიათებელ ილუზორულობას რეჟისორი კინონაწარმოების პერსონაჟთა ტექსტის უკიდურესი პირობითობით აღწევს, ეს პირობითობა არაა პათეტიკური, არც ზეაწეული, ან ზედმეტად სიტყვაკაზმული, პირიქით, იგი მარტივი, ლაკონიური, უშუალოა და მაინც პირობითია, რადგან ხმოვანი წყობა აქვს ოდნავ ნირშეცვლილი... კერძოდ, პერსონაჟები და განსაკუთრებით თვით ფიროსმანი ეკრანზე საუბრობენ ძნელად შესამჩნევი პაუზებით, სიჩუმის ეს მონაკვეთები შორეულობას, ილუზორულობას ქმნიან... ეკრანის ინტონაციური გამა აგრეთვე ხმადაბალია, რაც პერსონაჟთა დიალოგების ხმოვანრიტმული წყობით შორეულობის თვისებას იძენს...

რეჟისორის მიერ წარმოსახული სინამდვილის საეკრანო ილუზია დაზგურ ხელოვნებასთანა მიახლოებული — მონტაჟური სინდინჯით, კადრის ფერწერული გაწყობით და სტატიკის გათვალისწინებით. შიდაკადრული დინამიკა ამავე დროს კადრის კომპოზიციურ

¹ გაზ. „თბილისი“. 28/VIII. 1986 წ.

სტატიკას არ არღვევს და ამიტომ ფილმი დაზგურ სახვას ენათესავება და აგრეთვე კინემატოგრაფიული მოქმედების სპეციფიკურობას არ კარგავს.

ფილმ „ფიროსმანის“ არცერთი კადრი მხატვრის ტილოების ზუსტი ასლი არ არის, მაგრამ საერთო ატმოსფერო ფერწერულ ტილოსა და გადასაღებ მოედანს შორის თვალნათელია, ამ განწყობილებათა ერთობის ერთ-ერთი კომპონენტია ორივე გამოსახულებისათვის დამახასიათებელი — უმზეობა. („უმზეო, უმზეო სიცოცხლეს დაგარქმევ, გულში რომ ჩამიდექი ნისლიან ამინდად“ — უნებურად მოვავონდება პოეტის სტრიქონები). სწორედ კადრების უმზეობა და ნისლიანობა არის დამახასიათებელი ფიროსმანის ნახატებისა და გიორგი შენგელაის ფილმისათვის, რაც ორივეგან მარტოობისა და სევდის განწყობილებას ქმნის...

ფილმი რეჟისორის მიერ გააზრებულია ზოგადობის პლასტში, რასაც ლეგენდის მხატვრული კონცეფცია მოითხოვდა, და მასში დაცულია პარაბოლური კინონაწარმოებების ზომიერების გრძნობა... ფილმი დეტალებზე და ყოფით-ფსიქოლოგიურ წვრილმანებზე კი არ აივო, არამედ ზოგად მეტაფორულ-სიმბოლურ სახეზე, რაც ასევე ზოგადად წარმოადგენს ფიროსმანაშვილის სულიერი ცხოვრების და მისი გარემომცველი სამყაროს ჩრდილ-ნათელი... ეს ეკრანული სახეა ზოგადია, მაგრამ არა ზღაპრული, იგი სიღრმისეული განზოგადდება არსებული მხატვრული ვითარებისა.

ფილმში ასახული სამყარო მხატვრის თვალთა აღქმული და არა ჩვეულებრივი მოკვდავის მიერ დანახული, ეკრანზე რეალურად მოცემული სახლი, ვენახი, ქუჩა შემოქმედის მხატვრულ აღქმაში ილუზორულადაა ტრანსფორმირებული. მაგალითად, ტიალ მინდორზე ეულად მდგარი ფიროსმანაშვილის დუქანი, კადრის ფერწერული კომპოზიციის წყალობით მხატვრის მარტოობის და გაუცხოების ატმოსფეროს ბადებს.

„ფიროსმანში“ ნახატების მეტაფორულობა რაიმე კანონებს არ ექვემდებარება, იგი შემოქმედებითად „აწეწილია“ და გამოყენებულია ხან აზრობრივი განზოგადებით და ქვეტექსტით, ხან ბიოგრაფიული ცნობისათვის, ხან მხოლოდ მხატვრის გარემომცველი ატ-

მოსფეროს მისანიშნებლად, ხანაც სუბკონცერნისაყად იმ მაყურებლისათვის, ვინც ფიროსმანის შემოქმედებას პირველად შექმერებს... მთავარი მეტაფორა კი „ჟირაფია“ — მხატვრის ფერწერული შედეგრი. იგი ნიკო ფიროსმანაშვილის ხატის მისახველია: ამაყი, უშუალო, დროის უქუღმარაობისაგან განაწყენებული, ჭიშიანი, დახვეწილი, ლამაზი, გონიერი, დარდიანი და ამ ერთ სურათში კიდევ ვინ მოთვლის რამდენი შთამბეჭდავი ხასიათი ამოიკითხება...

«Там, далеко на озере Чад, изысканный бродит жираф» — გვასწავნება გუმბილივის სტროფები; შესაძლოა, პოეტს ამ ლექსის იმპულსი ფიროსმანაშვილის ჟირაფმაც მისცა... ეს ვარაუდი შესაძლოა, რეალობაც იყოს, ფიროსმანაშვილის გენიას ძალა შესწევდა გუმბილივის პოეტური ფანტაზია შორეული ჩადის ტბისაკენ მიემართა...

ფილმში „ჟირაფი“ ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრების ძირითად ქარტეხილში რამდენჯერმე გამოჩნდება. „ჟირაფს“ ეკრანზე ვხედავთ, როცა ფიროსმანს, როგორც მხატვარს, უცხოელები პირველად აღმოაჩინენ — იგი ულამაზესი და უნატიფესია, შემდეგ მას ვხედავთ მხატვართა საკრებულოს კედელზე — იგი ყველას მიერ აღიარებული „ამაყი გრაფია“, ხოლო როცა ფიროსმანზე კარიკატურას გამოაქვეყნებენ, „ჟირაფი“ ეკრანიდან შემოგვეყურებს გაკვირვებული და განაწყენებული; როცა ფიროსმანის თანამეინახენიც აღარ სცნობენ მხატვარს — „ჟირაფი“ გულმოკლული და მარტოხელაა...

„მოკვდა ჟირაფი. თბილისის ჰავას ვერ გაუძლო“ — ისმის ეკრანიდან, ვუყურებთ ჟირაფს — ბუნებისა და ხელოვნების შედეგის და ვგულისხმობთ თვით ნიკო ფიროსმანს...



7 აპრილი
მიტინგი
მთავრობის სახლთან



ეს მასალა დღეს უკვე ერის წარსულის კუთვნილებაა. რედაქციას დიდი სურვილი ჰქონდა მისი „ცხელ კვალზე“ — 1989 წლის მაისის ნომერში გამოქვეყნებისა, მაგრამ ამოდ: ჯერ კიდევ ძლიერი იყო ცენზურა და „კაბინეტურ-სატელეფონო სამართლის“ პოზიციები. გასული წლის ჟურნალის მე-5 ნომერში დაბეჭდილი აპრილის ტრაგიკული დღეების ამსახველი ფოტოსურათები შესაძლოა ზოგისთვის უცნაურადაც კი გამოიყურებოდა უტექსტოდ... კინოსტუდიაში შემდგარი შეხვედრის ეს სტენოგრაფიული ჩანაწერი კი საჯაროობის ხანაში საჯაროობის დაკნინების კიდევ ერთ მკაფიო მაგალითად მოგვევლინა...

მართალია, ჩვენი საზოგადოების ბევრი წარმომადგენლისათვის იგი ხელმისაწვდომი გახდა — უპირატესად მაგნიტურა ჩანაწერის სახით. მაგრამ მისი როგორც ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობა სცილდება დღევანდელი თაობის ინტერესების სფეროს. ამიტომ აპრილის ტრაგედია წლისთავზე უცვლელად — ჩვენი მაშინდელი შესავლითურთ — გთავაზობთ პუბლიკაციას, რომელიც დღის სინათლეზე გამოსასველელად პირველად 1989 წლის მაისში გამოვიდა სტამბიდან...

შესვლადრა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“

ჩვენი ისტორიის ახალი ტრაგიკული თარიღის — 9 აპრილის მომდევნო დღეებში დუღდა საქართველო. ეს გამოიხატა უამრავ თავურილობაშიც, რომელთა ნაწილის მსვლელობას თვალყურს ვადევნებდით ტელევიზიით, ზოგის შესახებ პრესის მეშვეობით შეიტყვეთ: /

ფეხზე დამდგარი ყველა საზოგადოებრივი ძალის გვერდით ხალხი იმთავითვე იმედით შემპურებდა ქართველ კინემატოგრაფისტთა შეუპოვარ ბრძოლას სიმართლის დადგენის, სამართლიანობის აღსრულებისათვის — კინოს მოღვაწეებისა, რომლებიც ამჯერადაც ერთ-ერთი პირველნი დადგნენ ერის ინტერესების სადარაჯოზე. ამიტომაცაა, რომ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციას აუცილებლად მიაჩნია მკითხველისათვის იმ შეხვედრის დაწვრილებით გადმოცემა, რომელიც 12 აპრილს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ გაიმართა და ბოროტების ძალებისთვის კიდევ ერთ მძლვარ დარტყმად მოგვევლინა. შეგახსენებთ, რომ ამ დღეს კი-

ნემბატოგრაფისტთა კოლექტივის ეწვივნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ელუარდ შევარდნაძე, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი გიორგი რაჭუმოვსკი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჭუმბერ პატიაშვილი.

გთავაზობთ კინოსტუდიაში წარმოთქმულ სიტყვებს — თითქმის იმ სახით, როგორაც ისინი აუღერდა შეხვედრაზე. „თითქმის“ — იმიტომ, რომ დასაბუთებლად მომზადებისას მათ მხოლოდ მცირეოდენი რედაქტირება გავუკეთეთ, თუმცა მაქსიმალურად შევცაადეთ შეგვენარჩუნებინა ცოცხალი სიტყვის ემოციური მუხტი. რაც შეეხება შინაარსს, გამოთქმულ მოსაზრებებსა თუ ისტორიული მოვლენების ინტერპრეტაციას, — ალბათ, შედგენილია იმის აღნიშვნა, რომ ყველაფერს შეუძლებელია დაეთანხმოს კაცი, არათუ დაეთანხმოს — ბევრი რამ მიუღებლადაც მიგვაჩნია, — მაგრამ ავი და კარგი, მართებული თუ მცდარი თავად მკითხველმა, ხალხმა გამოარჩიოს, რედაქციის პოზიცია კი ისაა, რომ ყოველმხრივ ვეცადოთ დავამკვიდროთ ნამდვილი პლურალიზმი. თუ არ უკუვაგდეთ მავანთა უფლება ინფორმაციის შერჩევისა და საზოგადოებისათვის მისი „გალამაზებული“ სახით მიწოდებისა, კვლავ ფუჭი და ყალბი დარჩება ფართო მსჯელობანი საჯაროობასა და დემოკრატიზაციას. კვლავ ილუზიური იქნება განახლების იმედი, ამას არათუ ჩვენი მომავალი — დღევანდელი ახალგაზრდობაც არ გვაპატიებს...


რეჟო ჩხეიძე — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი, კინორეჟისორი.

— კინემატოგრაფისტთა აუდიტორიაში არაერთხელ ყოფილა სტუმრად ბატონი ელუარდ შევარდნაძე. დღეს მასთან ერთად გვეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბატონი გიორგი პეტრეს ძე რაჭუმოვსკი. ბატონი ელუარდის სტუმრობა ქართველ

კინემატოგრაფისტებთან უკველთვის დაკავშირებული იყო ან რაიმე საინტერესო ფილმის შექმნასთან ან ჩვენს შემოქმედებით დისპუტებთან. დღევანდელი დღე არ ჰგავს იმ დღეებს. ჩვენი სტუმრები გვეწვივნენ მ აპრილს მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით. დღეს უკველამ ერთად უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ ვცხოვრობთ ხვალ.

უკვე ჩატარებულ სხდომებზე — საქართველოს მეცნიერებთა აკადემიაში, აგრეთვე სხვადასხვა საწარმოში, გამოითქვა აზრი, რომ ეს უაზროდ ჩატარებული აქცია მეტად მძიმე აქციაა იმ დროს, როდესაც გარდაქმნა შედის ძალაში, როდესაც დემოკრატიზაცია დამატარებელი ნაბიჯებით მიიწევს წინ, როდესაც საერთაშორისო ურთიერთობებში საბჭოთა კავშირი ვეველინება მრავალი მშვიდობიანი მოლაპარაკების წამომწყებად და ლიდერად, როდესაც გამოყვანილ იქნა ქარები ავღანეთიდან, როდესაც მთელმა საბჭოთა ხალხმა თავი აწია, როდესაც პრესაში იბეჭდება საოცრად საინტერესო მასალები. იმ ავბედით ღამეს მომხდარი ამბავი არ ექვემდებარება ლოგიკურ ახსნა-განმარტებას და შეუძლებელია გასაგები იყოს ნებისმიერი ნორმალური ადამიანისათვის.

მ აპრილის წინა დღეებში ჩვენ გავქონდა ცდები იმისა, რომ მომხდარიყო მოლაპარაკება იმ არაფორმალური საზოგადოებების წარმომადგენლებთან, რომლებიც ახალგაზრდობასთან ერთად აუენებდნენ ლოზუნგებს და ჰქონდათ გარკვეული პლატფორმა. ამ მოლაპარაკებამ, ჩვენდა საუბედუროდ, შედეგად ვერ გამოიღო.



ახლა. როდესაც ტრაგედია დატრიალდა, როდესაც თბილისში გამოცხადებულია სახმელრო მდგომარეობა და კომენდანტის საათი, და ვინ იცის კიდევ რა უნებღებებია მოხდადღელი, ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე. თუ რა გავაკეთოთ პრაქტიკულად. მოწოდება — ადამიანებო, ვიყოთ გონიერი, ნაკლებად აყუვეთ ემოციებს! — თავისთავად კარგი მოწოდებაა, მაგრამ მხოლოდ — და მხოლოდ ღიროსი სიტყვებია. აქამა რომ თქვას, კარგად არც ე მესმის, რას ნიშნავს მოწოდება — კვიანად ვიყოთ! — ჩვენ პირველი კლასის მოწინაველები ხომ არა ვართ.

დღეს უნდა ვიფიქროთ იმაზე თუ რა მოვიმოქმედოთ, რათა თბილისიდან ქარი გავიდეს. შეხვედრაზე ცენტრალურ კომიტეტში ჩვენ შემოვიტანეთ წინადადება: კიდევ ერთხელ ვცადოთ მოლაპარაკება სხვადასხვა არაფორმალურ საზოგადოებასთან. იქნებ ამ გზით მოიძებნოს ისეთი პლატფორმა, რომელიც განმუხტავს შექმნილ სიტუაციას. ეს არის, ბატონო ედუარდ, ჩვენი შეხვედრის მიზანი. ამ დღეებში ჩვენ მხარე ვიმოღაწევეთ ამ მიმართულებით, შეხვედრით მხარაგებს და გარკვეული პლატფორმაც შევიმოქმედეთ. კარგი იქნებოდა გავცნობოდით თუ რა მოთხოვნები გვქონდა, რა აზრებით მოდიან ეს ადამიანები ჩვენთან. შეხვედრით მათ, როგორც ჩვენი ზალის წარმომადგენლებს და გაიზიარეთ ან, გენებათ, ნუ გაიზიარებთ მათ შეხვედრებებს, მაგრამ ვიცოდეთ, რომ ასეთი პლატფორმაც არსებობს. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ხვალდედ დღეზე, ვიფიქროთ იმაზე, რომ როდესაც ტანკები წავიდენ, შესაძლებელია ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს. ასე განვმარტავ მე ჩვენი დღევანდელი შეტრების მიზანს.

(წესდება რეგლამენტი)

ირაკლი შენგელაია გავაცანოს თავის თანამოაზრეთა შეხედულებებს.

ირაკლი შენგელაია — საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირი

— უპირველეს ყოვლისა, მიტევენას ვთხოვ აქ დამსწრე საზოგადოებას. ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია ეს გამოხატვა იმიტომ, რომ გამოვხატავ არა მხოლოდ საქუთარ აზრს, არამედ ჩემი მეგობრების აზრსაც.

საქართველოში შექმნილი დღევანდელი სიტუაციის შეფასება და გაანალიზება შეუძლებელია თუ არ განვიხილავთ იმ გზას, რომელიც საქართველომ გაიარა გარკვეული ამწილებების მანძილზე.

საქართველომ თავისი დამოკიდებულება და თავისი შეფასება ერთა თვითგამორკვევის აღიარებისა, რომელიც 1917 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა და რასაც რუსეთის იმპერიის ზალთა უფლებების დეკლარაცია ეწოდა, გამოაცხადა 1918 წლის 28 მაისს. ეს იყო დამოუკიდებლობის აქტი და ამ აქტით ქართველმა ერმა აღიარა თავისი სრული უფლება ჰქონოდა და შეეძინა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ახლა, როდესაც საუბარია იმაზე, თუ რა პერიოდი იყო ეს საქართველოს ისტორიაში, მე შევეცდები მოკლედ ვთქვა ამის შესახებ და გამოვხატო ჩვენი პოზიცია. ბევრი რამ, რასაც ვიტყვი, შეიძლება ყველასათვის ცნობილიც იყოს.

საქართველოსათვის უცხო არ იყო სახეობის შექმნა. აქ დამოუკიდებლობის პერიოდში არსებობდა მუ-

შათა, გლეხთა და ქარსიკაცთა სახეობები. მაგრამ შენგელაია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და სხვა პარტიებმა სახეობის არსებობა უნებურად დასაშინეს. როგორც ხელისუფლების უფურსადგენი სრული უფლებითა და სრული შეგნებით აირჩიეს პარლამენტური რესპუბლიკა, რის დადსტურებასაც თავდაპირველად წარმოადგენდა საქართველოს ეროვნული საბჭო — საქართველოს უფროსი პარლამენტი, ხლმო შედეგ — დამფუძნებელი კრება მოწვეულ იქნა პირდაპირი და საყოველთაო არჩენების გზით. მსოფლმხედველობრივად დღეობინული ხასიათის ლოკუმენტი ჩამოუკიდებდა 1921 წლის ილისის, დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი იყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონსტიტუცია, რომელიც დამფუძნებელმა კრებამ მიიღო 1921 წლის თებერვალში, როდესაც მიმდინარეობდა რუსეთ-საქართველოს ომი.

თუ აქედან არ დავიწყეთ საუბარი, დღევანდელი სიტუაციის შეფასება მწელი იქნება.

1920 წელს საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო საბჭოთა რუსეთმა. ეს დადგინდა 8—12 მაისის ხელშეკრულებით. 7 მაისს დადლო თავდაუხმელობის პაქტი, რითაც საბჭოთა რუსეთმა აღიარა საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. საბჭოთა რუსეთის მხრიდან ამ ხელშეკრულებას ხელს აწერდა ლევა კარახანი, საქართველოში — გრიგოლ აურატაძე, დამფუძნებელი კრების წარმომადგენელი. მოკვიანებო, რადენიმე დღის შემდეგ, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დაიღო კიდევ ახალი ხელშეკრულება, რომელიც შეიხებოდა სადლო ტერიტორიას საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის. ეს გახლდათ საინფილოს საკითხი. აი, ეს ორი ხელშეკრულება იყო დადებული საქართველოსა და რუსეთს შორის, რითაც რუსეთმა აღიარა საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და ამდენად საქართველომაც სცნო რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა. ეს იყო არა უამლმბრვი, არამედ ორმხრივი ხელშეკრულება.

ქართველი ბოლშევიკების (როგორ დავარკვიათ ამას — წინდაუხედაობა თუ რა?) და მათი მხარდამკერების მიერ 1921 წლის 25 თებერვალს, სრულიად გაუმართლებლად, მოხდა საქართველოს ანექსია და ამის შედეგად საქართველოში დამარადა საბჭოთა ხელისუფლება. ეს არის აღიარებული ფაქტი, თუნდაც საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, რადგან ხელშეკრულების დარღვევის ის მოტივიტი, რაც წარდგენილი ჰქონდა საქართველოს მოაზრობას, ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ casus belli — მიწეზიომისა და არა მოვლენათა განვითარების ლოკაციური შედეგი.

1921 წლის 21 მაისს იდგმა ხელშეკრულება საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის, მაგრამ ეს უკვე აღარ არის თანაბარუფლებიანობის ხელშეკრულება, რადგან აქ ხდება საქართველოს სუვერენიტეტის შეზღუდვა სახმელრო და ეკონომიკური თვალსაზრისით. შემდგომ გრძელდება იგივე პროცესი სხვადასხვა იურიდიული მოდიფიკაციით. ჭერ იქმნება ამიერკავკასიის ფედერალური კავშირი, შემდეგ ამიერკავკასიის ფედერაციის და, რაც მთავარია, ამიერკავკასიის ფედერაციის მიერ მიღებულ კონსტიტუ-



ციაში წერია ასეთი რამ: საქართველოს და, აგრეთვე, ფედერაციაში შემავალ სხვა რესპუბლიკებს გასვლის უფლება აქვთ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ამას დაამტკიცებს სრულიად ამიერკავკასიის საბჭოების ურჩილობა. ფაქტიურად, ეს ნიშნავს იმას რომ საქართველოს არ ჰქონდა ამიერკავკასიის ფედერაციიდან გასვლის არავითარი უფლება. ამას აქვს თავისი ლოგიკური კახსნა.

1922 წელს გენუის კონფერენციაზე ერთ-ერთ საკითხად, რომელსაც ასე აშკარად მალავს საბჭოთა ისტორიოგრაფია, იდგა საქართველოს საკითხი და იგივე საკითხი გახდა ამ კონფერენციის ჩაშლის ერთ-ერთი მიზეზი. 1921 წლის 17 მარტს ბათუმში შედგა დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომა. რომელმაც საქართველოს კონსტიტუცია გამოაცხადა და დროებით შეჩერებულად, მაშასადამე, საქართველოს მთავრობა არ ცნობდა 25 თებერვალს და იტოვებდა სრულ მორალურ და იურიდიულ უფლებას ყოფილიყო ერთადერთი წარმომადგენელი ქართველი ერისა საერთაშორისო ურთიერთობებში. სწორედ ამის გამო გენუაში იმყოფებოდა სოციალ-დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენელი ირაკლი წერეთელი, რომელიც ითვლებოდა საქართველოს უწინაესი ზღისსუფლების წარმომადგენლად.

1921-22-23-24 წლების გენოციდის შემდეგ, რაც ამბოხების სისხლიანი ჩახშობით დამთავრდა, 1924 წელს მოხდა საოცარი პარტყდენტი საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველო სცნო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ეს იყო რეაქცია იმ აქციაზე, რომელიც 1921 წელს საქართველოს მიმართ მოეწყო.

ახლა მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, რა დაარღვიეს, როგორ დაარღვიეს, ვინ მოახდინა უწუტრპაცია და ა. შ. კონკრეტულ პიროვნებაზე აღარ არის საუბარი. აქ საუბარია მთლიანად იმ სტრუქტურაზე, რომელიც მაშინ შეიქმნა და რომელიც დღესაც ხელს უშლის საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ განვითარებას.

1924 წლიდან მოყოლებული მიმდინარეობდა ქართველი ერის სრული გენოციდი. ამას დემეტა მესხების გასახლება 1944 წელს, შემდეგ სსრკ-ში შემავალი სხვა ერებისათვის უპრეცედენტო დემორტაცია — ქართველ ნატუვევართა ოჯახების გასახლება 1951 წელს და საბოლოო ჯამში, საქართველოში ომში დაღუპულთა გაუთვალისწინებლად დაკარგა და დაზღვევით 600 ათასამდე კაცი.

ჩვენ არ ვამტკიცებთ იმას, რომ ეს იყო მხოლოდ საქართველოს თავს დატეხილი უბედურება. ეს უბედურება და ტანჯვა სხვა ერებმაც განიცადეს. მაგრამ ეს ფაქტი შეფასებას ითხოვს და ამის გარეშე წარსოულდგენილია ჩვენი დღევანდელი სიტუაციის შეფასება — იმ პოლიტიკური სიტუაციისა, დღეს რომ შეიქმნა საქართველოში.

ჩვენ მივჯანა, რომ 1921 წლიდან მოყოლებული პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური თუ კულტურული განვითარების თვალსაზრისით საქართველომ სრული გაკორტება განიცადა. უკვლავს კარგად მოგეხსენებთ, რა კატასტროფაა დღეს საქართველოში — გნებავთ ეკონომიკაში, გნებავთ დემოგრაფიაში, გნებავთ ეკოლოგიაში და სხვა და სხვა.

საზგასანმელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი — ეს არის ერთაშორისი ურთიერთობანი, რომლებიც დღეს საქართველოში ასე გამძაფრებულია და ურთიერთიწინააღმდეგე არის მისული. რა არის ამის

მზეზე? თუ გადავხედოთ საქართველოს პირველ კონსტიტუციას (რატომღაც ამ კონსტიტუციას არ მი-
 იჩნევს სამართლებრივ დოკუმენტად). იქ ნათლ-
 და გამოკვეთილი ასეთი რამ: საქართველოში მცხოვ-
 რებ ეროვნულ უმცირესობებს აქვთ უფლება ჰქონდეთ
 თავიანთი კულტურული განვითარების უველანაირი
 პირობა. (საქართველოში მაშინ არსებობდა სამი ავ-
 ტონომიური ოლქი. ეს იყო სოხუმის, ბათუმისა და
 ზაქათალის ავტონომიური ოლქები). ერთაშორის
 ურთიერთობა გარკვეულწილად მოგვარებული იყო.
 შემდეგ, 1921 წლიდან ზღვდა ქართველებთან იმ ხალ-
 ხის დაპირისპირება, ვინც თავის თავს აფხაზს უწო-
 დებს. ამან დღეს გამოიღო საშინელი შედეგი და
 სრული პასუხისმგებლობით შემოიღოა განვაცხადდა.
 რომ ბიძგი ამას უველაფერს მისცა სწორედ საქარ-
 ველოს გასაბჭოებიდან დაწეუბლმა ამებმა. ქართვე-
 ლი ერთი ის ერთია, რომლისთვისაც არ არის უცხო
 ერთაშორისი ურთიერთობანი — ტრადიციული მე-
 ვობრობა, მაგრამ როდესაც ამ საკითხში ჩაერია კო-
 ნიუნქტურა, უველაფერმა ქართველთა და აფხაზთა
 დაპირისპირებისაკენ მიმართული. გამიზნული პო-
 ლიტისის სახე მიიღო, შედეგმაც არ დააოვნა.

ახლა, რაც შეეხება მ აპირებს განხორციელებულ
 დარბევის აქციას.
 ამ ბოლო დროს საუბარს ეროვნული არმიის შე-
 სახებ ოციციოში ყალუშე შემდგარი ხვდება. მინდა
 მოგაგონოთ, რომ ჩვენს ამ მოხოვნასაც აქვს იური-
 დიული საფუძველი. გენუის კონფერენციაზე საბჭო-
 თა რუსეთს მოეთხოვა საქართველოდან საოკუპაციო
 ჩარების გაუვანა. ამის საპასუხოდ საქართველოში დაი-
 რწყო ქართული საბჭოთა არმიის ჩამოყალიბება. მა-
 შასადამე, ამით შეეცადენ იურიდიულად გაუქმე-
 ბინათ მე-11 არმიის საოკუპაციო სტატუსი. ჩამოყა-
 ლიბდა ქართული საქარისო ფორმირებები, მაგრამ
 მ-იან წლებში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ
 გაუქმდა უველა რესპუბლიკური ფორმირება, რაც
 ფაქტურად ნიშნავდა ამიერკავკასიის წითელდროშო-
 ვანი არმიისათვის საოკუპაციო სტატუსის დაბრუნე-
 ხას. 1978 წლის კონსტიტუციით ეს იურიდიულად
 გაფორმდა და ჩვენ ჩამოგვართვა უფლება გუყოლოდა
 ეროვნული არმია.

მაშასადამე, საქართველოში ეროვნული არმიის
 შექმნას აქვს თავისი იურიდიული საფუძველი. მო-
 გახსენებთ მორალურ-წინებრივ საფუძველზე.
 თუკი საქართველოში იარსებებდა ეროვნული არ-
 მია და დაძაბულ სიტუაციაში მას ექნებოდა უფლებ-
 ბის სრული თავისუფლება, ის შემწარავი ტრაგედია,
 რომელიც დატრიალდა, წამდვილად არ მოხდებოდა.
 სრული პასუხისმგებლობით ამის გამოსცხადების უფ-
 ლება ჩვენ გვაქვს.

კიდევ ერთი რამ. თუკი გადავხეოთ საქართველოს
 დღევანდელ კონსტიტუციას. პრეამბულაში გარკვე-
 ვითაა ნათქვამი, რომ საქართველოს კონსტიტუცია,
 მიღებული 1978 წელს, ეყრდნობა 1922, 1927, 1938
 წლების კონსტიტუციებს. მაშასადამე, ის ძირითადი
 პრინციპები, რაც განვცხადებული იყო 1922, 1927
 და 1938 წლებში, საფუძველად დაედო 1978 წლის
 კონსტიტუციას.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ სამართლებრივი სა-
 ხელმწიფოს შექმნაზე, ძალაუბნებურად იხადება ერთი
 კონკრეტული კითხვა: როგორ შეიძლება თვისებრი-
 ვად ახალი რამის შექმნა სტრუქტურული ცვლილე-
 ბების გარეშე? საბჭოთა მაშასადამე, თავისი ინფრა-
 სტრუქტურით და, თუ გენებავთ, თავისი ეროვნული
 სტრუქტურით, ძალიან რთული სახელმწიფოა. სტრუქ-
 ტურული ცვლილება პირველ რიგში უნდა შეეხოს
 ეროვნულ ურთიერთობებს. ამის გარეშე საუბარი
 უკველგვარ დემოკრატიზაციაზე და დეცენტრალიზა-
 ციაზე ზედმეტია.

ახლა გადავად საქართველოს დღევანდელ მდგომა-
 რეობაზე. ადამიანის უფლებათა საუველთაო დეკ-
 ლარაციაში გამოკვეთილად არის ნათქვამი ასეთი
 რამ: ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, განცხადე-
 ბული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენე-
 რალური ასამბლეის მიერ, თანაბრად ეტება უველა
 ერს. მიუხედავად მისი სახელმწიფოებრივი მდგომა-
 რეობისა, თვითმმართველობის, შეზღუდული სუვე-
 რენიტეტის, ავტონომიისა თუ სხვა. მაშასადამე, თუ
 ჩვენ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღესდღეობით
 საქართველოს სუვერენიტეტი არის ნომინალური
 ცნება, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ შემთ-
 ვევაშიც კი ადამიანის უფლებათა საუველთაო დეკ-



დარბაზში

ლარაკით განცხადებული ყველა უფლება აქვს ქართველ ერს.

ამვე დოკუმენტში ნათლად არის ჩამოყალიბებული ადამიანის მსოფლმხედველობრივი თავისუფლების პრობლემა, რომელიც ყოველი ერისათვის შესანიშნავად ჩამოყალიბდა ჰელსინკის აქტით, რომლის სრულყოფილ ფორმას წარმოადგენს ვენის საბოლოო დოკუმენტი. ამ დოკუმენტში შესანიშნავად არის გაცხადებული ერთი რამ — ყოველ ერს აქვს უფლება განაწვდროს, როგორ და როდის მოაწიოს თავისი საშინაო პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული განვითარება გარეშე ხალხის ჩარევად. ეს არის უზენაესი პრინციპი, რომლითაც უნდა მოქმედებდეს ყოველი ერი. ამ პრინციპიდან გამომდინარე ყოველ ერს აქვს უფლება ნებისმიერ მომენტში დასვას საკითხი თვითგამორკვევის შესახებ.

ახლა რაც შეეხება ინფორმაციის თავისუფლებას, როდესაც ინფორმაციის თავისუფლებაზე საუბარი, იგივე ვენის საბოლოო დოკუმენტით თუ ვიმსჯელებთ, იქ ვაჩვენებთ და ნათლად არის ჩამოყალიბებული ერთი რამ: ყოველ საზოგადოებრივ გაერთიანებას და აგრეთვე ინდივიდუუმს აქვს უფლება ჰქონდეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, დააგროვოს იგი ან გაავრცელოს, ამდენად, თუ ვილაპარაკებ ინფორმაციული თავისუფლების საშუალებებზე, ჩვენ უვლავს გვაქვს უფლება გვივინდეს გარკვეული მსოფლმხედველობა და ეს მსოფლმხედველობა გავაცნოთ ყველა სხვას, ვისაც ვთვლით საქირად.

დღევანდელ საქართველოში პოლიტიკური ვითარება არის ძალიან მძაფრი, ხდება პოლიტიკური პოლარიზაცია და მე მინდა მივთავაზო აქ დამსწრე საზოგადოებას 1987 წლის 26 დეკემბერი, როდესაც საქართველოში მოეწყო პირველი აქცია, მიმდინაოლი 1987 წელს რეპრესირებულ ქართველთა ხსოვნისადმი. აქცია მოაწყო იმამბად ახლადდაარსებულმა ილია ქვეყავაძის საზოგადოებამ, იქიდან მოყოლებული თითქმის ჩამოსათვლილია ისეთი მიტინგები საქართველოში, რომლებიც არ დარსულდა დარბევით. ასეთი განწყობილება, ურთიერთდაპირისპირებულობა, პოლიტიკური ან მკვეთრ გამოხატულებას პოულობდა მთელი წლის განმავლობაში და ამის ლოგიკური დევიდი გიხლავთ მ აპირილი.

შეიძლება აქ კონკრეტულ პიროვნებებზეც დავიწყოთ საუბარი, ვითხოვთ — ვინ გასცა ბრძანება? მაგრამ მთავარი კონკრეტისაც კი არაა, არამედ საუბარი იმ სტრუქტურაზე, იმ პრინციპებზე, რომელიც არის თავი და თავი ყოველივესი. ამაზე უნდა ვისაუბროთ და არა თითო-ორიდა პირვნების პასუხისმგებლობაზე.

აქ დამსწრე საზოგადოების ყურადღება მინდა მივქციო ერთ ცნობილ ბრძანებას, რომელიც გამოქვეყნდა 1988 წლის 6 დეკემბერს. ამ ბრძანებით საქართველოში 15 თებერვლიდან გაძლიერდა — 1200 ცაცამდე გაიზარდა სპეციალური დანიშნულების რაზმები, ფაქტობრივად მომზადდა 9 აპრილი.

როდესაც საერთო საკავშირო მსსშებით წამოიჭრება პრობლემა, რომლის გადაჭრა არსებულ კანონმდებლობას არ ძალუძს, ხდება ან კანონმდებლობის გამკაცრება, ნაცვლად იმისა, რომ მოიძებნოს სამართლებრივი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შესაძ-

ლებელი ვახდება ამა თუ იმ საკითხის მოგვარება. ამის კონკრეტული მაგალითია შინაგანი კარგების ის უფლებები, რაც მათ გააჩნიათ.

საქართველოში პირველი დოკუმენტი შეტანის შესახებ საუბრისას პოზიცია ერთი იყო (იგი მკვეთრად იყო გამოხატული პრესაში, სოციალურ წერტილებში) — რას არ აპრალებდნენ მათ, რა ლოზუნგები არ მიუწოდებდნენ სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ მხოლოდ ქუჩის მიტინგის საშუალებით შეგვეძლო მივეყვნიდნა ხალხისთვის ჩვენი აზრი, ჩვენი დამოკიდებულება ამა თუ იმ კონკრეტული საკითხისადმი. შესაძლოა არის რადიკალური შეხედულებებიც, მაგრამ ყველა ადამიანს აქვს უფლება გამოხატოს თავისი აზრი. ამის უფლება აქვს ნებისმიერ პოლიტიკურ გაერთიანებასაც, სხვა საკითხი როგორ მიიღოს და შეავსებოს მის საზოგადოებას, ვენის ხელშეკრულებაში ეს უფლება მკვეთრად და ნათლად არის გამოხატული.

საქართველოს ეროვნული სამართლიანობის კავშირში თავის უფლება მისცა თუ ეროვნულ-პოლიტიკური გაერთიანების სახელით მიმართა კლავის საბჭოს თხოვნით გამოეყოთ სტენდი, რომელზეც გავკარვდით ჩვენს თვითგამოცემებს და ხალხი დაინახავდა, თუ რა აზრის ვიყავით ამა თუ იმ პრობლემაზე საკითხებზე, რა პოლიტიკური შეხედულებები გავაჩინადა.

პასუხი იყო ასეთი: ვინაიდან საქართველოს არაფორმალურ გაერთიანებათა მოქმედება, მათი შეხედულებები სათანადოდ ფასდება ოფიციალური პრესის ფურცლებზე, უარი გეთქვათ სტენდზე. როდესაც ეს შე სახალხო ფრონტის კონფერენციამ შემამალა განაცხადა, პასუხზე თავი შეიკავა, დღემდე ფიქრობენ ან ვგვიპასუხონ. არადა ამის მავალთიბე გვაქვს იგივე ესტონეთში, ლიტვასა და ლატვიაში. ყველაზე რადიკალური გაერთიანება ესტონეთში არის ესტონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია. ოფიციალურმა ხელისუფლებამ ამ პარტიას ტალინი გამოუყო სტენდი, სადაც ისინი აქვეყნებენ დოკუმენტებს, თავისი მუშაობის შედეგად დაგროვილ მასალებს. მაშინაღვე ესტონეთის ოფიციალურ ხელისუფლებას სრულებით არ ამინებს ის, რასაც იტყვის ესტონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია. შეუმცდარი არავინაა ამ ქვეყნად, მაგრამ ხომ შეიძლება ჩვენი აზრების ერთმანეთისათვის გაცნობა, როდესაც ეს პრინციპით ირდევვა, შედეგად გვაქვს ის, რაც მ აპირებს მოზად.

დასასრულ, რეზიუმეს სახით ასეთი რამ მინდა ჩამოვყალიბო:

1. თუ არ შევხსნება პოლიტიკური თვალსაზრისით 1921 წლის 25 თებერვალი, დღევანდელ სიტუაციაზე და ქართველი ერის მომავალზე საუბარი შეუძლებელია;

2. შეუძლებელია ეს მასწავ, თუ არ გავრცელებ ქართველ ერში აზრი და თუ არ შედგა ოფიციალური საუბარი იმის შესახებ, სურს თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა და შეუძლია თუ არა მას დამოუკიდებელი არსებობა. ამის უფლებაც გვაქვს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით, იგივე ვენის საბოლოო დოკუმენტით.

ერთი გარემოება ხაზგასახმელი: სრულიად სხვა


ფორმით არის თვითგამორკვევის უფლება ჩამოყალიბებული საბჭოთა კონსტიტუციაში და სულ სხვაგვარად შედის იგი ვენის საბოლოო დოკუმენტში, სადაც ნათქვამია, რომ თვითგამორკვევასთან ერთად ერს საკუთარ სახელმწიფოში შინაგანი სტრუქტურული წყობის არჩევის თავისუფლება უნდა გააჩნდეს და ეს არჩევანი ქართველმა ერმა 1918 წლის 26 მაისს განაცხადა.

როდესაც საუბარი იყო საქართველოს დამოუკიდებლობაზე, საპასუხოდ გაისმოდა ასეთი რამ: როგორც კი საქართველო გახდება დამოუკიდებელი, მას გამოუცხადებს ომს თურქეთს. მას გამოუცხადებს ომს ირანი ქდა ა. შ. მომხრევეთ, ბატონებო, მაგრამ ეს ეურანლისტური იწილო-ბიწილოა და შეტე არაფერი. ვენის შეხვედრის საბოლოო დოკუმენტში გარკვევით გამოიხატა ის არაფერი, რომელსაც ეხება შეიარაღებული ძალების შემცირება. ჩვენდა სასიხარულოდ, პირველი ამ არეალში აღმოჩნდა საქართველოს მოსაზღვრე წალი. როდესაც ლაპარაკია თავისუფალი ევროპის საერთო ოჯახზე, როდესაც ლაპარაკია შეუფერხებელ მიმოსვლაზე, კონვერტირებულ ვალუტაზე და კონვერგენციულ თეორიულ დაახლოებაზე მსოფლმხედველობრივად სხვადასხვა პოზიციებზე მდგომი სახელმწიფოებისა, — ჩვენ თავს უფლებას ვაძლევთ დავსვათ ასეთი კითხვა: ვის ამ-



დაბაზში. ალ. ჯავახიშვილი

დაბაზში. ლ. ელიავა



ლევს ხელს დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების ასეთი კონფრონტაციით წარმოდგენა? ქართველი ერი საერთაშორისო სამართალსუბიექტია. მას სრული უფლება აქვს დასცავს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი, თუ როდის უნდა განხორციელდეს ეს დიდებული აქტი — დღეს, ხვალ თუ სხვა დროს, ამის გადაწყვეტის უფლება უნდა მქონდეს მხოლოდ და მხოლოდ ქართველ ერს. ეს გახლავთ მოკლედ, რისი თქმაც მსურდა, გმადლობთ.

ვიქტორ რცხილაძე — ქართველ ქრისტიანთა კავშირი, წმ. დავით აღმაშენებლის საზოგადოება და ჰელსინკის ჯგუფი.

— მე მოკლე განცხადებით გამოვალ. მე მიმაჩნია, რომ საქართველოში, ჩამწუხაროდ. ისევ მძლავრობს სტალინიზმის სულისკვეთება. ეს ჩემი განცხადება არ არის ლიტონი სიტყვები. თავი რომ დავანებოთ ახლანდს მომხდარ სისხლიან ტრაგედიას, რაც სტალინისტურ შეთოდებზე შეტყველებს, სახს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ „ლიტერატურული საქართველოს“ გვერდები დაეთმო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილ მდივანს კანდიდ ჩარკვიანს, რომელიც საქართველოს სათავეში ედგა 1928—51 წლებში. თუ რა ხდებოდა ამ წლებში, თქვენ ჩემზე კარგად მოგეხსენებათ და საკუთარ შირო პრესის ფურცლებზე ეს აშკარად ჩანს. საქმე ისაა, რომ კანდიდ ჩარკვიანი იქიანი თითქოს ხელა გვიქნევს: ეს ყველაფერი ხდებოდა პარტიის დავალებით, ჩვენ ასე ვივით აღწერიდებით.

ვინ არის ნინა ანდრეევა — ერთი უბრალო ქიმიის მასწავლებელი, რომელიც შეიღმა საბჭოეთმა შერისხა. რა არის მასთან შედარებით კანდიდ ჩარკვიანი, რომელიც, შეიძლება ითქვას, უშუალოდ წარმართავდა ამ პროცესებს მაშინ საქართველოში და ჩვენმა ლიტერატურულმა გაწყობმა, მისდა სამარცხვინოდ, დაუთმო ამ კაცს თავისი გვერდები.

სტალინისტური სულისკვეთების კიდევ ერთი დამამტკიცებელია ის, რომ ჩვენს სათავეთა შიგნით მინდაღე კვლავ განისვენებს საერთაშორისო ჯალათის სტალინის დედა, რაც ყოველად დაუშვებელია.

რაც შეეხება მ აპრილის ტრაგედიას, ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ მოსკოვს არ მიეცეს მანვე სანქცია საქართველოს შთავრებისათვის — მე მოგახსენებთ ჩემს, ჩემი კოლეგებისა და ახალგაზრდობის აზრს. ამავე დროს ტრაგიკული პარადოქსია, რომ არქართველი



ღარბაშვილი

ჭარისაკაცები, რომლებიც 9 აპრილს დამსჯელ აქციაში მონაწილეობდნენ, ნიჩბებით ჩეხდნენ ქალებს სიტყვებით: «Это за то, что вы родили Сталина!» ესე იგი, ერთი მხრივ, სტალინისტური სულსიკვეთება გვანადგურებს და, მეორე მხრივ, გვსჯიან სტალინის გამო.

დღე მწუხარებას გამოვთქვამ, რომ ჰელსინკის ქაღუტის წევრები და ახალგაზრდები დღეს კვლავ საპატიმროში იმყოფებიან. გამოდის, რომ ის ადამიანები, ვინც თავის დროზე ავრცელებდა დღეს საყოველთაოდ პატყცემული პიროვნების — აკადემიკოს სახაროვის წიგნებს, კვლავ ციხეშია. ვფიქრობ, ესეც სტალინისტური სულსიკვეთების გამოხატული პარადოქსია.

პარლმ ბარდაშვილიძე — ეროვნულ-დემოკრატიული პარტია:

— ჩვენს ეროვნული შეკრებებზე, რომლებიც მომხდარა ამებთან დაკავშირებით ამ ორი დღის განმავლობაში ტარდებოდა, შევთანხმდით, რომ გადასაწყვეტი პრობლემები ძალიან ბევრია, მათ დასაკონკრეტებლად ახლა დრო არა გვაქვს, ამიტომ შევიმუშავთ კონკრეტული დოკუმენტი — მოთხოვნათესებრივად, რომელსაც ბელს აწერენ ეროვნულ-პოლიტიკური არაფორმალური გაერთიანებებისა და სტუდენტთა საგაფიცო კომიტეტების წევრები (კოხთხულობს-იტყვებს):

„1989 წლის 12 აპრილს კინოსტუდია „ქართული ფილმი“ შედგა შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ ეროვნულ-პოლიტიკური არაფორმალური გაერთიანების წარმომადგენლები და უმაღლესი წევრებელთა სტუდენტობის რწმუნებულები. შეხვედრამ დაგმო საქართველოს დედაქალაქში 1989 წლის 9 აპრილის დღის 4 საათზე მშვიდობიანი მიტინგის და მიტინგში მონაწილე მოშიშხილთა სამხედრო ძალებით დარბევის ანტიუმანური და არასამართლებრივი აქტი, რასაც მოჰყვა ადამიანთა დიდძალი მსხვერპლი. შეხვედრაზე შეფასდა საქართველოში შექმნილი საგანგებო ვითარება და მიღებული იქნა შემდეგი მოთხოვნები საკავშირო ხელმძღვანელობის მიმართ. შეხვედრის მონაწილეებმა მიიტინგის ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილება შექმნის საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის პირობებს:

1. დაუყოვნებლივ განთავისუფლდნენ ის პოლიტიკური პატიმრები, რომლებიც დააკავეს 9 აპრილის ტრაგედიის მთავრად დაბრალდების მიზნით;

2. ვინაიდან მშვიდობიანი მიტინგის და მოშიშხილთა დარბევის ანტიკონსტიტუციური, ანტიუმანური აქცია მოხდა საქართველოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მოვითხოვთ საქართველოს კონსტიტუციის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადადგომას და დამნაშავეთა გასამართლებას;

3. უნდობლობას ვუცხადებთ ამ ტრაგიკული აქციის გამომძიებელ სამთავრობო კომისიას, ვინაიდან ქართველი ერი მსოფლიოს სხვა ერებთან ერთად ითვლება საერთაშორისო სამართალსუბიექტად, 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენა გამოძიებულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით და მისი ექსპერტების მონაწილეობით.

4. გამოცხადდეს უნდობლობა და დათხოვნილ იქნას საქართველოს უმაღლესი საბჭო, რომელსაც ვერ უზრუნველყო საკითხის სამართლებრივი გადაწყვეტა.

5. მოვითხოვთ საქართველოს უმაღლესი საბჭოს ახალი შემადგენლობის უმოკლეს ვადაში არჩევას დემოკრატიზმისა და სრული პოლიტიკური პლურალიზმის საფუძველზე.

6. ვინაიდან სამხედრო წევრების შემოღება მხოლოდ ამწვევებს საქართველოში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას, ზრდის უდანაშაულო მსხვერპლთა რიცხვს და გამორიცხავს თავისუფალი არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას, მოვითხოვთ ჭარის დაუყოვნებლივ გაყვანას და დედაქალაქში საკომენდანტო რეჟიმის გაუქმებას.

7. რამდენადაც სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1989 წლის 8 აპრილს მიღებული ბრძანებულება სახელწიფიო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, რომელსაც სსრ კავშირის კანონსა და სსრ კავშირის ზოგადი სხვა საკანონმდებლო აქტის მე-7 და მე-11 მუხლებში ცვლილებები და დამატებები შეაქვს ეწინააღმდეგება დემოკრატიზმისა და პლურალიზმის პრინციპებს, მოვითხოვთ მის გაუქმებას;

8. მოვითხოვთ რესპუბლიკური და საკავშირო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისაგან (პრესა,

რადიო, ტელევიზია) საქართველოში მომხდარი ეროვნული ტრაგედიის ობიექტურ გამოხატებას.

თუ ეს მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, ვიღებთ ჩვენ თავზე პასუხისმგებლობას მოვთხოვით საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს სახსრად მოიწვიოს რიგგარეშე სესია და სსრ კონსტიტუციის 72-ე მუხლის საფუძველზე დააყენოს სსრ-ის შემადგენლობიდან საქართველოს გამოყოფის საკითხი.

მოთხოვნათა ტექსტს ხელს აწერენ (კითხულობს ხელმოწერებს).

სსკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბურის წევრს, სსრ საგარეო საქმეთა მინისტრს ედუარდ შევარდნაძეს ვთხოვთ ჩაიბაროს წარმოდგენილი დოკუმენტი და მის შესახებ მოვახსენოს საკუთარი აზრი.

იზა ორჯონიძისძე — პოეტი, გიორგი ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.

დემოკრატიის სამსახურში უნდა იდგეს ინფორმაციის ყველა საშუალება და პირველ რიგში საქართველოს ტელევიზია, რომელიც დღეს უარესად დაკანონებულია და ბნელ ფანჯარას უფრო მკაფიო სახალხო ფრონტს უნდა ჰქონდეს გაზეთი, რომლის დაარსებაც ვერა და ვერ მოვახერხეთ. ის, რაც ხდება ხალხისპირეთში, ჩვენთვის რატომღაც მიუღწეველი გახდა. რატომ? როგორ შეიძლება ქართველი ერის უზროვნების უნარს მოკლებულ ერად აქციო?! ჩვენ მონები არა ვართ, გაოგეთ ეს, ჩვენ არ გვიანდა მონები ვიყოთ. ჩვენ გვიანდა ვიყოთ ნორმალური ადამიანი. რომლებიც კვირობენ, სხვადასხვაგვარად აზროვნებენ. შესაძლოა ყოველთვის არ დავეთანხმეთ ერთმანეთს, ვეძებოთ გზები, მაგრამ მოგვეცეთ ამის საშუალება. მოგვეცეთ საშუალება შევექმნათ სახალხო პარლამენტი, რომელიც ეძიებს ერის განვითარების საკუთარ გზებს. ამის გაგებაა აუცილებელი, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს თუ ვინ მოვახვალ. ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ განახლებას მოითხოვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მთლიანად, თავიდან ჰოლომდე! ესაა კორუმპირებული ხელისუფლება (მხურვალე ტაში), რომელიც შედგენილია ამხანაგობის, „თავისი კაცების“ პრინციპით. როდემდე უნდა ვიცხოვროთ ისეთ ატმოსფეროში?! ქართველი ერის,

კულტურა, რომელიც მან შექმნა, ვერ შეურიგდება ამას. ჩემი ღრმა რწმენით: ყველაფერი უნდა შეიცვალოს — თავიდან ბოლომდე! და ცენტრმა იფიქროს იმაზე, რომ უკუსაგდება ძველი დებები — როდესაც ვიღაცა ჩამოჰყავთ, ნიშნავს და ჩვენ ყველანი უბრალოდ ხელს ვწვეთ. ჩვენ უნდა ვიცინოდეთ იმ კაცს... სულ ახლახან დანიშნეს მინისტროსად ამის თავერთმარე — რა პროგრამა აქვს მას? რა უნდა გააკეთოს რესპუბლიკისთვის — ვიცით რაიმე ამის შესახებ? (დარბაზიდან: — მან თვითონაც არ იცის). მართლაც, თვითონაც არ იცის, ალბათ. მაგრამ ხომ არც დამდგარა ეს საკითხი... მოვიდა მოაზროვნე ადამიანების ღრმად ის, ვინც არ აზროვნებს და მხოლოდ არსებობს, არ უნდა იყოს მთავრობისა და პარტიის სათავეში. უნდა გავიგოთ, რომ პარტია ატმოსფეროა სრულიად შეუიარაღებელი აზრით და ამიტომაც შეიარაღდა ტანკებით. მას არ აღმოაჩნდა ცოცხალი, შემოქმედებითი აზრი, არ აღმოაჩნდა უნარი მისულიყო ხალხთან, დალაპარაკებოდა მას, გაეყო ამ ადამიანებისა და გაეუფლებინა ისინი. ვიდრე არ შეიქმნება ატმოსფერო ნამდვილი კრიტიკული დამოკიდებულებისა ყველაფრისადმი ქვემოდან ზემოთ, — ჩვენ ვერ გამოვლთ ამ მდომარეობიდან. მხოლოდ დემოკრატია ქმნის მინიმალურად დღეს არავის არ შეუძლია თქვას, დამნაშავე არა ვარო. მთელი ჩვენი საზოგადოება დამნაშავეა, ეს დანაშაული მთელ ჩვენს თაობას აწევს ტვირთად. ყველანი დამნაშავე ვართ — ეს უნდა ითქვას, — მთელი ერი დღეს უნდა გავერთიანდეთ, რომ შევექმნათ ახალი, მოაზროვნე, პრეშარტიკად მუშაობის საზოგადოება. ამას ჩვენი ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და ეს თითოეულმა პარტიელმა უნდა შეიგნოს.

შეხვედრაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჭუმბერ პატიაშვილი. დასასრულ შეკრებილთ სიტყვით მიმართა სახეობა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ.

ბ. ვადაკორიასა და
ა. მეტიტოვის ფოტოები

გლოვის დღეები თბილისში



ბუნება—მხატვრის შთაბრძნება

ქურნალის წინამდებარე ნომერი მკითხველს აცნობს მხატვარ შოთა ჩლაიძის ნამუშევრების ფერადსა და შავ-თეთრ რეპროდუქციებს, გათავაზობთ ხელოვნებათმცოდნე ლეილა თაბუკაშვილის საუბარს მხატვართან.

დ. თ. ბატონო შოთა! თქვენს შემოქმედებას გაცილებით უფრო ადრე ვიცნობდი, ვიდრე პირადად გაგიცნობდით. ჩვენი ურთიერთნაცნობობა კი სულ ორიოდ წელს თუ ითვლის და უჩა ჯაფარიძის ბინა-სახელოსნოში შეხვედრას უკავშირდება. შესანიშნავი მხატვრის, დიდებული მოქალაქისა და მოღვაწის სიცოცხლის ბოლო პერიოდში თქვენ ხშირად იყავით მის გვერდით. სარეცელს მიჯაჭვულს, შეძლებისდაგვარად, ყოფას უმსუბუქებდით. მე ვიგრძენი მისი მადლიერება თქვენს მიმართ, ამასთან, დიდი ნდობაც... ცხადია, ეს თანადგომა უჩასადმი, — ამ ეტაპზე უმწეო ადამიანისადმი (რომელიც ერთგულ თანამდგომთ სასიცოცხლოდ საჭიროებდა და ერთ-ერთი მათ შორის თქვენც ბრძანდებოდით) არ იყო გაპირობებული მხოლოდ იმით, რომ მისი მოწაფე იყავით და, ამასთან, ერთი მიწა-წყლის — რაქის შვილები. „გენეტიკური“

სიახლოვე, სიახლოვეა, მაგრამ ადამიანურ-მეგობრულ ურთიერთობას, ალბათ, უფრო სხვა რამ განსაზღვრავს...

შ. ჩ. უჩა ჯაფარიძე—დიდი ხელოვანი, პედაგოგი, უმწიკლო პიროვნება, დახვეწილი ინტელიგენტი — ასეთად აღიქვამდა მას ყველა, ვინც ახლოს იცნობდა, როგორც ადამიანს და როგორც შემოქმედს. აქედანაა ჩემი თაყვანისცემაც შესანიშნავი ქართველი მხატვრისა და მოქალაქის მიმართ. და არც გასაკვირია, ალბათ, რომ სურვილი გქონდეს შეჭირვების ქაშის ხელი გაუწოდო შენს მოამაგეს, მთელი ქართველი ერის სასიქადულო შვილს, ქართული მხატვრობის ერთ-ერთ ბურჯს, და ყველაფერ ამასაც რომ თავი დაეანებოთ, — უბრალოდ, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანს... უჩა ჯაფარიძის შემოქმედებითი მსოფლმხედველო-



ილია ჭავჭავაძე

გალაქტიონ ტაბიძე

ბა, მრწამსი ჩემთვის ძალიან მახლობელია, თუმცა მისი ხელოვნების უშუალო გავლენა არ განმიცდია. მუდამ საკუთარი ხედვის მორჩილი ვიყავი და მხოლოდ ჩემი სათქმელის გამოხატვისაკენ ვისწრაფვოდი.

ლ. თ. სტუდენტობისას და ასპირანტურაში სწავლის დროსაც თქვენი ხელმძღვანელი უჩა ჯაფარიძე იყო. როგორც პედაგოგი, იგი უკომპრომისო გახლდათ იმ მხრივ, რომ მოწოდისაგან ითხოვდა სახვითი საფუძვლების მყარ ფლობას, ხატვის, ნახატის ოსტატობას. თქვენს ტილოებში, მრავალფიგურნიან კომპოზიციებში, პორტრეტებში, რომლებიც სწავლის პერიოდშია შექმნილი, ნათლად ჩანს ამ საფუძვლების თავისუფალი ათვისება. ამას მოწმობს სადიპლომო ტილოც „მოსკოვის უნივერსიტეტის დამაარსებელი“ და სხვადასხვა დროის პორტრეტული ნამუშევრები. 70-ანი წლებიდან თქვენს შემოქმედებას ვეცნობით რესპუბლიკურ და საკავშირო გა-

მოფენებზე. და მაინც, ტილოების დიდი ნაწილი მიუთითებს ჟანრობრივი მიღრეკილების გამოკვეთას — პეზაჟით გატაცებას, და თუ უფრო დავაკონკრეტებთ — ქართული მთაგორიანი ბუნების მოტივებით შთაგონებას. მათში უკვე „მიწის ყვილია“, რაჟის პეიზაჟის დიდებული მშვენიერებით ტკბობა...

შ. ჩ. რაჭა, მოგეხსენებათ, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეები, თავისებური სილამაზითაა გამორჩეული, ჩემი წინაპრების მიწაწყალთან ბავშვობიდანვე განსაკუთრებული სიყვარული მაკავშირებდა, და ისიც ბუნებრივია, ალბათ, რომ მშობლიური გარემოს სილამაზის განცდა ბადებს თვით შემოქმედს, თუკი, რა თქმა უნდა, ადამიანს თანდაყოლილი აქვს საამისო მონაცემი, დიდი მასშტაბისა იქნება ეს მონაცემი თუ მცირე. მე ახლაც რაჭაში მაქვს ფესვი გადგმული. იქ არის ჩემი ბებია-ბაბუის ოდა-სახლი, ეზო-კარმიდამო, რომელ-



ვახტანგ VI



ალექსანდრე ყაზბეგი

საც მოვლას არ ვაკლებ, ხშირად ვსტუმრობ. მშობლიური მიწა დღეს კიდევ უფრო ძვირფასი ხდება, როცა ხელავე როგორ იოლად ტოვებენ მას მისი მკვიდრნი, ტოვებენ ზოგჯერ სამუდამოდ, დაუნანებლად. თითქმის დაცარიელებულია დღეს რაჭის სოფლები. ჩემი წინაპრების სოფელი სხვაგა ამბროლაურის რაიონშია. წარმტაცი მდებარეობის ამ პატარა კუთხეში, სადაც წინათ იმერეთის მეფეების აგარაკები ყოფილა, შემონახულია უძველესი ძეგლების — ეკლესიების, ციხესიმაგრეების ნაშთები. ისევე როგორც რაჭის სხვა რეგიონები, ეს კუთხეც განთქმული ყოფილა სხვადასხვა დარგის ხელოსნობით — მებუხრებით, ჩუქურთმის ოსტატებით, ხალიჩების მქსოველებით... სხვათაშორის, ბებიაჩემიც შესანიშნავ ხალიჩებს ქსოვდა, მისი ნახელავები გამოირჩეოდა ნატფი გემოვნებით, ფერთა შეხამების სირბილითა და ჰარ-

მონიულობით. ეს ძვირფასი ტრადიციები არ უნდა დაკარგულიყო, და სწორედ ამიტომაც დღეს საზოგადოება საგანგებო ღონისძიებებს სახავს ამ მხარის ახლებურად ასალორძინებლად.

ლ. თ. მკითხველებისთვის, ცხანდია, ცნობილია, რომ შექმნილია საზოგადოება „რაჭა“, რომლის ძალისხმევა მიმართული იქნება საქართველოს ამ მშვენიერი მხარის კეთილდღეობისკენ. დასახულია ფართო გეგმები, რომლის განხორციელებაში თქვენც კიდევთ უშუალო მონაწილეობას.

შ. ჩ. საზოგადოება „რაჭა“ (თავმჯდომარეები — ალკაზარ კაციაძე, ზურაბ ქაფიანიძე) აერთიანებს ქვეყნის მთელს რაიონს, რომელშიც მხატვრები შედიან. ეს გახლავთ საკვლამოქმედო საზოგადოება, რომლის ხელმძღვანელობა მე დამეკისრა. გეგმები დიდი და რთულად განსაზოგადოებულია, მაგრამ სიძნელეს არ შეუვშინდე-



ოქროსფერი შემოდგომა.

შალვა ჩიკოიძე



ქავთხილის მთები


საქართველოს
სამხრეთ-აღმოსავლეთი
საზღვაო სანაოსნო
სამსახური



საქართველოს
სამხრეთ-აღმოსავლეთი
საზღვაო სანაოსნო
სამსახური



ՆԱՐԵՔԱՆԻ
ՆՈՒՆՈՐԹՅՈՒՆ



Արշիլ Գորկի



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ
ԳՐԱԴԱՐԱՆ



Եղիշայեցի Միքայելյան



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



სოფელი ღარბლი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეუღოს პორტრები




გიორგი-პორტრეტი





მდინარე კრიხულას ხეობა



შალვა დადიანი



რუსუდან ნიკორაძე

ბით, ყოველ ღონეს ვიხმართ მის ხორცშესასხმელად.

ლ. თ. კონკრეტულად, რას გული-სხმობს თქვენი ამოცანები?

უნდა შევქმნათ საუკეთესო პირობები აქ მცხოვრებთათვის, ვინც დღეს აქ სახლობს და ვინც მომავალში დაბრუნდება. საამისოდ უზარმაზარი საქმეა გასაკეთებელი. პირველყოვლისა, საკირობა აშენდეს ახალი და განახლდეს ძველი, ამჟამად მიტოვებული, გასული საუკუნის საცხოვრებელი სახლები, პარალელურად — გაკეთდება გზები, გაიყვანენ ბუნებრივ გაზს, მოეწყობა ტელევიზიის დანადგარი. გვინდა ავაშენოთ ხელოვნების სახლი სხვადასხვა დარგობრივი შემოქმედებისათვის — მუსიკალური, თეატრალური, ქორეოგრაფიული ხელოვნებით დაინტერესებული ადამიანებისათვის; უნდა შეიქმნას სტუდიები, სალონები, სამაქროები და სახელოსნოები როგორც თანამედროვე ხელოვნებაში მომუშავე მხატვართათვის,

ისე ხალხური ხელოვნების ასაღორძინებლად და განსავითარებლად. საქველმოქმედო საზოგადოებას განზრახული აქვს ჩამოაყალიბოს სამხატვრო საბჭო, რომლის თაოსნობით მოეწყობა ხოლმე ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, აქ შექმნილ ნაწარმოებებს გავიტანთ მთელს რესპუბლიკაში და საზღვარგარეთაც.

ლ. თ. ყოველივე ამას ხომ ერთუზიანების გარდა დიდი მატერიალური სახსრები სჭირდება...

შ. ჩ. საზოგადოების მატერიალური საფუძველი იქნება წლიური საწევრო შესატანები, გაყიდული ნამუშევრებით შემოსული თანხა. დახმარებას გავგიწევინებთ სამინისტროებიც. რაჟის სასოფლო დასახლებები კულტურული ცხოვრების ისეთივე კერებად უნდა იქცეს, როგორც ეს არის ამბროლაურსა და ონში. ამბროლაურში ხომ შესანიშნავი მუზეუმი გვაქვს, ქართული მხატვრობის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნიმუშების საგანძურით...

ლ. თ. იქ თქვენი ტილოებიც არის გამოფენილი...

შ. ჩ. დიახ, ოცამდე ტილოა ექსპოზიციაში, ცალკე დარბაზში წარმოდგენილი.

ლ. თ. როცა აღვნიშნე პეიზაჟის ჟანრში თქვენს შთაგონებულ მუშაობაზე, მხედველობაში მქონდა მრავალი ტილო, რომლებიც ამ ორიოდე წლის წინ თქვენს პერსონალურ გამოფენაზე და ბოლო დროს თქვენსავე სახელოსნოში ვიხილე. ბუნების სურათების სიუხვე თქვენს შემოქმედებაში სათავეს, ალბათ, კვლავ სწავლის პერიოდიდან იღებს.

შ. ჩ. ჩემს საასპირანტო თემად პეიზაჟური სურათების სერიის შექმნა მქონდა ჩაფიქრებული და განვახორციელე კიდევ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ამსახველი ტილოების შექმნით. სურათების ამ სერიაზე, რომელსაც ვუწოდებ „ეს სიმღერაა საქართველოსი“, მაღალი შეფასება დაიმსახურა და ამან ამ ჟანრში მუშაობის რწმენა განმიძტკიცა.

ლ. თ. არცერთ თქვენს პეიზაჟურ ტილოში არ იგრძნობა ნატურიდან გამომდებულის უშუალობა, ეტიუდური საფუძველი, წინასწარ ჩახატულისა და ფიქსირებულის განზოგადება, სურათად ქცევა. იმ მხატვარ-პეიზაჟისტებს, ვის ტილოებშიც, ცოტად თუ ბევრად, ეს საფუძველი იგრძნობა, მე ამას ნაკლად მიიჩნევ ვერ ჩავუთვლიდი, ვინაიდან იქაც დიდა განზოგადების მასშტაბები, მაგრამ თქვენს ნამუშევრებში წარმოსახვისა და ტანტასტიკის წილი ჰქარბობს, რაც მათ თავისებურ და მკაფიო რომანტიკულ გამომსახველობას ანიჭებს...

შ. ჩ. ეტიუდებზე ვმუშაობ ხოლმე, მაგრამ ეტიუდი ჩემთვის ნანახის მხოლოდ ზერელე ფიქსირებაა. მე უფრო ჩემს წარმოსახვას ვინდობი, შთაბეჭდილებით-მხედველობით მეხსიერებას და ძალზე ბევრს ვეძებ, ვიდრე ჩემეული წარმოსახვის ხატს ზუსტად არ ვიხილავ ტილოზე განსხეულებულს. საერთოდ, საკუთარი სათქმელის გამოხატვა იყო ყოველთვის ჩემი უპირველესი მიზანი. ბუნება ხომ თვითონ მხატვარია და მას თავისი მარადიული და, ამავე დროს, ცვალებადი ხასიათიც აქვს. შემოქმედმა უნდა აღბეჭდოს ეს მარადიულიცა და ცვალებადიც, უნდა გადმოსცეს და მნახველს შეაგრძნობინოს მიწის სიმძიმე, მრავალსახოვნობა... შენს სათქმელში მართალი და წრფელი უნდა იყო, მაშინ იქნები ეროვნულიც. ეროვნული გრძნობის გარეშე ხელოვნება არ მწამს. ქართველი მხატვარი ქართველად უნდა დარჩეს თავის ნახელავში...

ლ. თ. თქვენს პეიზაჟურ სურათებში არის რაღაც მონუმენტური, მაგრამ არა ზვიადი და ცივი. ამას, ალბათ, განაპირობებს სურათების კომპოზიციური სახე, თვით ფერწერული ენა — კოლორისტული წყობა, წერის მანერა, ფერადოვანი აზროვნების თავისებურება. ტილოებში იგრძნობა შინაგანი სუნთქვა, მოძრაობა ბუნებისა, თვით მის წამიერ გარინდებაში. ბევრ ნამუშევარში იკითხება განსაკუთრებული სიყვარული პეიზაჟური მოტივისა, რომლის პოეტურ-ემოციურ გამომხატველობაში წარმმართველია გარემოში ჩაწერილი დიდებული ქართული ტაძარი თუ ეკლესია.

რიგ პეიზაჟებს გადაწყვეტის

დასასრული 57 გვ.-ზე.



სახსა ქუჩები და ტარიელი დარბაზები

ნოდარ გურაბანიძე

ნსოფლიო კულტურის კალენდარში მტკიცედ დამკვიდრებული „პრალის გაზაფხული“, „თეატრალური პრალა“, „მუსიკალური ბრატისლავა“ მხოლოდ უშინაარსო ფრაზებად დარჩა მათთვის, ვინც გასული წლის ნოემბრის თვეში ეწვია ჩეხოსლოვაკიას. თეატრების, ფილარმონიების, საკონცერტო დარბაზების აუდიტორიები მხოლოდ კრებები-

სათვის და მიტინგებისთვის დაეთმო. პრალის ვაცლავის მოედანზე ხალხმრავალი მანიფესტაციები იმართებოდა, მოითხოვდნენ კვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების რადიკალურ გარდაქმნას.

არავის აინტერესებდა თეატრი და სწორედ ამ უდიდესი მღელვარებისა და კონფლიქ-

GRUZÍNSKÉ STÁTNÍ AKADEMICKÉ DIVADLO ŠOTHY RUSTHAVELIHO Z TBILISI

Bertold Brecht: Kavkazský křídový kruh
6. a 7. 11. 1989 v 19.30 hodin

William Shakespeare: Richard III.
9. a 10. 11. 1989 v 19.30 hodin

DIVADLO NA VINOHRADECH

ტბის კვირძალში ეწვია რუსთაველის თეატრი პრალს.

1989 წლის 4 ნოემბერი იღვა. მაშინ ვერა-ვის წარმოდგენდა, რომ ერთ თვეში ქვეყნის ცხოვრებას ძირფსვიანად შესცვლიდა „მშვიდობიანი რევოლუცია“, ანუ „ხავერდოვანი რევოლუცია“ და საერთაშორისო ასპარეზზე ცნობილი ფიგურები არისტოვანეს კომედიების გმირებივით კისრისტებით ჩამოცვივდებოდნენ კვარცხლბეკებიდან და მათ ადგოლს გუშინდელი რეპრესირებული მოღვაწენი დიკავებდნენ.

მაგრამ, როგორც ვთქვი, ჯერ 4 ნოემბერი იყო და კიდეც 15 დღე რჩებოდა 19 ნოემბრის კოლოსალურ დემონსტრაციამდე, რომელმაც არსებითად განსაზღვრა ჩეხოსლოვაკიის მომავალი.

ვერავინ შეარჩევდა უფრო შეუფერებელ დროს თეატრის გასტროლებისათვის. უბრალო, დიდი შრიფტით დაბეჭდილი აფიშები მხოლოდ მეორე ეროვნული თეატრის — „დიეალო ნა ვინოგრადს“ — ვიტრინებში იყო გამოკრული. ქალაქში არცერთი აფიშა არ ჩანდა.

სულ აგერ, აგვისტო-სექტემბერში „პრალა კონცერტის“ წარმომადგენლები ირწმუნებოდნენ, რუსთაველის თეატრის გასტროლები დიდ აჟიოტაჟს გამოიწვევსო თეატ-

რალეში. მაგრამ ახლა ცივი, ინსტრანი ნოემბერი იღვა და ულამაზეს პრალს მწუხარე იერი დასდებოდა — არა თუ მწვენი თეატრის, არამედ საერთოდ რაიმე სანახაობის რეკლამას ძალზე იშვიათად თუ წააწყდებოდათ აქ. პოლიტიკურ ვნებებს წააღვრათ ყოველივე — აფიშების ნაცვლად ლოზუნგები და პლაკატები გამოეკრათ, მთავარ პროსპექტებზე საცოდავად მოჩანდნენ, ვალდებულების გამო, საშვიდნოემბროდ გამოფენილი, პატარა საბჭოთა დროშები...

...ჩეხოსლოვაკიაში შვიდი ნოემბერი ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო. პრალის მალაზიათა ვიტრინები თავისი ღარიბული რეკვიზიტით და სიმწირით ჩვენს ყოფას მაგონებდა, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდათ საბჭოთა ტურისტებს „აბორდაჟით“ აელოთ დიდ-დიდი მალაზიები და დაუმცხრალო. ხარბი მზერა ეტყობოდათ ე. წ. „ტუზუქსების“ (ამ კაპიტალისტური სამყაროს პატარა ინდიკატორებისთვის) გულუხვი თაროებისაკენ, სადაც ყველაფერი ვალუტის კურსითაა შეფასებული.

ჩვენი დიდი სამშობლოდან, თუ ე. წ. „სახალხო დემოკრატიის“ ქვეყნებიდან (პირველ რიგში პოლონეთიდან) ჩამოსული ათასობით ტურისტი ვამზავებული, ნერვებაშლილი, დაშუქული ნინანგის ვააფთრებით ეძებდა საჭირო საქონელს და დარწმუნებული ვარ, ერთხელაც არ შეუხედავს ძველი პრალისა თუ კრემლის ულამაზეს ქუჩებში. მათი ინტერესების მიღმა დარჩენილი მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც ეროვნული გალერეის დარბაზებშია გამოფენილი (უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს ა. დიუერის ფერწერული ტილო „წინდაცვეთის ზეიმი“, გოლბენინის, ელ გრეკოს, დიდი იტალიელების ნამუშევრები)...

ყოველივე ამის შემხედვარე პრალელებსათვის ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო, რომ მათაც ამ ტურისტების ბედი ელოდათ, უკეთეს სოციალიზმის გამარჯვებისათვის განუხრელად იზრუნებდნენ.

პრალაში დიდი ხნის წინათ ვარ ნამყოფი, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ მსოფლიოს ამ ულამაზეს ქალაქში (რას არ უწოდებდნენ მას ძველად, — „მსოფლიოს გვირგვინს“, „სამეფოს“, „ოქროს“, „ასქონგურიანს“, „ევროპის გულს“. „ქალაქების დედას“. „ქვის

ოცნებას“) სიციცხლე სჩქედდა, ხალხი ხალისიანი და გულგახსნილი იყო. ქალაქის სილამაზე ცხადია, არ გაფერმკრთალებულა, მაგრამ ხალხი მომეჩვენა დათრგუნული, უღიმოლო, შეშფოთებული. ცხადია, ისინი ჯერ შორს იყვნენ იმ ანჩხლი გალოზიანებისაგან, სიძულვილისაგან. არმოლითაც ადვილად ამოიცინობ რუსეთის დიდი ქალაქების მოქალაქეებს, მაგრამ 1968 წლის საშინელი დღეების სუსხს, თითქოს საბოლოოდ ჩაეკლა „პრადლის გაზაფხული“. ორი კვირის მანძილზე ბევრ ვინმეს შევხვდით — დაწყებული კულტურის მინისტრითა და გათავებული სცენის რიგითი რეჟისორით. ყველას მოახლოებული, ისტორიული ცვლილებების მოლოდინი ჰქონდა. გულწრფელად ვლიარებ, არ მეგონა თუ კულტურის სფეროში სადმე უფრო მეტი „რეჟიმის საათი“ იდგა, ვიდრე სსრკ-ში. ჩეხოსლოვაკიაში, ევროპის გულში, უდიდესი კულტურის ქვეყანაში 1968 წლის რეაქციას უმძიმესი ატმოსფერო შეუქმნია თურმე. ათასობით ინტელიგენტი ქუჩაში აღმოჩნდა გაძევებული, უნიჭიერებსმა ქვეყანა დასტოვეს, თეატრისა და კინოს, მუსიკისა და პლასტიკური ხელოვნების მრავალი ოსტატი — რეპრესირებული იქნა. მხოლოდ საბჭოთა საელჩოს და ჩვენი კულტურული „ცენტრების“ წარმომადგენლები ცხოვრობდნენ ძველებურად, უფრო სწორად, ძველებური ინერციით. შეიძლება ვცდები, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩვენი დაწესებულებების ჩინოსანნი აქ ისე იქცეოდნენ, როგორც მოკავშირე რესპუბლიკებში იქცევიან ხოლმე. ერთგვარი ქედმაღლური „რენომეტი“ გაწონასწორებულნი.

სსრკ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის კულტურულ ცენტრში მოგვიწყეს პირველი პრესკონფერენცია. ამ მშვენიერი შენობის ინტერიერი და დარბაზები რაღაც ყაზარმული გემოვნებით იყო გაფორმებული. ჩვენდა გასაოცრად აქ მრავალი ჟურნალისტი მოვიდა, მაგრამ ყველაზე გასაოცარი იყო არა ეს ინტერესი, არამედ ვრცელი ინფორმაცია ქართულ კულტურაზე. ერთი წვერმოშვებული სიმბათიური მამაკაცი ძალიან აქტიურად ერთვებოდა ხოლმე ჩვენს საუბარში. იგი აღმოჩნდა ქართული ლიტერატურის მთარგმნელი ვაცლავ ჩერნი, რომელსაც, შემდეგ, პრადლაში ჩვენი სპექტაკლების სინქრონული თარ-

გმანი მიჰყავდა. მისი წყალობით ვსწაველი პრესკონფერენცია ქართულ ენაზე რიმართა. თვით ვაცლავ ჩერნმა მშვენიერად იცოდა არა მარტო ქართული თეატრის მიღწევების ამბავი, მისი უახლოესი ისტორია, არამედ ქართველ მწერალთა და ხელოვანთა ცხოვრების ტრაგიკული ფურცლებიც. აქვე იყო თანამედროვე რუსული ლიტერატურის, — უპირველესად მ. ბულგაკოვისა და ა. პლატონოვის პროზისა და დრამატურგიის მთარგმნელი, ვერა მილევსკა. რომლისგანაც ძალიან ბევრი რამ შევიტყვეთ პრადის თეატრალური ცხოვრების ატმოსფეროს შესახებ. შემდეგ კ-ნმა ვერამ მშვენიერი ინტერვიუების სერიალი მოამზადა სპეციალური ჟურნალებისათვის.

თეატრალური მიმომხილველები უდიდეს ინტერესს იჩენდნენ რ. სტურუას შემოქმედებისადმი, დაკვეთილი ჰქონდათ მასზე წერილები და ინტერვიუები მასთან, რისი განხორციელებაც, სამწუხაროდ, არ მოხერხდა. რ. სტურუა ამ დროს ტელ-ავივში, ჰაბიმას თეატრში მოლიერის „ტარტიუფს“ ამზადებდა. სხვათა შორის ეს იყო მეორე შემთხვევა, როცა რ. სტურუა საზღვარგარეთ გასტროლების დროს თან არ ახლდა თეატრს — პირველად ეს იყო 1980 წელს — თეატრის ათენის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დროს, იგი ბუენოს-აირესში, სერვანტესის სახ. თეატრში ბრეჰტის „დედლა უტრაისი“ საპრემიერო რეპეტიციებს ატარებდა.

ახლაც, და მაშინაც, მასთან შეხვედრის მოლოდინი ამაო აღმოჩნდა. უნდა ვალიარო, რომ როცა რ. სტურუა მონაწილეობს პრესკონფერენციებში, მსჯელობის დონე აშკარად მაღალია, ხოლო საკითხთა წრე — უაღრესად ფართო.

ჩეხოსლოვაკელი თეატრალებისათვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ რობერტ სტურუას პირველი სპექტაკლი რუსთაველის თეატრში — „მესამე სურვილი“ ჩეხი დრამატურგის ვ. ბლაჟეკის კლამს ეკუთვნოდა.

თეატრის მოღვაწეები მაინც არ ჰკარგავდნენ რ. სტურუას ჩამოსვლის იმედს და გასტროლების უკანასკნელ დღესაც კი გვეკითხებოდნენ, გვირეკავდნენ რედაქციებიდან



სპექტაკლების აფიშები

— ხომ არ ჩამოსულა თქვენი მხატვრული ხელმძღვანელიო.

„დივადლო ნა ვინოგრადახ“-ის ძველებური თეატრის პარტერი სანახევროდ შეივსო. ვიცოდით, რომ ყველა ბილეთი გაყიდული იყო და, ბუნებრივია, ასეთ რამეს არ ველოდით. საშინელია ნახევრად სავსე დარბაზი, უსიამოვნო სიჩუმეა ხოლმე დასადგურებულ ფოიეებსა და პარტერში, დარბაზის კედლები თითქოს მიწუს ტემპერატურას გამოსცემენ. ჭერ არ დაწყებულა სპექტაკლი და სცენიდან უკვე ავისმომასწავებელი მოწყენილობა გადმოდის. რუსთაველის თეატრის დასის მრავალრიცხოვანი გასტროლების დროს არასოდეს მიინახავს ასე ცოტა ხალხი პირველსავე სპექტაკლზე.

„პრალაქონცერტის“ წარმომადგენლები ბოლოს გამოგვიტყდნენ, — პოლიტიკური მოვლენები ისე სწრაფად განვითარდა, რომ ჩვენ ვეღარ მოვასწარიით თქვენი გასტროლების სხვა დროისათვის გადატანა, ხოლო აფიშები რომ გამოგვეყრა ქალაქში, ახლომახლო არცერთი მინა არ დარჩებოდა ჩაუმსხვრეველიო. ხოლო ჩვენმა თანამემამულეებმა (ზოგი მათგანი ასპირანტი იყო, ზოგი ხანგრძლივად მოვლინებული) აგვიხსნეს — სა-

ერთოდ ნოემბრის დღეებში სსრკ-დან ყოველთვის ყველაზე იდეურ, ყველაზე პროსაბჭოური სპექტაკლები ჩამოაქეთ ხოლმე საჩვენებლად და აქაურ მაყურებელს უკვე წინასწარ გამომუშავებული რეფლექსის გამო, არ აინტერესებს ასეთ ხელოვნებასთან შეხვედრაო.

არც ერთი იყო ჩვენთვის სანუგეშო და არც მეორე. შემდეგ, სპექტაკლებზე მაყურებელთა რაოდენობამ იმატა, მაგრამ პარტერი ერთხელაც კი არ გავსებულა. სანუგეშოდ ის დავერჩა მხოლოდ, რომ ის, ვინც მოვიდა სპექტაკლებზე აღფრთოვანებული, მიესალმებოდა ქართველ მსახიობებს.

პრალაში გამართული ოთხი სპექტაკლის შემდეგ დასი, ორი თანამედროვე კომფორტაბელური ავტობუსით ბრატისლავაში გაემგზავრა. აქაც, ეროვნული დრამატული თეატრის შენობაში თეატრს ოთხი წარმოდგენა უნდა გაემართა.

ბრატისლავაში ჩასვლისთანავე სლოვაკებმა, ერთგვარი თავმომწონეობით გვითხრეს, რომ პრალელებისაგან განსხვავებით ჩვენ საათივით გვაქვს აწყობილი თქვენი გასტროლების საქმეო. საათივით აწყობილის რა მოგახსენოთ, მაგრამ ყოველი საათი კი ჰქონდათ

დაგეგმილი — ეს ექსკურსიოა ძველ ქალაქში, ეს ღირსშესანიშნაობების მონახულებაო. სტუმრობა ტკბილეულების, პარფიუმერიის ფაბრიკებში, მთელი დასის მიღება არტისტულ კაფეში და ა. შ. მაგრამ აქაც, სპექტაკლებს მაინცდამაინც დიდი აქოტაჟი არ გამოუწვევია მაყურებლებში, რომელთა რაოდენობა აშკარად მეტი იყო ვიდრე პრაღაში.

სლოვაკიაში და მის მთავარ ქალაქ ბრატისლავაში შედარებით სიმშვიდე იყო, აქ არ იმართებოდა ისე ხალხმრავალი მანიფესტაციები, როგორც პრაღაში, მაგრამ შინაგანი დაძაბულობა მაინც საგრძნობი იყო. ეტყობა, უკვე ახლოვდებოდა ის დრო, როცა აქაურ ინტელიგენტთა შორის გავრცელებული კალამბური „ჩეხოსლოვაკია სოციალიზმის ერთადერთი მუზეუმი მთელს მსოფლიოში“ — აზრს დაჰკარგავდა. თუმცა კულტურის აქაური ბობოლა ბიუროკრატები უარყოფდნენ რაიმე სოციალური კატაკლიზმის საშიშროებას. სლოვაკიის კულტურის მინისტრთან შეხვედრისას, რომელსაც საბჭოთა საელჩოს კულტურაშივეც ესწრებოდა (აშკარად კომკავშირული ელიტიდან იყო გამოსული) — ჩვენ ვილაპარაკეთ იმ მწვავე პრობლემებზე, რომლის წინაშე დგას კულტურა თანამედროვე სოციალიზმის ვითარება-

ში. გამხდარი, გატანჯული სახის მინისტრი, რომელიც დოსტოევსკის ერთ წერსწინავე ჰგავდა, თავდაჯერებული გვიმტკიცებდა: ჩეხოსლოვაკიაში არ მოხდება განვითარება „ნახტომებით“, ჩვენთან ყველაფერი გეგმიზომიერად, თანაბრად, თანდათანობით ვითარდება, რადგან პროგრესის სათავეში პარტია დგასო. ვერ ვიტყვი, ჩვენი ხათრით ამბობდა ამას თუ სერკ-ის საელჩოს ახალგაზრდა, პირდაპირი და შეუპოვარი თანამშრომლის გულის მოგებას ცდილობდა, მაგრამ ფაქტი ასეთი იყო, ამის შემდეგ არ გაუვლია ორი-ოდე კვირასაც კი და სლოვაკიაში ყველაფერი თავდაყირა დადგა.

ნიშანდობლივია, რომ დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის პირველი პრეზიდენტი გახდა თეატრის კაცი — ვაცლავ ჰაველი, მსახიობი, რეჟისორი, საქვეყნოდ ცნობილი დრამატურგი, უახლოესი მეგობარი შერისხული პავლე კოპოუტისა (მისი სახელის ხსენება აკრძალული იყო მთელს აღმოსავლეთ ევროპაში და სსრკ-ში), რომლის პიესა „როცა ასეთი სიყვარულია“ (თენგიზ ჯანელიძის თარგმანი) უდიდესი წარმატებით მიდიოდა რუსთაველის სახ. თეატრში (რეჟისორი მიხეილ თემანიშვილი). საერთოდ ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიზაციის პროცესში გადამწყვეტი როლი შეასრულა თეატრმა. არა მარტო იმით, რომ თეატრალური დარბაზები უყოყმანოდ დაეთმო მომიტინგეებს და რეფორმატორებს, არამედ ყველა საპროტესტო აქციაში აქტიური მონაწილეობით...

მართალია სლოვაკები გვიმტკიცებდნენ დარბაზში ერთი თავისუფალი საგარემოც არ იქნებო, მაგრამ, სინამდვილეში, აქაც არ იგრძნობოდა განსაკუთრებული ინტერესი ჩვენი თეატრის სპექტაკლებისადმი.

საზოგადოებრივი აქტივობის ამ მლელვარე ფონზე, როგორცა ულიმდამოდ ჩაიარა ჩვენი თეატრის გასტროლებმა. ამ გასტროლებით არც სახელი შემატებია თეატრს და არც მისი მატერიალური კეთილდღეობა გაუზრდია. შეიძლება და საერთოდ არაფერი გვეთქვა ყოველივე ამის თაობაზე, მაგრამ ეს ეპიზოდურ თეატრის ისტორიის განუყოფელი ნაწილია და მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ ყველაფერი, რაც მშობლიური თეატრის წარსულს ეხება.

სპექტაკლის აფიშა

MINISTERSTVO KULTÚRY SSR
MINISTERSTVO KULTÚRY ZSSR

**GRUZÍNSKE
ŠTÁTNE AKADEMICKÉ DIVADLO
Š. RUSTAVELIHO**
nastal Leninovo radu

12. a 13. novembra 1989 o 19.00 hod.
B. Brecht
Kaukazský kriedový kruh

15. a 16. novembra 1989 o 19.00 hod.
W. Shakespeare
Richard III.

DIVADLO P. O. HVIEZDOSLAVA BRATISLAVA



ფუძესასხიდევედისეუდი გალგეკთეგეუდი ნელიკთეგენის მისგეკიეგეი

(თეატრმცოდნეოზოიტი ძიეგენი)

დომიტრი ჯანელიძე

ხალხური სანახაობათა შემსწავლელი ექსპედიცია სოფელ პატარა ჩაილურში ასე და ამრიგად აქწუო: 1988 წლის ექსპედიციით თელავში ვიეკვით, თეატრში წარმოდგენა „ეგემი“ რომ ვნახეთ, ბატონმა კოტე მირიანაშვილმა მითხრა, რომ სოფელ პატარა ჩაილურში ბიძინა ჩაქვამემ ბერიკაობა გამართაო. ამ ბიძინა ჩაქვამეს წერილი მივწერე, ვთხოვე მისი ბერიკაობის ამხავი მოეწერა. პასუხმაც არ დააუყოვნა. ხელთ მქონდა ნიღაბის ჩანახატი, „კახიას“ (საქანელას) ნახაზი და კარდაკარ ჩამომრები; მოედანზე საჭიდაო წრეში შეტრილი ბერიკათა სახილველის ხაზარი და ამხავი. აი, ეს წერილი და ნიღაბის ნახატი:

პატივეშულო დომიტრი ქანელიძე.

ძალიან მოხარული ვარ; რომ თქვენც ვაგვიგაით სოფელ პატარა ჩაილურში გამართული ბერიკაობის ამხავი. რადგან დინტერესდით ამ ამბით, მეც მზად ვარ უველო თქვენს შეკითხვას ვუპასუხო და გაცნობოთ ჩვენი ბერიკაობის შინაარსი.

ძველად, რაც თვეი მახსოვს, ბერიკაობა იმართებოდა ყველ წელს თებერვალში, ხან მარტში უველიერობის კვირაში, მაგრამ ბოლო დროს სოფელმა მივიწყა ეს ტრადიცია. მე პირადად ჩემს თავზე ავიღე ეს საქმე და კიდეც აღვადგინე ბერიკაობა პატარა ჩაილურში. უველიერის დაწვევამდე ორი დღით ადრე ჩამოვავი კახია; უველიერი ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობს ორშაბათიდან კვირამდე, ადრე უველა დღეს იმართებოდა კიდაობა, ახლა მხოლოდ შაბათს და კვირას იმართება კიდაობაც და ბერიკაობაც.

ბერიკაობაში მონაწილეობს ოთხი-ხუთი კაცე. ერთი ტახი, ერთი კაცი დოლით დასდევს ბერიკებს, ერთი — ბურჯინ გადაკიდებული ვირით ნადავლის ასადებად.

ნიღბები ნახდისაგან არის შეკერილი და შორთულია ფერად-ფერადი ნაჭრებით. ნიღაბზე წარბები და წვერები გაკეთებულია მატყლით, კბილები გოგრის თესლით. ბერიკაობაში მონაწილეობენ 18-დან 80 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, თუ სირხილი შეუძლიათ, შეიძლება 40-50 წლის მამაკაცებმაც მიიღონ მონაწილეობა.

პროფესიას მნიშვნელობა არა აქვს. ვინც ნიღაბს აიფარებს უველა შეძლებს ბერიკას როლის შესრულებას.

ბერიკები კარდაკარ დადიან, ხოლო რაც შეეხება ხალხს, ვისაც აინტერესებს, უკან დაედევნება. მათ შორის ვანსაკუთრებით გამოირჩევიან ბავშვები, რომლებიც დიდი ერიაშულით მისდევენ ბერიკებს. {

ბერიკები თითქმის უველა ოჯახში შედიან. ეს წინასწარ იციან ოჯახის პატრონებმა.

გარდა ნიღბებისა, რომლებიც თავზე აქვთ ბერიკებს ჩამოსმული, ტანზე აცვიათ ცხვრის ტყავები. შარვალზედაც ფერად-ფერადი ნაჭრები აქვთ მიკერებული, ფეხზე აცვიათ ქალამენები. ნიღაბზე გაკეთებული აქვთ ინდაურის ბუმბულები, ხელში უჭირავთ შოლტი. ტახს ღორის ტყავი აქვს გადაფარებული.

შეიძლება აქ უველაფერი დაწვრილებით ვერ ჩავიწერეთ, მაგრამ როცა შევხვდებით ერთმანეთს, უფრო კარგად გავცნობთ ჩვენი ბერიკაობის შინაარსს.

ბიძინა ჯაჭვამიშ ერთხელ ინსტიტუტშიც მომაკითხა. შეთანხმებით, რომ 1988 წლის უკლერობისას პატარა ჩაილურში ავიდოდით და აქვარ ტანხილობსან ბერაკობას ვნახავდით.

ეს გზაც არადა არ იღევა, ფიქრიც სქელივით ვაბმული არ თავდება, მიწვიფ იქსელეზა, ფუძესახილველი-საკენ მიწვევა. მიწვევით; რუსთაველის ქართულსა უნდა მიხედვდრა. ტარიელის შარავანდედმოსილობას დიახაც შეფერის უფეშოეანდრომორფიული ვეფხისტაოსნოზა, მაგრამ სხვაგვარი ვითარებაა, როდესაც პოეტის ფანტაზია ეხება ტახის (ლორის) და ვაცის (თხის) ფუძესახილველიესულს,—რიტუალურ სქემას და მოტივს; აქ ბინარული ოპოზიციის საფუძველზე (მედრობითი და მამრობითი) შუასაუკუნეობრივი ქართული ჩენესანსული სულისკვეთებით, ეს რიტუალური სიმბოლოები გატანილია მცირებულთა სოციალურ სტრუქტურაში, ლორად და ვაცად გარდასახვისათვის ვაპართა უზუცესის ცოლი ფატმანი და მისი საუკარელი ჯანაგირი არიან გამომტებული. აქ „მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული“ ეს ხათუნა (ქალბატონი) თავის საუკარელზე ასე ურცხვად ქილიკობს: „გლახ ვიჯავი მისი ნაშპმი, იგი იყო ჩემი შპმი“. ფიქრში ვარ და ფიქრად დანაფიქრებელია სიტუვთა ასეთი გადატანითი მინიშნელობის პირობითი მინიშნებანი. ვაპართა წრიდან (მცირებულთა სოციალური სტრუქტურიდან) მოზობილი მოქმედი პირის ავტობიოგრაფიულ შეცხადებას თან მოჰყვება თმითბასნიშგოლომბას, თმითბამბატორქვბბ და ფატმან ხათუნი, ხატცვლით, ხდება ნუჯისტუაოსანი, ხოლო მისი საუკარელი ჯანაგირი, ასევე ხატცვლით ვაცისტუაოსანი, რაც ფუძესახილველიესული რიტუალური სქემისდა მიხედვით, ძირძველ ქართულერ-ტოტემურის არქეტიპურია აღმონაცენია, ტახლეთაების, ქურუმის, ქადაგად და როკად დაცემული ქალეთის სატაძრო მტძარობის შორეთიდან, ათასწლეულთა მიღმატიდან მრუმედ გამონაკრობი რემინისციტუენობა. არ უნდა გვიკვირდეს ფატმანის თმითბასნიშგოლომბას, ხატცვლით ნუჯის ნუჯისტუაოსნობად შირნევა. ფატმანი ანახაც ხომ ვკატუობინებს:

„ხალსა შიგან თამაშობა ბ
საღამოით გავე ემასა.
გავიტანე ხათუნები.
მათი ქმევა ჩემგან ხმასა.
მომყვებოდნენ მონღერალნი
იტყუდიან ტპილსა ხმასა
ვიმღერად და ვუშაწვილობდი,
ვიცვალე ბედი რიდეთმასა“.

ვაპართა უზუცესი ცოლის ფატმანის „ხალთა შიგან“ საღამოს უამს თამაშობა იმართება. მოწვეულნი არიან ხათუნები (ქალბატონები, სეფექალები). თამაშობდეს და იმდროიან ვაპართა უზუცესის კუთვნილი პროფესიული დასის მსახიობი-მომღერლები, რომელნიც სიმღერა-მწერლობიდან იტყუდიან ტპილთა ხმასა“. ფატმანი ამ სახიობის მჭკრეტელი (მათურებელი) კი არ არის. არამედ თამაშობად მოკაშფული მსახიობელია, აქი იქადის კიდევ: „ვიმღერდი და ვუშაწვილობდი, ვიცვალე ბედი რიდეთმასა“. ამ „შაწვილობასაც“ განსაკუთრებულ რიშვნელობა ეძლევა; რამდენადაც მოქმედი პირის დახასიათებაში ნაქცვამია: „ფატმან ხათუნს... არ უშაწვილი, მაგრამ მჭკმელი... მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული“. სიტუვა „მჭკმელი“ აქ სახიობის



სოფ. პატარა ჩაილურის ბერიკაობის ბერიკო (ნიღაბი).
ბერიკატიწინამღერის ბიძინა ჯაჭვამის ნახატი

მოქმედად იკითხება (გავისხენით ანალოგი: „იყო ზმა მგოსანთა და მუშოთთა სახიობანი“, „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, გვ. 47).

ფატმან ხათუნი, თავის ასაკის მიუხედავად, „უმაწვილობს“ პროფესიულ მომღერალთა დასის სახიობაში „მჭკმელი“ (მოქმედი, მსახიობელი) და იხეც ვამხელითა, თუ როგორ და რა საშუალებით: „იცვალე ბედი რიდეთმასა“. აქ სახიობის მოქმედისაგან (მჭკმელისაგან) ხატცვლია („იცვალა ხატი იგი... და შოიცივა მის წმიდისა ხატი“, შუა საუკუნეთა ნოველები, ტ. I, გვ. 12). ეს ხატცვლი, ფატმან ხათუნის გარდასახვა განხორციელებულია „რიდეთმის“ შენაცვლებით. რიდეთმა კომპოზიციის ნაწილია „რიდეთ“ თავთანის საბურველია ქსოვილი, პირბადე; დამახასიათებელია, რომ ავთანდილის ვაჭრად ხატცვლის (გარდასახვის) საშუალებადაც რიდეთ გამორეზნებული: „შენის ქუბა და მოხვევა ძრწულუნსა რიდისა (1078). თაგრამ რაღა კომპოზიტის მეორე ნაწილია „თმა“? გავისხენით ანალოგი რუსთაველის პოემიდან: ტარიელს „ტანსა კება ემოსა გარეთთა ვეფხის ტყუისა“, „ან თავსა და ტანსა ემოსა გარეთთა ვეფხის ტყუისა“. ამ მსგავსება-დამთხვევის მიხედვით, სახიობაში ხატცვლით მონაწილე ფატმანს თავსა და ტანსა ემოსა რიდეთ და „გარეთმა“, ეს თმა ტყუისა ე. ი. ფატმანი სახიობაში ტყაოსნობდა, მაგრამ აქ აღარ არის მითითება. თუ რა ცხოველის თმაში (ტყავში) მჭდომარედ იხილევებოდა ფატმანი, მაგრამ ამის გამოსწორება-ვარაუდის უსაშველობაც არ არის, თუკი ფატმანის მიერ თავის საუკარელზე პირმხეულ ქილიკობას გავისხენებთ: „გლახ ვიჯავი მისი ნაშპმი, იგი იყო ჩემი შპმი“, ამისდამთხვევით სავარაუდებელია, რომ ხალსა შიგან, საღამოს უამს სეფექალებისათვის გამართულ „სააშეკო, საღაღობო“ სახიობაში, ფატმანის მონაწილეობის პროფესიულ მოთამაშეთაგან წარმოადგენილი იყო ძველთა-ძველი მითოლოგიურ-რიტუალური სიუჟეტი, რომელშიაც ფატმანი ხატცვლით წარმოადგენდა ვაცისადილე გამიგნელებელ ნეწვის, ე. ი. იყო ნეწვტუაოსნობაცა და ვაცტუაოსნობაც, თუ მივუთითებდით, რომ ქართულ ხალხურ სანახაობათა



ტახბერიკა, ავალშვილის ბარელიეფი
ზეზე, ვაღმოიღო მახარე ჯანელიძემ

საუნჯეში ასეთი სიუჟეტი იპოვება, მაშინ ჩვენი ვარაუდის საფუძვლიანობა, სინამდვილისთან მისი მიხედვება საგრძნობლად მატულობს. XIX ს. სამოციანელთა წრის ცნობილმა მწერალმა გიორგი წერეთელმა 1898 წლის გაზეთ „კვალში“ გამოაქვეყნა ნარკვევი ბერიკა-ბაზე, რომლის მითოლოგიურ-რიტუალური სიუჟეტური სქემა ფალიკურ სცენას შეიცავს მეფის, დედოფლის, ღორის და თხის ნიღბოს სანატყაოს ნათამაწილებით. ამ საყურადღებო ნარკვევს მშატავრ მოსე თოძის ნახატიც აქვს დართული. ესეც გავიხსენოთ, ჩვეუბნისტყაოსანი“ ასახულ ძეობის დღესასწაულზე რვეულთადაც ყოფილა, რომ „ყოველი არსად შემოსისრული“ მზიარული თამაშობდა“.

მივიჩქაროთ პატარა ჩაილურისაკენ, რომ დღეს ზვალის დელი ბერიკაობის შთანფიქრს და საშადასს გავეცნოთ, ზვალ კი ათასწლეულთა მიღმართიდან დღემდე ცოცხლად შემონახული ტახბერიკული სახილველი ვიზილთო. ფიქრსაც რა გამოვლევს, — ტახი, ღორი, ნეჭი, ბურჯაი და გოკი ტოტემურ პირველყოფილობიდან შემდგომი შემდგომად გაღვთებრავ-გაქერპაბაში საღორიაზე ქურუმ-ნეჭეთა სამოსატრო მეძაპობაში, ბურჯაი-გოკების მსხვერპლად სისხლ-დანიხებვაში, მისტრიალურ-რიტუალურ წესსახიობით ახალი წლის გათენებასა და ღორ-ღმერთობით მისი ამოსვლაში ეს კულტი სახეს იკვლიდა, ერთი ათასწლეულიდან მეორეზე გარდამავლობაში, უცნობი-უკონისამდე რას არ იმატებდა, რას არ იკლებდა, იზომამდეც გარდაქმნებოდა, ადგომიტი შემდგომად „სამიღმებრად“ გაპარტახებოდა, ამასწინანდელი სალოცავ-საკალომელი ზღებოდაც უხადლებული საკინებელი. პოემაში „ვეფხისტყაოსანი“ ნესტან-დარეჯანი გულანშაროს მეფის სასახლის კარზე საპატარა პატარაობაში მყოფი, თავის მცველ ხადუმებზე ტ-

ყვის: „მოდორებულ ხართ დამედარხარო ტქვენ ჩემსა პატრონობას“ (1192), ასეთი მომართვა გულანშაროს, რომ ღმერთებრძოლობით ტახ-ღორის ერპობა დიდი ხანია, რაც გადადგებული და უარყოფითი მომართული ზეარსება არათუ მცირებულად დაქნებულა, არამედ ამოშლილია წარმართული პანთეონიდან, რასაც ზელი შეუწყო ქართველურის სემიტურთან ახლო ურთიერთობამ, ქრისტიანობის მიღებამ და გავრცელებამ. — ღორი მიმდებოდა ფორმით უარყოფით მახასიათებლობაში, თუ ამაზე უარესი არა, ყოველ შემთხვევაში ბიბლიის ქართულად თარგმნის ხანიდან მანც, აკი ოთხთავის ხანმეტ ტექსტებში, V-VI სს. რომ თარიღდება, იკითხება: „ნუ მისცემთ სიწმინდესა ძალდა ნუცა დახულებთ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ღორთა“ (მათე 7, 6; ლუკა 8, 88). ქრისტიანული მითოლოგიით ადამიანისაგან ავი სულეტი გადადიან ღორებში, რასაკვირველია, ეს სრულიადაც არ ნიშნავს ტახ-ღორღვთების კულტის ძირფსვიანად გაქრობა-ამოიკვება. ქართველური ტომების წარმართული რწმენა შენახული და დაცულია ხალხურ წეს-ჩვეულებასა და წესსახიობაში, ნაშხვრევანაშოად განაგრძობს სიცოცხლეს და ჩვენც საარყოფ შემონარჩუნებულ ტახ-ბერიკული მისტრიაის სახილველად მივიჩქაროთ.

რაკი ჯერ კიდევ გზას ვადგივართ, ფიქრს და აზრის ახავად-დასავალს მივუვით, ისევე ვაქართა მუხუცების მეუღლეს „მუხტრიათა და მომდერალთა მოყვარულ“, მათ შორის „მშხელდას“ და მახსიბოლად მოთამაშეს მივმართოთ. ფატმანს მომდერალთა (მოთამაშეთა) დანი ჰუჯს, თვითონაც მემდერე და „გარე თითი“ ტყაოსანი და ქალაქის ხათუნებს გასართობად დროდადრო სახიობას უმართავს. ფატმანი არა მარტო მათ არის დაკავებული ძირძველ ქართველურ რიტუალურ-მითოლოგიურ ტრადიციასთან, ამ ხათუნ-ქალბატონს მომდერალთა და სთან ერთად, მისი შემადგენლობაში „ორნი შვიდი მონანი ჰუჯანს, სავსენი გრძნებით“ უჩინოდ მივლინ-წავსოვლენ მათივე ხელოვნებითა“ (1288). ამ ხელოვნებით გრძნებულ შვე მონათა მეშვეობით უქვემრდებდა ფატმანი ქაქეთის ციხე-სიმაგრეში ტყვედქმნილ ნესტან-დარეჯანს, მისი გამოსნის მიზნით. ეს მონა ზანგებით თითქოს არიან სავსენი „გრძნებით“ (მისნობი, კუდიანობით, ჯადოქრობით). მათი ქმედობა საკვირველია, გაკვირვებანი იწვევს. მათი გრძნებით მათ წინაშე იღება კარი დახულები და დეკოტი („განაგებას კარი ესე მანქანებითა გრძნებითა“, თომა მოც. 18, 18). ამ ზღაბარულ, მითოლოგიურ ცრარწმენას გრძნებისა, მისნობისა, კუდიანობისა და ჯადოქრობისადმი თითქოს უპირისპირდება რენახანული გამოფხიზლება და გრძნება შეიცნობა, როგორც ხელოვნება; აკი ფატმანის სიტყვით მისი შავი მონების გრძნებით ქმედობა დახაზიანებულთა როგორც ხელოვნება, ხოლო ხმა-ხუღუნა როგორც თავის ლექსიკონში ასეთ განგრძობას იძლევა: „მიშოსნი მოთამაშე პასი, რომილიც იშპს საკვირველებათა და ძნელებათა არა გრძნებითა არამედ ხელოვნებითა“. დღესაც კაპორისკის ქმედება ხომ ცილობაშია, — გრძნება თუ ხელოვნება? ახეთ საკვირველებათა შემსრულებელ მემდერეთა შეხახებ იტყვის რუსთაველი: „...აქაბთა მქენლნი მჭვრეტელთა გულმა მუდ დაბშიდიან“ (820). ესეც გავიხსენოთ, ძველი და ახალი წელთაღრიცხვის ხოლო და პირველ საესუქებში ჩამოყალიბებულ ინდური თხუფულება „ართაშასანტრა“ შეიცავს იმის მოწმობას, რომ მახსიბობებს, მო-

* ჩემი კონიექტურით, ერთ-ერთ ხელნაწერზე დამყარებით, უნდა იკითხებოდეს „შემოსილი“.

ცვალებების, მომღერლების, მუსიკოსების, ევალტობლოთ მტრის სახალტეო შეღწევა, იქ საპატრო პატრონობაში მყოფ მძევლებთან, ან ტუვეებთან და მათი განთავისუფლების მცდელობა. სწორედ ასეთი ფუნქციით არიან გამოყენებული ფატიანის სახელმწიფოსული დახია შავი მონა გრძნულნი, ხელწინებით რომ ახერხებენ ქაჩების ციხე-სიმაგრეში შეღწევას და იქიდან სახურველი ამზავის მოტანას ფატიანის, ავთანდილის და ტარიელისათვის, უკველივე რაც ვითქვრე, ეს იმას ნიშნავს, რომ სხხინობა, ხატცვლა, სიშლიდა და რიდებტარს. ნოპით, ბრძანება-ხელწინებით თამაში და ქმადობა, გარდა ირისა, რომ ეს ძირ-ძველი ფატიანის ხელმწიფოსული ტრადიციის განგრძობაა, უმნიშვნელო ეპოქისკარ-დამოკრბათული მონა-ხბიბი არ არის ცალკეული ეპიზოდისათვის, არამედ უაღრესად მნიშვნელოვანი კონსტრუქციული კომპონენტი, სტრუქტურულად აუცილებელი, რაც თავით გონივრად გსდვას კო. მისა და არ უფრთხილს ხილვადეობის უტარულ. მითოლოგიურ ტრადიციასთან დაბავსირებას, რამდენადაც ეს ტრადიცია ხალხურის, ეროვნულის უმთავრესი კულტურაა. ემეც ვაკისხნოთ: რომ რუსთაველის შემდგომით შემდგომად, თხიბ საუკუნის შემდეგ, შექსპირის მხაიობებს, არჩილიებს და გრძნულ ქაღალკა და კულიან დედაკაცებს უხმობს თავისი ტრადიციების „მადლიტის“ და „მადეიტის“ სიუჟეტის განსამართლად და აქაც შეუღლებელი ფოლკლორულ-მითოლოგიური ეროვნული ტრადიცია იჩენს თავს მხატვრულ მწვერვალთა დასაყრბობად (ნ. ელინა, ფოლკლორული ტრადიცია შექსპირის დრამატურგიაში, შექსპირული კითხვა-მხხხნებები, რუსულ ენაზე, მ., 1980, გვ. 44).

როგორც იქნა საგარეოში მივდივით, იქ ჩაიღურის გზა მოვიკითხეთ და ახლა პატარა ჩაიღურისკენ ვაუწყით. სოფელი საგარეოში 18 კილომეტრით არის დაშორებული ზღვის დონიდან 750 მეტრზე; დიდ ჩაიღურთან ერთად ჩაიღურის სასოფლო საბჭოს შეადგენს, დიდი ჩაიღური ივრის შეგანაშა მდინარე ჩაიღურის ნაპირზე. სოფელში მდებარეობს სამანერტეა, არის ხაშულოც სკოლა, ბიბლიოთეკა და ახმულტორია.

ყურადღებას იქცევს ჩაიღურში დასული ძველი ციხე, ამ ციხესთან 12 მარტს ბერიკები ავიყვანეთ და იქ ბერიკთა მხვლელობა გადავადებინეთ ჩვენს სტუდენტ-ჩაიღურტორებს, გადადებას რეჟ. მიხეილ ვიეთუმერელი უძღვებოდა.

პატარა ჩაიღურში ბერიკთაზე დაკვირვებისათვის პირამბები უყვითეს იყო. სახეობ, მატანის, უღეს ნანა-ხაოტბთან შედარებით, ჩამდნადაც ჩვენს ექსპედიციის წევრმა გვიც კაოშვილმა ბერიკთაწინამძღვარის ბიძინა ქაჭვადის სახლში დაგვიდო ბინა; ამით ბერიკთა დასთან ახლო ურთიერთობაში მოვექცით, ბერიკები გვიც-ცანით, მათ სამზადისს დავეწარმო, ტახტეობების მოკვლა და მკვდრით აღდგომაც ვიხილეთ, მეტი დავი-ნახეთ, მეტი მოვისმინეთ და მეტი ვავიგეთ.

ბერიკების დახის შემდგომილომა ბერიკთაწინამძღვარმა ბიძინა ქაჭვადემ წარმოგვიდგინა და გავცანსო: გახუხადაც, 17 წლის (ტაბა); ვანო გორელიშვილი, 20 წლის (ბერიკა); გომა ბუენაშვილი, 18 წლის (ბერიკა); მამუკა გორელიშვილი, 20 წლის (ბერიკა); დიოხ ხაინაშვილი, 17 წლის (ბერიკა);



ბერიკები ტახაცი, ვაკაცი — მოსკოვის ნახატადან „ბერიკობა“ (1893 წ.). გადმოიღო მ. ჩანელიძემ

ნოდარ ხაინაშვილი, 16 წლის (მელოც); ლია გრძელიშვილი, 14 წლის (მეორე აკრფილი „ნადეობა“).

ბერიკთა დახმარებით არიან ბერიკთაწინამძღვარის ქალიშვილები: იამზე და გურანდა ქაჭვადები. განსაკუთრებით მოვისმინეთ დიასახლისი — ბერიკებისათვის თავგანდობილი მზარუნელი, ჩვენს კეთილი მასპინძელი ქალბატონი ვერკო ქაჭვადი.

ვენაახთ ახალგაზრდა ბერიკებს, აღსავსენი არიან ერთუზიანით, ეროვნული სულისკვეთებით, ესწრაფვიან გააკეთონ რაღაც მნიშვნელოვანი, ერისა და ქვეყნისათვის გამოხადება; ახალგაზრდები „თეხლის მტკობრებად“ იქცენ; სოფლიდან დაშორებით უყურადღებოდ მივდებულნი მღვიმე უპოვით, მალღით კლდეში დამკვავდით, მისაღვამი კიხე გაუტყვინათ, მიუღდავამთ და შიგ შესულან, გაუწმინდით, შეუკეთებთ — ესეც ხომ ძველიაო. ახალგაზრდები თავიანთი ბერიკობით ამყობენ; ჩვენს უკეთესი ბერიკობა არადა არა, არ იქნება, მათ ძველთაძველი წეს-ადრების დაცვა და შენახვის შეგანაშა ვაანიათ. ცხადია, ამ ახალგაზრდათა განწყობა-შემართება მეტ ყურადღებას, მხარდაჭერას და ხელმძღვანელობას იმსახურებს.

ამ პატარა ჩაიღურში ბერიკთა დიდი სახალხო დღესასწაული, მეზობელი სოფლებიდან დაშვრული და მოწვიმეთა საკვირველი ხალხმარჯობაა, მოედანი სტუმართა ავტომანქანებითა შემოქარული. და, სამწუხაროდ, უკველივე ეს ჩაიღური ცენტრის ყურადღების გარეშეა. სახალხო დღესასწაულისათვის თავს არავინ იტიკვებს. რატომ? ვანა არ გვმართებს ხალხის ერთგულებას მამაპაისიულ წეს-ადრებისადმი ყურადღებით მოვექცათ?! დღესასწაული კი ნამდვილად სახალხოა. შაბათ საღამოს მოედანზე, რომ გავდივით, იქ უკვე საქანელა იყო ჩამოხმული. ეს საქანელაც ბიძინა ქაჭვადის ხელითაა გაკეთებული. — ბერიკობას ვაქანდა მოქანება უნდა თუ არა, ვიღარავს ზომ აუცილებელია. საჭიდაო წრე, წესისამტარ, ირის განხადებელი, მამოშესულ მამურბელობათვის, საპატრო სტუმრებისათვის მერხებაც კი არის ჩადგმული. ქვეყნობით პატარა ბიჭების ჭიდაობა, მაგრამ აქაც უკვე წესია და რიგზე, შემდგომითი შემდგომად მამორღილებიც ჩვენთან ვი-

დაობაში, და ბოლოს, ვთქვაბებიც ვადმოვლენ წრეში და მაშინ ნახებ ზურნა და შეძახილები საქანელაც და-ტრიალებულია და არის წაქოხა, ერთი ალიაქოთი, ავალ-დავალ ქანაობა და ერთი ამბავი!

და აი, ვდგავართ ბიძინა ჭავჭავის სახლის წინ და ეზოში გაბმულ თოქზე ჩამომწკრივებულ ბერიკულ წი-ღებს შევცქერით, ნიღაბი მათთვის არის „ბერიკო“. განსაკუთრებულ ურადლებას იქცევს ტახის ნიღაბი — კვდომადის და აღდგომადის გამოშახველი. ეს ნიღაბი ღორის მთელი ტუავია, (ტახბერიკას „თავსა და ტანსა ემოსა გარე თმა ლორის ტუავისა“) წამოსასხამია; ტუავს ზედა მხარეზე, ბერიკას რომ თავთან მოვდის, ხის სპ-ტაპუნებში აქვს დატანებული. ჩაილურის ეს ნიღა-ბი განსხვავდება ჩემს წიგნში აღწერილ ტახბერიკას ნიღაბისგან, რაც მწერალმა იოსებ მჭედლიშვილმა სოფ. კაკაბეთიდან ჩამოტანა. თეატრალურ მუზეუმს, კაკა-ბური ნიღაბი თოჯინისებურია და ბერიკა თითქოს ტახის გამოშახველ თოჯინაში იყოს „ჩამქდარი“ და ისიც, თოჯინის მანქანებით, თავზე წამოდგმულ ტახის თავის გამოშახველ ნიღაბის უბებს ერთი-მეორეზე დახლით სტაპუნებს, ისე, როგორც ავალიშვილის მიერ ზეზე ამოკვეთილ ხარელიეფზეა ასახული. პატარა ჩაილურის ტახის ნიღაბი წამოსასხამი ტუავია და ბერიკა შიგ ისე თავსდება, რომ მისი თავი ღორის ტუავით არის დაფა-რული. მაყურებელთაგან ტახის თავად უნდა იხილვებო-დეს. სტაპუნებში ტუავს არის მიმაგრებული და მას ბერიკა ხელით მართავს, თითქოს ტახის უხას უხაზე ატ-კაცუნებს. „სტაპუნე — უხათა უხას ტუაცევა“ (ხაბა). ამ „კაპუნს“ ჩვენ შემდეგ დავუბრუნდებით როგორც „ტა-ხის“, „ღორის“ კერპის ტაბუირებულ სახელდებას წა-ნარე ქართველურ, ფუფე სახილველისეულ დომინან-ტურ სიმბოლოს გამოვლენას ქართულსა, ზანურ-მეგ-

რულსა და სვანურში, თითოეულში თავის თავისეუ-რებით, მაგრამ ღვიძლად ახლო-მონათესაობაში.

და აი, ბერიკებიც საშაადის შეუდგენე, ერთგვებზე, ინიღებთან; ეზოდან გავლენ და სოფელს იწვევს დაივლიან. ბერიკებს ტახბერიკა მიუძღვით; ის მბრძანე-ბლობს, ის შეგზავნის ბერიკებს მოსახლესთან საცოქვე-ლის (თუ ხაკის) ასაღებად.

ჩაილურის ბერიკებმა კვირას, დღიდან მოყოლებუ-ლი მთელი სოფელი სახლიდან სახლამდე დაიარეს. სოფელი დღია, მრავალკომიანი და „ნადავლის“ აკ-რეუას დღი დრო მონადრემს, ჩვენ მათ მსვლელობას ჩამოვშორდით და მოედანზე გავედით, იქ ერთხანს კა-დაობას ვუცქირეთ, საქანელსთანაც შევიქცით თავი. შემდეგ ისევ მანქანაში მოვთავსდით, მოედანზე კი კი-დაობაა დაფა-ზურნით გამოტრებული, ველოდებით ბე-რიკების მოედანზე საჭედოა წრეში შემოსვლას. ჩვენ აუცილებლად უნდა ვნახოთ სახილველი ტახის მოკლდი-სა და გაცოცხლების, მკვდრადი და აღდგომადი ღვთა-ების მისტერიის გაღმარაში. და აი, ბერიკების პი-რინა მონისა, შმარდოგაშ თაპვე დაზვპბრთ ბა-მორბინან, ჩვენც საჭედოა მოედანს მივაშურეთ, ბარნ-კაბგმა ხალხით შამორჯარული წრე ბარლვინს, წრეში შამორგარდენან, შიდარობა შეფუდა. ირთხან, ნად ბერიკები შოლტაბრით ხალხს უტაქვენან: „ზანი ზანიო!“ წრეს პანეირაბდენან, შირმად ტახბერიკას შიდზენან, დაუყუას შოლტაბრით ცაგმ-წაბტვინს და შოკლას, სულ ამოსადან, ღმირთ. შიბრძოლმა ბერიკაბამ თავისი ტახვტაბაბ ტა-ბაცად წარმოდგანილი შოკლას, გოგნაგაულე-ბი, უღმირთოდ დარჩენილი ბერიკაბი შივდრად დაბამულ ღვტაბაბს ზარს შომოუხანდენ, თავის თავი და ტახვტაბაბს დაიტრინას;

ხალხურ სანახაობათა შემსწავლელი ექსპედიცია კახეთში. დოდო გუდიაშვილი, ნიკო გოციორი, აღმსკომის მუშაი, დოდო ასთაფ, დიმიტრი ჩანგოიძე



ვაიშე დედა დედაო,
ჩა დიდი ღორი კვდებაო.

ამასობაში, ტახის ნიღაბში მსხდომმა ბერიამ
დრო იშვია. ტახბერიადან (ტახნიღაბიდან)
გამოჰკრა და ჰაქცავით თავს უშველა. ასე წარ-
მოადგინეს მკვდრადის მკვდრეთით აღდგომა. ბერიამ-
გი ერთხანად ტირილს და გმომამს ბანაბრ-
კოვადნე, მერმე აიხარანე და ესენიც გაიყვანე.
ერთხანს საძინელას უშუბინე, იძაურება შოლ-
ტახის ტახაბ-ტაუნიტ აიკალს, მერმე სიჩბილით
პირი იძვინე, შერდროგა თაჰკვე დაეშვინე და
თავს მიუშარანე.

მადლიერების ბრძოლით გამომავალი დროებით
საბარა ჩაიღურს, ამ სოფელსაც მადლი და მ-
ტახამ რომ დედად თვალის ჩინვით უშრტილ-
დაზიანე და არ ელავინე საშვილიშვილოდ შე-
მონარჩუნებულ შუამსახილველისეულ ეროვ-
ნულ შესაუღობას, ხატკვლისა და ხატშუბის
ტაოსანთა ხელშეწყობას, რაც დაზარალებულ
მონაწილას აღმოსავლეთის უძველეს ცივილიზ-
აციებთან პართული საშაროს მიძღრო კავში-
რისა.

ახლა კი დროა, ტახბერიელის შესწავლის ისტო-
რიკი გაიხსენოთ და ჩაიღურს ბერიკაობის ზილით
აღრული ზოგიერთი მისაზრება გამოვკვეთ ენათმე-
ნიერების, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის მონაცემებზე
დაყარებით. მკვდრადი და აღდგომადი ღვთაების ტახ-
ბერიკას, ტახციის მისტერია პირველად პოეტმა, დრამა-
ტურგმა, ეთნოგრაფმა, ლექსიკოგრაფმა რაფიელ ერ-
სთავმა (1824-1901) აღწერა. (მდაბო ხალხის მასკა-
რადი, გაფ. „კავკასი“, 1846, № 6). მისი სიტყვით, ბე-
რიკაობა ძველ საჯაროებულ რელიგიურ დღესასწაულს
წარმოადგენდა, რაც მეცხოველეობასა და მიწათმოქმე-
დებს უკავშირდებოდა. იგი პოეტს ნიღბისათა სახი-
ლველად „მასპარადზე“ მიიჩნდა, ბერიკა მოხუცი კო-
ნის ტანსაცმელში, ღორის ტაოსან ახალგაზრდებთან
ერთად, სოფლის ყველა მოსახლის ეზოს დაივიდოდა; იგი
მკვდრადის და აღდგომადის სცენის წარმოდგენა. ერთი
ღორი ვითომ დაეცემა, ბერიკა მისი ტუავის გასძირ-
ხად მიიჩნდება, ღორი წამოხტება და ვარის, ბერიკე-
ბისაჲან არის საცოქველის აქრეფა. მასპინძლისაჲან
ბერიკას წვერის ერთი ღერის გამოგლეჯა; — საქათმე-
ში ჩახადება. აქაოდა ქათმები ბევრ კერცებს დასდე-
ბენო.

შემდგომი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწერალმა გი-
ორგი წერეთელმა (1842—1900) შედარებით ვრცელად
გამოიკვინა ბერიკაობა და აღნიშნა ბერიკაობის ღო-
რისტაოსანის მონაწილეობა. მან პირველად აღნიშნა
რომ „ეს თამაში საზოგადოდ თითქმის უკვე საქართ-
ველოს ენობეში სცდენიათ“. თავის ნარკვევს გიორგი
წერეთელმა მხატვარ მოსხ თოდის ნახატი „ბერიკაობა“
დაურთო, რომელზედაც ტახის (ღორის) ტაოსანი ბე-
რიკა არის გამხატვლად. გიორგი წერეთელმა ბერიკა-
ობა ბერძნულ დიონისესა და დემეტრეს მისტერიებს
შეადარა და მათ პარალელად დასაბა, თეატრის შექმნის
პროცესი მან ბერძნული დიონისეს მისტერიებს და
„ჩვენებური ბერიკაობიდან“ გამომდინარედ მიიჩნია;
გიორგი წერეთელმა ძველი ღორის „დრამის“ კომე-
დიის მამა-პაად ბერიკაობის თამაში მიიჩნია,



ბერიკა — 80 წლის ილიკო სინჯავილი სოფ-
ანაგიდან. ლ. გულიაშვილის ნახატი (1935 წ.)

ჩახაც ბერძნები მისტერიას უწოდებდნენ“ (გ. წერე-
თელი, ბერიკაობა, გაფ. „კავკასი“, 1898 წ. 81 ანვარი,
№ 5; სერიიდან: ქართული თეატრის მოღვაწენი საცუ-
ნო ხელმოწერის შესახებ, „გიორგი წერეთელი თეატრის
შესახებ“, შოთა სალუქვაძის გამოცემით, თბილისი,
1955, გვ. 177-181).

გიორგი წერეთლის ნარკვევებზე დაყარებით, ბე-
რიკაობაში ღორისტაოსანის მონაწილეობა აღნიშნის მი-
ზელი ანტიმისტიკა, სერგო ამალოებელმა (მ. ანტი-
მისტიკა, ქართული თეატრი, თბ., 1925, გვ. 4-11; ს. ამა-
ლოებელი, ქართული თეატრი (რუსულ ენაზე), მოსკო-
ვი, 1926, გვ. 35).

კ. მარჩანიშვილმა, ქართული თეატრის განვითარების
გეზის ძიებისას, უთარაღება მიიპურ ბერიკაობას, რაც
მისი სიტყვით ქართულ თეატრს „არა თუ დაუდებს
ახალ საფუძველს, არამედ განაგრძობს სიცოცხლის იმ
ძაღს, რომელიც მოდის — დღეს დაკარგული, მაგრამ
იოცხადე არსებული ნამდვილი ეროვნული თეატრისა-
გან“ (კ. მარჩანიშვილი, ქართული თეატრის საკითხები,
ეფრ. „კავკასიონი“, 1924, № 1-2; მისივე, შემოქმედე-
ბითი შემკვიდრობა, ტ. 1, თბილისი, 1972, გვ. 192).

კ. მარჩანიშვილმა, ოცდაათიანი წლების დასაწყისში,
თავის თეატრის ფოიეში ერთ-ერთი კედელი მხატვარ
ლადო გულიაშვილს ბერიკაობის ამხატველი სცენით მო-
ახატინა, ამავე დროს ხალხური პოეზიის, სიმღერის
და წესისაობის მცოდნე პეტრე იოსებ მჭედლიშვილს
ბერიკაობაზე პიესა დაუკეთა. იოსებ მჭედლიშვილმა
პიესა „ოინა-ბუიანა“ დაწერა და თეატრს წარმოუდ-
გინა. ამ პიესის მოქმედ პირთა შორის უკვე იყო ბე-
რიკაობა, (ი. მჭედლიშვილი, „ოინა-ბუიანა“, 1946, გვ.

184). უ. მარჭანიშვილს „ოიანა-ბუიანს“ დადგმა აღარ დასცალდა. მისი განხორციელება 1985-88 წლების ხე-წონში სცადა რეზ. დიდო ანთაბემ, დიდი მუშაობა ჩატარდა (მხატვარი ლადო გუდიაშვილი, კომპოზიტორი აკაკი ანდრიაშვილი). ოთხი მოქმედებიდან ორი მოქმედება მიწანცენარეული იყო. მაგრამ ისევ „მიწეწი-სა გამო სხვისა და სხვისა“ მისწევ მუშაობა შეწყდა და დადგმა ვედარ განხორციელდა.

ბერიკა-ტაბიან ერთად, ბერიკაოწინამძღვარს ოიანა-ბუიანს. ბერიკაებს: ბიოსი, კიკოს, რიკოს, ბოგოს, ღო-

რვი, რომ პროფესიული თეატრის ენაზე უკეთესიყო ნათარგმანები, ამისთვის აუცილებელი შეიქმნა ბერიკა-ოხის ცოცხალი ტრადიციების ვასცნობად კაბეტური ექსპედიციის მივლინება, რომლის შემადგენლობაშიც მისწევნენ: მხატვარი ლადო გუდიაშვილი, დრამატურგი იოსებ შვედლი, მხანობი ნიკო გაცირიძე, რეჟისორი დიდო ანთაბე და ამ სტრუქტურის ავტორი — იმ დროს თეატრის ლიტერატურის გამგე. ეს იყო 1985 წლის ნოემბერში, სპარაშვილი 80 წლის ზაბაძის ბირშიშხვილზე ბზინაშვილ და ჩაპოვიძე:

„ბერიკაობა ორნაირი იყო: დიდი ბერიკაობა და პატარა ბერიკაობა. დიდ ბერიკაობაში მონაწილეობდნენ 40-დან ახამდე ბერიკა. ბერიკები ორ ბანაკად იყოფოდნენ: თითოეულ ბანაკს თავისი ბაიარა ჰქონდა. ბერიკაობა უველიერში იწყებოდა. ბერიკაობა ბანაკს ტანში მჭედბარი სწავლიდა. თან მუშაობდა. დიდი ბერიკაობა რომ დაუკარგვდა, მოჭრდებოდნენ, შემდეგ დაიფანტებოდნენ ეწო-ეწო და აგრძობდნენ უველს, პურს, კვარცხს და ღვინოს. ოთხი დღე კვირდებოდნენ, ბურთაობდნენ. უვარლის ბერიკები შიდაში მიდიოდნენ, ტანში მჭედბარი გვიტყობდა — ტანს სწავლიდა უნდა (ჩამოიბარებო). — დოგროსტონ, ტანში სანა ბაბიუშვილი, ტანს ომას შიდაში უნდა, ჯილდო თუ ტყვედ ჩამოიბარებო. ილა. ბანაკში უხატავი იყო და გრუჭბანი. მიტახევივი ერთბანაში ევიბრავდოდნენ, შიდაში ბანაკში. კვირობა ბერიკაობის დასასრულზე ხდებოდა. მღვდელი ბერიკაობის დროს ვარევი ვარი გამოდიოდა. იხატებოდნენ სად არის ღვდელი, ტახზე უნდა შეეფათო. ბერიკები წარმოადგენდნენ ვარევის, ღვდელს და დოგროსტონს. ბერიკის ვითომ გული შეუწუხდებოდა, დოგროსტონს ვარევის წაუსვამდა, მერე ღვდელი აზიარებდა. ღვდელი ქილონი იცავდა და ქილონი შაქრის ქაღალდი. მამაჩემი ტახში იჭდა. ორმოცი წელიწადია დიდი ბერიკაობა აღარ უყოფილა“.

ს.გ.შ. ბანაკში, ბერიკა — 80 წლის ილიკო ბერიგოლის ძე სონჯიუშვილიწინაბან ჩაპოვიძე, უნდა გუდიაშვილიწინაბან ამ ბერიკას ჩანახატები შეამოგვარა:

„კაბეტოში იყო კარგი ბერიკა, მეტახეზელა თავთხელი. ბერიკაობაში იყვნენ: ტახი, ლენგერი, დოგროსტონი, ღვდელი, ებრაელი ვაჭარი.“

ბერიკებს ეცათ ვადამოზუნებული ტყავი, თავი თეთრი და შავი ნახდისაგან ფრთებით, თავლები გამოჭრილი, ქუდივე კუბი ჰქონდათ, რქები და ფრთები, ხელში ეჭირათ ხარის კუდი, ხის ხანჯალი და ხმალი, დოგროსტონ მუშაობდა და მურს უსვამდა ვითომდა ავადმყოფებს. მართავდნენ კვირობას. დაღებოდა ყველი ჰქონდათ პირში. მართი დროის ტანში იჭედდა, ზოგი ბერიკა ქალურად იცავდა. ბერიკებს ხელი ხარის კუდი ჰქონდათ, ქილონი დაინახებდნენ, უვარელში ზურნით შევიოდნენ. იყიდნენ ქვევრის ახლა, კვარცხებს სახუდარში ეძებდნენ. ბერიკაობის ისხდნენ აღნიანთ ლუკა, პეტრე კალაურაძის, მეთაური არ ჩანდა. ხელსახოცი ჰქონდათ ბაიარადა. ტახი ტახს ეცემოდა, კბილს კბილზე ბაბუშინებდა. ორშაბათიდან დაიწყებოდა, ორი-სუთი დღე გრძელდებოდა, — ადების ღამე ქვიფობდნენ. მერმე იმართებოდა უვენობა. უვენს ბან მარხილზე დასვამდნენ, ხან ვიარე შევადგენდა.

ბერიკაობა ხდებოდა დღისით. ხალხი გამოვიდოდა გაშლილ ადგილს და იქ ნახულობდა წარმოადგენას. გორა არის, შიგ ჩავარდნილი ადგილია, საშების გორა, ფიქრის გორა, გამოიტანდნენ ფარდას, ვაბერტყავდნენ, — დასცნოდნენ, რა პატარადალიაო. ერთი სოფლიდან მეორეში ვადიოდნენ, ბერიკები — უმოთხრებელ ახალგაზრდები, ხელმძღვანელები კი მოხუცები. მორთული ორი ბერიკა ჰქონდათ ოთხი რაბინი. რაბინი ზარბაზნი უნდა ზარბაზნი იყო ჩამოხუთი, უმუშაობი იყო შემოკლებილი. სოსიკოს უღელი ხარი მუშაობდა, ბერიკები მივიდნენ მასთან, ხარი დაფრთხიდა და ვაიქო. 15-20 ბერიკას, იმდენი ხალხი უკან დასდევდა...

— მივიღე, შე ოქანდასქვევო ყანა რად ვამოფუტეო; დორს მოკლავდნენ, მერმე დორს დაიბერიდნენ, დორს წამოუხტებოდათ, ვაიქეყოდა.

ყვენი მორთავდნენ და დასვამდნენ მარხილზე, — სოფელი ორ უბნად იყო გაყოფილი. იმ უბანს უენი უნდა, ვაიქევიდნენ ხარჯს, მერე ეს უენები ერთბანაში შეეკახებოდნენ, უენები ივიდავდნენ და რომელიმე დამარცხდებოდა. შემდეგ ივიფებდნენ“.

ყოს, ბოყოს, როყოს როლები უნდა შეერსულეობათ; შალვა ლამბაშის, ვასო გომიშვილს, კაკო კვანტალიანს, ა. გომელაურს, შ. გვიციურს, ვ. შველიაშვილს, ალ. ჩამიშვილს, ნ. ილიუხიძეს; ქალბერიკების განსახიერება დაქისრებული ჰქონდათ თამარ კვაჭავაძეს; ლ. ვანანაძეს, თ. ჩარკვიანს; ოიანა-ბუიანს ასულის სანთოს როლს ასრულებდა ვერიკა ანჯაფარიძე, ხოლო ცხვარიკებშია ბატონოშვილისას — ნიკო გვიციური.

ბერიკაობის განსახიერებისათვის ხალხურ-სანახაობ-

შემდეგში ქართული თეატრის ისტორიის კურსის ლექციების კითხვისას, თუ საშუაუნეო მუშაობისას, საშუაუნეო კვლევა-ძიებასთან დაკავშირებით, მუდამ ჩემი ინტერესების არეში ჩნებდა ტახბერიკა, დორბერიკა ტახკაცი და დიდამლი მასალა და მიგროვდა, რამაც ასახვა პირობა ჩემს საგამოყენო ექსპოზიციებსა და წარკვევებში, განსაკუთრებით წიგნში „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“ (1988, 1988).

დადგინდა, რომ ბერიკაობაში ტახკაცი, ტახბერიკა,

ლორბერია მისტერიული გადამხანაშია. ტახი ბერკაკო-
ბაში, თანსწრელთა მიმართისაკენ მიქცეული, განა-
ყოფიერების ღვთაება იყო, იმბროტო კრომ ლორი გან-
საკუთრებული ნაყოფიერებით, შობადობით გამოირჩე-
ოდა, ლორის შობადობა — ასეთია, 10-12 გოჭი, და წო-
გჯერ მერტო. აკი ქართულ ხატვალთა სიტყვა-თქმებისა: „მეცამეტე გოჭი“ (უკანონო გოჭი, ლორის 12 ძეგზე
აქვს, 12 გოჭის სამყოფი, მეცამეტე ზედმეტია და უკა-
ნონო); — აქვესტი ცვაარელის ნაწარმოებში ვკითხუ-
ლობით: „თერ მანდ ეგადე, ემანდ მეცამეტე გოჭივით ნუ
ეჩობები, შორე კატახალით თავს გააგებებ“.

ლორი განაყოფიერების, შვილიერების სიმბოლო ღვთა-
ებად იყო აღიარებული და არა მარტო საქართველო-
ში. ძველრომაული ტრადიციით დიდამიწის ღვთაებას
ტელუსს, მცენარეულობის ღვთაებას კერესს (ცერესს)
მსხვერპლად ეწირებოდა მკაცრე (დომეზილი, ძველ-
რომაული რელიგია, (ფრანგულ ენაზე); პარიზი, 1968.
გვ. გვ. 240; 868-869). თ. გამურელიძე, ვს. ივანოვი
განყოფიერებული ენა და ინფორმაციები, (რუსულ
ენაზე), თბილისი, 1984. გვ. 587); როგორც ნ. ბეკს
აქვს აღნიშნული თავის ნარკვევში ცხოველთა სიმბო-
ლიკის შესახებ, გერმანული ტრადიციითაც; ტახის კუ-
ლტი დაკავშირებულია ცხოველთა და მცენარეთა ნა-
ყოფიერებასთან, ტახი სამხვერპლო ცხოველთა და
„ღმერთების“, „გმირების“ საკვებად არის მიჩნეული
(თ. გამურელიძის, ვს. ივანოვის დას. ნაშრომი, გვ. 517).

ახლა როდესაც დემოგრაფიულ პრობლემაზე ამ-
დენს ვლადიკავკასიის, ესეც საგულისხმო უნდა იყოს,
რომ ქართველ ხალხს ათანსწრელთა თუ საუკუნეთა
უფაღწურდენილ დინებაში, ემხარებოდა რწმენა და
შთაგონება ტახღვთაობით წარმოადგენილი ძალისა შობა-
დობის სიმბოლოზე, ქართველურ ტომთა გამრავლებუ-
ბა და შვილიერების უწყვეტობასა და ზრდაზე. თონ-
ფხიქალოგოგური თვალსაზრისითაც, ლორის განსიმბოლო-
ება მეტად მნიშვნელოვანია უძველესი ქართველურ
მითტიერების ბერკაკოხით შემონახული ნაყოფიერების
ღვთაება ტახაკის (ლორკაკის სახით რომ კვდება და
შემდეგ ცოცხლდება), მკვდარდის და აღდგომადის სა-
ხიერების მისხმება, ეს იმის მოქმელი იყო, თუ რა
რთულ ვითარებაში უბედვროდა ქართველ ტომებს თავი-
ანსახებობის შენარჩუნება, რომ ისტორიის წინადასწრე-
ბული ხანიდან მოყოლებული, არსებობის მთელი ისტო-
რიის მანძილზე ქართველს თან სდევდა საფრთხე სი-
ცოცხლის უწყვეტობისა, საფრთხე მოდგმის განადგურე-
ბისა და სიკვდილის, მაგრამ ხალხი, განსაკუთრებით ცუ-
ცხლდებაში გამოწერობილი, ისევ ძალის აკრებდა,
შობადობა ისევ ძეგობათა აღმავლობად და დღესასწაუ-
ლებად ცხადდებოდა, ამიტომაც დიდი იყო რწმენა
მკვდარი და აღდგომადი ღვთაებისადმი, მისი მარადი-
სახობისა და უცვლადობისადმი, ქრისტიანობის მიღებისა
ანდგომადის და კვდომადის ქრისტეზე ვაღმობანი-
ანსაღწილის დღესასწაულს კი არა, უკუველ დღესასწა-
ულს „გაჩი“ ამშვენებდა, იპიედებდა სიცოცხლისა და
უცვლადობისათვის; „ნეჭვის“ საკულტორიტუალური
მნიშვნელობის, როგორც ნაყოფიერების სიმბოლოც.
ამოსახსნელად მივმართავ აკად. ვ. თოფურას მიერ ამ
„სიტყვის“ განმარტებას; მეტნიერის შიშობილივით, ნ.
მარის, ი. ვიფშიძის, ვ. შანიძის შრომებზე დამუარებით,
„ნეჭვს“ როგორც დედალი ცხოველის აღმნიშვნელ სი-
ტყვის გერმანულ ფდგას ქანურსა და სვანურში „ჭურა“
(ჭურა დეკი — ძუ მადლი, ჭურა მსქუერი — ფურ-

ირემი, სვანურში ჭურა დახლ—დედალი; თხა, აქედმ
„ჭურალ“ — ქალი; ჭურა-ში „რა“ ელემენტი იპიედ
დანიშნულებისა უნდა იყოს, როგორც „ტახრა“ ტახ-
ტახი... „ჭურ“ კი ძირია და აღის ქართულ „ჭურა“
„ჭურა“—მდე. ამითში პირვანდელი „ჭურ“ უნდა იყოს,
ხევესურული დღემდე დაცულია, „ი-ჭე-ა“—მოიგე, შვა,
„ნა-ჭე-ები“ — მკე, და სვანურში „ლი-ჭა-ალ“—შობა
პირუტყვისა. ჩუბინაშვილით „ჭევა“ (ვიწვევები) ზვან-
ტახისათვის; მივიწმობიარებ, ვიყოლიებ (ვ. თოფურა,
შრომები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 69); ასეა; როგორც
იტყვის ქართული ენის საგლობელი: „უკველი საი-
დუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

განსიმბოლოების მრავალმნიშვნელობის კვლობა-
ზე, ტახი — საბარძლო ძველრომაული სიმბოლოა,
ამის საბარძლო ნიშნად უძველესი დროიდან ლახტუ-
მიკურთი, რომელი, ძველერმანული არქეოლოგიური
ძეგლების მონუმბით, გამოხატული იყო ტახი (ბეკი,
ვს. ივანოვი); საქართველოშია საგულისხმოა, რომ
ტახი საბარძლო ნიშნად და სიმბოლოდ აღიქმებოდა,
რაკი შუა საუკუნეთა ქართული რომანი „რუსულდინანი“
გვმოწყობს; რომ გერმანულია ლახტებზე „იყო სახე...
რაც ნაღირია“ (გვ. 305).

შემთხვევით არ არის, რომ ბერკაკობაში ტახს ებრ-
ძვის თათარი, თათარი ჰკლავს ტახს. მაგრამ ტახი მა-
ინც ცოცხლდება. — საინტერესოა, რომ ტახი, მრავალ
სოციალურ ისტორიულ დაფენებაში გამოტარებით,
ხან ყანის გამოფუტებულ შინაური ცხოველის ყოფილობით
აღქმადე უწევდა (იქნებ აქედანაა „ბაკულას ლორე-
ბი...“), ხან კიდევ ჰალვაფიანობის სიყვარულის და სი-
ცოცხლის განსიმბოლოებულ სახიერებაშია ამოღებუ-
ლი. ტახი, როგორც „ნეჭის“ სახით არის წარმოდგენი-
ლი, როგორც მარ უნდა იყოს ისტორიულ
ვაკიშვებულაშვლთა განსაქმირების კვამლით
დაბურულ-დახნულაშვლი, მისტარიული მინც
პროპიტისება რწმენა მართველური მოღმობისა
უწყვეტ შობადობაზე, სიცოცხლესა და შარა.

ბერკაკო. ლ. გულიაშვილის ნახატი (1935 წ.)



დღისგანაშ (მტარაჲ ძღვანამოსილ მაგარჯკვიბა-
ში), რას ას ნათლად, ასე მავშიოდ არის ბა-
მობატული ტახტამოსნობის მახლიზიანი.

ამერიკელი ეთნოგრაფი, განახლებული ევროპეოუ-
რი თორიის ავტორი ლესლი უაიტი კალტბარს ბან-
მობატს, რომგონს სიმბოლოთა ერთობლიობას,
როგორც აღაშინის ნიჟირებას უმჭნას სიმბო-
ლოში. ქართველი ხალხის კულტურა, სიმბოლოების
შექმნის ნიჟირება აღბეჭდილია მის ფუძესახილველში,
რამაც შემოგვიანა განაყოფიერების ძველისძველ სი-
მბოლოდ, ღვთაებრივ სიმბოლოდ შობადობის უმაღლე-
სი დონით გამოჩნეული ცხოველი ნეჭე (ლორი, ტახტი)
და მისმა მითოლოგიურ-რელიგიურმა სქემამ და სტრუ-
ქტურამ ჩვენს დრომდე მოაღწია.

ლორის (ტახის) ვალთაებრივება უპირველეს ყოვლი-
სა თვით ენაში უნდა იყოს ჩაბეჭდილი. ნიკო მარია
ერთ-ერთ თავის გამოკვლევაში წერდა: „მუხთან და-
კავშირებული ღორის კულტის გადმონაშთები იპოვება
საქართველოში ბათუმის ოლქში. მაღალი წოდებიდან
მყოფლებში მდებარე მოსახლეობაში, ახალ წელი-
წადს, ჭერ კიდევ ჩემს ბსოვანში, ასრულებდნენ ღო-
რის გაღმერთების წეს-ჩვეულებას... სვანეთის ორ შეწო-
ბულ ხეობაში ერთი და იმავე სიტყვით აღინიშნებდა
„ლორი“ და „ღვთაება“ (ნ. მარია, ქართული ენა (რუს-
სულ ენაზე), ი. მგერელიძის გამოც., 1948, გვ. 21-22).

ივანე ჭავჭავაძის გამოკვლევით „ირანული სიტყვა
შარბუ, როგორც თვით ირანში, ასევე სომხეთსა და
საქართველოში ვით საყოთარი სახელი აღნიშნავს
„ტახს“, პირუტყვს — განსაკუთრებულ პატივს რომ
სცემენ ძველ მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებში, ამით
აიხსნება ამ საყოთარი სახელის ასეთი პოპულარობა“
(ივ. ჭავჭავაძე, საქართველოს, კავკასიისა და მახლო-
ბელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრი-
ბლეშები, თბ., 1958, გვ. 286). „ტახის“ ეტიმოლო-
გიას ნათელი ეფინება, თუ ვაიხსენებთ, რომ უპარდო-
ლოდ, „ჩერქეზულ-ადიღურად ღმერთის ეწოდება
„ტახ“-ა (იქვე, გვ. 187). ივ. ჭავჭავაძის ესეც აქვს აღ-
ნიშნული: ტუის ღვთაებას აფხაზეთი „მიზობტუ“-ს, ჩე-
რქეზები „მეიზოს“-ს უწოდებენ... „მეზუ“ ტუის ნიშ-
ნავს, „ოზ“ კი — ღვთაების სახელის ხმოვან მოკვეცი-
ლი ფორმაა... ჩერქეზთა რწმენით, მიზითხი ოძბროს
ჯაბრინან ტახში იქნა და ისე დაქროდა თავის სამ-
ფლობელოში, ტუის უველა ცხოველები მას ემორჩილე-
ბოდნენ“ (იქვე, გვ. 228. მისივე. თბ., ტ. 1, გვ. 188).

ამგვარად „ტახის“ ვალთაებრივების საკითხი ვანი-

ხილება ქართველური, იბერულ-კავკასიური ენებში წა-
რმოგვლობითი ერთობის დონეზე. როგორც ფუნქცი-
ლურის წიაღიდან აღმოსავლეთი, სიტყვა „ხატ“ ენა-
მართული ღვთაებაა. „ტახ“ ნადირია: თქმის-სიტყვის
წავიკითხვით მარჯნიდან მარცხნივ „ხატ“ ღვთაება იქ-
ცევა „ტახ“-ად, ნადირად. „ტახ“ — ნადირი იქცევა
„ხატ“-ად ღვთაებად.

ტახის გაღმერთების წესჩვეულებანი, ფუნქციონალე-
ლისულ-მისტრიულ წარმომავლობას რომ ამფლავ-
ბენ თავისი ლექსიკონით, მითოლოგიური მოტივებით და
რიტუალური სქემებით, ჩვენს დრომდე საოცარი გა-
საძლისობით სიცოცხლეს ინარჩუნებენ აღმოსავლეთ,
დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში.

ტახბერიკული სანახაობის ლექსიკონი ასევე შეტ ლექ-
სემას შეიცავს. მათი კვლევის სისტემითი მეთოდი
შესწავლისა, ისინი წარმოგვადგებიან, როგორც მითო-
ლოგიკების ერთობლიობა, სისტემის იერარქიულ აღნა-
გობაში ამფლავებენ განსიმბოლოების და მეტაფორიზა-
ციის უმაღლეს ხარისხში მისტრიკებად ამფლავებს:
შემდგომითი შემდგომად, თავის სტადიურ-ისტორიულ
გვა-მხველობაში, სხვადასხვა რელიგიურ კულტობა-
ძლევაშილი თუ მარცხიან სახედისწერი შეხვედრე-
ბად გასაოცარი გასაძლისობით ჩვენს დრომდე, ძირ-
ძველი მითოლოგიური მოტივების და რიტუალური
სქემის შენარჩუნებით ბერიკაობის და საწესო ჩვეულ-
ბათა სახით მოაღწევს.

სვანურ ღვთაებაში შუშუშუშუ, ნიშუ-ტახის ტახლის
შესაწირავ სავალობელში ისმოდა: „ნეზუ-ტახ, ნეზუ-
ტახ... ათფიშირ გუშუე სამარ“ (ნეფი-ტახი, ნეფი-
ტახ... გამარველ ჩვენი ღორები“). ვ. ბარაველიძე,
ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების
ნიშუები, თბ., 1958, გვ 108). ეს „ნიშუ-ტახ“ უნდა
იყოს წარმართული ღვთაება, რომელსაც შესთხოვდნენ
ღორების გამარჯვლებას.

ჩაკვაში, ტახ-ლორის გაღმერთების და ეგრპოზიდან
შემორჩენილი იყო ახალი წლის წეს-ჩვეულებიდან
„ლოცვან ღორისა“, ოჯახის დიანახლისი ვახშობამდე
სალორესთან გაიტანდა ჭვარისახოან ტახლას, ჭქა-
ღვინოს, ნაკერჩხალს და ხანთელ-საკმეველს; ტახლას
შეატრიალებდა და შეალოცავდა ღვთაებას ღორების
გამარჯვლებას, ღვინოს იქვე დაღვდდა, ტახლას შინ შე-
იტანდა, შინაურებს გაუნაწილებდა; მიცემისას უნდა
თქვით „ლოცვა ღორისა“ ახალგაზრდა სოხანე გა-
ვორდებოდა ძახლით: „ტახი, ტახი, ტახიო“. მსგავსი



ბრინჯაოს გრაფიკული ხა-
რტული მცხეთის სამთე-
ლოდან (ძვ. წ. IX-VII სს.)
მ. ხილაშვილის წიგნიდან
„ცენტრალური ამიერკავკა-
სიის გრაფიკული ხელოვნე-
ბა რკინის ხანაში“, ტბ.,
VII.

წესტეულდება ლეჩხუმშიაც სრულდებოდა" (იქვე, გვ. 105-108).

საქართველოს ხვადანხვა კუთხის ტახბერიკაობის აღწერილობანი და მათი გაანალიზების ცდა მოცემულია ჩემს წიგნში „ქართული თეატრის ხალხური ხაწყისები“ (1948) და ამ მათზე აღარ შეჭერდები; ვფიქრობ, მასზე მითითებაც საქმარისი იქნება (გვ. გვ. 858-863).

როგორც „ქება და დღეება ქართულის ენისა“ გვასწავლის მშობლიურ სიტყვას განსაკუთრებული უურადლებით უნდა მოვეყავით. „რამეთუ უროველი საიდუმლო ამას ენას ზინა დამარხულ არს“, აი. მაგალითად, თუ რა საიდუმლოს ინახავს კახეთის ბერიკაობიდან ტახის ნილახის ნაწილას აღმწვენილი სიტყვა „ბაბუნნი“ („საკაუნებელი“). — არც შეტი არც ნაქლები. „დღერთი იყო სიტყვა იგი“.

„კაუნია“, როგორც გარკვეული აქვს აკად. ვარლამ თოფჩიას ტახლეთების კერპია! „ბაბუ ბაბუნისას ხალციკა წელიწადში ერთხელაა უველიერის ხუთშაბათს, სწირავენ გასუქებულ ღორს. ღოცვა იწყება ხუთშაბათს დილა აღრანად, დაკლულ ღორის სისხლი გროვდება განსაკუთრებით ამისათვის ამოთხრალ მიწაში, რომელსაც ზევით გადაფარებენ კალათას, საწამ მიწა არ შეისვამს ამ სისხლს. თვით ბაბუნია-ქაობი აღწერილია შემდგენარა: კაცის მსგავსად გაკეთებულ იყო თუჩისაგან ბირღაღმულში, ქურუმის პირში უდებდა ცოცხლად შეწირულ ხაგუებს“ (ვ. თოფჩია, შრომები, ტ. III, გვ. 71). იმ წყაროების მიხედვით, რაზედაც მითითებებს ენათმეცნიერი, ამ კერპის ქურუმი ჰქონდებოდა, იმიტომ, რომ ამ კერპი მუხის ქვეშ იდგა (მუხა მეგრულად „ქუნს“ ნიშნავს). აქვე ვცნობით გადმოცემას, რომ ღვთისმშობელმა თავის წილხვედარ საქართველოში გამოგზავნა ანდრია პირველწოდებული და სიმონი, რომელნიც მოვიდნენ მბრტყილში და მათ განადგურეს კერპი „ბაბუნია“, რომელიც მუხაზე იყო მიხმული, იმ ადგილას კი ააშენეს ქრისტიანული ეკლესია (მ. მაზარკო, ხალხური ფანტაზიის და უფლის სამყაროდან, რუსულ ენაზე, СМОИИК კრბ. 18, გვ. 111).

უოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ დღემდე ხალხის მიერ შემონარჩუნებული ტახბერიკაობა ფუძესახილველიხეულია, წარმართულია და ტახლეთება მისი კერპი ტახბერიკებულის ბაბუნისას სახელწოდებით, აღსანიშნავია ამ კაუნია-კერპის მსგავსება და თანადამთხვევა ღვთის მროველის მიერ აღწერილ ქართველურ წარმართულ კერპებთან, ვანში აღმოჩენილ დამარხულ კერპთან. ბაბუნისას ანთროპომორფულია, კაცის მსგავსია. იგიც რკინისაგან არის გამოქედილი და „ზემსდეკად“ არის აღმართული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ამ კაუნია ღვთაება-კერპის სიცოცხლის ხესთან მუხასთან (ჰქონდებთან) კავშირი და, აქაც, იგრძნობა ამ კერპ-ღვთაების შობადობასთან რიტუალური გამოძახალი. რაკი სიმბოლიზირებული იყო ამ კერპისათვის ბაგუების მსხვერპლად შეწირვა. ესეც აღსანიშნავია, რომ ტახბერიკაობა (და მათსადამე კაუნია — ტახლეთების კულტი) გავრცელებული უოფილა მიედ საქართველოში, მის აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ რეგიონებში და მისი გავლენა იკითხება ქართველურთან მონათესავე იბერულ-კავკასიურ სამყაროს ეთნოგრაფიული, ლინგვისტური მონაცემებით.

„კაუნისას“ გვერდი-გვერდ ტახლეთების კიდევ ერთ




ბრინჯაოს გრავირებული სარტყლის (ძვ. წ. IX-VII სს.) დეტალი

თი სახელია წანურ-მეგრულში. მეგრულად ღორი არის „ღეკ“. პროფ. ალექსანდრე ღლონტის ქართულ ანთროპონიმთა ლექსიკონში მაშაკაცის სახელად აღრიცხულია „ღმჯამონი“ (ჭუმბოთი) — ღორკაცი. „ღმჯამონი“ ისეთივე შედგენილობის და მნიშვნელობისაა, როგორც ღვთაების სახელი „მონამონი“ („ვაცყაი“, იხ. ი. ჭავჭავიძე, ქართული ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 88). ხვანურა ნიშნუბას, მეგრული ღმჯამონი (ღორკაცი), ბაბუნია წარმართულ კულთან დაკავშირებული თეოფორულის (ღვთაების აღმნიშვნელი) სახელებია, რაც ქართულთან ფუძესახილველიხეულ ერთობასა და თანადამთხვევაშია.

ფუძესახილველიხეული ტახბერიკული მისტერიების მსხვერპლი პლასტიური ძეგლები არა ერთი და ორია მოპოვებული არქეოლოგიური გათხრებით. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცხეთის სამაროვანზე არქეოლოგ ა. კალანდაძის მიერ აღმოჩენილი ბრინჯაო

ტახი. უფლისციხის არქეოლოგიური გათხრებიდან; ძელის ფირფიტა. დ. ხახუტაიშვილის „უფლისციხე — ქალაქი კლდეში“, თბ., 1989, გვ. 66.





საქართველოს სამთავროს ოდიშის გერბი. ვახუშტი ბატონიშვილის ნახატიდან (ხელნაწერთა ინსტიტუტის — 2079, ქსე, ტ. 3, გვ. 97). გადმოიღო მ. ჯანელიძემ.

ის გრავირებული სარტყელი, რაც აღადგინა ნინო ურუშაძემ (მ. ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში, თბ., 1982, გვ. 145, ტაბ. VII; ნინო ურუშაძე, ბრინჯაოს სარტყელები სამთავროდან, უფრნ., „სახბოთა ხელოვნება“, 1969, № 12, გვ. 46). გრავირებული ხელოვნების ძვ. წ. IX-VII ს. დათარიღებულ ამ იშვიათ ძეგლზე წარმოდგენილია ტახაკი — ლეშაქის (ღორკაცი), „ნეწუ-ტახ“, როგორც ნიღბოსანი. ღორის ნიღაბი განსხვავებულიად ხაინტყურსია, რამდენადაც წელში მოხარული კაცის თავზე წამოღამულია, მოქმედისაგან ზურგშეკეცივთ ღორის თავისა და წინა ფეხების გამოშსახული ნიღაბი, მთლიანად ეს ტახაკი, ღერქარი (ღორკაცი), ნეწუ-ტახ მითოლოგიურ-რიტუალურ არსებას დინამიკურად წარმოსახავს, როგორც მროკვალი, უურადღებან იქცევს პირდაღებული ნიღაბიდან გამოშვებული წაგრძელებული ენა და თავზე შემამკობელი მცენარეული ფოთლები; აშკარაა, რომ ეს ღვთაებრივად მეტაფიზიკური მგალობელი და მროკვალი ნიღბოსანი განუყოფირების და მხატვრული შემოქმედების კულტთან არის დაკავშირებული, რაკი მცენარეულით, ფოთლებით ჭქს თავი შემოკობილი და თანაც მხატვრულ ექსტაზშია ამაღლებული, ასე რომ ამ ძეგლით ჩვენ შეიძლება წარმოდგენა ვიკონით, თუ რაოდენ განვითარებული ნიღბოსნობის კულტურით სარგებლობდა ფუძესაბიდეულისეული მისტერია, რასც ტახატნი, კაპანნი, ლეშაქის, ნეწუ-ტახნი თაყვანისცემასთან იყო დაკავშირებული. ესეც უნდა ითქვას, რომ მგალობელ-მროკვალი ტახაკი მკვდრად და აღდგენილი რიტუალური სქემის გამომხატველად შეიძლება მივიჩნიოთ.

მცხეთის არმაზისხევის გათხრებით, ქართველ მეფეთა ერისთავების (პიტაბშების) სამაროვანზე აღმოჩნდა „ოქროს საილი — ტახი—აწი ქანადებუა. ეს ავგაროწი უნდა იყოს. კოხტა ნახელავია. ტახი გამოხატულია უკანა ფეხებზე ჩამჭდარი და წინა ფეხებით სანახევროდ წამოტოტილი, თითქმის იწეა და ზეზე წამოდგომას აპირებს“, კუდი მროკალული, საწყარწი ფირფიტით“ („მცხეთა“, ტ. 1, თბ., 1955, გვ. 70). აქრქულაგები ტახან ამ ოქროს ფიგურას აპოტროფულ (ფატიურაის ამრიდებელ) ძეგლად მიიჩნევენ. ჩვენი აზრით, განსაკუთრე-

ბით მიიშვნელოვანია, რომ ძეგლი თან ახლავს საწყარწი-ნებელი ფირფიტები, და ამასთანავე, ტახი წამოტოტო. მის მდგომარეობაშია გამოხატული ე. ი. ამ შემთხვევითი აღდგომის რიტუალური სქემა და მცხეთის ძეგლს ფუძესაბიდეულისეული რიტუალურ-მითოლოგიური ახსნა ეძენება.

უფლისციხეში დ. ხახუთაიშვილის არქეოლოგიური გათხრებით, ე. წ. „გრაკიორის“ სამარხში აღმოჩენილ ბუღლასა და ძვლის ფირფიტაზე გამოხატულია ტახი (ძვ. წ. IV ს.) რაც კახუნის, ღერქარის, ნეწუ-ტახის კულტს და მისტერიას უკავშირდება.

ჭერალდიის ქართული ძეგლების ვახუშტი ბატონიშვილის კატალოგი (ხელნაწერთა ინსტიტუტის H 2070; ქსე, ტ. III, გვ. 97) საქართველოს სამთავროთაგან ოდიშის გერბად გამოხატულია ტახი. ამ გერბზე მკვდრის გაყვასლების, მკვდრებით აღდგომის რიტუალური სქემა წარმოდგენილია, — გაცვლებული ტახიდვითის საზეიმო მსვლელობა დროით. ვახისენათ, რომ ტახტიკულ მსვლელობას წინ უძღოდა მისი ჭეულამე — „ბიარალი“ ხელში. ეს გერბი „მამათა ჭეულამე“ ნიღბის ტახტავის, კახუნის, ღერქარის, ნეწუ-ტახის წარმართობას წარმოგვიდგენს თანამედროვეში გამოტარებული ვასაძლისობით, იგი ნაყოფიერების და შობადობის ისუფის გამოთხოვი საგალობელია; ზოგად ქართველურ-ფუძესაბიდეულისეული ქვეცნობიერი კონკრეტულშია (ოდიშის გერბად) თარგმანებული და მისი ამოკითხვა გვეხმარება კულტუროლოგიურ პირველსაყის სტრუქტურების გარკვევაში.

ტახაკი, ღერქარი (ღორკაცი), კახუნა, ნეწუ-ტახი ეს ისეთი თეოფორული სახეებია, რომ იგი თავის ვაშობაძილს უნდა პოულობდეს ონომასტიკისა და ტოპონიმიაში. მამაკაცის სახელებია: ტახა, ღორია, ღორტა, ღორკარი, ღერქი, ღერქი, ღერქი, კახანა, კახა, კახალი. კახილე, კახურა, ნეწა; გვარსახელებია: ღორაშვილი, ღორთქიშვილი, კახანაძე, კახატაძე; ტომონიშთაგან შეიძლება დავასხელით ღორეშა, ღორტევი, ღორ (რ) უხანი, ღორძე, საღორია, კახანა, კახანისთავი და სხვა. აღონძე, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1987; ი. მისურაძე, ქართული გვარსახელები, თბ., 1981; ტახი, რაკი ტოტემური მიწვეულობისა, ამის ასახვა ქართველურ ეთნონიმებშია კახის საძიებელი და იქნება ასეთია „ტა (ო) ხი“ (პ. ინგოროვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 138).

მითოლოგიურ-რიტუალურ პარალელებს თუ მივმართავთ, პირველ უკვლისა აღხანიშნავია, რომ ხეტურ ღვთაებრივ ცხოველთა (ღმერთების ცხოველთა) შორის მოხსენებულია ტახი. მეფე ანტას წარწერაში ღვთაებრივ ცხოველები მოხსენებული არიან ასეთი რიგით: ლომი, ღორი (ტახი), დათვი, ზეთების მეფეს ჭქონდა ღვთაებრივი ცხოველებისათვის სახეცე (თ. გამურტუბე, ვს. ივანოვი, ინდოევროპული ენა და ინდოევროპოლოგია, თბ. 1984 კვ. გვ. 486, 518). ჭქონრობის პოემაში მოხუც კაცის ტახად გადაქცევის მოტივი იქცევს უურადღებან. იპონიის მითოლოგიით ტახზე ნადირაძე ღმერთების ჩვეულებაა. ინდონეზიის მითოლოგიაშიც გმირის მიერ ტახის სახის ჭქონ დემონის დამარცხების სუბეტია გავრცელებული.

ღეე, ეს თეატრმოდენობით მცირე ძიებაც ძველ ქართველურ მითოლოგიურ-რიტუალურის, წარმართული პანთეონის შესწავლას ემსახუროს.

ვარძიის მოხატულობანი

გაიანე ალიბეგაშვილი

აღდგომის გამოკვეთილი ვარძიის მონასტერი — შუა საუკუნეების საქართველოს სამშენებლო ხელოვნების მშვენიერება — ცნობილია მაღალმხატვრული მოხატულობითაც, რომელიც ამკობს მთავარ, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარს.

ამჯერად ჩვენი ამოცანაა გამოვავლინოთ ამ მხატვრობის ის თავისებურებანი, რომელნიც, ერთი მხრივ, მიგვანიშნებენ კავშირს წინამორბედი ხანის ძეგლებთან (XI ს-ისა და XII საუკუნის მეორე ნახევრის, — ქართული მონუმენტური ფერწერის აყვავების ეპოქის), მათ მონუმენტურ, ტექტონიკურ სტილთან, მეორე მხრივ კი გამოხატავენ იმ ახალი, დინამიკურ-დეკორატიული სტილის ტენდენციებს, რომელიც განმსაზღვრელი აღმოჩნდა XII საუკუნის მიწურულისა და XIII საუკუნის დამდეგის ფერწერისათვის, ქართული მხატვრობის აყვავების ეპოქის მეორე საფეხურზე.

ისევე, როგორც ბეთანიის, ყინცივის, ბერთებნის ტაძართა ბრწყინვალე მოხატულობანი. ვარძიის მოხატულობაც ქართული კულტურისა და ხელოვნების განსაკუთრებული აღმავლობის, თამარ მეფისა და დიდი რუსთაველის ხანას მიეკუთვნება. მაღალი მხატვრული ღირსებებით გამორჩეულ ამ მხატვრობას მათთან ის საერთოც აქვს, რომ აქაც ყველგან გვხვდება თამარ მეფის პორტრეტი. ამასთან, ვარძიის მოხატულობა თავისი კოლორიტით (რომელშიც ქარბობის ლურჯი და ნაცრისფერი ტონები, გაცოცხლებული მწვანით, ყლერადი სინგურით, მწვამულით, ყვითელი ოქრით და თეთრი ფერის ლაქებით) განსაკუთრებით ბეთანიის მოხატულობას უანალოვდება.

ისევე როგორც ზემოთ დასახელებული ძეგლები, ვარძიის მოხატულობაც მოწმობს, რომ ახალი სტილის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი ერთმნიშვნელოვანი სულაც არ ყოფილა.

ვარძიის მოხატულობაში ჩართული ისტორიულ პირთა პორტრეტები გვეხმარება მისი თარიღის დაზუსტებაში. აქ გამოსახულია მეფე გიორგი III — ვარძიის პირველი მშენებელი. მისი სახელოვანი ასული — თამარ, თანამედროვეთაგან არა მხოლოდ „დედოფალთა დედოფლად“, არამედ „მეფეთა-მეფედაც“ წოდებული, და ქართლის ერისთავი რატი სურამელი, რომელმაც (გ. გაფრინდაშვილის მიერ ამოკითხული, აწ განადგურებული წარწერის თანახმად) მეფისა და ეკლესიისადმი ერთგულებით მოიპოვა ტაძრის გამაგრებისა და მოხატვის უფლება.

წარწერა მეფეთა პორტრეტების თავზე (ამჟამად, ასევე, დაღუპული, მაგრამ თავის დროზე ც. გაბაშვილის მიერ ამოკითხული), აგრეთვე — თამარ მეფის ვარცხნილობისა და თავსაბურავის დეტალები გვაძლიერებს მოხატულობის 1184-1185 წწ-ით დათარიღების საშუალებას. ვინაიდან გიორგი III-ის გამოსახულების თანმხლებ წარწერაში არ იყო სიტყვები. „რომელიც მრავალჯამეულობსმცა“ (დადასტურებული თამარ მეფის პორტრეტის ზედაწერილში), ც. გაბაშვილის მართებული დასკვნით, მოხატულობა შესრულებული უნდა იყოს გიორგი III გარდაცვალების (ე. ი. 1184 წლის) შემდეგ, ხოლო რადგან თამარს არა აქვს საფეთქლებიდან დაშვებული გრძელი კაევი და ნიკაპს შემოტარებული თავსაბურავი (იმჟამინდელ საქართველოში გათხოვილი ქალის აუცილებ-



მარიაშის მიძინება. ფოკმენტო

ბელი ატრიბუტები), მხატვრობა მის გათხოვებამდე, ამდენად კი — 1185 წლამდეა შესრულებული. თამარ მეფის გამოსახულება განახლებული ყოფილა: ი. გილგენდორფის მიერ ჩატარებულმა საგანგებო ფოტოგადაღებამ, რენტგენის აპარატის გამოყენებით, გამოავლინა თამარის სახეზე ცინკის თეთრა, რომელიც XIX საუკუნის ბოლოდან იხმარება. მაგრამ ი. გილგენდორფმა შესძლო თავდაპირველი მონახაზის წარმოჩენაც. თუმცა, რესტავრაციის შედეგად ზოგიერთი წვრილმანი დამახინჯებულია (მაგალითად, გამჭრალია ქვედა ქუთუთოს საწყისი ნახატი), მთლიანობაში სახის ნაკვთები არ შეცვლილა. ამასთან, ვერც ერთ ფოტოსურათზე, სადაც გვიან გადაწერილია ქვეშ პირვანდელი ნახატი მოჩანს, ვერ ვნახავთ კავისა და თავსაბურავის გამოხატულების კვალს. ამგვარად, მონახატულობის შესრულების ზედა ქრონოლოგიური საზღვარი (თამარის ჯვრისწერის წელი) ამ ნიშნებით ეჭვს არ იწვევს.

მონახატულობის ზუსტი თარიღის ცოდნა

შესაძლებლობას გვაძლევს დავუკავშიროთ მისი მხატვრული თავისებურებანი გაოკავრულ დროს — XII საუკუნის ბოლომდე ხელს.

მონახატულობა, რომელიც ამ საკმაოდ დიდი და ვრცელი დარბაზული ეკლესიის სათავსო ეფინება, გარდა კტიტორთა პორტრეტებისა, მოიცავს გამოსახულებებს ღვთისმშობელ — ოდიგირიასი ორ მთავარანგელოზს შორის, ეკლესიის მამებისა და გრაგნილებით ხელში, ათორმეტი საუფლო დღესასწაულისა, და ცალკეული, მდგომარე წმინდანების. დღესასწაულთა ციკლში ჩართულია „ფერხთა ბანა“ და „უფლის სერობა“, რომლებითაც იწყება ხოლმე ვნებათა სცენები, დიდად გავრცელებული მომდევნო დროს (ვნებათა განვითარებულ ციკლს ვხედავთ უკვე XIII საუკუნის დამდეგის ბეთანიისა და ტიმოთესუნის მონახატულობებში).

კამარის კომპოზიციების საკმაოდ მოზრდილი კადრები, რომელნიც მთლიანად ავსებენ მის მონაკვეთებს, შექმნილს საბჭენი თაღისა და კამარის შუაში გავლებული ორნამენტის ზოლით, აგრეთვე — საკურთხეველის აფსიდის მონუმენტური კომპოზიცია, კტიტორების მოზრდილი ფიგურები გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ ვარძიის მონახატულობა ინარჩუნებს კავშირს წინამორბედი ხანის მონუმენტურ სტილთან; ამას ემატება ყოველი ფიგურის ნათელი აღქმადობაც. მათ ჯერ კიდევ არ ახასიათებთ ის სიმჩატე, რასაც ანიჭებს ოდნავ მოგვიანო ყინცივისის მონახატულობის გამოსახულებებს წაგრძელებული პროპორციები და რიტმულ მოძრაობათა სინარჩავი.

ამგვარი ნიშნების არსებობისას კიდევ უფრო შეიგრძნობა ვარძიის მხატვრობაში თანადროულად თავჩენილი ტენდენცია მონახატულობის ტექტონიკური სტრუქტურის დარღვევისა. ამ კუთხით პირველ რიგში ყურადღებას იქცევს განსხვავებული სტრუქტურის კომპოზიციების ერთი მეორის თავზე მოთავსებით მათი კონტრასტული დაპირისპირება, განსაკუთრებით კამარისა და დასავლეთზე უფრო მაღალი თაღით გაფორმებული ქედლის აღმოსავლეთ მონაკვეთებზე. კამარაში — მოზრდილი, სიმაღლეში დაგრძელებული სცენებია, თავისუფლად განლაგებული ფიგურებით; უშუალოდ მათ ქვემოთ კი — მონახატულობის ზედა რეგისტრისა

და კედლის თაღების ვიწრო შუალედში „ჩა-
კედლია“ ჰორიზონტალურად გაშლილი
კომპოზიციები, ფიგურებით მჭიდროდ შეე-
სებული („ფერხთა ბანა“, „უფლის სერო-
ბა“). კომპოზიციურ სტრუქტურათა ასეთი
შეფარდება ერთგვარი დამაბულობის შეგრძ-
ნებას ბადებს, სხვაგვარი ზემოქმედება მილ-
წეული, მსგავს პირობებში, უფრო ადრეუ-
ლი ძეგლის, 1112 წელს მეფის მხატვარ თევ-
დორეს მიერ შესრულებული ლავურკას (წმ.
კვირიკეს) ეკლესიის მხატვრობის კომპოზიცი-
ის გადაწყვეტისას. აქაც კედელი პილასტრებით
და კედლის თაღებითაა გაყოფილი. მაგრამ ამ
შემთხვევაში სცენების განლაგება უფრო
ლოგიკურად მისდევს ხუროთმოძღვრულ და-
წაწვებას. აქ არ არის ჩართული რეგისტრ-
ი კედლისა და კამარის კომპოზიციებს შუა.
მართალია, აქ გასათვალისწინებელია, რომ
ეს ეკლესიის მცირე ზომითაც იყო ნაყარნა-
ხევი, მაგრამ მთავარია ის, რომ მომცრო
სივრცეში მხატვარმა შესძლო მონუმენტური,
თანაბარღირებული კომპოზიციების შექმნა;
ამასთანავე აქ, ისევე როგორც ვარძიაში, თა-
ლის აქეთ-იქით მორჩენილ მონაკვეთებში
უშუალოდაა ჩამოწეული ზედა რეგისტრის
სცენების ქვედა ნაწილები და ამგვარი გა-
დაწყვეტა, სადაც ზედა და ქვედა რიგის არე-
ები თითქოს ერთმანეთშია შეჭრილი, უფ-
რო დინამიკური ჩანს იმავე მხატვრის მიერ
ბევრად ადრე, 1096 წელს შესრულებული
იფრარის მოხატულობასთან შედარებით,
მასში, ჯერ კიდევ დაფარულად იჩენს თავს
უკვე მომდევნო დროის დინამიკური, ატექ-
ტონიკური სტილის საწყისი. ლავურკაში ეს
ტენდენცია აშკარად არ არის გამოვლენილი;
კომპოზიციების ურთიერთმიმართებას გან-
საზღვრავს წონასწორობის პრინციპი. ოს-
ტატმა არ დაუშვა კედლის დაქუცმაცება,
რომელიც ემჩნევა ცოტათი მოგვიანო, თევ-
დორეს მოწაფეთა ნახეავ, წვირმის (ზემო
სვანეთი) მოხატულობის ზოგიერთ მონაკ-
ვეთს. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ითქ-
ვას, რომ XII საუკუნის პირველი ნახევრის
ქართულ მხატვრობაში, მონუმენტური სტი-
ლის ფარგლებში, ისახება ტენდენცია იმ დი-
ნამიკურ-ატექტონიკური სტილისა, რომელიც
უფრო თვალნათლივადაა გამოვლენილი ვარ-
ძიის ტაძრის ფერწერულ დეკორში.

მკაცრი ტექტონიკურობის პრინციპების
უგულეებელყოფა აშკარად ეტყობა ვარძიის

ტაძრის სამხრეთი კედლის მოხატულობას;
აქ, კამარის აღმოსავლეთ მონაკვეთში მოქ-
ცეული „ხარება“ ძლიერაა ქვემოთ მოწეული,
მის ქვეშ კი, ვიწრო არეზე მო-
თავსებულია წელზევით გამოსახული წმინ-
დანები; ისინი იწვევენ ასოციაციას რეგის-
ტრებს შორის „ჩაკედლი“, წმინდანების
ნახევრადფიგურებით შევსებული მედალიონ-
ებით შეღავენილ ვიწრო ფრიზისას — ეს
უკანასკნელი ხერხი გაცილებით გვიან ვრცე-
ლდება, მეტადრე საქართველოში პალეოლო-
გოსთა სტილის დამკვიდრების შემდეგ. თუმ-
ცა ისიც უნდა ითქვას, რომ მსხვილმასშტა-
ბიანი სცენების შემცველ რეგისტრებს შო-
რის ვიწრო ფრიზის ამგვარ შემოჭრას ვხე-
დავთ ჯერ კიდევ ვარძიის თითქმის თანად-
როულ (XII ს-ის 70-იანი წლები) ფავნისის
მოხატულობაში. ძეგლში, სადაც, ე. პრივა-
ლოვას მართებული განსაზღვრისამებრ, „გან-
ქვრეტილია თამარის ხანის, ე. ი. XII-XIII
საუკუნეების ძეგლთა სტილი“. ფავნისში
ვიწრო ფრიზი მოქცეულთა წელსზევითი
გამოსახულებებით, რომელნიც მედალიონე-

რავი სურამული ღმრთისმშობლის და ყრმა ქრისტეს
წინაშე; წმ. მეომრები, ზემოთ — საიდუმლო სერობის
კომპოზიცია





ლაზარეს აღდგინება (ფრაკუნტი)

ბით კი არა, თაღებით არიან მოჩარჩობებული, საკურთხევის აფსიდის მონახტულობაში კონქის კომპოზიციას („ვედრება“) და მთელი ტანით გამოხატული წმ. მღვდელმთავრების რიგი ჰყოფს. ამვე დროს, რეგისტრათა საზღვრების მკაფიო პორიზონტალები ანელებს ატექტონიკურობის შთაბეჭდილებას, მით უფრო შესამჩნევს ვარძიის მონახტულობაში. აქ, ისევე როგორც ამ მონახტულობის ზოგიერთ სხვა ნაწილში, კედლის მორჩენილი მონაკვეთები შევსებულია დატოტვილი ორნამენტით, რომლის ელემენტები ზომას იცვლიან მათთვის განკუთვნილი ალანგის შესაბამისად. ამას შეიძლება დავუმატოთ კედლის თაღებში მოთავსებული კომპოზიციების („ოჯოხეთს წარტყვევნა“, კტიტორთა პორტრეტები, „ჯვარცმა“) სტრუქტურის „ხალიჩისებურობის“ შთაბეჭდილებაც, შექმნილი სხვადასხვა ზომის ფიგურების თავისუფალი განლაგებით; განსაკუთრებით დაწვრილმანებული და დეკორაციული ჩანს მყიფე არქიტექტურის ფონზე გამოსახული „ჯვარცმა“, რომელიც შეხამებულია მისგან ვიწრო პორიზონტალური ზოლით გამოყო-

ვილ წმინდანების მთლიან და წელსზევირ ფიგურებთან: თანაც ცენტრალური ფიგურა (წმ. მეომარი), უშუალოდ ჯვარცმის მიმართ მოთავსებული, ზომით ქრისტეს გამოსახულებას ეტოლება. ატექტონიკურია დასავლეთი კედლის მონახტულობაც, სადაც კომპოზიციები ჰიდრაკულად არის განთავსებული.

ამგვარად, ვარძიის ტაძრის მონახტულობის საერთო სტრუქტურაში ცხადივც იკვეთება მკაცრად ტექტონიკური სტილის ნიშნების გამოდევნა იმ დინამიკურ-დეკორაციული ტენდენციების მიერ, რომელნიც განსაზღვრავენ XII-XIII საუკუნეთა მიჯნის ქართული მონუმენტური ფერწერის მხატვრულ მიდგომას. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს პროცესი ქართულ მხატვრობაში თანმიმდევრული სულაც არ ყოფილა. საკმარისია გავიხსენოთ, რომ XIII საუკუნის პირველი ათწლეულის ყინცივისის მონახტულობაში დროის ნიშნები ყველაზე თვალსაჩინოდ საკურთხევის აფსიდის მხატვრობაში გამოჩნდა. — ფიგურათა ჰიდრაკულად განლაგებაში, წმინდანთა სრული და წელზევირ ფიგურების მონაცვლეობაში, აგრეთვე — დინამიკურ ნახატში, რომლის პლასტიკური გამომხატველობა წმინდა დეკორაციულ ეფექტში გადაიზრდება (ყველაზე მრავლისმთქმელი მაგალითია — ანგელოზი კომპოზიციიდან „მენელსაცხებლე დედანი უფლის საფლავთან“). ამასთან ერთად, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავებში კომპოზიციების განთავსება საესებით შეესაბამება კედლების სარკმელთა ლიბებით დანაწევრებას და მონახტულობის ეს ნაწილი იმდენად ტექტონიკურია, რომ წინამორბედი ხანის მონუმენტური სტილის ტრადიციებთან უშუალო კავშირში იხილება. ყინცივისის თანადროულ ბეთანიის მონახტულობაში კი სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავების იმავე კედლებზე, ისტორიულ პართა და წმ. მეომრების მდგომარე ფიგურების თავზე განლაგებულია ზომით ბევრად ნაკლები კომპოზიციები, რომელნიც კედელს ლომკრო კადრებად ჰყოფენ.

ამგვარად, ახალი ესთეტიკით განპირობებული მონახტულობის კომპოზიციური სტრუქტურის ახლებური ჩამოყალიბების პროცესი, წინამორბედი მონუმენტური სტილის წიაღში ჩასახული (გავისენოთ ლავურკა, ნაკიფარი) არათანმიმევრულად წარმართებოდა.

ვარძის მოხატულობა იმ მხრივ იმსახურებს საგანგებო ყურადღებას, რომ თამარის ხანის ბრწყინვალე ძეგლებს შორის იგი დეკორაციული სტილის აშკარა გამოვლინების უაღრესი ნიმუშია.

ამ კუთხით განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას მოხატულობის დეკორაციულობა, რომელსაც სძენს მას ცა, მასზე ხშირად მიმობნეული მოზრდილი ვარსკვლავებით და თეთრი ზოხილები, რომელნიც ერთიან ხალიჩად ეფინებიან „მიწას“, მაშინაც კი, როდესაც მოქმედება ინტერიერში ხდება („ხარება“, „ფერხთა ბანა“, „უფლის სერობა“). მცენარეული მოტივების დეკორაციულობის ასე კარბად გამოყენებით ვარძის შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს თვით XIII საუკუნის მეორე ათწლეულის ბერთუბნის ტაძრის მოხატულობას, რომლის დეკორაციულმა ღირსებებმა გამოათქმევინეს გ. ჩუბინაშვილს ჰუმოთეზური მოსაზრება, რომ ეს მოხატულობა „საერო კულტურის შემონახვებელი მოღვაწის“ ქმნილებაა.

საყურადღებოა ვარძის მოხატულობაში დინამიკურად გადრეკილი ხეების გამოსახვა. დამახასიათებელია, რომ ხეების ანალოგიური გამოსახულებანი მოიპოვება XII საუკუნის მიწურულის ქართული ხელნაწერის, ჯრუჭის II ოთხთავის მინიატურებში. მხოლოდ ხეების დერო და ვარჯი ამ შემთხვევაში უფრო ძლიერადაა გახანჭილი და მოძრაობის გამო ზოგჯერ მოჩარჩობის გარეთაც კი გადის, რაც მათ უფრო ექსპრესიულ ხასიათს ანიჭებს.

ხეები ვარძის მხატვრობაში სხვადასხვა ადგილას ამოიზრდება ხოლმე, გორაკებს შორის, ან ნაგებობათა სახურავებს უკან. მათ ამგვარ ვანლაგებაში შეიძლება დავინახოთ სივრცის შთაბეჭდილების გადმოცემისადმი ინტერესი. და კვლავ შეუძლებელია არ გავიხსენოთ ჯრუჭის II ოთხთავის მინიატურები, რომლებშიც სივრცის პრობლემა არქიტექტურის გამოსახვისას უფრო დამაჯერებლადაა გადაწყვეტილი — ოსტატი აქ თითქოს „გამიჯნავს“ სივრცეს, რომელშიც ფიგურებია მოთავსებული.

ვარძის მოხატულობაში შთამბეჭდავი წმინდანთა ექსპრესიული მოძრაობა (მგაალითად, მიწაზე დამხობილი მოციქული „ფერისცვალებაში“) და მათი ვასულებერებული სახეები, განსაკუთრებით მაცხოვრისა (ხელ-



თამარ მეფისა და გიორგი III პორტრეტები, ზემოთ — ფერხთა ბანის კომპოზიცია

თუქმნელი ხატი, „ფერიცვალება“, „იერუსალემად შესვლა“) და მკმუნვარე მოციქულებისა მარიაშის მიძინების სცენაში.

სივრცისა და სახეთა ფსიქოლოგიური გამომსახველობის პრობლემებმა, დაკავშირებულმა რეალური სინამდვილისადმი ახლებურ დამოკიდებულებასთან, ჩვენსაში შემდგომი განვითარება არ ჰპოვეს. ამის მიზეზი, როგორც ჯერ კიდევ გ. ჩუბინაშვილმა აღნიშნა, საქართველოს ისტორიული ბედობლიც იყო და მართლმადიდებელი ეკლესიის მიდგომა ამგვარი ამოცანებისადმი. შესაძლებელია, ამას ერთგვარად ეწინააღმდეგებოდა ქართველი ოსტატებისთვის ჩვეული, გენეტიკურად თანდაყოლილი დეკორაციულობისა და ხაზობრიობის ტენდენციაც (იქნებ აქა საძიებელი იმის მიზეზიც, რომ თანამედროვე ქანდაკებაში, განსაკუთრებით ხელოვნების ოფიციალური რეგლამენტაციის აცილების შემდეგ, წინ იგივე დეკორაციულობის და ხაზოვანების ტენდენცია წამოვიდა). ყოველ შემთხვევაში, ამ პრობლემის



ლეთისმშობელი მთავარანგელოზებს შორის და წმ. მამები

გადაჭრა XI საუკუნისა და XIII საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ ხელოვნებაში საკმარისი არ იყო საქართველოში რენესანსული კულტურის წინამძღვრების შემდგომი განვითარებისათვის. პირველ ყოვლისა, ეს ლიტერატურაში გამოვლინდა. კვლავ არ შეიძლება არ დავიმოწმოთ გ. ჩუბინაშვილის სიტყვები: „...XII საუკუნისა და XIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს კულტურას ჩვენ რუსთაველის ხანას ვუწოდებთ, ე. ი. სახელს მწერლობის, პოეზიის ენის მიხედვით ვარქმევთ... ეს კანონზომიერია. ამ უნატიფესი კულტურის ხანაში წინ მწერლობა მოდის“. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ქართული ხელოვნების სხვა დარგებში არ შექმნილა ამ თვალსაზრისით საყურადღებო ნაწარმოებები. ამის საბუთად მონათქვამი მხატვრობის იგივე ძეგლებიც გამოვადგება — ვარძია, ბეთანია, ყინციკისი, ბერთუბანი, ტიმოთესუბანი და სხვა. აქ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ აღნიშნული ტენდენციების მეტ-ნაკლები ძალით გამოვლენა დამოკიდებულია ხელოვნების სხვადასხვა დარგის სპეციფიკაზე.

ქართულ მხატვრობაში სივრცისა და სახეთა ფსიქოლოგიური გამომსახველობისა და პლასტიკურობის პრობლემებზე უნდა ვიხილოთ XII საუკუნის დასასრულსა და XIII საუკუნის დამდეგს და, უნდა ითქვას, რომ მიუახლოვდა რა მათ გადაწყვეტას, ქართულმა ფერწერამ გარკვეული ნიადაგი შეამზადა XIII საუკუნის ბოლოდან მოყოლებული საქართველოში პალეოლოგოსთა ხელოვნების დასამკვიდრებლად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამას თან სდევდა თავისთავადობის ერთგვარი კლებაც (მაგრამ, ეს უკვე სხვა თემასთან დაკავშირებული საკითხია).

ვებრუნდებით რა ისევ ვარძიის ტაძრის მონაბატულობას; ჩვენ არ შევეუდგებით იკონოგრაფიის დაწვრილებით განხილვას, მხოლოდ გავამახვილებთ ყურადღებას ზოგიერთ დეტალზე. ესენია, მაგალითად, „ნათლისღებაში“ იოანე ნათლისმცემლის მარჯვენა ნაპირას გამოსახვა; ნაბიჯადადგმული ქრისტეს წარმოდგენა „ჯოჯობეთის წარმოტყვევებაში“; „შობაში“ მოგვთა მარჯვნივ (ე. ი. პირდაპირ ქრისტესკენ მიქცევით) გამოსახვა, რაც იშვიათია ბიზანტიურ ძეგლებში, მაგრამ გვხვდება XII—XIII სს. მთელ რიგ ქართულ მონაბატულობებში (ზენობანი, კისორეთი, უდაბნოს ხარების ეკლესია, უბისი); ქრისტეს წითელი მანდაორა „ფერიცვლებაში“ და „ამაღლებაში“, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ IX საუკუნის — დოდოს მხატვრობაში გვხვდება. ა. ოქროპირიძის დაკვირვებით, იგი მისტიკურ ცეცხლს უკავშირდება და დამახასიათებელია XI—XIII სს.-ის ქართული ხელოვნებისათვის ყველა ეს იკონოგრაფიული რედაქცია, მონაბატულობის სტილის თავისებურებებთან ერთად. მოწმობს, რომ იმდროინდელ საქართველოში, დიდად დახელოვნებული ოსტატების მიერ შესრულებულ ნაწარმოებებში, რიგი ბიზანტიურ-იკონოგრაფიული სქემების დამკვიდრებასთან ერთად, გრძელდება ადგილობრივი მხატვრული ტრადიციების განვითარება და კვლავ იჩენს თავს კავშირი ქართული ხელოვნებისათვის ახლობელ აღმოსავლეთქრისტიანულ მხატვრულ ტრადიციებთან.

ისტორიულ პირთა პორტრეტების კვლევას უკვე მიეძღვნა საგანგებო შრომები. საერო პორტრეტი ვარძიის მონაბატულობაში

ერთ-ერთი გამორჩეულია ქართულ რელიგიურ ფერწერაში. ამ თემისათვის ადგილი მუდამ ტაძრის ძირითად სივრცეშია.

ადგილობრივ მხატვრულ ტრადიციად ჩამოყალიბებული, ისტორიული პორტრეტის ამგვარი გადაწყვეტა ტაძრის მონახტულობაში განსაკუთრებული თვალსაჩინოებით გამოვლინდა თამარ მეფის ხანაში — ვარძიაში, ბეთანიაში, ყინცივისა და ბერთუბანში. აქ ეს თემა გადმოცემულია წყვილადი ან დინასტიური პორტრეტის სახით და კონქის (ვარძია) ან კონქისა და კამარის (ყინცივის, ბეთანია, ბერთუბანი) კომპოზიციასთან ერთად მონახტულობის ძირითად აქცენტად წარმოგვიდგება; მონუმენტურობით იგი ისევე გამოირჩევა, როგორც იკონოგრაფიული პროგრამის საკვანძო სცენები. საერო თემის ასეთი ხაზგასმა ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, კვლავ უნდა დაეკავშიროთ ეპოქის იმ ახალ მიდრეკილებებს, რომელთა შესახებ ზევით იყო საუბარი.

მომდევნო საუკუნეებში ისტორიული პორტრეტის მონახტულობაში კვლავ ტრადიციული ადგილი ეთმობა, თუმცა მერე ჭერ პალეოლოგოსთა, შემდეგ კი ისლამური ხე-

ლოვნების გავლენით. საგრძობლად იცვლება მისი კომპოზიციური სტრუქტურა.

ვარძის ტაძარს სამხრეთიდან ესაზღვრება მონახტული კარიბჭე, რომლის საფასადო თაღები მოგვიანებითაა აგებული. ამ მხატვრობაში ვხვდებით „ვედრებას“ აფსიდის კონქსა და „ჯვრის ამღლებას“ კამარაში, — ეს ქართული მონუმენტური მხატვრობის მყარი ტრადიციაა; „საშინელ სამსჯავროსთან“ ერთად, რომელიც ქართულ მონახტულობებში XI საუკუნიდან ჩნდება, ეს კომპოზიციები ავსებენ ტაძრის ფერწერული დეკორის პროგრამას.

ამ მონახტულობის შესრულების თარიღად თ. ვირსალაძე XIII საუკუნის დამდეგს მიიჩნევს. მართლაც, ფიგურების წაგრძელებული პროპორციები, მოძრაობათა მეტი ექსპრესიულობა, ნახატის დინამიკისა და მთლიანობაში მონახტულობის ატექტონიკურობის გაძლიერება თვალნათლივ გვიჩვენებს დეკორაციულ ტენდენციების შემდგომ განვითარებას, — XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე სწორედ ეს ხდება განმსაზღვრელი ქართული მონუმენტური მხატვრობისათვის.

დასასრული. იხ. 34 გვ.

ერთგვარი აბსტრაქტულობა ახასიათებს. ისინი ფერწერულად მეტყვევლია; მაგრამ, ჩემი აზრით, აგებს თავისი განწყებულობით, თქვენი ტილოებისთვის უცხო არ არის არც მეტაფორულობა. ამ მიდგომითაა განხორციელებული თემატური სურათები „გვა“, „მერანი“, „გალაკტიონი ნიკორწმინდაში“, სადაც ფერთა, ფორმათა, მონასმთა პლასტიკას სიმბოლური ენის ფუნქცია ეკისრება...

შ. ჩ. პეიზაჟებშიც და თემატურ კომპოზიციებშიც გავუბრუნდით სწორხაზოვნებას, ვცდილობდით გამოვცე საკუთარი დამოკიდებულება მოვლენებისადმი, რომელიც მსურს ტილოზე ფერების ენაზე აღვბეჭდო. შესაძლოა ეს

ყოველთვის მალალ დონეზე არ გამომდის, შესაძლოა ზედმეტად ვეჭევი ფერთა და მონასმთა ტყვეობაში, მაგრამ ეს მაინც ჩემი ხედვაა, თემის ჩემული გააზრება.

ლ. თ. სხვადასხვა პერიოდის თქვენი ნამუშევრები მეტყველებს თანმიმდევრულ ძიებებზე, საკუთარი ინდივიდუალობის ჩამოყალიბებაზე, ვფიქრობ, ეს თავისებურება მომავალში კიდევ უფრო თვალნათლივ და უფრო დახვეწილად გამოვლინდება თქვენს შემოქმედებაში. გისურვებთ შემდგომ წარმატებას, როგორც ფერწერის ხელოვნებაში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში, — დიდად კეთილშობილური, ეროვნული მიზნების განხორციელებაში.

ანდრეი ტარკოვსკის იღუპალება და საიღუმელოება

ლელია ალექსანდარი

დღეს 1988 წლის 1 აპრილია. რუსები ამბობენ: „დღეს პირველი აპრილია, მოტყუება ადვილია“. ამ „მატყუარა“ დღეს მივიღე წერილი, რომელშიც მარინა ტარკოვსკაია — ანდრეის და მთხოვს გაეუზიარო შთაბეჭდილებები და მოგონებები მისი ძმის შესახებ.

ანდრეიმ ერთხელ იხუმრა: „ჩემზე წიგნს რომ დაწერ, ნუ დამხატავ ვიღაც აუტანელ რეჟისორად — ტირანად. ეს სიცოცხლეშიც ბევრი მსმენია, ასეთი პორები ჩემზე განსაკუთრებით მოსკოვში დადიოდა... „საიდან აიღეთ, რომ თქვენზე წიგნის დაწერას ვაპირებ?“ — გავიკვირვე მე. „აი ნახავ, რომ დაწერ, მაშინ გამიხსენებ, ჩემი სიკვდილის შემდეგ ვინმე აუცილებლად მოინდომებს გა-

იგოს როგორი იყო ტარკოვსკისთან მუშაობა, აი ნახავ!“


ასეც გამოვიდა—ახლა მართლაც მთხოვენ დავწერო წიგნი ანდრეიზე, მასთან მუშაობაზე, მისი ცხოვრების ორ უკანასკნელ წელიწადზე.

მაშინ კი უსიამოვნო ხუმრობასავით თავიდან ვიშორებდი ამ წინასწარმეტყველურ სიტყვებს: „რას ამბობთ! თქვენ ხომ იმდენი საოცარი პროექტი გაქვთ — „ჰამლეტი“, „მფრინავი ჰოლანდიელი“, „ჰომეროსიანა“, „რულოლფ შტეინერი“, „წმინდა ანტონი“... თქვენ კი სიკვდილზე ლაპარაკობთ“...

„ოდესმე ხომ მოვკვდები“ — თავისას არ იშლიდა ანდრეი, თითქოს ჩემს რეაქციას ცდისო. „ოდესმე ყველანი მოვკვდებით“ — ვეთანხმებოდი მე და საუბარი სხვა თემაზე გადაიქონდა. მაშინ ყველაფერი ჭერ კიდევ ხუმრობა იყო...

1985 წლის შობის წინა დღეებში — სტოკჰოლმში ანდრეის ყოფნის ბოლო კვირაში, კაროლინის საავადმყოფოდან მის სახლში მივედი. ზუსტი დიაგნოზი ჭერ არ ვიცოდით, თუმცა გული რალაცას უფრო სერიოზულს გვიგონებდა, ვიდრე ბრონხიტი და ტუბერკულოზი. მაშინ მან ისევე მითხრა, სევდიანი ღიმილითა და სერიოზულად: „ოღონდ ნუ დაწერ ჩემზე, როგორც ქანდაკებაზე, როგორც „გამოჩენილ მკვდარზე“... „ჩვენგან ადრე წასულზე“... „უღროოდ რომ მიგვატოვა“... ნუ დაწერ „იგი ასეთი და ასეთი იყო,

ანდრეი ტარკოვსკი



ფრაგმენტი მოგონებათა წიგნიდან ანდრეი ტარკოვსკიზე ავტორის თხოვნით (საქართველოში გამოქვეყნების თაობაზე) ვადმოგვცა კინორეჟისორმა თენგიზ აბულაძემ.

სინამდვილეში კი სულ სხვაა“, — ამას სხვები დაწერენ. დაწერე მხოლოდ ის, რასაც შენ თავად გრძნობდი, ის, რაც მე ვიყავი შენთვის. ეცადე არ იყო ნეიტრალური!“ შემდეგ გაეცინა: „ეს შენ გაკეთილი სამომავლოდ, თუკი გსურს რამეს მიაღწიო ხელოვნებაში, თუკი გსურს კარგი კინოს კეთება ისწავლო. — უპიროვნო ნუ იქნები, ნაცვალსახელი „მე“ ნუ შეგაწინებს...“

4 პირილი ანდრეის დაბადების დღეა. მას 56 წელი შეუსრულდებოდა. იმ წელიწადს ეს დღე აღდგომას დაემთხვა. მივყვები მის დარიგებას და ვიწყებ წერას იმაზე, თუ რა იყო იგი ჩემთვის, — „ნაცვალსახელი „მე“ არ მაიწყდება. წერილის მიღებისთანავე ვურეკავ მოსკოვში მარინას, მაგრამ იგი სახლში არ მხვდება. მისი მეუღლე მოკლედ მიყვება, რომ მარინა ადგენს ანდრეისადმი მიძღვნილი წერილების კრებულს და რომ 19 მაისს ყველა მასალა გამოძიებულია „პროგრესს“ უნდა ჩააბაროს. დრო ძალიან ცოტაა. იგი მთხოვს კიდევ ერთხელ დავურეკო მარინას და მისი სახელით დავუკავშირდე ადამიანებს, რომლებსაც შვეიციაში და იტალიაში ანდრეისთან უმუშავიათ.

მეორე დღეს ფინეთში მივემგზავრები. მთელი დასავლური — კათოლიკური და პროტესტანტული — სამყარო, შვედი ტელეფონისტი ქალების ჩათვლით, აღდგომას ზეიშობს. აეროპორტში წასვლამდე ერთი საათი მრჩება. ბოლოს და ბოლოს შაბათის მეაღდგომის ხმა მპასუხობს, რომ მოსკოვთან საუბარს ერთ საათზე მეტ ხანს უნდა ველოდო. სხვა რა დამრჩენია. ველოდები და იმედი მაქვს, რომ ტაქსის მოსვლამდე დამირეკავენ. თხუთმეტი წუთის შემდეგ რეკავს ზარი და მარინას ველაპარაკები.

იგი ძლიერ აღელვებულია. დრო და დრო ხმა უქანკალებს და იგი ტირის. „უნდა ვიჩქაროთ. ვიდრე ყველაფერი წარსულს არ ჩაბარდა, დავიწყებას არ მიეცა“.

იგი მართალია, — უნდა ვიჩქაროთ! მაგრამ არა მგონია, რომ ვინმე როდისმე შეძლებს ანდრეის დავიწყებას.

შარშან, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ისევ შობის წინ, ლენინგრადელმა მწერალმა — სცენარისტმა ვლადიმერ კუნიჩმა მითხრა: „უნდა ვიჩქაროთ! თქვენ უნდა დაწეროთ ტარკოვსკიზე, ჩვენთვის, რუსებისათვის და



ანდრეი ტარკოვსკი, 1944 წ.

ყველა დანარჩენისათვისაც... თქვენ ხომ ყველაზე ახლოს იყავით მასთან. იჩქარეთ, ყველაფერი ხომ დავიწყებას ეძლევა“.

მაშინ ვუბნასუხე, რომ ის რაც მოხდა — აუტანლად მტკივნეულია, უსაზღვრო მწუხარების მომგვრელი და ძალზე ახლობელი... შესაძლოა, დრო გაეა და... „რა დრო! — ცხარობს იგი. — ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ 10 წლის შემდეგ ტკივილი გაივლის? არა! როდესაც არ უნდა დაიწყეთ წერა, ისეთივე ტკივილს იგრძნობთ. დამიჯერეთ, როგორც მწერალს“, და მე შევარაღე.

მარინა მთხოვს დავუკავშირდე სვენ ნიუკვისტს — ოპერატორს, ერლანდ იუზეფსონს — მთავარი როლის შემსრულებელს! და იანგმარ ბერგმანს, სვენიც და ერლანდიც ნიუიორკში არიან. ერთი იღებს ვუდი ალენის ფილმს, მეორე თამაშობს თეატრში, პიტერ ბრუკის „ალუბლის ბაღში“. სტოკჰოლმში მხოლოდ ბერგმანია, რომელიც დრამატულ თეატრში ო'ნილის პიესას დგამს. „ჩვენგან ყველაფერი ისე შორსაა, — ამბობს მარინა, — თქვენთვის უფრო აადვილია დაუტრეკოთ ანტონიონის და ფელინის და, გემუდარებით, რაც შეიძლება ჩქარა!“ მე ვეთანხმები, რომ აუცილებელია დაუყოვნებლივ

1 საუბარია ფილმ „მსხვერპლმწიფრის“ ოპერატორსა და მთავარი როლის შემსრულებელზე“ (რედ.).

ვიმოქმედოთ, ამასთანავე ჩემი ტაქსი ნახევარ საათში კარზე მომადგება!

მაშინვე ვურეკავ სვენს, მავიწყდება დროში განსხვავება. ვაღვიძებ მას „მგლის სათაზე“, როგორც იტყვიან შვედები, ანუ ძალიან ადრე. იგი მპირდება, რომ დაელაპარაკება ერლანდს და სტოკჰოლმში დაბრუნებულს ყველაფერს შემატყობინებს.

ანდრეის დაბადების დღე — მარინასთვის ძალიან ძვირფასი დღეა. იგი მიამბობს როგორ აღნიშნავდნენ ამ დღეს, როდესაც ერთად ცხოვრობდნენ და მერეც, როდესაც მან ცოლი ითხოვა, და ცალკე დაიწყო ცხოვრება. ისინი ახლაც აღნიშნავენ ამ დღეს და ანდრეის სულს მოიხსენიებენ.

4 აპრილი. ჰელსინკი. მივდივარ მიძინებას ტაძარში და ვთხოვ მღვდელს ანდრეის პანაშენის გადახდას. მღვდელი მიხსნის, რომ აღდგომას ამას არ აკეთებენ, მაგრამ მიცვალებულთა დღეს აუცილებლად მოიხსენიებენ „მონასა ღვთისას“ ანდრეის. „ტარკოვსკის ფილმები თუ გინახავთ-მეთქი“ — ვეკითხები. თურმე „მსხვერპლშეწირვა“ უნახავს. „დიადი სული იყო ანდრეი ტარკოვსკი, სტანჯავდა ადამიანთა ბედ... და თავადაც იტანჯებოდა!“ — ამბობს მამაო. „ამ ტაძარში ყველა ვილოცებთ მისთვის“.

შემდეგ მე და ჩემს მეგობრებს პასექის გასასინჯად გვეპატიებება და თითო-თითო წითელ კვერცხს გეჩუქნის. წასვლის წინ გვლოცავს.

არსენი ტარკოვსკი



ვანთებ სანთელს, ვფიქრობ ანდრეიზე, მარინაზე, მათ მამაზე, ანდრეის ვაჟებზე, მის ახლობლებზე, ნათესაებზე, მეგობრებზე, ყველაზე, ვისაც იგი უყვარდა, ვისაც მუდამ ეყვარება და არ დაივიწყებს.

ანდრეი გავიციანი მოსკოვში 1981 წლის ნოემბრის დღესასწაულის წინა დღეებში, მოსკოვში ტურისტად ვიყავი, ანდრეი კი იტალიაში გასამგზავრებლად ემზადებოდა. ერთმანეთს მთავარსა და მოედანზე უნდა შევხვე- დროდით. „როგორ ვიცნობთ ერთმანეთს, მე ხომ თქვენი ფოტოსურათიც კი არა მაქვს?“ — ვეკითხები. „ნუ ღელავთ, მე ვიცნობ“ — მარწმუნებს მისი ხმა. მიუხედავად იმისა, რომ მოედანზე უამრავი ხალხი ირეოდა, მეც უცებ ვიციანი ანდრეი ტარკოვსკი. მან ცოტა დაიგვიანა, რისთვისაც ბოლიში მომიხადა და კინოს სახლში დამპატივა.

შესასვლელში შევიცარამა გავგაჩერა. „დროა ცნობდეთ თქვენს რეჟისორებს“ — ცივად მიუგდო სიტყვა აღშფოთებულმა ანდრეიმ. ვიგრძენი, რომ ეუბნებოდა და არ ესიამოვნა ეს ამბავი. შევეციაში ხშირად იცინოდა ამაზე. „გახსოვს, კინოს სახლში რომ არ მიშვებდნენ“...

დიდ დარბაზში საკმაოდ ბევრი ხალხი იჯდა. ზოგიერთს მიესალმა, მაგრამ ცივად და თავშეკავებულად.

მერე მან ამიხსნა, რომ გაურთულდა საქმე ფილმთან დაკავშირებით. გაუქვიანურეს იტალიური ვიზის გაცემა და არ აძლევენ ვაჟიშვილის თან წაყვანის ნებას. „ჩვენთან პრობლემებს რა გამოიწვევს“. იგი იღიმებოდა, მაგრამ ამ ღიმილში იყო სიმწარეც, გულისწყრომაცა და იმედგაცრუებული კაცის გრძობაც.

იმ, პირველი, შეხვედრისას იგი საშინლად დალილი და დატანჯული მომეჩვენა. ჩემი მეგობრობა ანდრეისთან დაიწყო იტალიაში, რომში, „ნოსტალგის“ გადაღების დროს. იქ ჩვენ რამდენჯერმე შეხვდით ერთმანეთს.

კარგად მახსოვს პირველი რომაული შეხვედრა — 1982 წლის 21 მაისს. საშინლად ცხლოდა, ანდრეის საყვარელი მოედნის — პიაცო ნავონას კაფეში ვისხედით. უნდა ითქვას, რომ იგი საერთოდ შეყვარებული იყო იტალიაში, რომში, ტოსკანაში. იგი მაშინ ესესა იწყებდა „ნოსტალგიაზე“ მუშაობას და მშვენიერი საგაზაფხულო განწყობა ჰქონდა. მასთან ერთად იყო დონატელა ძაგლივო, რო-

მელიც იღებდა დოკუმენტურ ფილმს მის მშობლებზე იტალიაში, მის შემოქმედებაზე. ანდრეიმ მეტი მითხრა, რომ ეს ფილმები (ასეთი ფილმი სამი გადაიღეს) არავითარ მხატვრულ ღირებულებას არ წარმოადგენდა. ახლა კი, მისი სიკვდილის შემდეგ გამჭირვებულებმა სურათებს საარაკო, წარმოუდგენელი ფასები დაადეს. სიკვდილის ხარჯზე ჯიბებს ისკელებენ, სიკვდილით ვაჭრობენ!..

მამის იმ დღეს ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით: ჯადოქრობაზე. ანდრეიმ თავის იტალიელ კოლეგას ჩემი თავი წარუდგინა როგორც „L. S. stregha“ გრძნეული, ჯადოქარი. ჩემი პროტესტის პასუხად გაეკვირვებულმა მკითხა „გრძნეულების საწინააღმდეგო რა გაქვსო? განა არ იცი, რომ სიტყვა „გრძნეული“ („ведьма“) „ცოდნა“ („ведать“) ზმნისაგან წარმოსდგაო. ვინა ხარ თუ არა ნამდვილი გრძნეული — სწავლობ ასტროლოგიას. გაინტერესებს მისტიკა. სუფიზმი. კომპიუტერზე გამოთვლი ჰოროსკოპებს, ერთი სიტყვით, ნამდვილი თანამედროვე გრძნეული ხარო. „განაგებ საიდუმლოებებს!“ — იცინოდა იგი. „ნუ ღელავ, შენ თეთრი გრძნეული ხარ“. „ამისიც მადლობელი ვარ“. — ვპასუხობდი მე. „ღმერთმა შევებთან არ შეგახვედროს! — დაამატა მან, — მათ რაც შეიძლება შორს გაექციე!“

დღემდე ვერ გამიგია, ხუმრობდა თუ სერიოზულად მელაპარაკებოდა. ვფიქრობ, ერთიც იყო და მეორეც.

ფილმ „მსხვერპლშეწირვას“ თავდაპირველად „გრძნეული“ („Ведьма“) ერქვა. მაგრამ ფილმი ასეთი სათაურით უკვე არსებობდა. გარდა ამისა, არც შეედურად, არც ინგლისურად ეს სიტყვა არ წარმოდგება ზმნისაგან „ведать“, რასაც ანდრეისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

მოგვიანებით გავიგე, რომ სცენარის პირველ ვარიანტში ალექსანდერი — ფილმის გამირი, უკურნებელი სენით იყო ავად — მას კიბო ჰქონდა. ხომ ამბობენ ნამდვილი ხელოვანი წინასწარ ჰერეტს საკუთარ ბედს და ხშირად — მთელი კაცობრიობის ბედსაც!

„მსხვერპლშეწირვის“ პირველი ჩვენება თითქმის ზუსტად დაემთხვა უკრაინაში მომხდარ საზარელ ამბავს. ყველა დასავლური გაზეთი წერდა, რომ ტარკოვსკიმ წინასწარგანჭვრიტა ჩერნობილის ატომური კატასტროფა. ფილმი — ამაზეა!



„ივანეს ბავშვობა“

იტალიაში უკანასკნელად შევხვდით მაშინ. როდესაც იგი სურათის მონტაჟს ამთავრებდა. სამუშაო ბევრი ჰქონდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ კმაყოფილი იყო. რაღაცა ანცი, ბიჭური იყო მასში!..

1984-ის სექტემბერში დაიწყო ჩემი თანამშრომლობა ანდრეისთან. დარეკა ტელეფონმა, „მე ანდრეი ტარკოვსკი ვარ. შეიძლება შევხვდეთ ერთმანეთს?“ „რა თქმა უნდა, აუცილებლად, როდის?“ „თუ შეგიძლიათ, ახლავე“...

ანდრეი მაშინ ცხოვრობდა ფილმის დირექტორის კატეჯა ვარაგოს ბინაში, ერთ ციციქნა კუნძულზე „Djurgården“ — „ცხოველთა ბაი“, რომელსაც სტოკჰოლმის მარგალიტს უწოდებდნენ. და კვლავ — დაუვიწყარი შეხვედრა! ანდრეი კითხულობდა მამამისის ლექსებს. განსაკუთრებით დამამახსოვრდა „პირველი პაემანის“ პირველი სტრიქონები:

«Свиданий наших каждое мгновение
Мы праздновали, как богоявление»...

ყველი შეხვედრა ანდრეისთან იყო ერთგვარი „ღვთის გამოცხადება“ ვფიქრობ, არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველასათვის, ვინც მას იცნობდა.

მთელი საღამო ვუსმენდი ლობაროილი ხალხურ სიმღერებს — „Iojkar“. ამას სიმღერასაც ვერ უწოდებს კაცი. ესაა მწყემსთა შეძახილები, გადაძახილები, რომლებიც შამანთა შელოცვას ჰგავდა. ფილმში ისინი გაისმის მაშინ, როდესაც რაღაც აუნსნელი საფრთხის მოახლოება იგრძნობა. ჩვენ გვესმის ქალის



„სოლიდისი“

ეს ძახილი ფოსტალიონ ოტოსა და თვით ალექსანდრის „წინასწარმეტყველური გულყურის“ დრო, აგრეთვე მისი ამოკალიფისიური სიზმრის წინ.

მე არ ვიცნობ სხვა რეჟისორს, რომელიც ასე გულდასმით, ადამიანის ფსიქიკის ასეთი გრძნობითა და ცოდნით იყენებდა ხმოვან ეფექტებს. ძალიან ბევრს წერენ და ლაბარაკობენ იმაზე, თუ რა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ტარკოვსკი სინათლეს, განათებას და სამწუხაროდ, უყურადღებოდ ტოვებენ მის უნიკალურ დამოკიდებულებას ხმი-საღმში.

ანდრეის არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ზოგჯერ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ხმებსაც კი აქვთ მაცურებელზე უდიდესი, — ვი-ზუალურის ტოლფასი — ზემოქმედების ძალა.

ბროლის წკრიალი, იატაკზე გაგორებული მონეტა, ქაღალდის შრიალი, ელექტრობერხის სულის გამწვრილებელი ზუზუნი, თიხასა და დამბალ ფოთლებში ჩაფლობილი ფეხის ხმა, წყლის ჩქრიალი... — ყველაფერი ეს ფიქსირდება და არჩება მაცურებლის მეხსიერებაში. „ზოგჯერ — გამოსახულება მიყვება ხმას და ასრულებს მეორეხარისხოვან როლს და არა პირიქით. ხმა — უფრო მეტია, ვიდრე ეკრანზე მიმდინარე მოვლენების უბრალო ილუსტრაცია“.

ანდრეის უყვარდა ექსპერიმენტირება: ხშირად ჩვენ იატაკზე ვაგდებდით მონეტებს და ვუსმენდით განსხვავებას ქლერადობაში, ან კიდევ იატაკზე ვვვრდით სხვადასხვა სითხეებს — რძეს, წყალს, კოკა-კოლას და სიხარულით აღვნიშნავდით, რომ სამყაროში არაფერი ქლერს ერთნაირად!

„ისწავლე ხმების მოსმენა და გაგება, —

ხედავ, რძეს თავისი ხმა აქვს, წყალს თავისი. რა უნდა იყოს ამაზე ბუნებრივ მტკრამ ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ ამანკი-ნოში ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. იგივე წყალი ავილით, ხმების რა ამოუწურავი გა-მაა. ნამდვილი მუსიკაა. ან კიდევ მოგიზიზე ცეცხლი — ზოგჯერ ეს ნამდვილი სიმფონიაა, ზოგჯერ კი — ეული იაპონური ფლეიტა. არყის ხე და ნაძვი სხვადასხვანაირად იწვის, მათ განსხვავებული სუნი აქვთ, განსხვავებუ-ლი ხმა, ხმებს შორის ისეთივე სხვაობაა, რო-გორც ფერებს შორის“.

ვწერ ამას და ვფიქრობ, რომ არავის უსწავლებია ჩემთვის ის, რაც ანდრეიმ მასწავ-ლა. და ეს ეხება არა მარტო კინოს. მან მას-წავლა სამყაროს ახლებურად დანახვა და მო-სმენა. კასტანდის დონ ხუანიტი, რომელ-ზეც იგი აღფრთოვანებით საუბრობდა, ანდ-რეიმ თვალი ამიხილა სრულიად უბრალო და ჩვეულებრივ მოვლენებზე, რომელთა მიღმა ამდენი საიდუმლო იმალებოდა. „სისადავეზე ლამაზი და იდუმალი არაფერი არსებობს. მაგრამ როგორ უნდა მიაღწიო ამ სისადავეს? საკითხავი აი ეს არის!“

როგორც ბეჭითი მოწაფე, შესაძლებლობა მომიცემოდა თუ არა, ვთხოვდი ესწავლებინა ჩემთვის როგორ კეთდება „კარგი კინო“. მა-გრამ იგი ყოველთვის ხელებს შლიდა და ამბობდა, რომ არაფრის სწავლება არ შეუძ-ლია. „არ შეიძლება ასწავლო. არ შეიძლება თავს მოახვიო შენი გამოცდილება სხვას. ეს შეუძლებელია. მაგრამ თუ შენ კარგი მოწა-ფე ხარ, შეგიძლია ისწავლო როგორ არ უნ-და აკეთო ცუდი ფილმები. ხელოვნების შექმნა ისეთივე რამ არის, როგორც ცხოვ-რება. შეუძლებელია ვინმეს ასწავლო როგორ უნდა იცხოვროს კარგად. მაგრამ შეიძლება უკარანაო, როგორ არ იცხოვროს ცუდად. ეს შესანიშნავადაა აღწერილი ბიბლიაში. იკი-თხე ბიბლია“. და ჩვენ ხშირად ვკითხულობ-დით ბიბლიას.

სახლში ჩემი წასვლის დრო დადგა. გან-შორებისას ანდრეიმ მკითხა თავისუფალი თუ ვარ უახლოეს მომავალში და მაქვს თუ არა სამუშაო. ოქტომბრამდე თავისუფალი ვიყა-ვი. შემოდგომაზე ფრანკფურტში წვიგების გამოფენაზე მივემგზავრებოდი. მისი ამ კითხ-ვის მიზეზი მეორე დღით შევიტყვე, როდეს-საც კინოს ინსტიტუტიდან დამირეკეს და ტა-რკოვსკისთან სამუშაოდ მოსვლა მთხოვეს. შემდგომში შევნიშნე, რომ ანდრეი არასოდეს

იძლეოდა პირდაპირი შეკითხვებს. კითხვები მუდამ შენიღბული იყო და თავად უნდა მიზნდარიყო. ტარკოვსკისთან მუშაობაზე, ალბათ, ჩემს გარდა ბევრი ოცნებობდა. მაგრამ მე არ მეგონა, რომ ეს შესაძლებელი იქნებოდა, განსაკუთრებით პროლიფსერ ანა-ლენა ვიბუმთან საუბრის შემდეგ. მან გადაჭრით განაცხადა, რომ არ არის სულ მცირე შანსი, რომ ტარკოვსკის მხოლოდ მამაკაც-თარჯიმანთან სურს მუშაობა, ვინაიდან მუშაობის პირობები ქალის ძალ-ღონეს აღემატება. ფილმს გადაიღებენ ზახუტელში, თეორი ღამეების პერიოდში, ასე რომ, საჭირო იქნება დილის სამ-ოთხ საათზე ადგომა, რათა მოესწროს „magic hour“ — „მაგიური საათის“ გადაღება, რომელიც რუსულში საშინელი სიტყვა „რეჟიმი“ აღინიშნება. მოკლედ რომ ვთქვათ, მთელი „ნატურა“ „რეჟიმში“ იქნება გადაღებული და ასეთი პირობები მამაკაცისათვისაც ძნელი გასაძლევი იქნება.

კატეგორიული „შეუძლებელია“ შემდეგ ვხვდები სურათის დირექტორს და ვისმენ მის ჩვილს: „აღარ ვიცი, რა ექნათ. საუკეთესო პროფესიულ თარჯიმნებს ვიწვევთ; ის კი მათ სახლში ისტუმრებს. უხერხულიც კია. ადამიანები მოდიან, ჩვენ მათ ფულს ვუხდით, ის კი გვეუბნება, რომ მისი „შინაგანი ალქიმიური ნივთიერება“ მათთან არ მოქმედებს. იგი არ გრძნობს კონტაქტს. ჩვენ გვესმის, რომ თარჯიმანი — მისი უახლოესი თანაშემწეა, რომ იგი მას „ასი პროცენტით“ უნდა ენდოს, მაგრამ რა უნდა ექნათ, სად ვიშოვოთ ასეთი თარჯიმანი“. ძალიან გავწვალ-

დით, სრულფასოვანი მუშაობა აქამდე ვერ დაგვიწყია. მან თავად გვთხოვა: „შენთვის დაგვერეკა და ხომ ვერ დაგვიხმარებოდი?“, „რა თქმა უნდა, მაგრამ ხომ — მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ მე პროფესიული თარჯიმანი არა ვარ, ამასთანავე; ასე მოკლე ვადაში კაცად ნამდვილად ვერ ვიქცევი-მეთქი“. იგი იცინის: „მთავარია „ალქიმია“ ამოქმედდეს; გარდა ამისა, შენ ხომ „კინოს“ სწავლობდი, რაც არც ისე უმნიშვნელოა“.

ჩანდა, კატინკა ძალიან ლელავდა, რადგან უხვდებოდა განშორება ფილმისათვის ასე ძნელად ნაშოვნ ფინანსებთან, სამუშაო კი წინ არ მიიწვედა. ძნელია „ფულით დატენილ ტომარაზე“ ჯდომა ისეთი მოუთვინიერებელი რეჟისორის ხელში, როგორც ტარკოვსკია:

ასე გავიდა ერთი კვირა. ყოველ დილას მიჩრეკავდნენ და ოხრავდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ტარკოვსკიმ კვლავ სახლში გაისტუმრა მორიგი თარჯიმანი და მე დაუყოვნებლივ უნდა ვიხსნა ისინი „რთული სიტუაციიდან“. ოქტომბერში მთხოვეს გადამედო ფრანკფურტში წასვლა. ამის მაგივრად ლონდონს გავემგზავრეთ, მსახიობების შესარჩევად. ჩვენი მეგობრისა და „მგზნებარე თეატრალის“ დავიდ გოტჰარდის წყალობით ვიპოვეთ სიუზენ ფლიტველი, რომელზეც ანდრეიმ შემდგომ თქვა, რომ იგი „უაღრესად სასიამოვნო სიუბარბიზი“ იყო.

„მოსამზადებელი სეზონი“ დასასრულს უახლოვდებოდა. ანდრეისთან და მთელ ჯგუფთან ჩემი შესანიშნავი „ალქიმიური“ თანამშრომლობის მიუხედავად. გადაღების პერიო-



ანდრეი ტარკოვსკი
ფილმ „ანდრეი რუბლიოვის“
გადაღებისას

დისათვის კვლავ მამაკაცის ძებნას განაგრძობდნენ! ანდრეი დარწმუნებული იყო, რომ ქალი ამ სამუშაოს ვერ მოერეოდა! თუმცა ჯგუფში უმრავლესობა ქალები იყვნენ: პროდიუსერი ანა-ლენე ვიბუმი, სურათის დირექტორი — კატინკა ფარაგო, ასისტენტი — კერსტინ ერიკსდოტერი, მთავარი მხატვარი — ანა ასპი, კოსტიუმების მხატვარი — ინგერ პერსონი, პასუხისმგებელი რეკვიზიტზე — ნიკი ილანდერი და მრავალი სხვა...


ვფიქრობ, ჩემი რწმენა ანდრეის განუმტკიცდა მოსამზადებელი პერიოდის დასასრულს, როდესაც მივიღეთ ცნობა, რომ ფილმის გადაღება დაგეგმილ დროს არ დაიწყება. იაპონელმა პროდიუსერებმა, რაღაც ბუნდოვანი მოსაზრებებით, მოულოდნელად უარი თქვეს ფილმის დაფინანსებაში მონაწილეობის მიღებაზე.

ყველას საშინელი განწყობილება ჰქონდა, რადგან ეს ნიშნავდა იმას, რომ ფილმი „დროებით“ იხურება და რომ დროა „გავათავისუფლოთ შენობა“. ანდრეი იჭდა მაგიდასთან და წვრილ ნაკუწებად ხევდა ქალაღს. ასეთი იგი ორჯერ მინახავს: იმ დღეს, როდესაც მივიღეთ იაპონელთა ღალატის მაუწყებელი ტელექსი და მეორედ, — ხანძრის სცენის გადაღების „ჩაგარდნის“ შემდეგ, როდესაც სპეც-იფექტების შემსრულებელი ინგლისური ჯგუფის არაკომპეტენტურობის და კამერის მწყობრიდან გამოსვლის გამო ვერ გადავიღეთ ფილმის ერთ-ერთი ყველაზე

უნიკალური და ძვირფასი სცენა (მისი ხელახლა გადაღება, საბედნიეროდ, მოგვიანებით შეეძლებოდა, რომელიც კინოს ისტორიაში შევა, როგორც შესანიშნავი მაგალითი და ილუსტრაცია იმისა, რასაც ინგლისელები „Long takes“-ს უწოდებენ).

ორივე შემთხვევაში რეაქცია ერთნაირი იყო: „ეს შეუძლებელია!“ სრული უძლურების შეგრძნებისა და იმედის გაცრუების გამო ტირილი და ჩხუბი მომინდა, მაგრამ ამის მაგივრად ავიღე ჩემი უბის წიგნაკი და დავიღ გოტჰარდის ტელეფონის ნომრის აკრეფა დავიწყე, ანდრეის კი ვუთხარი, რომ რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ და რომ იაპონელებს როდისმე სანანებელი გაუხდებათ ეს საქციელი. ბოლოს და ბოლოს, ჰირსაც წაუღია ეს იაპონელები...

და ისევ დიდი მადლობა დავიღს მხარდაჭერისათვის, ერთგულებისა და ენთუზიაზმისათვის, მან დაუყოვნებლივ მიჩნია: „დარეკე მე-4 არხში ჯერემი აიზექსთან და ტარკოვსკის სახელთ მოუყევი რაც მოხდა, ახლავ დარეკე, არ დააყოვნო, ეს — მნიშვნელოვანია!“ ჯერემი აიზექსი მაშინ ინგლისის ტელევიზიის მე-4 არხის შეფი იყო. მას ბევრი ახსნა-განმარტება არ დასჭირვებია. ეს იყო მოკლე და ნაყოფიერი „საქმიანი“ სატელეფონო საუბარი: „თქვენ პრობლემები გაქვთ. რაც იმას ნიშნავს, რომ გჭირდებათ ფული. იცის თუ არა მისტერ ტარკოვსკიმ — რამდენი?.. სამწუხაროდ არ იცის... კარგი, ენახათ რისი



„ანდრეი რუბლიოვის“ გადაღებისას

გაკეთება შეგვიძლია. გადაეცით ჩემი საუკეთესო სურვილები მისტერ ტარკოვსკის“.

„ესეც მე-4 არხი. ესეც ჭერები აიზექსი. ბარაქალა, აი მესმის, ეფექტურობა!“ — ამბობდა შემდგომში ანდრეი და ეს ამბავი მაგალითად მოყავდა. ჭერები აიზექსის მეუღლე აქტიურად მონაწილეობდა ტარკოვსკების ოჯახის გაერთიანების კომიტეტში.

ამ ზარის შემდეგ ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ. ანდრეიმ კი „პირადი პროდიუსერი“ მიწოდა და შემაქო სიუოჩაღისთვის. მაგრამ კინოში ზომ ასეც უნდა იყოს: ყველა ყველაფერზე უნდა ზრუნავდეს და არა მხოლოდ „საკუთარზე“. არ შეიძლება ფილმის პაწიანაკუწებად დანაწევრება. უზადო უნდა იყო შენს საქმეში. მაგრამ მთელიც არ უნდა დაივიწყო. კინოში მუშაობას ყველაზე მეტად უხდება: „ყველა — ერთისათვის, ერთი — ყველასათვის“.

იმ საღამოს ვიქეიფეთ და ანდრეიმ მითხრა, რომ ახლა ბოლომდე მენდობა. ამ ნდობისა და ქებისაგან ასე მეგონა, ფრთები მეზარდებოდა და ფრენა მინდოდა!

დილაობით ანდრეის ჩვეულებად ჰქონდა რაიმე ეკითხა „მნათობებზე“. „აბა, რა ხდება დღეს ცაზე? სად არის მთვარე? რას გვიშადლებს მომავალი დღე?“ თუმცა, არ სურდა, ეშინოდა კიდევ რაიმე შეეცყო თავის მომავალზე: ჩვენ ორივეს თევზების თანავარსკვლავედში მთვარე გვაქვს, რითაც აიხსნება ამ თანავარსკვლავედზე დაბადებულ ადამიანთა ძლიერ განვითარებული წინათგრძნობა, მდიდარი ფანტაზია და წინასწარმეტყველური სიზმრები. ანდრეი კი ასე ხსნიდა ჩვენს ნიშანს: ჩვენ, თევზების სიმბოლოსავით ორად ვიხლიჩებით, გესურს ყველგან მოვასწროთ, ყველა მიმართულებით გავცუროთ და ზშირად ადგილზე ვდგავართ, რადგან საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ცხოვრებაში ყველაზე რთული რამაა. როგორც თევზები ჩვენ უფრო მეტს ვგრძნობთ, ვიდრე სიტყვებით გამოვთქვამთ.

ზოგჯერ იგი მეუბნებოდა: „ნუთუ არ გეშინია? ასეთი საიდუმლოებისათვის ფარდის ახდა ზომ დიდი ცოდვაა. რატომ გინდა მომავლის ცოდნა?“ მე ვცდილობდი ამეხსნა, რომ ჩემი გატაცება ასტროლოგიით და სხვა ოკულტური ფენომენებით სულაც არ ნიშნავს, რომ მომავალში ჩახედვა მსურს. მე მინდა გა-



„ანდრეი რუბლიოვი“

ვიგო რა ხდება ჩემში, რა განაპირობებს ჩემს საქციელს, ქცევას. თუკი მე, ბუნების თქმისა არ იყოს (ჩვენ ორივენი ვალმერთებდით ბუნინს), ბუნების ნაწილი ვარ, მაშინ მე უნდა გამოვეჩხმაურო ყველაფერს, რაც მასში ხდება. ცხოვრება კი, რა ფორმითაც არ უნდა მივიღოთ: იგი, ამ პლანეტის მიღმა არსებობს. ამასთანავე, ასტროლოგია დამეჩხმარა უფრო ტოლერანტული გავმხდარიყავი ადამიანების მიმართ.

ანდრეი ყოველთვის ყურადღებით მისმენდა, ეთანხმებოდა ჩემს განმარტებებს, მაგრამ მაინც წინააღმდეგი იყო იმისა, რომ ადამიანები მომავალში იხედებოდნენ. „სიზმრებზე რაღას იტყვი? — არ ვცხბრბოდი მე, — თქვენ ზომ თავად ამბობთ, რომ სიზმრები ზშირად აგხდენიათ“. „სიზმრები სულ სხვა რამაა. სიზმრები — ნამდვილი გამოცანაა... ადამიანის ნახევარი ცხოვრების საიდუმლო. წარმოგიდგენიათ — ცხოვრების ნახევარი მძინავს, ხოლო როდესაც ვიღვიძებ, კინოს გადასაღებად გავგრივარ. აბსურდია!“

მასში ბევრი რამ იყო წინააღმდეგობრივი. ერთის მხრივ, როგორც არავის, აინტერესებდა სიცოცხლისა და სიკვდილის პრობლემება, ღმერთის პრობლემები, ანტროპოსოფია, პარაფსიქოლოგია (მძიმე ავადმყოფობისას ანდრეიმ ერთი თვე გერმანიის ანტროფოსოფიურ კლინიკაში გაატარა), მეორეს მხრივ კ



„სარკე“

ბევრის ცოდნა არასწორად მიაჩნდა, თვლიდა, რომ ცოდნაში არის რაღაც დამლუპველი, ცოდვიანი, აღამიანმა ღმერთის საიდუმლოებებში „ცხვირი არ უნდა ჩაყოს!“ — ამბობდა იგი.

მინდა მოვითხროთ ერთ სიზმარზე, რომელიც წარმოგვიდგენს ანდრეის, როგორც დიდ მხატვარს — წინასწარმეტყველს, საოცარ რეჟისორს, რომელსაც ხელუწიფებოდა საკუთარი სიზმრების სინამდვილეში, ეკრანზე გადატანა.

ზაფხულის ერთ კვირა დღეს დამირეკა ანდრეიმ და მითხრა, რომ ხვალ გვექნება უაღრესად საინტერესო კონფრონტაცია პროდიუსერთან. მან ნახა სიზმარი და სურს მისი გადაღება. უნდა „შევიარაღდეთ“, მოვიკრიბოთ მოთმინება და ანა-ლენას როგორმე „ჭიბეზე ხელი გავაკვრევინოთ“.

სიზმარში მან ნახა თავისი თავი, დივანზე მწოლიარე, მკვდარი. ოთახში უამრავი ხალხი შემოდოდა და მუხლებზე დგებოდა. მან ნახა დედამისი სარკეში, თეთრად მოსილი, როგორც ანგელოზი. შემდეგ მან ნახა „პირდაპირ ფრეიდიანური“ სცენა: შიშველი გოგონა დასდევდა მამლებს. ყველაფერი იყო „როგორც კინოში“. შენელებული მოძრაობით. კიდევ მან ნახა მის ფერხთია მჯღომი ქალი. მან იფიქრა, რომ ეს მისი ცოლია, მაგრამ როდესაც ქალი მოტრიალდა, მას სხვა სახე ჰქონდა.

მრავალი გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი სირთულის მიუხედავად, ანდრეიმ დაითანხმა „ეკონომიკური განყოფილება“. სცენა გადაღებულ იქნა! ფულის დასაზოგად მთელი ჭკუფი ერთი დღით მსახიობებად იქცა. მონტაჟის დროს ანდრეიმ ფილმის

საბოლოო ვარიანტში სცენის მხოლოდ ნაწილი შეიტანა. მაგრამ იგი საინტერესოა იმით, რომ „ერთ კალრად“ გადაღებულნი ვინაობის უაღრესად საინტერესო სანაწილიანია, „სონატური“ ფორმით. ოდესღაც სტრინდბერგმა თავის კამერულ პიესებს „უქანასკნელი სონატები“ უწოდა. „აჩრდილთა სონატის“ შესაქმნელად მან გამოიყენა ბეთოვენის საფორტეპიანო სონატა რე-მინორი, ოპ. 31, სამ ნაწილად. როდესაც პირველად ვნახე სიზმრის სცენა, თავში გამიელვა შედარებამ: „შუქის სონატა“, ტარკოვსკი-ნიუვეისტის „სინათლის სონატა“. იგი იწყება ერთი განათებით. „დღის“ ტემპით. გადაღის მეორეში — ღამის შუქზე და უბრუნდება მესამეს — „დღის“ შუქ-ტემპოს. სრული სახით ამ ეპიზოდის ნახვა შეიძლება დოკუმენტურ ფილმში „რეჟისურა — ტარკოვსკი“, რომელიც ანდრეის თანაშემწემ მონტაჟის დარგში — მიხალ ლეშელოვსკიმ გადაიღო.

როდესაც გერმანული ტელევიზიის პროდიუსერმა ებო დემანტმა (მის დოკუმენტურ ფილმს ტარკოვსკიზე ეწოდება „დაკარგული დროის ძიებაში“) ნახა ეს „სიზმარი“. მან თქვა: „ეს ხომ ყველაზე უნიკალური, ფატალისტური სცენაა მთელს ფილმში! აქ ხომ მან საკუთარი ბედი იწინასწარმეტყველა“.

ახლა ამბობენ, რომ ტარკოვსკიმ იცოდა სასიკვდილოდ განწირული რომ იყო, მაგრამ ეს ტყუილია. ანდრეიმ ეს შეიტყო 85-ის დეკემბერში, სიკვდილამდე ზუსტად ერთი წლით ადრე. მაგრამ როგორ შეიძლება ავსხნათ შემდეგი ფაქტი? — „მსხვერპლშეწირავში“, აპოკალიფსისის სცენაში — კამერა იმყოფებოდა სულ რამდენიმე მეტრში იმ ადგილიდან, სადაც ეჭვისი თვის შემდეგ მოკვლის შეცეის პრემიერ-მინისტრი ულოფ პალმე.

ინგმარ ბერგმანი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „Laterna magica“ წერს, რომ როდესაც ფილმი დოკუმენტი არ არის, ეს — სიზმარია. ამიტომ ტარკოვსკი დიადებს შორის უღიადესია. იგი სრულიად თავისუფლად მოძრაობს სიზმართა სივრცეში. შემდეგ იგი წერს, რომ ტარკოვსკის ძალუქს თავისი სიზმრების ინსცენირება ხელოვნების ყველაზე

* მ. ლეშელოვსკის ფილმის პრემიერა ინგლისის ტელევიზიით შედგა 1989 წლის ზაფხულში. ყურანლის ამავე ნომერში მოთხველებს ეთავაზობთ გახეთ „მორინე სთარის“ კორესპონდენტის რეკენზიას ამ ფილმზე (რედ.).

რთულ და ამავ დროს ყველაზე თვინიერ: სახეობაში. „მე მთელი ცხოვრება ვუბრაბუნებდი იმ ოთახების კარებს, რომლებშიც იგი სრულიად მსუბუქად მოძრაობს“. სხვაგან ბერგმანი ამბობს, რომ ტარკოვსკიმ შექმნა: კინოს „ახალი ენა“, როგორც ცხოვრების ანარეკლი, სიზმრების ანარეკლი.

როდესაც ვფიქრობ რა განასხვავებს ტარკოვსკის ფილმებს სხვა დანარჩენთა ფილმებისაგან. რა გამოარჩევს მას, როგორც რეჟისორს — ერთ დასკვნამდე მივდივარ: მისი უნარი შეასხას ხორცი სიზმრებს ფილმებში: „დაგვისიზმრებათ ყველაფერი, რაც მე სიზმარში ვიხილე“... და ჩვენც მის სიზმრებს ვუყურებთ.

რით განსხვავდება სხვებისაგან? თავისი გულგახსნილობით, ყველაზე იდუმალის, თავისი ოცნებების, ფანტაზიების, საკუთარი სამყაროს გაზიარების სურვილით. იგი გულწრფელი და პატიოსანია თავის ხელოვნებაში; თავის მოწოდებაში. „ბრძენთა“ პრობლემებს იგი ბავშვური მიმდობლობით ეხება. მის არ ეშინია დასვას კითხვები, რომლებზეც პასუხის გაცემა ადამიანს არ ძალუძს. მაგრამ ეს კითხვები უნდა დაისვას. იგი განაიარაღებს თავისი გულახდილობითა და სითამამით. ბევრი რეჟისორი კინოს იყენებს იმისთვის, რომ საკუთარ თავს დაემალოს, ამიტომაც მათ არ უპყრიათ ხელთ მაყურებელთა სულების გასაღები.

„ის უნდა იყოს, რაც ხარ, უნდა გეყოს გამბედაობა თქვა — ეს მე ვარ, აი, ასეთი ვარ. ეს არ არის ადვილი, ჩვენ ყველას გვსურს თავი მოვაწონოთ“. ასეთი იყო მისი, როგორც მხატვრის კრედიტო. კიდევ იგი ზშირად ამბობდა: „ნურასდროს ნუ იღებ ბუნების ასლს. მხატვარი თვით შემოქმედს უნდა ემსგავსებოდეს. თავად უნდა ქმნიდეს“.

ზშირად მეკითხებიან როგორ მუშაობდა ანდრეი მსახიობებთან? ბევრი თვლის, რომ იგი ოპერატორთან მუშაობას ამჯობინებდა. შესაძლოა იგი მსახიობებთან ტრადიციული მეთოდით არ მუშაობდა, მაგრამ მისი მათდამი ნდობა, ვაგება, სიფაქიზე და სიყვარული მრგვალ მაგიდასთან ტრადიციულ მუშაობაზე მეტად ფასობს.

ანდრეის არაერთხელ უთქვამს, რომ კინო — საიდუმლოებაა. საიდუმლოებაა თვით რეჟისორისთვის. შედეგი, დასრულებული ფილმი ყოველთვის საიდუმლო უნდა იყოს რეჟისორისათვის. „სხვაგვარად საინტერესო არ



„სარკე“

იქნებოდა“. „კინო ცხოვრებასავით, სიყვარულივითაა. ცხოვრება კი სასწაულთა შორის უბირველესი სასწაულია, იგი საიდუმლოებებით აღსავსე იდუმალეებაა. ჩვენ ვერ ავხსნივ: რატომ ვცხოვრობთ, რატომ გვიყვარს? ზოგჯერ შეგვიძლია ავხსნათ რატომ გვძულს, მაგრამ რატომ გვიყვარს — არ ვიცით, ოღონდ ამის გარეშე ცხოვრება შეუძლებელი იქნებოდა. სიყვარული ზეგარდმო მომადლებული ნიჭია“.

ანდრეი უნიკალური იყო იმ თვალსაზრისით, რომ არ ერიდებოდა გულახდილ საუბარს ისეთ ცნებებზე, როგორცაა სიყვარული, სიძულვილი, ეჭვიანობა, სასწაული, სიკვდილი. დასავლეთში, განსაკუთრებით ინგლისელებს შორის ამაზე ლაპარაკი ცუდ ტონად ითვლება. აი, ამინდზე, ახალ შენაძენზე ისინი სიამოვნებით საუბრობენ!

„სტალიკერი“






„ნოსტალგია“

მსახიობებსა და ანდრეის შორის რალაც მოუხელთებელი კონტაქტი არსებობდა, იგი „უხილავი სადავეებით“ წარმართავდა მათ თამაშს. ერთმანეთის ენის არცოდნა ხელს კი არ უშლიდათ, პირიქით, ეხმარებოდით კიდევ მათ. ხშირად მსახიობებს იმედი აქვთ საკუთარი ტექნიკისა, რომელიც იშვიათად დალატობთ. ანდრეისთან ასეთი რამ არ გადიოდა. ანდრეისთან საკირო იყო მეექვსე გრძნობა, ერთგვარი ექსტრასენსობა. მუშაობამ ბოლომდე უნდა გაგიტაცოს, არა და სხვა რევისორი ეძებე.

„მსხვერპლშეწირვაში“, საბედნიეროდ, არ გვქონია ბაბილონის გოდოლის სიტუაცია. მაგრამ გადასაღებ მოედანზე. შეედურისა და რუსულის გარდა გაიგონებდით ინგლისურს, ფრანგულს, იტალიურს და ისლანდიურსაც



ფილმ „ნოსტალგისა“ გადაღებისას

კი. მიუხედავად ამისა „ენობრივი“ პრობლემები არ გვქონდა. ანდრეის არც სურდა მსახიობებთან ბევრი ლაპარაკი. იგი ცდილობდა აეძულებინა ისინი მისი ქვეცნობიერებისათვის. ინსტინქტებისათვის დაეგდოთ ყური, აიძულებდა ეგრძნოთ! მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იცოდა თუ არა მსახიობმა თუ „რით ისაუზმა“ მისმა პერსონაჟმა. „მსახიობი, უპირველეს ყოვლისა. „ყოველის შემწოვი ღრუბელი“ უნდა იყოს“ — ამბობდა იგი.

რამდენიმე საინტერესო შემთხვევა გვქონდა ინგლისელ მსახიობ სიუზენ ფლიტუდთან, რომელმაც ალექსანდრის მეუღლის — ადელაიდას როლი შეასრულა. როლი ძალზე რთული იყო და შემთხვევითი არ არის, რომ მას სურდა კონკრეტული პასუხები „დაეცანცლა“ ანდრეისათვის, რომელიც მას „ჩვენს ინტელექტუალს“ ეძახდა. სიუზანს ჰქონდა შესანიშნავი, „სწორუპოვარი“ ინგლისური თეატრალური სკოლა. ანდრეიმ ყოველთვის წინასწარ იცოდა ვის რა პრობლემა აწუხებდა. „მე ვხედავ სიუზანი ინტელექტუალურ კითხვას“ მიმზადებს. უთხარი, რომ შეწყვიტოს ინტელექტის საშუალებით როლის ინტერპრეტირება. იგი უნდა გრძნობდეს — მეტი არაფერი.“

მას არაერთხელ უთქვამს: „მე, მწერალმა. ამვე დროს — მიმაკაცმა შევთხზი ადელაიდა. შენ მსახიობი ხარ და ამასთანავე — ქალი. შენ უკეთ იცი რას გრძნობს იგი. მე შენ გენდობი. გიყვარ ხომ არა ვარ. განა ჩაგიგდებდი მას ხელში, ერთი წუთითაც რომ მეპარებოდეს ეკვი? ვიცი, რომ შენ მას არ და-

ლუპავ“, ვეიქრობ. მსახიობისთვის ყველაზე დიდი კომპლიმენტია, როდესაც რეჟისორს სჯერა მისი. „უთხარი, რომ მე მათ 110%-ით ვენდობი, მაგრამ მაინც ველოდები, რომ გა- მავეიწვებენ!“

ალბათ ამიტომაც მსახიობთა შერჩევის პროცესი ანდრეისათვის და გარშემომყოფთათვის ესოდენ რთული და ზოგჯერ მტკივნეული იყო. გადავავალე რთულ სხვადასხვა ქვეყნის მსახიობთა ათასობით ფოტოსურათს, რამდენიმე ათეულს პირადად შევხვდით, ფილმში კი მხოლოდ 7 მსახიობი და ერთი ბიჭია.

რაც შეეხება ალექსანდერს, მასთან არავითარი პრობლემები არ გვქონია. ანდრეი ამ როლს საგანგებოდ ერლანდ იუზეფსონოსათვის წერდა. იგივე ითქმის ფოსტალიონ ოტოზე აღ- ან ედვალის შესრულებით. ეს როლი მისი იყო. მოახლე ქალის — იულიას როლზე ან- დრეის სურდა მოეწვია პერნილა ოსტერგრენი — შესანიშნავი ახალგაზრდა შვედი მსახი- ობი, მაგრამ იგი ბავშვს ელოდებოდა და გა- დაღება ვერ შეძლო. მარია მან მაშინვე აირ- ჩია ფოტოსურათით. ეს იყო გულრუნ გისლა- დოტერი — ისლანდიელი მსახიობი, რომე- ლიც პირველად მონაწილეობდა კინოში. მა- რტა ჩვენ ვიპოვეთ მაყურებელთა დარბაზში, აღ- ან ედვალის ფილმის პრემიერის დროს. კე- რსტინ ერიკსდოტერმა მაშინვე მიაქცია მას ყურადღება და თქვა, რომ იგი ფაიფურის პატარა ქანდაკებას გაეს. ასე იქცა ფილიპ ფრანზენი (რომელიც ლეონარდო და ვინჩის „Ginerva de Benci“-ის უფრო გავდა, ვიდ- რე ფაიფურის ქანდაკებას) ტარკოსკის მსა-



„მსხვერპლშეწილია“

ხიობად. ყველაზე რთული იყო მსახიობების შერჩევა ექიმისა და ადელიდას როლებზე. ექიმის როლზე ანდრეის სურდა დრამატული თეატრის მსახიობის — სტელან სკარსგორ- დის „მოპოვება“, მაგრამ თეატრმა არ გამო- უშვა იგი. თითქმის უკანასკნელ დღეს ანდრეიმ დაინახა სვენ ვოლტერი და ძიებაც დასრულდა. იმ დღესვე მან საბოლოოდ გა- დაწვევტა, რომ სიუჟენ ფლიტველი იქნება ადელიადა, ხოლო ფრანგი მსახიობი ვალერი მერესი — იულია. პატარა ბიჭის ძიებებზე კი მთელი წიგნის დაწერა შეიძლება!

„ჩემსა და თქვენს შორის უნდა იყოს საი- დუმლო. თქვენთვის ყველაფერი არ უნდა იყოს ნათელი“. — ეუბნებოდა იგი მსახი- ობებს. „თქვენ უნდა იმყოფებოდეთ გაუგებ- რობის სიტუაციაში, ყველაფერი მოულოდ- ნელი, გაუთვალისწინებელი, საინტერესო უნდა იყოს. თქვენ შეეყვარებულევიით უნდა



ფილმ „მსხვერპლშეწილის“ გადაამ- ლები ჭგუფი: ანდრეი ტარკოსკი, სიუჟენ ფლიტველი, სვენ ნიუკვისტი, ერლანდ იუზეფსონი



„მსხვერპლშეწირვა“

იყოთ“. ხშირად იგი ამბობდა, რომ წინააღმდეგია მსახობებმა რომ სცენარი წაიკითხოთ. „როგორ შეგიძლია გულწრფელად თამაში, თუკი პირველივე სცენიდან იცი, რომ უკანასკნელში მოკვდები? ე. ი. ის, რაც პირველად უკანასკნელ სცენებს შორის ხდება, ტყუილია?“

ზოგიერთ პრეს-კონფერენციასა და ინტერვიუში ანდრეი აცხადებდა, რომ კინოს გადაღება — მოსაწყენია. ვფიქრობ, ნაწილობრივ, იგი აქეზებდა ჟურნალისტებსა და კრიტიკოსებს, რომლებსაც არ ენდობოდა. იგი ამბობდა, რომ ყველაზე მეტად უყვარს ფილმების შეთხზვა, მიზანსცენების მოფიქრება, ნატურის შესარჩევად სიარული. მაგრამ გადაღების დრო რომ ახლოვდება, მას უნდა იქცეს მებაღედ და სადმე, ტოსკანიელ გლეხებთან ერთად დარგოს ყვავილები. ჩვეულებრივ მოყვანა ანალოგია მკერავთან. რეჟისორი მკერავს ჰგავს. უაღრესად საინტერესოა ახალი კაბის ფანტაზირება: „უჩვეულო „ფასონის“ მოფიქრება, მისი ხატვა, ფერისა და ქსოვილის შერჩევა, ქულის, ხელთათმანების, ფესხამელების, გულსაბნევების, ყვავილები და მზადდება... მაგრამ ღილების დაკერება, კალთის შემოტეხა, გახამება და დაუთოვება — ძალზე მოსაწყენია. ანდრეი გადაღების პროცესს ღილების დაკერებას ადარებდა. თუმცა არ იყო დღე, რომ მას რაიმე ახალი არ მოეგონებინა.

ბავშვობაში ძალიან უნდოდა ბაზი გამხდარიყო. მოგვიანებით, როდესაც მიხვდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, მოისურვა ღირიფორობა და მხოლოდ ამის შემდეგ — რეჟისორობა. მაგრამ გადაღების დროს ყველაზე მეტად

მებაღეობა უნდოდა, თუნდაც ერთი წელი. ნახევარი წლის შემდეგ იგი ისევ კინოს გადაღებად გაიქცეოდა.

ანდრეი უზომოდ შეყვარებული იყო კინოში. ეს იყო მისი ყველაზე უკურნებელი სენი. კინოს გადაღება, რეჟისორობა არ იყო მისთვის მხოლოდ სამუშაო. პროფესია. ეს იყო მისი ცხოვრება.

ჩემი უკანასკნელი ორი შეხვედრა ანდრეისთან მოხდა პარიზში. პირველად ზამთარში; სვენ ნიუჯისტთან და ანა-ლენა ვიბუმთა ერთად ჩამოვედი. ანდრეი ძლივს დგებოდა ლოგინიდან. ჩვენ მას „მსხვერპლშეწირვის“ დასრულებული ვერსია ჩამოვუტანეთ.

როგორც კი ვიდეოკასეტა დატრიალდა და ეკრანზე გამოსახულება გამოჩნდა, ანდრეი: გამოტოვებულა, სარეცელზე მიჯაჭვული ავადმყოფი იქნა ყველასათვის ნაცნობ „მოუთვინიერებელ“ ტარკოვსკიდ, რომელიც უამრავ მითითებას, ახალ დავალებებს, რჩევებსა და დარიგებებს იძლეოდა.

ჩვენს შეხვედრას ფრანგი რეჟისორ-დოკუმენტალისტი კრის მარკერი იღებდა. მაინტერესებს, შეძლო თუ არა მან ამ უნიკალურ ფერისცვალების აღბეჭდვა, როდესაც საკუთარი შემოქმედებით გატაცება და საქმის სიყვარული სასიკვდილოდ განწირულ ავადმყოფს შთაგონებულ, ოპტიმიზმით, რწმენითა და ჩანალი სულით აღსავსე შემოქმედად აქცევს! ანდრეის თავზე ყვავილებით მოჩითული თავსაკრავი ჰქონდა წაკრული: „ასე ზღვის ყაჩაღს ვგავარო — ხუმრობდა იგი. იგი მართლაც „განძთა კუნძულის“ მაძიებელ ზღვის ყაჩაღს გავდა. ეს განძთა კუნძული მისთვის იყო ფილმი. ანდრეიმ დაუძახა თავის ვაჟს ანდრეიუსს, ლოგინზე გვერდით მოისვა და ვიღრე ფილმს ვუყურებდით, მისი ხელი ეპირა.

ანდრეიუსა ამ ფილმს პირველად უყურებდა. უცნაური და გულსატკენი სანახავეები იყვნენ მამა-შვილი აქ... უცხო ქვეყანაში... ანდრეიუსს ერთი სიტყვაც არ ესმოდა, მაგრამ ფრინველივით გაჩინდული. ყურადღებით ადევნებდა თვალს ეკრანს. იგრძნობოდა, რომ ორივე ლელავდა, ჩვენც ვლელავდით. ეს იყო ამადღელებელი სცენა, როდესაც მამა — ფილმის შემქმნელი ჩუქნიდა თავის სულიერ ქმნილებას ვაჟს, რომელსაც ეს ქმნილება უძღვნა.

წარმოვიდგინე, რომ სწორედ ასე ისხდნენ სევდიან და მწუხარებით აღსავსე სოკრატეს

მოწაფეები მასწავლებლის გარშემო იმ დროს, როდესაც იგი განაგრძობდა თავის ფილოსოფიურ მსჯელობას სიკეთისა და სათნოების უმაღლეს ეთიკურ ცნებებზე, აბსოლუტურ შემეცნებასა და ადამიანის საუკეთესო საწყისისადმი რწმენაზე და მხოლოდ ანაზღაურებულ შინაგანად ხოლოდ ორგანიზმში შესმის მიაქმედებით გამოწვეულ შეგრძნებას...

უკანასკნელად ანდრეი 1986 წლის 19 მარტს ვნახე. იგი სრულიად ჯანმრთელად გამოიყურებოდა, ისე, რომ ხანმოკლე გასერიანება კი გავებდეთ. ანდრეი თავად მოვიდა ფრანგი პროდიუსერის ანატოლ დომას მიერ მოწყობილ ფილმის გასინჯვაზე. მომეჩვენა, რომ კმაყოფილი იყო. ყველანი ვხუმრობდით, ხმაძალა ვლაპარაკობდით. ანდრეი იხსენებდა გოტლანდს, თვლიდა, რომ მიუხედავად სირთულეებისა და ზოგიერთი წარუმატებლობისა, აქ ბედნიერად და უზრუნველად გაატარა დრო. მას ძალიან უნდოდა ეჩვენებინა ანდრეი შესათვის ეს „მაგიური კუნძული“. „ხედავ, რა ვაჟი მყავს, — ამაყად ამბობდა იგი. — მან აუცილებლად უნდა ნახოს შეეცა, განსაკუთრებით გოტლანდი და კიდევ — ელისიორი — ჰამლეტის სამშობლო“.

ყველა ხალხს თავისი ცრურწმენა აქვს. რუსეთში, მაგალითად, თვლიან, რომ კარის ზღურბლზე გამომშვიდობება ავის მომასწავებელი ნიშანია, ზღურბლთან გამომშვიდობებისას ჩვენ ერთდროულად წარმოვთქვით ეს და მერე დიდხანს ვიცინოდით: „სოფლის დედაბრებავითა ვართ... კიდევ შევხვდებით... სხვა დროს... ჩვენ ხომ ცრუმორწმუნეები არა ვართ...“ „რა თქმა უნდა შევხვდებით“, — ვუბასუხებ, თუმცა საოცარმა სევდამ შემოპყრო.

უკანასკნელად ანდრეის გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე ველაპარაკე. დამირეკა მისმა მეგობარმა და მოკითხვასთან ერთად გადმომცა იმ კლინიკის ტელეფონის ნომერი, სადაც ანდრეი იწვა. ადრიაინ დილა იყო, საბედნიეროდ ექთანმა გამოიჩინა ყურადღება და წავიდა პალატაში, რომ ტელეფონით დაეკავშირებინა იგი ჩემთან. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე უცნაური, ტრაგიკული და სევდიანი საუბარი, ამავე დროს — ყველაზე პირადული.

მისი ხმა ძნელი საცნობი იყო, მხოლოდ საუბრის მანერა დაჩა იგივე. მან მითხრა, რომ უჭირს კონცენტრირება, კარგავს კავში-

რებს, რომ ყველაფერი როგორც სიზმარშია. მინდოდა რაღაც კარგი მეთქვა, მაგრამ სიტყვები უაზრო და არასაპირო მეჩვენებოდა. „გახსოვთ, როგორ ვიპოვეთ გოტლანდი მარწყვის მდელში...“ „იქნებ ის, რომელიც ბერგმანმა იპოვა?...“ „შენ კითხე მას...“ „ქვებს თუ ინახავ?...“ — ვგრძობოდა, რომ იგი შარშანდელ უზრუნველ ზაფხულს უდიდოდ. „ჩამოდი... ნახვამდის...“ — იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

როდესაც ვფიქრობ სიტყვა „ენტუზიაზმის“ („enthousiasmos“) მნიშვნელობაზე, რაც ბერძნულად „ღვთით შთაგონებულს“ ნიშნავს, თვალწინ ანდრეი წარმომიდგება. ფილმის შექმნისას იგი „ღვთით შთაგონებული“ იყო. წმინდა ნიქს იგი „მსხვერპლად“ „სწიავდა“ თავის მკაუთრებელს.

ბედმა წილად მარტუნა ვყოფილიყავი დიდი მხატვრის, გენიოსის გვერდით. სამარადისო მადლობასა და სიყვარულს ვუძღვნი ამ დიდ ოსტატს — ანდრეი ტარკოვსკის.

პარილი, 1988. სტოკჰოლმი.
თარგმნა მ. კარმისელიძემ.

„მორინგ სთარ“, 1989 წ. 14 ივლისი.

სოტბა დიდ რემისორს

შალრისად რთულია ღირსეული პატივი მიაგო მათ, ვინც დიდ პიროვნებებად არიან მიჩნეულნი.

პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის დაწვრილებითი განხილვა ერთ-ერთი მეთოდია. სხვა გზაა — შეეცადო გაიგო თუ ვინ იყო ეს პიროვნება და რისთვის იღვწოდა.

მიუეჭრძობებელ დაკვირვებას, ჩვეულებრივ, ობიექტურობისაკენ მივსავართ. მაგრამ ყოველთვის არა. პიროვნებისა და მისი საქციელთა მოტივაციების ახსნის ცდა სუბიექტურობასთან კონფლიქტშიც კი შეიძლება შევიდეს. მაგრამ ყოველთვის არა.

როდესაც მიხალ ლეშელოვსკი თავის დოკუმენტურ ფილმში ანდრეი ტარკოვსკიზე საუბრობს, იგი გაუბრბის მშრალ ბიოგრაფიულ მეთოდს და მგზნებარედ ასხამს ნოტბას რეჟისორს, რაც სიყვარულზე და საყოველთაო აღფრთოვანებაზე მეტყველებს.

1986 წელს, როდესაც ტარკოვსკი გარდაიცვალა, ფართო საზოგადოებრიობამ ცოტა

რამ იცოდა მის შესახებ. მხოლოდ ის, რაც მან თავის ფილმებში და ლექციებზე თქვა.

ტარკოვსკი ზედმეორებით ინდივიდუალური აღამაინი იყო. გონიერსა და უაღრესად ნიჭიერს; გულწრფელად სჯეროდა ხელოვნების იდეისა, როგორც ღრმად სულიერი მოწოდებისა.

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მან განაცხადა: „თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ მორალური პრობლემები და ეთიკური ურთიერთდამოკიდებულებები მოდაში აღარ არის. მათ უკანა პლანზე გადაინაცვლეს და მცირე ყურადღებას იმსახურებენ“. „ბევრი პროდიუსერი გაუბრუნის საავტორო ფილმებს, რადგანაც ისინი კინოში ხელოვნებას კი არა, ფულის კეთების საშუალებას ხედავენ. ცელულოიდის ფირი „საქონლად“ იქცევა“.

თავის ბოლო ფილმ „მსხვერპლშეწირვაზე“ საუბრისას მან თქვა, რომ ეს სურათი „კომერციული კინოს უარყოფა იყო“.

„ჩემი ფილმი არ არის გამიზნული იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროს ანდა უარყოს კონკრეტული იდეები. არც იმისათვის, რომ დაიკვას ცხოვრების ესა თუ ის წესი“.

„მსურდა მხოლოდ დამესვა ისეთი კითხვები და წამომეჭრა ისეთი პრობლემები, რომლებიც პირდაპირ ჩვენი ცხოვრების გულს სწვდებიან და ამგვარად აუდიტორია ჩვენი არსებობის მთვლემარე, ხრიკ კასპარეზზე გადაწყევანა“. „ფილმები, ვიზუალური ხატები გაცილებით უკეთ აღწევენ ამ მიზანს, ვიდრე ნებისმიერი სიტყვა, განსაკუთრებით ახლა, როდესაც სიტყვამ მთელი თავისი საიდუმლოება და ჯადო დაკარგა და მეტყველება ყოველგვარ აზრს მოკლებულ, უბრალო ყბედობად იქცა“.

„მსხვერპლშეწირვაზე“ მუშაობის პროცესის ფირზე აღბეჭდვით ლეშელოვსკი ტარკოვსკის სულიერი კონცეფციისა და ამ კონცეფციის ხელოვნებასთან მიმართების წარმოჩენას ცდილობს.

ფილმის გმირი კიბოთი დაავადებული მომაკვდავი კაცია; რომელმაც თავიდან უნდა შეაფასოს ვანელილი ცხოვრება. ამისათვის იგი უნდა განუდგეს საზოგადოების ყოველდღიურ პირობითობებს, ეძიოს ღმერთი და სულიერი ფასეულობანი.

ლეშელოვსკიმ თავისი ფილმი შეადგინა „მსხვერპლშეწირვის“ ფრაგმენტებისაგან და იმ ფირიდან, რომელზეც რეპეტიციები და

ფილმის გადაღების მომენტებია დაფიქსირებული. ჩვენ ვხედავთ ტარკოვსკის გაღმებულს, მგრძნობიარეს, ტარკოვსკის მსხვერპლს პრეტატორს. კამერის წინ თუ კამერის უკან. იგი მოითხოვს საყოველთაო ჩართვას და აბსოლუტურ მონაწილეობას მუშაობაში.

ტარკოვსკი ერთადერთი საბჭოთა რეჟისორია, „რომელმაც უარი განაცხადა კომპრომისებზე და არასოდეს კრიდა ფილმებს“ — ამბობს მისი მეუღლე.

თავის ფილმებზე საუბრისას ტარკოვსკი ამბობს, რომ „კინო ხელოვნების ერთადერთი ფორმაა, რომელიც დროში ვითარდება... იგი დროის მოზაიკა... იგი დროში იძვრება“.

ეს უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ კინორეჟისორი ფილმის ასაგებად დროის სხვადასხვა ჩანაწერს ერთად ამონტაჟებს, რის შედეგადაც დროის ისეთი ახალი კონსტრუქცია იქმნება, რომელშიც განუყოფლად ბატონობს წარმოსახვა.

როდესაც იგი ხელოვნებაზე და წარმოსახვაზე საუბრობს, სწორი ვიქნები თუ ვიტყვი, რომ ტარკოვსკი მარქსისტულ პოზიციას უახლოვდება. „ხელოვნის წარმოსახვა მისი მსოფლმხედველობიდან აღმოცენდება“.

სხვა მხრივ მისი შეხედულებები იდეალისტური და რომანტიკულია. მსოფლმხედველობის ეს მთლიანობა აისახება იმ გზაშიც, რომლითაც ტარკოვსკი მყურებელს რთავს თავის მდიდარ წარმოსახვაში.

იგივე მეთოდს იყენებს ლეშელოვსკიც, რომელიც „მსხვერპლშეწირვის“ მონტაჟორი იყო. ფილმის ყოველი ნაწილი მყურებლის საპასუხო რეაქციას იწვევს.

ლეშელოვსკი გვიჩვენებს, რომ ტარკოვსკის გატაცება თავისი საქმით სიცოცხლის ბოლო წუთებამდე გრძელდებოდა.

საუბედუროდ, ფილმის გმირისაგან განსხვავებით, რომელიც ფინალში გამოჩანმართულა, ტარკოვსკიმ სენი ვერ დაძლია.

ჯეფ სოუტელი

ინგლისურიდან თარგმნა

მანა უფარაძემ

(ოსუ კინოს ენისა და სტრუქტურის სა-
მეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია)

მიღმობონებანი სამთავროს (მსხეთის)

წმ. ნინოს სახელობის ღვთათა მონასტერზე

დანიზა სუმბაძე

მსოფლიო საქრისტიანოსთან სულიერად ღრმად გადაკედობილი ქართული სამეფო ქალკედონური ქრისტიანობისა, მთელ საქრისტიანოსთან ერთად უყრის საფუძველს სამონასტრო მშენებლობას, უკვე თავისივე მიწაზე და სირია-პალესტინისა და ათონის მთის ლავრათა გვერდით და მათ კვალდაკვალ აყვავდება საქართველოში დიდი ქართული მონასტრული სამყარო ტაო-კლარჯეთისა გრიგოლ ხანძთელის დეაწლითა და ლოცვა-კურთხევით.

აკაკი წერეთელი თავის სახელგანთქმულ პოემაში „თორნიკე ერისთავი“ თორნიკეს ლიტერატურულ პორტრეტთან ერთად აღწერს ერთ დიდად მნიშვნელოვან გმირს, რომელიც ქართული ბერ-მონაზვნული ცხოვრების უკვე საკმაოდ ღრმა წიაღსა და ღონესაც გვიჩვენებს. ეს არის ე. წ. სალოსური ასკეზა ქართული განდევილებისა.

როგორც ზემოთაც გვქონდა ამის შესახებ საუბარი, ქართული ბერ-მონაზვნობა ქრისტესწინარე ღვთისმსახურებაშია უკვე სათავედადებული. წმინდა გიორგისა და მთვარის ღვთაებას შეწირული ბავშვები, როგორც აღვნიშნეთ, „შეთქმული ყრმები“ „ბერებდად“ იწოდებოდნენ ივანე ჭავჭავაძის მიერ მოციხეული თეოგრაფიული გამოკვლევებით. აღთქმას თვითდან მშობლები სდებდნენ. უკვე ქრისტიანობაში აღთქმას თავად შეწირულნი უდებენ უფალს და აღუთქვამენ მთელს თავიანთ სიცოცხლეს მისდა სამსახურად. ქრისტიანული აღთქმა ბერ-მონაზვნობისა, ეს არის უარი მთელს ადამიანურ ცხოვრებაზე და წადილი ანგლოსური ცხოვრებისა მიწაზედვე- უფლის სახელით. როგორც ცნობილია, ქრისტიანული მონასტრული ცხოვრებისათ-

ვის არსებითი მომენტია აღთქმა უქორწინებლობისა და მარტომყოფური თვითშეწირულება და თვითგვემა უფლისათვის. სალოსური ინსტიტუტი არის გაღრმავება ამ ჩვეულებრივი მონაზვნური აღთქმის დოგმატისა სხვადასხვა სახით. ასე მაგალითად, თორნიკე ერისთავის თანამედროვე სალოსი მეფისა დავით კურაპალატისა არის კაცი, რომელსაც დადებული აქვს აღთქმა დუმილისა. ე. ი. ეს არის მონაზონი, რომელმაც დაიმუხჯა თავი უფლისათვის. იგი აღარ მეტყველებს საერთოდ, ხმას აღარ იღებს, უარი თქვა ამქვეყნიურ სიცოცხლეზე სწორედ ამ სახით, უარი თქვა ადამიანთა შორის მეტყველებაზე. სალოსი გაბრიელი აღთქმას არღვევს ერთი უჩვეულო შემთხვევის გამო. როდესაც თორნიკე ერისთავი, გამარჯვებული ბარდა სკლიაროსზე, დიდძალ ნადავლს და სიმდიდრეს მოართმევს საქართველოს მეფეს, და ჭერ არ იციან, მიდის ბჭობა, თუ რას მოხმარდეს ეს დიდი სიმდიდრე საქართველოში მოზიდულთ, გაბრიელ სალოსი დაარღვევს თავისი ღვთისა აღთქმას, და როგორც ღვთის ნებით დაშვებულს, ამ ამეტყველებას შესწირავს ისევე უფალს: იგი ურჩევს ერსა და ბერს, რომ ამ სიმდიდრით ააგონ ათონის მთაზე იბერთა ღვთისმშობლის სალოცავი და ასეც აღესრულება მისი ღვთიური სიტყვა. ეს ის გაბრიელ სალოსია, რომელსაც ღვთისმშობლის სასწაულებრივი ხატი ირჩევს თავის რჩეულად, უკვე ათონზე აღკვეცილ ღვთისმსახურთა და შეწირულთა შორის. ასე აიგო ქართველთა სახელგანთქმული მონასტერი „ივირონი“ საბერძნეთში ათონის მთაზე და ასე მიეახლა გაბრიელ სალოსის შემწეობით თავად ხატი იბერთა მფარველი დედის-ღვთისმშობლისა.

მთელი საქართველოს მონასტრულ ისტორიას გადმოსცქერის ერთგვარად აღმოსავ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ს. ხ.“ № 11, 1989, № 2, 3, 1990.

ლური ტიპის მონასტერი, უფრო მოგვიანებით აშენებული კავკასიონის ფერდობში, ყაზბეგთან ახლოს, ბეთლემს, (რომელიც, როგორც „სახელწოდება“ გვამცნობს, აშენდა აგრეთვე უფლის „აკვანთან“ შეხმინებით, ანუ იესო ქრისტეს ბეთლემში შობასთან დაკავშირებით). მწვერვალებზედ აშენებულ მონასტერთა შორისაც და, ვიტყოდით, ქართული განდეგილობის, ანუ მართომყოფი ცხოვრების გზაზედაც ეს არის მწვერვალი ქართული მონასტრული ცხოვრებისა. „აღმოსავლური“ თქო რომ შევნიშნეთ, ამ სიტყვაში: „აღმოსავლური“, ჩვენ ვიგულისხმეთ ტიბეტისა და ჰიმალაის ყინულოვანი და მკაცრი „სავანეები“ ნირვანის მაძიებელ განდეგილთა. კავკასიონის „ბეთლემი“ ეს არის მსოფლიო ბერ-მონაზვნობის გზა ტიბეტიდან თუ ჰიმალაიდან კავკასიონის „ბეთლემამდე“. პალეოგრაფიული ნიშნებით ბეთლემის მონასტერი XI-XII საუკუნისად არის ნაგულისხმები, თუმცა პირველი ქრისტიანული ჯვარი, თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, ანდრია პირველწოდებულს უნდა აღემაართა აქ. (იხ. პარმენ მარგველაშვილის წერილი: ბეთლემი, სტეფანწმინდა, სამონასტრო კომპლექსი, 1978 წლის 14-21 ოქტომბრის თსუ ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს მიერ ორგანიზებული ექსპედიციის ანგარიში. ჟურნალში: „ძეგლის მეგობარი“, № 52, 1979 წ.).

გერგეტის ბეთლემის გამოქვაბულს ზღვის დონიდან 3982 მეტრზე მდებარეობს. გამოქვაბულში მყოფი ისეთ სიმალეზე მყოფია, რომელიც ზემოდან დასცქერის ღრუბლებსა და ელვას ქვე-ქუხილის დროს.

გერგეტისა და აბანოს მყინვართა გამოყოფ ბეთლემის ქედზე სამონასტრო კომპლექსის ცენტრი ივარაუდება. თბილისის სახ. უნივერსიტეტის 1978 წლის ექსპედიციამ შესძლო დამოწმებინა ათი ნაგებობის ნანგრევი ან სამონასტრო კომპლექსში.

ჩვენს საუკუნეში პირველად სწვევია ბეთლემს მთამსვლელოთა ჯგუფი, მთამსვლელო ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, ალბათ ქ-ნი ალექსანდრა პირველი ქალი იყო ილია ჭავჭავაძის აღწერილი იმ ლეგენდარული მწყემსი გოგონას შემდეგ, რომელმაც ბეთლემის განდეგილის სავანეში შეაღწია, ერთი დიდი სხვაობით ოლონდ: ილიას აღწერილი მწყემსი გოგონა ქარიშხალმა და ბედისწერამ შეაზეთა ბეთლემის განდეგილის

ქერს. ქ-ნი ალექსანდრა კი საგანგებო აღსკვედიცით გაემგზავრა იმ საბედისწერო განბილიკების გამოსაკვლევად და შესწავლად, იმ გზათა დასაპყრობად, რომელიც ილია ჭავჭავაძემ და იმ მწყემსმა გოგონამ ილიას პოემით — „განდეგილით“ — ჯერ კიდევ მე-19 ს. მიწურულში დაიპყრო სულიერად.

საოცარია, ილია ჭავჭავაძემ, მე-19 საუკუნის ქართული ერის წარმომადგენელმა და მწერალმა, საუკუნის, რომელიც თავისთავად უკვე დაშორებული იყო ასეულის იდეალებსა და აქტუალურ იმპულსებს, ესოდენ ფუნდამენტური შემოქმედებითი ენერგია რომ მიუძღვნა მისგან დაშორებულ პრობლემას განდეგილობისას, ესოდენ მძაფრად რომ წამოსწია კვლავ ერის ცნობიერების წინაშე და ამ ფაქტურად გარდასული, და მიინც, როგორც ჩანს, საღლაც ჯერ კიდევ მთვლემარე პრობლემის საკუთარი გადაწყვეტითა და პასუხით საჭიროდ სცნო ერის დაპურება. როგორც ჩანს, ილიას დაუმთავრებლად და უპასუხოდ დატოვებული მიაჩნდა ეს კითხვა ერისათვის. მიაჩნდა, რომ ქართველ ერს განდეგილობის საკუთარი სკოლა კი ჰქონდა გავლილი, მაგრამ საკუთარი ეროვნული პასუხი ამ პრობლემაზე არ გააჩნდა. ამიტომ ამ პრობლემაზე საკუთარი და უშუალო სიტყვის სათქმელად თავის ორეულად ილია ჭავჭავაძემ ერთი ქართველი მწყემსი გოგონა აირჩია. გზადაკარგული და ქარიშხლით შეხეტქებულ განდეგილის ყინულოვან მღვიმეში კი არ მოიყვანა გონს, არამედ განდეგილობის პრობლემათა ცხრაკლიტულში შეაღწევინა გონების იმ უშუალობით, როგორც შეიძლებაოდა ყოფილიყო მიმადლებული ნამდვილი შვილი ბუნებისა და ღვთისა ერთდროულად. ეს ისევე ჩაიდინა ილიამ როგორც შემოქმედმა, როდესაც სოფელი პეტრეს, შეიძლება ითქვას, გაუფუჭებელი და პირველყოფილური უმანკოების სიწმინდით აღსავსე გონება სოფელი კაცისა შეეზეთა ქალაქში ადამიანის დასახიჩრებული გონებით გამოგონილ აქტს სამართლიანი განაჩენისას სიკვდილით დასჯის. პროვინციულ პეტრეს ვერ დაუჭერებია და ბოლომდე არც შესწევს ძალი დაიჭეროს კულტურულობა კაცისა, რაც მდგომარეობს სიკვდილით დასჯისა და ცოცხალი ადამიანის სახარბოელაზე აყვანის სინამდვილეში.

ასეთივე დაუჭერებელი და ვითომდაც ცხოვრების სულიერ განვითარებას ჩამორჩე-

წილი მწყემსი გოგონას გაოცებითა და გაოგნებით გვიხსნის ილია ჭავჭავაძე საგანდევლო სკოლის მთელ მალაკულტურულობასა და აღზევებას სულისას, ადამიანთა ცხოვრებაზე აღმტებას, კაცთაგან მოწყვეტასა და ყინულში გამომწყვედევას უდანაშაულო განდევლისას. ბუნებრივი ადამიანური ყოფიდან დაშორებულსა, გაუცხოებულსა და გაუგებარსაც კი მწყემსი გოგონას სუფთა გონებისათვის, ისეთივე გაუგებარსა და დაუჭერებელს, როგორც იყო დანაშაულის საზღვურად სახრჩობელაზე აყვანა კაცისა სოფელი პეტრეს „ჩამორჩენილ“ ხედვაში.

როგორც ვიცით, „ბეთლემი“ კავკასიონისა, მე-19 საუკუნის საქართველოში, ცხოვრების გზის ქართული ეროვნული იდეალისა და ზოგადკაცობრიული გზის შესამეცნებლად ხდება საგანი ილია ჭავჭავაძის მწერლური აზროვნებისა, როგორც ყველაზე მაღლა ატყორცნილი, თავის ყველაზე მაღლად ატყორცნილებაში. — „გზა ყველაგან არის, მაგრამ გზა ხსნისა ასეთი მერგო მე უბედურსა“ — აღმოსტევაშს ბეთლემიე განდევილი.

არის კი ესოდენ მაღალი ღრუბლების სწორი, ე. ი. გეოგრაფიულად ესოდენ მაღალ მღვიმეებში არჩეული გზა ცხოვრებისა სულიერადაც და ზნეობრივადაც ასევე ყველაზე მაღალი, თუ არის ერთ-ერთი და ამასთან გამოსაკვლევნი და შესაფასებელი, როგორც უმადლესი? — აი ის კითხვა, რომელიც დააყენა განდევილის იმ ზემოთ მოხმობილი სიტყვებით ქართველი ერის დიდმა სულიერმა პატრონმა და მწერალმა, ილია ჭავჭავაძემ, და თავისი მსოფლმხედველობრივი დასკვნა დაგვიტოვა, როგორც ეროვნული პოზიცია მსოფლიო საქრისტიანოს და საერთოდ კაცობრიული ცხოვრების პრინციპული პრობლემების გადაწყვეტისა მათს ამ უკიდვანო დინებაში.

„ხშირია ხოლმე, როცა სული ჭლექდება, ხორცის დღეობა მაშინ არის, ხოლო როცა სული ჰყვავის, ხორცი დნება, ამიტომ ჭლექები ჭკვიანები არიანო, ამბობენ ხოლმე“ — აი, ის საოცარი სიტყვები და ის საოცარი გამოკვეთილი დებულება ილია ჭავჭავაძისა, რომელიც მან „განდევლის“ სრულიად საპირისპირო თხზულებაში გამოხატა, თანაც თხზულების მთავარ გმირზედ, ლუარსაბ თათქარიძეზე საუბრის, მისი დახასიათების დროს. „საპირისპირო თხზულებაში“ — თქოვამბობთ, რადგან „განდევილი“ ხორცის დაქ-

ლეების პოემაა, ხოლო ამავე ტერმინით რომ გამოვთქვათ, „კაცია-ადამიანი“ ილია ჭავჭავაძის იქნება თხზულება „ხორცისა და სულისა“ და „სულის დაქლეების“.

ყოველთვის გააჩნია ვინ არის მთქმელი ნათქვამისა და რა ვითარებაში, რა გარემოებით კონტექსტშია ნათქვამი გამოთქმული. ილია ჭავჭავაძის სალუარსაბოდ თქმული სიტყვები მისივე განდევილის ბაგით სრულიად სხვა ტემბრით იქნებოდა აქლერებული. ბეთლემის განდევილს შეეძლო მეტის ნეტარებითა და პათოსით წარმოეთქვა იგივე სიტყვები, ლუარსაბ თათქარიძის დახასიათებაში კი მწარე ღიმილი გამოსჰყვივის, მაგრამ როგორც მწერლისთვის, ილია ჭავჭავაძისთვის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ამ მწარე ღიმილით დასაყვიდიანოს და დააფიქროს მკითხველი, დასაყვიდიანოს და დააფიქროს იმ კაცის ვინაობა-რაობითაც, ვისთვისაც არსებობის გზა ხორცის დღეობაა მხოლოდ და დაქლეუება სულისა, ვისთვისაც უტყნობა დადნობა ხორცისა და აყვავება სულისა, და იმ კაცის ვინაობა — რაობითაც, ვისთვისაც არაფერი არსებობს, გარდა სულის აყვავებისა და ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფისა.

ილია ჭავჭავაძე თითქმის ერთდროულად ფიქრობს თავის ორ უმთავრეს თხზულებაზე — „კაცია-ადამიანზე“ და პოემა „განდევილზე“. სხვათა შორის „კაცია-ადამიანი“ დაწერილია 1859-62 წლებში, ხოლო პოემა „განდევილი“ 1861 წელს.

ილიას როგორც ფილოსოფოსსა და მოაზროვნესაც და როგორც ერის პატრონსაც, შესამეცნებლად და საჩვენებლად ანტერესებს ორივე გზა ცხოვრებისა: მარტო სული-საც და მარტო ხორცისა, განდევილისაც და ლუარსაბ თათქარიძისაც. ანტერესებს, რომ შეიმეცნოს და სიცხადით დახატოს და აჩვენოს თავის ერს, როგორც მწერალმა და შემოქმედმა: სულის დაქინებისა და ერის მორალური დაქინების ზოგადი გზაცა კერძო მაგალითზე, და სულის აყვავების მორალური გზაც ერისთვის, სულის გაუბედურების, ლეთის გამარისხებელი მორალური დაცემის საჩვენებლად იგი ლუარსაბ თათქარიძის სახეს ირჩევს, ხოლო მისი საპირისპირო მოვლენისათვის, ე. ი. ყოველგვარი მიწიერის ისეთივე სრულიადი უარყოფის საჩვენებლად, როგორი სრულიადობითაც უარყოფილია ყოველგვარი სულიერი

ლუარსაბ თათქარიძეში, იგი გვაჩვენებს და გვიჩვენებს ბეთლემის განდევილს: ე. ი. ხორცის დადნობის, სულის აყვავებისა და მორალური ამაღლების გზას.

ლუარსაბ თათქარიძე და ბეთლემელი განდევილი ილია ჭავჭავაძის ცნობებებში აღქმული ორი ურთიერთსაპირისპირო გზებია ცხოვრებისა თავთავიანთ უკიდურესობამდე მიყვანილი. ორივეში არის რაღაც უკიდურესი, მაგრამ ერთი საჩინოა, რომ შექნარი გავუცხოვება ადამიანური ცხოვრებიდან ეს არის ლუარსაბის გზა. იგი პირდაპირ არის სახელდებული ილიასავე სიტყვებით ადამიანის გაპირუტყვებისა გამო „უფლის გამრისხებელ“ გზად, მაგრამ მეორე — იდუმალებით არის მოცული და სათნოების გზაა, თუმცა სად ან რაშია უცხოობა ღვთისაგან დაწესებული ადამიანურისაგან, ან რაში მდგომარეობს დაჩრდილება ღვთისა, განდევილის მიმართ ძნელად არის ამოსაკითხი.

იმისათვის, რომ მწერალმა თვითული გზის პრინციპული რაობა გვიჩვენოს, იგი გვიჩვენებს ამ გზას თავის უკიდურეს, ანუ ზენიტურ გამოვლინებაში, ბოლომდე მიჰყავს ეს გზა, შეიძლება ითქვას, რომ გვიჩვენებს თავის სასრულში, რომელიც იგივეობრივი უნდა იყოს თავისი საწყისისა, მათი ერთარსად ყოფიერებისა გამო ერთი და იგივე მოვლენაში. თუ იგი უარყოფს თავის დახატულ პირველ, ლუარსაბ თათქარიძის უფლებს, და ეს აშკარაა, აშკარაა ისიც, რომ იგი არ უიგივდება არც ბეთლემის განდევილის მიერ არჩეულ გზას, მაგრამ რატომ არ უიგივდება, ძნელი სათქმელია მინც.

„მამო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა მუხლოდრეკილი, ღმობიერი, ვდავებარ შენ წინა, არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა, არ მინდა, ამით შეურაცხ-ვაყო მე ღოცვა წმინდა... არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული, შენგან ნამცნების სიყვარულით აღმნთოს გული, რომ მტერთათვისცა, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მქრან, გთხოვდე: „შეუნდე, არ იციან, ღმერთო, რას იქმან“.

ილია ჭავჭავაძის მთელი ეს ლექსი ილიას სარწმუნოებრივი აღმსარებლობისა და მისი ზნეობრივი კრედოს გამოხატულებაა. სულის

ციური განათლებისთვის მლოცველი, ღმრთის არ მსურველი პოეტი, სრულიად ნათელი და გასაგებია, თუ რაოდენი სიმძაფრეა მისი ლება იყოს მგომბელი ხორცის ზეიმად ქცეული ადამიანური ყოფისა, მითუმეტეს ქართული ყოფისა, მაგრამ ასეთივე ნათელი და იოლი როდია დანახვა მისი პოზიციისა მარტო საქუთარი სულის ცხოვნებად ქცეული კაცის მისამართით.

ცნობილია, რომ ახალგაზრდობაში ილია ჭავჭავაძე ბერად აღკვეცას აპირებდა თურმე. „განდევილში“ მოცემული პოზიცია, როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძემ თავისი აზროვნების მთელს ევოლუციაში ჰპოვა.

მოდღერება და ფილოსოფია ცხოვრების გზისა, ცხოვრების ქრისტიანულ-მონასტრული გზისა, რომელიც ბეთლემის მღვინეში ქართველმა განდევილებმა აიჭანეს, კაცკაციონის მყინვარებში აიჭანეს და ილია ჭავჭავაძემდე მოაღწიეს, ილია ჭავჭავაძის სახით წააწყდნენ ახალ მოძღვრებას ღმერთთან მოლაპარაკე ისეთი კაცისას, რომელსაც ღმერთისა და ერის სიყვარული სხვაგვარად სტკიოდა, სხვაგვარად განიცდიდა, რომელიც მოყვასისა და ერის სიყვარულით ერსა და ადამიანებს კი არ გაუტრბოდა, ან შორს კი არ ეცლებოდა მათზე ზრუნვისთვის, არამედ პირიქით: ადამიანებს ეძებდა და ვერ პოულობდა.

„რომ შენს მიწაზედ, ამდენ ზალხში, კაცი არ არის, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განუწუხაროო!...“

ღმერთის შესწიოდა. ილია ჭავჭავაძის მიერ აღწერილი ერთი განდევილი ბეთლემისა სიმბოლურად მთელი მოძღვრებაა განდევილობისა, რომელიც ილია ჭავჭავაძის, როგორც ერის სულიერი მოძღვრის ფილოსოფიას უპირისპირდებოდა. ჭერ კიდევ მყინვარისა და თერგის სიმბოლური შედარების დროს, „მგზავრის წერილებში“, პეტერბურგული განათლების მისაღებად გზაზე ერისთვისა და ქვეყნისთვის დაფიქრებული მწერალი ილია ჭავჭავაძე წერს: „რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ანალს და რას მეტყვის მე იგიო“. ამ ფიქრით რომ იყო ამორგებული, ჭერ კიდევ მაშინ — მყინვარისა და თერგის სიმბოლური შეპირისპირება რომ მოუხდა პოეტსა და მოაზროვნეს, ჭერ კიდევ მაშინ გამოთქვა თავისი შინაგანი ეგზისტენციალური ხედვისა და სიმპათიის, და ცხოვრებისადმი დამოკიდებულების საზრისი: — არ მიყვარს განდევილობა მყინ-

ვარისა, აზვირთებული მქუხარება მირჩევნიაო თერგისა; მყინვარის სულს თერგისეული ამჯობინა, მორალურად გაუტეხელმა თერგით ცხოვრების ნაპირებს მიმწყყდარი მომწყყდარი კაცისა და არა უამრყოფლობა კაცისაგან ცხოვრებისა. მისი მსოფლმხედველობრივი ორიენტაცია ცხოვრების გზისა დედობაზე, ოთარაანთ ქვრივის მონუმენტური, ფსიქოლოგიური ლანდშაფტის ფონზე იკეთებოდა; ილიას ფიქრი და ოცნება ქართლის დედას, ბაზალეთის ტბის ძირას ჩასაიდუმლოებულ აკვანს ევლებოდა თავს და, ბუნებრივია, განდევლის ფსიქოლოგიაცა და ფილოსოფიაც უსათუოდ განესხვავებოდა მას.

მორალურად გაუტეხელი „ოთარაანთ ქვრისა“. „ქართლის დედისა“ და „ბაზალეთის ტბის“ ავტორს სიცოცხლის უარყოფა განდევგილასა ომ დედათა უარყოფაზე იყო დამყარებული, არ გამომპარვია. დედათა ისეთი წმინდა და მონუმენტური სახეების პატრონ ერს — ნინოს, თამარისა და ქეთევანის ერს. ისტორიაც ეყოფოდა მე-19 საუკუნის ეროვნული მასშტაბის მოაზროვნისათვის და საერთო საკაცობრიო მოძრაობაც ეროვნულ დედათა უფლებებისა და ღირსების დაცვისთვის, რომელიც საქართველოში საჭირო არც კი ყოფილა. მაგრამ როგორც სოციალურ საკითხებში ჩაღრმავებულმა თავისი თანადროულბოში, პატრონ-ყმობისა თუ სხვა, დედათა საკითხებზე წამოსწია. საქართველოსაც საუკუნის შესაფერისი პასუხი უნდა ეთქვა და ილია ჭავჭავაძე არაერთგზის შეეხო ამ საკითხს, ვითარცა ახალი ევროპული პროგრესული და ჰუმანური აზროვნებისა და კეთილშობილთა მორალის წარმომადგენელი ერისაგანი და დიდაქტიკოსი. მე-19 საუკუნის პრესაში ილია დედათა უფლებების უდიდესი ქომავლისა და მოქალაქის მისის შემსრულელად მოგვეყვინა. უფრო მეტიც: მან მთელი ბედისწერა ქართველი ერისა როგორც მწერალმაც, როგორც მოაზროვნემაც და, როგორც სულიერმა პატრონმაც, დედას დაუკავშირა ქართლისას ისე, რომ ილიას შემოქმედებითი მონუმენტური სიმბოლიკის განსახიერებად, ილიას პოეტური სამყაროს დიდ სახედ — დედა იქცა ქართლისა. ილია და ქართლის დედა განუყრელ ძალად მოგვეყვლინენ ერის მომავლისა და ერის ღვთიური სიცოცხლის და, შემთხვევითი არ არის, რომ

ილიას საფლავს დედა ქართლისა დასდგომოდა თავს კლდეზე მიყრდნობილი მქუხარედ. ვითარცა სიმბოლო ერის დიდი პატრონის ნუმენტური სულისა.

მთელი თანამედროვე ევროპული ფილოსოფია, რომელსაც ადამიანის არსებობის ფილოსოფია ჰქვია და მთელი ე. წ. „სიცოცხლის ფილოსოფია“, ჩემში ენობიერება როგორც რენესანსის, ხოლო შემდგომ უკვე რეფორმაციის შემდგომდროინდელი ეტაპი ამ ევროპული რელიგიური აზროვნებისა და რელიგიური ეთიკის, რომელმაც გაიარა გრანდიოზული ეპოქა სქოლასტიკისა და საერთოდ, მთელი შუა საუკუნეების სიცოცხლასაგან განდგომისა. ჩვენთვის ეს საკითხი საგანგებო კონცეპციის საგანს წარმოადგენს, რომლითაც მთელი რენესანსი, ჩვენ გვესმის როგორც ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების ეთიკური გაგრძელება. ქართულ სინამდვილეში კი ქრისტიანული ასეულისა და სიცოცხლის ფილოსოფიის პრობლემურ ასპარეზს დიდი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძისეული საკითხის გადაწყვეტაში ვხედავთ, რომელიც საგანგებო კვლევის თემად გვესახება ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის, ეკლესიის ისტორიისა და დოგმატიკის სპეციალისტებისათვის. ფაქტი, რომ თანამედროვე რუსული ეგზისტენციალიზმის წარმომადგენელმა ასეულის პრინციპში სიყვარულის საწინააღმდეგე პრინციპი დანიხა, ადამიანის მთელი ევროპული ფილოსოფიის შუქზე ბუნებრივად და ლოგიკურად მოჩანს. ევროპამ ეს გზა შემეცნებისა მონუმენტური მოვლენებით გაიარა. მაგრამ განწყობის ფსიქოლოგიური თეორიის ავტორმა, ჩვენის ფიქრით, სრულიად ორიგინალურად დააყენა საკითხი ცხოვრების საზრისისა და მისი ფსიქოლოგიური შესატყვისობის განსაზღვრაში: ე. ი. არა რელიგია და მედიცინა, არამედ რელიგია და ფსიქოლოგია. აქ სრულიად ორიგინალური სფეროა დარჩენილი შემეცნებისა ქართველი ფსიქოლოგებისათვის ილია ჭავჭავაძისეული განდევლის მაგალითში რელიგიური განწყობისა, რელიგიური ფსიქოლოგიისა და განწყობის დიმიტრი უზნაძისეული თეორიისათვის.

რას ნიშნავს ბ-ნ დიმიტრი უზნაძისეული შეფასება ილია ჭავჭავაძისეული განდევლის მიერ ცხოვრების მიზნის არასწორი არჩევანისა? ბ-ნი დიმიტრის მსოფლმხედველობრივი ანალიზით, განდევილმა აირჩია ადამიანის

ასოლოტური შესაძლებლობის მიზანი. თავად ბერმონაზუნური ეთიკის ენაზედ ეს იქნება მიზანი ანგელოზობისა, რამდენადაც აღქმის შინაარსი მონოზუნად აღვეცის დროს არის უარი ადამიანურ ცხოვრებაზე და გადასვლა ანგელოზურ ყოფაზე. განდევლისა როგორც მონოზუნის მიზანია მიღწევა ანგელოზური ცხოვრებისა, განაგელოზება მიწაზედ. ბ-ნ დიმიტრი უზნაძის მსჯელობაში და სახარებისეული ქადაგებანი რომ შევეართოთ მაცხოვრისა. უნდა დავასკვნათ, რომ ილია ჰვაკავადის განდევილმა აირჩია მიზნად ყოვლისშემძლეობა ანგელოზისა და ადამიანური შემძლეობისაგან განთავისუფლება მიწაზე, ფაქტურად, ადამიანობისაგან განთავისუფლება მიწაზე, მაგრამ გვასწავლიან დიდნი სიბრძენი, რომ ადამიანი ანგელოზად შეიძლება იქცეს მხოლოდ სასუფეველში. სასუფეველში ადამიანები — განმარტავს მაცხოვარი, არც ქორწინდებიან და არც განქორწინდებიან, არამედ იქნებიან ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი. (მათეს სახარება). საკუთარი ადამიანური ბუნებიდან გასვლის მიზანი ამქვეყნად თითქმის იგივეა, რაც გადავინაცვლოთ ღვთითდაწესებული კანონზომიერებანი ყოველი სხვა არსებისანი ამავე სიცოცხლეში. მაგალითად, თევზისთვის დავსახოთ მიზნად არა ცურვა წყალში, არამედ ფრენა ჰაერში, ფრინველისთვის დავსახოთ მიზნად არა ფრენა ჰაერში, არამედ ცურვა წყალში. და ა. შ. ის, რისი მიღწევაც ადამიანს შეუძლია სიკვდილის შემდგომ, მიზნად დანახოს სიცოცხლეში და პირიქით: ის, რაც მას შეუძლია გააკეთოს სიცოცხლეში, იტვირთოს სიკვდილის შემდგომ, მაგრამ იმის გამო, რომ განდევილს სწამდა თავისი შემძლეობის, და იმის გამო, რომ მისი მიზანი დაირღვა ცხოვრების სინამდვილით, დაირღვა ადამიანთა უარყოფის შემძლეობა და ე. ი. დაირღვა მისი რწმენა და მსოფლმხედველობა ერთდროულად. გაიბზარა მის რწმენაზე დაფუძნებული სასწაულომოქმედების ძალაც. როდესაც სენაკში შემოპირილ მზის სხივზე დააყრდნო განდევილმა თავისი ლოცვანი, ჩვეულებისამებრ, როგორც ეს ხდებოდა აქამდე, აღარ მოხდა. აი, რატომ უწოდებს ბ-ნი დ. უზნაძე ამ აქტს საზრისისეულ კატასტროფას და არა ფსიქოლოგიურს. ფსიქოლოგიური კატასტროფა მხოლოდ შედეგია მსოფლმხედველობრივი კატასტროფის.

„გესმა, რამეთუ იტყვა: არა იბრუნო, ხოლო მე გეტყვი თქვენ, რამეთუ ყოველი, რომელი ჰხედვიდეს დედაცასს, გულში თქუმად მას, მუნვე იბრუნა მის თანა გულსა შინა თვისისა.“

უკეთუ თვალი შენი მარჯვენა გაცთუნებდეს შენ, აღმოილე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რაჟთა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე ყოველი ეტამი შენი შთავრდომად გეჰქინასას“ (მათე, 5, 27-30).

განდევილმა, რომელმაც უბიწოების აღქმა დაუღო უფალს, თავისი უბრალო ადამიანური და აკრძალული ხიბლით, თავდატეხილით თავისი სინდისისა და გულის სიღრმეში, თავისი განდევილური გაგების გულის წიაღში, ჩათვალა და ირწმუნა ერთ წამს, იმ ერთწამიერი ხიბლის წამს, რომ მან შესცოდა და უღალატა უფალს. და ამ ერთმა წამმა უკვე ელვასავით გაბზარა მისი რწმენა უფლისადმი ერთგულებისა და უფლისაგან მისი შეწყვეტისა და ერთგულების. საიდან მოდის ეს საშინელი თვითრისხვის განცდა ღალატის გამო, ანუ რაში მდგომარეობს ეს გონიერი ღალატი უფლისადმი განდევილის ხედვაში?

მოგეხსენებათ, ეკლესია არის სახლი უფლისა. უფალი სახეობრივად არის სიძე ეკლესიისა. ამიტომ ეკლესია არის, ამავე დროს, სახეობრივად სძალიც უფლისა. ყოველი ბერი თუ მონოზონი, განმზადებული სულიერ სახლად უფლისათვის, აგრეთვე იწოდება საპატარძლოდ უფლისა. ანუ მისი სული არის ჭურჭელი, რომელიც უნდა აივსოს უფლით. ისევე როგორც ადამიანი ჰქმნის უფლისა და ზეციური წმინდა ძალების ეკლესიურ რეალურ ხატებს, თავისი წმინდა ადამიანური შემეცნებლობისა და აღქმის გამო, ადამიანი, ჰქმნის ამავე უფლისა და ზეციური ძალების თავისი ცნობიერებისეულ ხატსაც. ეს ხატი უფალი სიძეა მისი სახლისა, ეს სახლი, განმზადილი და მომლოდინე სრული შერწყმისა და ზიარებისა უფალთან, არის სარძლო უფლისა. განდევილი ქალწულის უბიწოებით ელის უფალზე ქორწინების ზეციური მადლის გარდაშისკვის იდეშალ რიტუალს. იგი სარძლოა უფლისა და ელის უფალს — საპატარძლო — სასიძოს. იმ წამიდან, რა წამიდანაც იგი ამქვეყნიურ ქალზე შეაერთებს მზერას, შეაქორწინებს მზერით თავის არსებას.

იგი მიიჩნევს თავს უფლისადმი ისეთი რან-
გის შემცოდედ, რომ იგი იძენს უკვე მოლო-
დინის გრძობას უფლის სასჯელისას და რის-
ხვისასაც კი. როდესაც იესო ქრისტეს მიე-
სალმებიან სწულნი, ანუ ცოდვილთაგან დამ-
ძიმებულნი და დასწულბულნი, მაცხოვარი
მათ ვედრებას განკურნებისას იღებს და აფ-
რთბილებს: ისე განკურნებით, როგორც არ-
ისო თქვენი რწმენა თქვენს განკურნებასა და
ჩემს შემძლეობაში თქვენი განკურნების.

„და განქდა ჰამბავი მისი ყოველსა მას ქვე-
ყანასა.

და წარმო — რაჲ ვიოდა მიერ იესო, მოს-
დევდეს მას ორნი ბრმანი, ლალადებდეს და იტ-
ყოდეს: შემოწყალენ ჩვენ, ძეო დავითისო!
და ვითარცა შევიდა იესო სახლსა, მოუტდეს
მას ბრმანი იგი, და ჰრქუა მათ იესო: გრწამ-
სა, ვითარმედ. ძალ-მიც ესე ყოფად? ჰრქუეს
მათ: ჰე, უფალო:

მაშინ შეახო თვალთა მათთა და ჰრქუა
მათ: სარწმუნოებისა თქვენისამებრ გეყავენ
თქვენ!

და მეყსეულად აღეხილნეს თვალნი მათნი...
(მათე. 9. 27-30).

როდესაც ილია ჭავჭავაძის განდევილი სე-
ნაჲში შემოპრილ სხივს აყრდნობდა ლოც-
ვანს, ეს სხივი მისი გონების სხივზე იყო გა-
დაბმული. ორი მხრიდან იჭერდა ლოცვანს
უფალი. თავისი თავის მხრიდანა და განდე-
ვილის მხრიდან. ერთი ეს იყო თავად განდე-
ვილის სულში ჩამდგარი რწმენა უცოდვე-
ლობისა და უფალთან ერთიანობის თავისი
უცოდველობით და მეორე თავად უფალი —
სხივი. როდესაც განდევილმა ქალის მშვე-
ნიერებით ნიბლი გაიზარა როგორც ცოდვა-
ში ჩაეარნა თვალთა და ხილვით, მას გა-
უწყდა უკვე ერთიანობა უფალთან და გაუწყ-
და ის სხივიც, რომელიც აერთიანებდა მის
გულსა და თავად უცოდველობას უფლისას,
იმ ძალას, რომელსაც ერქვა ღვთაებრივი უც-
ოდველობა და სიკამყამე, გამჭვირვალეობა, ანუ
სინათლე, საიდანაც ეგზავნებოდა განდევილს
სასწაულმოქმედი და ყოვლისშემძლე სხივი
დაყრდნობისა. ეკვმა საკუთარი დაცემისამ
გაწყვიტა ეს სხივი მის განცდაში.

„სარწმუნოებისა თქვენისამებრ გეყავან თქუ-
ენ“ — გვიცალებს მაქხოვარი და ბუნებრი-
ვია, განდევლის სარწმუნოებაზე გადაბმულ-
მა შემძლეობამ ლოცვანის დაყრდნობისა,
ცალუღლად დარჩენილმა და განდევლის

გონება-გამოცილიმა, ვეღარ დაიყრდნო ცოდ-
ვის საშინელებითა და შიშით შეპყრობილ და/
თავზარდაცემულ განდევლის ხელშეწყობილ
ბილი წმინდა ლოცვანი.

გავიხსენოთ თუნდაც წყალზე შემდგარი
მოციქული პეტრე, რომელსაც წყალზე იჭერს
რწმენა მინიჭებული უფლისაგან, და მისი
მზერისაგან, და საქმარისია გაუღევოს შიშმა,
რომ მას ვეღარ იჭერს უკვე უფალი, უკვე
იძირება წყალში.

„ხოლო მოწაფეთა ვითარცა იხილეს, ვი-
ღორდა რაჲ ზღუასა მას ზედა, შეძრწუნდეს და
თქუეს, ვითარმედ საოცარ რაჲმე არს, და ში-
შისაგან ლალდაყვეს.

მეყსეულად ეტყოდა მათ იესო და ჰრქუა:
კანდერი იყვენთ, მე ვარ, ნუ გეშინნი!

მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: უფალო, უკუ-
ეთ შენ ხარ, მიბრძანე მის მისვლად შენდა
წყალთა ამით ზედა.

ხოლო მან ჰრქუა: მოვედ, და გარდამოვიდა
პეტრე ნავით და ვიღორდა წყალთა მათ ზედა
და მოვიღორდა იესოჲსა.

და ვითარცა იხილა ქარი იგი ძლიერი, შე-
ეშინა და იწყო დანთქმად, ლალდა-ყო და
თქუა: უფალო მიკსენ მე!

და მეყსეულად განყო ჳელი იესო, უპყრა
მას და რქუა: მკირედ მორწმუნენო, რაჲსა
შეორგულდი“ (სახარება მათესი, 14, 26-31).

ჩვენს ენაზე რომ ვთქვამთ, პეტრე, ისევე
როგორც განდევილი, შეშინდა თუ არა, უკ-
ვე განწირული იყო დამარცხებისათვის. მაგ-
რამ საქმე იმაშია, რომ ეს ფსიქოლოგიური
ლოგიკა, ეს ფსიქოლოგიურად ლოგიკური
შედეგი, დამყარებული იყო არასწორ განც-
დაზე განდევლისა. მის არასწორ შეფასება-
ზე თავისი განცდისა, რომელიც მთელ მის
მსოფლმხედველობაში იყო ჩაყარული და
ერთიანად გადაქსოვილი მასზე. საქმე იმაშია,
რომ მას არ შეიძლებოდა, მას არ ჰქონდა
უფლება უფლისავე მიერ, თავისი თავისთვის
მოეთხოვა ის, რასაც ის მოითხოვდა თავისი
თავისგან — ადამიანობაზე, ადამიანურ ბუნე-
ბაზე უარს. რწმენა ამ უარის ღვთიურობისა
და კანონზომიერების მასში აგებდა ასკეტის
მთელ მსოფლმხედველობას, რომელიც თა-
ვის არსებაში მცდარი იყო. ამიტომ დამარც-
ხება განდევლისა უკვე მისი მსოფლმხედვე-
ლობის დამარცხება იყო და არა ერთი უბრა-
ლო კაცისა, რომელსაც წუთისოფლიდან მოწყ-
ვეტილსა და ადამიანს დანატრებულს მშვე-

ნიერების გრძობა მოჰგვარა მართლაც მშვენიერებად გაჩენილმა არსებამ ქალწული ქალისამ.

გაეხსენოთ: „თვით მადლს ტრფობისას რომ მოეხურვოს ხორცსმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად, უეტესს სახეს ვერ ინატრებდა თავის სიცოვლის გამომსახველად“.

სხვათა შორის თავად მსოფლმხედველობრივად რომ ყოფილიყო თანმიმდევრული განდევილი, მას ამ თავზარდაცემული ცოდვის განცდა უფრო ადრეც და მაშინაც უნდა გასჩენოდა, როდესაც თავისი სენაკიდან გამცქერალი, ბუნების წარმტაცი მშვენიერებით აღფრთოვანებას ვერ იოკებდა:

„ერთხელ, ხალაშო, ლოცვით დაღლილი
გადმომდგარიყო ზღუდის კარებსა
და დაუქრებით გადაჭურებდა
მწვანით დაფენილს შთისა კალთებსა,
მზე გადახრილი ჭერ კიდევ სრულად
შთისა გადაღმა არ დასულიყო,
ციხა ლავარადი, ვით ნაკერჩხალი,
წითლად და უციოლად მზისგან მღვდოდა,
და განსჭვავული შთით ღრუბელი
შორს ათას-ფერად სხივებში შორთოდა,
ამა უხიწო დიაღის ხილვით
წარტყვევნილ იქმნა განყენებულნი
და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას,
შესცქერდა მზესა განცვიფრებულნი“.

სრულიად ლოგიკურია, როდესაც ძველ აღმოსავლურ ასკეზაში სიცოცხლისა და წუთისოფლის უარყოფა გულისხმობს არა მხოლოდ აღამიანური ცხოვრებისა ქალის მშვენიერების უარყოფას, არამედ მშვენიერებას ვარსკვლავეთისას და მზის სინათლისას. ჰეულისხმობს მზეს და ნირვანაზე მეოცნებენი შეჰყავს ცოცხლად დამარტყენი სამარეებად აგებულ საგანდევლო სენაკებში, სადაც მათ, თვითდამარტულებმა, არ უნდა იხილონ არც შუქი მზისა, ამასთან არა მხოლოდ თავიანთი ფიზიკური თვალებით, არამედ არც სხეულის რომელიმე ნაწილის შეგრძნებით აღმქმელობით.

ამგვარი რანგის „განყენებულნი“, როგორც ილია ჭავჭავაძე უწოდებს მათ, ჩვენ არ გვეყოლიან საქართველოში, მხოლოდ დაყუდებულნი არიან აღრიცხულნი, და მათ შორის ერთი დედათავანიც, დედა ანატოლე, რომელიც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშია აღწერილი: დედა ანატოლე დაყუდებული, მაგრამ ის, რაც მხატვრულად აღწერილი პოემით გვამცნო ილია ჭავჭავაძემ, თავისთავად ისტორიული სინამდვილის შემცველია და

მართალია, ილია ჭავჭავაძის დროისათვის უკვე რეალურ აწმყოდ აღარ იკითხება, მაგრამ ილია ჭავჭავაძე მაინც აცოცხლებს მხატვრულგორც ცხოვრების გზას, აცოცხლებს მე-19 საუკუნის დასასრულს იმისათვის, რომ პასუხი შექმნას, და ამასთან უკვე მაშინ, როდესაც ჰიმალიდან ევროპამდე გავლილი მთელი გზა მისი, ამ ასკეტური ბერ-მონაზვნობისა, ერთგვარად დასრულებულია.

ქრისტიანული ასკეზა როგორც ბერმონაზვნული დოგმატი ევროპაში დამბობილია ახალი ქრისტიანული ფილოსოფიით, ჩენესანსის დიდი, ეპოქალური მონაპოვარი — ადამიანის ჰარმონიული ცხოვრების იდეალის ძიებისა გამარჯვებულია და ევროპული პასუხი გაცემულია.

და კიდევ ერთ უმთავრეს შეკითხვას უნდა გავცეთ აქ პასუხი განდევლის მიერ არჩეული ცხოვრების მიზნის შეფასებაში: არის თუ არა ეს მიზანი წმინდა ქრისტიანული, ე. ი. არის თუ არა ეს მიზანი ზუსტი არჩევანი ქრისტეს მოძღვრების თვალსაზრისით.

ქრისტიანული მოძღვრება, რომელიც ქრისტეს მოვლინების ეთიკურსა და ღვთისმეტყველურ მსოფლმხედველობას გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, კოსმიური აქტია, რომელიც საფუძველს ჰქმნის ახალი და განსხვავებული რელიგიური მოძღვრებისათვის, როგორც აღმოსავლურ წინარექრისტიანულ რელიგიასთან მიმართებით, ასევე ბერძულ-რელიგიურ პანთეონთან.

აღმოსავლური ღვთისმეტყველება, კერძოდ, ბუდისტური ღვთისმეტყველების ორ არსებით მეთოდს შეიცავს სამყაროს შემეცნებისა და ღმერთის ძიების. ერთი ეს არის მეთოდი, რომელიც ყველაფერში ხედავს ღვთაებრივ რეალობას, მიწაშიც არის ღმერთი, ცაშიც, წყალში, ვარსკვლავებშიც და მაპატივით, მატლებსა და ნეხვებშიც. ამიტომ რადგან ეს მეთოდი შემეცნებისა შედეგად გულისხმობს და ჰპოვებს, რომ აქაც არის ღმერთი, აქაც, აქაც, ამაშიც, იმაშიც, ყველგან, ამიტომ ამ მეთოდს „პოლოითი“ ჰქვია. აღმოსავლური აზროვნება იცნობს სამყაროში ღვთიურ რეალობის ძიებისა და დადგინების სრულიად საპირისპირო გზასაც, რომელიც იმდენად არ კმაყოფილდება ხილული და უხილავი სამყაროს ღვთაებრივ რეალობად მიჩნევით, იმდენად არ აკმაყოფილებს მას საღვთაებრივ სინამდვილედ არაფერი, რომ იგი

იწყებს ყველაფრის უარყოფას და ღვთაებრიობას იგულვებს უკვე ყველაფრის მიღმა, მთელი ხილული სამყაროსა და ყოფიერების მიღმა, იმ რეალობაში, რომელშიც აღარაფერი არ არსებობს, რასაც ჩვენ აღვიქვამთ რეალობად. ამიტომ ამ განასერს ყოფიერებისას არარაობა ჰქვია, ხოლო მის მოპოვებელ გზას შემეცნებისას არარაობითი გზა, ანუ ყველაფრის უარყოფელი. სხვარიგადაც შეიძლება გვეთქვა: დადებითი და უარყოფითი შემეცნება, რომელიც ღვთაებრივ რეალობას, არარაობას, თავისი შემეცნების ქემშარტებად აქცევს და აგებს მასზე მთელ თეოლოგიასა და ეთიკას, ე. ი, მთელ რეგულიურ მოძღვრებას, ადამიანური ცხოვრების გზის ლოგიკურ მიმართულებადაც, ბუნებრივია, დასახავს ყოვლის უარყოფისა და ე. ი. ცხოვრების უარყოფის პრინციპსაც.

აღმოსავლური აზროვნების ჰოობითიცა და არაობითი ღვთისმეტყველებაც, ორივე შეაერთებს შემეცნებასა და ეთიკას, მაგრამ უმადლესი მწვდომელობის შემწე აღმოჩნდება არა ჰოობითი, არამედ არაობითი შემეცნება.

ქრისტეს წინარე დიდი რელიგიური ფილოსოფია აღმოსავლეთისა არსებითად არის მქადაგებელი სიცოცხლისა და ცხოვრებისა წარმატებულ მოჩვენებადა და ბოროტებად, ღვთაებრივისაგან უცხო და არაღვთებრივ რეალობად, რომელიც უნდა უარყოფი იქნას. იგი მომნიჭებელია მხოლოდ ტკივილისა და მწუხარების. სიამისა და ნეტარების მონიჭება ძალუძს მხოლოდ ღვთაებრივს. ღვთაებრივი კი არის ყოველი არსებულის მიღმა, არარაობრივ ყოფნაში. ღმერთი არის არარა, რომელსაც ვწვდებით ნირვანაში. ამიტომ მიზანი ცხოვრებისა აღმოსავლური რელიგიური პრინციპებით არის სრულიად უარყოფა ცხოვრებისა და იდეალი ცხოვრებისა სამარადისო აღკვეთა დაბადებისა და მიწაზე სიცოცხლის შესაძლებლობისა. ამიტომ აღკვეთილია ასეთ შემთხვევაში შვილების გაჩენაცა და გამრავლებაც ამქვეყნიური ბოროტების წუთისოფლისთვის.

აღმოსავლური უმრავლესი ღვთაებრიობა, არარა, და მისი შესატყვისი ეთიკური გზა ყოვლის უარყოფისა სრულიად შესაბამისობაშია ერთმანეთთან.

მაცხოვარი მოდის როგორც ახალი ქადაგი სიცოცხლისა და ახალი განმშარტებელი სიცო-

ცხლისა. მისთვის სიცოცხლე ადამიანებისა არის არა ბოროტება და მწუხარება, არამედ მაღლი ღვთისა. შებღალული განწმენდისა მომამზადებელი სულისა მარადიული ცხოვრებისათვის. მისთვის სხეული, როგორც აღმოსავლური რელიგიაში, არ არის ბოროტება, საგანი უბრკოლესი უარყოფისა. მისი სხეული განღმრთობილია და თავისი ღვთაებრივობით აღღვამის შემდგომ სულიერ ბუნებაში აღწევს. მაცხოვარი ამტკიცებს ღვთიური და სასწაულთმოქმედი ძალის ბუნებას ადამიანის სხეულისას. ამიტომ ქრისტეანი წმინდანები სასწაულებს ახდენენ არა მარტო თავის მგზნებარე სულით, ქრისტეთი აღვსებული სულის გასხვივსებით, არამედ თავიანთი გვამის ნაწილებითაც, ნეშტით.

ღვთაებრივი რეალობა ქრისტეანული მოძღვრებით, თავის წმინდა სახეში, არის არა არაობითი, არამედ ჰოობითი, რადგან უმადლესია არა არარაობა ყოფიერების განასერი-სა, არამედ წმ. სამება.

უარყოფითი თეოლოგია ქრისტეანულ აზროვნებაში აღმოსავლეთიდან შემოჭრილი ფილოსოფიური ნაქადაია.

ქრისტე როგორც ახალი კოსმოსური აქტი და ახალი იდემალება სამყაროსი არის ახალი საფეხური ადამიანის ცხოვრების ღვთაებრივი გზის ძიებისა. მისი ჰოობითი თეოლოგია, მისი უმადლესი ღვთაებრიობა, რომელიც არის წმინდა სამება და არა არარა, აღარ შეიძლება გულისხმობდეს ისეთსავე ეთიკურ გზას ცხოვრებისას, ისეთსავე იდეალს, როგორც არის გზა ყოველივეს უარყოფისა, ანუ არარაობასთან მიმსგავსების, ქრისტეანული გზის იდეალი წმ. სამებასთან მიმსგავსებაა. ანდა როგორც მაცხოვარი გეტყვის: „იყავით თქვენ სრულ, ვითარცა მამაა თქუენი ზეცათაა სრულ არს“.

რასიც არ უნდა მდგომარეობდეს სრულობა ზეციური მამისა, ფაქტია, რომ იგი არის მიმსგავსება მამისა და არა არარაისა: უფრო ზუსტად რომ ამოვიკითხოთ ეს სისრულე მამისა მთელი მოძღვრებით, იქნება: მამისა და ძისა და წმინდისა სულის.

ქრისტეანული ასევე, აღმოსავლეთიდან შემოსული და ქრისტეანობაში შეჭრილი არაობითი თეოლოგიის ძალით, ქრისტეანულ მოძღვრებას თავისი ახალი და საკუთარი, საგანგებოდ ახალღვთიური, მიმართულები-დენ გადახრის უარყოფითი თეოლოგიის იდე-

ალისაყენ. ე. ი. ყველაფრის უარყოფის, ანუ ასკეზის გზისაყენ, არაობითი გზისაყენ, და ზნეობრივ იდეალადაც — ფილოსოფიის გავლენით — აღმოსავლურ ეთიკურ იდეალს და-იმკვიდრებს: ამიტომ მისი აბსოლუტური მი-ზანი, სიყვარული და ქრისტე, რომელსაც უნდა ასკეტი ეზიაროს, აღმოჩნდება არაო-ბაში და არა წმინდა სამებაში. ამიტომ მისი აბსოლუტური მიზანი მთელი სქოლასტიკის მანძილზე იქცევა ასკეტურ განყენებად, რო-მელსაც უეიდურესობამდე მისულს, დასკირ-დება ქრისტესწინარე ანტიკური იდეალების ხმობა საშველად, და დიდი რენესანსული მოძრაობა: აღამიანის ცხოვრების პარამონიუ-ლი იდეალის დასაბრუნებლად. ასე დაიბრუ-ნებს რენესანსი ჰუმანიტეტს ქრისტეს დიდი ხე-ლოვნებისა და დიდი ლიტერატურის შემწე-ობით, აი, რატომ არის რომ ქრისტიანობის აღიარებული ისტორიკოსი ადოლფ ჰარნაგი დასვამს შეკითხვასა და იტყვის: მაინც გაუ-გებარიაო, თუ რატომ მიიღო ქრისტიანულმა ასკეზამ ის ფორმა და სახე, რომელიც მიი-ღო.

ეროვნული და ეპოქალური თავსაწიერებო, როგორც საკუთარი თითო შვილის მრავლი არსებით ვერმიმტოვებელი, ვერმიმტოვებ-ლი მამა თავისი ერისა, იგი დგებდა შვილის მოვლისა და პატრონობის წუთისოფლური უღლის ქვეშ და იწყებდა ოჯახის ყოველი მისხლის, ვითარცა წმინდა განძის გაფრთხი-ლებას. შემოტანილის შენახვასა და აზრიან ხარჯვას და აღმოჩნდა, რომ ამ თერგდალეულმა მოძღვარმა, მყინვარის ზვიადობაზე და თერ-გის მქუხარებაზე დაფიქრებულმა მკვრე-ტელმა ყოფიერებისამ და განმანათლებელმა ერისა, თერგდალეულმა მისანმა და ღმერთ-თან მოსაუბრე წინასწარმეტყველმა ერისამ, სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობა და სათავადზაუნაურო ბანკის მმართველობა უთავილოდ იტვირთა. ასე დამწიფდა დასაბამ-შივე, ილიას ცნობიერებაში, მისი შემოქმე-დებითი შედეგები „განდევილი“ — პოემა გან-დევილობის უარყოფისა, რომელიც მან თა-ვისი ცხოვრების დიდი და ეკლიანი გზის თა-ნამგზავრსა და დიდს სულიერ თანამოსაყდ-რეს — ოლა გურამიშვილს უძღვნა, ვითარ-ცა პოემა დიდი სიყვარულისა და ერთგულე-ბის, ამ გზით, ამგვარი „ვეფხისტყაოსნით“ ილია მარტო ენის ახალი თეორიით როდი და-უპირისპირდა ძველი სტილის ღვარჯნილებით მლაღადებელ ანტონ კათალიკოსს, არამედ დაუპირისპირდა აზროვნებითა და მორალუ-რი იდეალითაც. იგი დაუპირისპირდა იმ ვე-როპული ახალეკლესიური მორალითაც, იმ რენესანსული შედეგებით, რომლის თეორიუ-ლი სათავენი საქართველოდან მომდინარედ ითვლებიან ამჟამად და რომლის ფილოსო-ფიურ-თეოლოგიური გაცნობიერების სურვი-ლი მასში აღმოუცენებელი დარჩა. ილიას განდევილი იყო მისტიური პასუხი ანტონ კა-თალიკოსის განჩინებაზე რუსთაველის მი-მართ და ერის სულიერი წარმართვა რუსთა-ველის გზით.

ბერ-მონაზვნური ასკეზის უარყოფა დოგ-მატური წესით მოგვევლინება როგორც მთე-ლი ევროპული რენესანსული აზროვნების შედეგი, რომელიც საქართველოში ილია ჭავ-ჭავაძის განდევლით ჰპოვებს თავის მონუ-მენტურ ეპოქალურ ასახვას.

ილია ჭავჭავაძეს, როგორც შევნიშნეთ, მი-აჩნია, რომ ქართული ეროვნული პასუხი არ არის გაცემული ამ კითხვაზე. თუმცა არსე-ბობს შეგონებანი „ვეფხისტყაოსნისა“ და ნი-კოლოზ ბარათაშვილისა:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვეყიან შვილნი
სოფლისა,
უნდა კიდევა მივხდით მას
გვეხმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა რომ ცოცხალი მკვდარსა
ემხავახოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“.

გრძნობდა რა ილია ჭავჭავაძე, რომ მის ხალხს ახალი მოძღვარი და მოძღვრება სჭირ-დებოდა, ახალი მთქმელი მართლისა სიმარ-თლისა, ახალი კანონმდებელი და მოსამართ-ლე, სწორ გზაზე დამყენებელი ყოველი კა-ცისა და ამით მთელი ერის, ანაზღაურებდა რა მისი საერო-სასულიერო აზროვნება საეკ-ლესიო-სასულიეროს, უჭრიდა რა გონება

* * *

„მაგრამ ქართველნი, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვის ვსტირი?
იგი აღარ გაუთ, მის მოედანი
ჭაგით აღვისლია, ვერანად ქშნილა,
გმირის დამბადი დიდი ხაგანი
თქვენში სპობილა და წაწმედილა.
გადანდგომიხართ თქვენ ქართველობას,
დაგინჯრევიათ დიდი მამული.“

რალა დამბადავს თქვენში დიდ გარძობას?
რითი აღტკინდეს ქველისთვის გული?
თქვენ გარს მადლითა სავსეს ბუნებას
შეუკრებნია ყოველიფერი,
რომ მისცეს თქვენში ზრდა დიდი
ცხოვრებას.

მეოს იგი ძლიერ და ბედნიერი.
ვიშ, ეს ქვეყანა, ზმელეთის თვალი.
დიდის სამოთხის კუთხე პატარა
ქედმოდრეკილა ნადვლით საწყალი
რომ მისი ტრფობა თქვენში

შეგწყდარა,

რომ დაგოდლოთ უშველ, უნუგემ,
თქვენის სიახით დაწყულუღებულა,
თქვენგან გამოილი — უცხოს კალთის ქვეშ,
ვითა ობოლი, შეფარებულა“.

(„აჩრდილი“, თავი IX)

ყველამ გაიხსენეთ ალბათ ილია ჭავჭავაძის
ეს სტრიქონები მისი დიდებული პოემი-
დან „აჩრდილი“.

აი, ეს საოცნებო გმირი, რომლისთვისაც
ილია ჰკოდებს და სტირის, მხსნელი მისი
ერისა. თავისუფლებისა და ქვეშაირტების
მომტანი, ილიასათვის და მისი ერისათვის
ბაზალეთის ტბის ძირას, ანგელოზებშემო-
ფრენილ აკვანში, ღვთაებრივად რომ უნდა
იშვას, ეს გმირი, დედამ ქართლისამ უნდა
უშვას და აღუზარდოს საქართველოს:

„ისე აღზარდ შენ შვილი შენი,
რომ წინ წარუძღვეს ქვეშაირტება
უკან რჩეს კვალი განათლებული“.

ამ სტრიქონების სამამულო სიბრძნელ წარ-
მომტქმელს, სტრიქონების, რომლითაც დე-
და და ქვეშაირტება ერთიანდებოდა, რომ-
ლითაც დედას ვეალებოდა ქვეშაირტების
ნათელთან მიეყვანა შვილი, ამ სტრიქონე-
ბის წარმომტქმელს, რაოდენ დიდადაც არ
უნდა დაესახა სულის ცხოვნების გზება
იმ „განდეგილისა“, რომელიც თავად აღწე-
რა პოემა „განდეგილში“, არ შეიძლებო-
და წინააღმდეგობად არ აღმართოდა ის გა-
გება ქვეშაირტებასთან ზიარებისა, რომე-
ლიც დედისა და საერთოდ ქალის პრობლე-
მის ირგვლივ იხადებოდა. „ოთარაანთ ქვრი-
ვის“ დამწერმა, რომელმაც დედობის საო-
ცარ სულიერ მღვიმეებში ჩაიხედა და უფ-
ლის სასწაულები იპოვა, იცოდა, რომ მისი
აღწერილი განდეგილის განდეგილობა სულ
სხვა ადამიანურ ფსიქიკას თხზავდა: დედა-
შვილობასა და საკუთარ მოყვასს დაშორე-

ბული ადამიანის ფსიქიკას. ქალი, დედა ზე-
გადად, რომელიც ილია ჭავჭავაძისთვის იყო
უბირველესად დედა ქართველისა, დედა ქვე-
თლისა, რომელიც ილია ჭავჭავაძისთვის
სი სათაყვანებელი საქართველოს სიმბოლო
იყო ეული განდეგილის ცნობიერებაში გა-
გებულ და მის განცდასა და ცხოვრებაში
დამკვიდრებულ სატანური და ცოდვილი დე-
დაკაცის განსახიერებად ვერ იქცეოდა. იე-
ოდა უკვე ილიამ, რომ ქალის ამგვარი მაე-
დუნებელი და წარმწყმედელი გაგება განდე-
გილობის ქვაკუთხედი იყო და, რომ მთელი
განდეგილობა დედათა საწყისის უარყოფაზე
იყო დამყნობილი. საქართველოში, სანამ
ადამიანს რაიმე ეშმაკეულ ძალაზე ჩამოუ-
ყალიბდებოდა წარმოდგენა, ახალდაბადებულ
ბავშვის შეშინება რომ უნდათ მშობლებს,
რალაც საშოშსა და უარყოფითს რომ უხატა-
ვენ, რომელიც ბავშვმა არც იცის ჭერ და
არც უნახავს, მაგრამ უნდათ რომ წარმოად-
გენინონ და შეაშინონ, ეტყვიან ხოლმე ბა-
ვშვს — „ბუა მოვოა“. რალაც „ბუა“-ს, რო-
მელსაც ბავშვი მშობლების შთამაგონებელი
ძალით იჭერებს და შემდეგ ყოველთვის
იცის რალაც საფრთხობელა „ბუა“, რომე-
ლიც მოვა თუ არ გაჩერდება, თუ ისევე
იტირებს ან ხმას ამოიღებს, და „ბუა“ ხდე-
ბა რალაც ქართული ეთნიკური სახე უხილა-
ვი საშიში ძალისა, რომელსაც უმანკო ცნო-
ბიერებაში ყველანაირი უსიამო ხილული
აღნაგობა შეიძლება მიეცეს.

და აი, ქრისტიანული ასკეზის ანგელოსუ-
რი უმანკობის მაძიებელმა გონებამ თით-
ქოს ბალღურად შთაიგონა სახე ქალისა
სიწმინდის საფრთხობელად.

ბეთლემის განდეგილის ილია ჭავჭავაძი-
სეული ფსიქიკის გადმოცემაში, განდეგილის
განწყმენილი სული იმ ბავშვის სულია, რო-
მლისათვისაც ნებისმიერი დედური არსე-
ბობის გამოჩენა მსოფლმხედველობრივად
იმ ქართველი ბავშვებისათვის არსებული
„ბუას“ გამოჩენას ნიშნავს. რადგან ნების-
მიერი ქალური არსება ქრისტიანული მონას-
ტრებისა და უღანბნობის განდეგილთათვის
ის საშიში ძალაა მამათა ჩაკეტილი სენაკების
ქვეა-ქუხილით დასანგრევად, რომელსაც
ჰქვია ცოდვა და წარწყმედა განდეგილის
სულისა.

მაგრამ ილია ჭავჭავაძის, ქართველი ერის

პატრონს, როგორ მოუბრუნდებოდა ენა, ქართველი ქალი, დედა ქართლისა, დიდი თამარისა და დიდი ქეთევან წამებულის ქალურ იდეალებში დანახული, სიწმინდის რაღაც საფრთხობელად და თავად სატანური საწყისის წარმომადგენლად გამოეცხადებინა. არადა, განდევლობის ფსიქოლოგიის და ფილოსოფიის მწერლური ანალიზი უნდა მოეხდინა. ილია განდევლის სულში უნდა შენათებულიყო და ის, რაც თავად მისთვის, განდევლისათვისაც მიუწევდომელი და გაუცნობიერებელი იყო, თავის მწერლური გონებისა და გულის შუქით უნდა გამოეტანა გარეთ მზის სინათლეზე, უნდა გამოსცხადებოდა და თავად განდევლისთვის უნდა დაენახებინა არსი მისივე ყოფისა, რომელიც განდევლიმა, ილიას აზრით, კარგად არ იცოდა.

„სადაც დიდებულს მთავა მყინვარსა
 ორბნი, არწივნი ვერ შეგზებთან,
 ხად წვიმა-თოვლნი უნულად ქმნილნი,
 მზისგან აროდეს არა დნებთან,
 ხად უდაბურსა მას მყუდროებას
 კაცთ ღრიაშული ვერ შესწვდენია,
 ხად მეუფება ჰეჰა-ქუხილსა,
 ყინულს და ქართა მხოლოდ მშთენია,—
 უწინდელს დროში ღვთისა მოსახეთა
 გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი
 და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს
 ბეთლემს უწოდებს ღვთისცაცა ვერ“.

(„განდევლი“, 1).

ჩვენ შევნიშნეთ, რომ ილია ჭავჭავაძის მიერ აღწერილი ეს ისტორიული სამონასტრო კომპლექსი, რომელიც, მკვლევართა აზრით, მეთორმეტე საუკუნის შემდგომ უნდა დაეარსებინათ, კავკასიონის ბეთლემის ეს ქართული მონასტერი არის გზა მთელი კაცობრიული ბერმონაზვნური ცხოვრებისა პიმალიასა და ტიბეტის განდევლობიდან მოყოლებული ქართულ განდევლობამდე. სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძე ერთ საინტერესო დეტალს გვაწვდის თავისი გმირის — განდევლის ბიოგრაფიული ეპიზოდისას, რომ იგი ჯერ უდაბნოს განდევლი იყო და ცხელი მზის თაკარებით დამწვარი, და ახლა უდაბნოდან ყინულების სისასტიკეში წვრთნიდა და ამალეხდა თავისი განდევლობის შემწეობას;

„ოდესღაც ტაძარს იმ გაუქმებულს
 მუდუბანოე შეგვედგებოდა“.



ეროვნული

ამბობს მწერალი და ამით განდევლობის როგორც ცხოვრების მორალური გზის ყოველგვარ კაცობრიულ ლანდშაფტს აერთიანებს მისი პრინციპული რაობის, კეშმარტი არსისა და საზრისიანობის განსახილველად და ნათელსაყოფად.

სამაგიეროდ, განდევლის ამ ლანდშაფტით ილია ჰყვება იმ მყინვარის ისტორიას, სადაც მას, ვითარცა მალადღებულსა და მქადაგებულს ერის სატყეავარისას, თავად უფალი ეცხადება მყინვარზე მდგარი მოხუცებული აჩრდილის სახით, თავად უფალი მამა-ღმერთი ევლინება ილიას საქართველოს უკვდავი სულის სახით და, როდესაც ჩვენ ვფიქრობთ მისი პოეტური მრწამსის გამოცემაზე და გუმანით ვიკვლევთ სტრიქონებს ერის პატრონი პოეტისას, როდესაც ის წერს:

ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
 რომ წარვუძღვე წინა ერსაო —

ვეფიქრობთ, სწორედ ამ პოემით, „აჩრდილით“, და მასში აღწერილი გამოცხადებით ამქვადენებს და ხსნის საიდუმლოს თვისას, ილია ჭავჭავაძისას, როგორც ღმერთთან მოლაპარაკე და განუყრელად მყოფი პოეტისას, ღმერთის თანხლებასა და მფარველობაში მყოფი პოეტის, ისეთსავე თანხლებასა და მფარველობაში, როგორც ბიბლიური წინასწარმეტყველი მოსე გახლდათ თავისი დატყვევებული ერისათვის. მაგრამ თუ თავის მრწამსად მოწოდებულ ლექსში „პოეტი“ — ილია არ გვიმხელს თავისი მისიის ასოციაციას ბერაელი ერის დიდ წინასწარმეტყველთან, პოემა „აჩრდილი“ ამას უკვე მეტიმეტი სიციხადით გვეთვალსაჩინოებს. დიალოგი „პოეტსა“ და „აჩრდილს“ შორის, „აჩრდილს“, რომელიც არის მყინვარზე მდგარი მოხუცებულის აჩრდილი, აშკარა პოეტური ანალოგია ბიბლიური დიალოგისა მოსე წინასწარმეტყველსა და მამა-ღმერთს შორის, რომელიც აღუთქვამს მოსეს განუყრელ თანხლებასა და „თანამდევსა უკვდავ სულობას“ ერის წინამძღოლობის მძიმე ჯვრის ზიდვაში.

და აი, მყინვარი ილია ჭავჭავაძისა, რომელიც ილიამ დახატა თავისი, ვითარცა ერის პატრონისა, და უფლის, ვითარცა საქართველოს თანამდევნი უკვდავი სულის, დრამატული დიალოგის ადგილად, სადაც თვით აჩრდილი ანუ უფალი-ღმერთი ევედრება ღმერთს, ვითარცა დედას-ღვთისას, ზღედა ასპარეზად განდევილის გამოცხადებისა:

„თურმე მოხუცი ის ჰლოცულობდა და ღმერთსა ესრეთ ევედრებოდა:
„დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა...
ხალხითღ მთილენ ხიხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთსახოო, ნუ არიდებ მოწყალებ თვალსა! („აჩრდილი“)

გთხოვთ მიაპყროთ ყურადღება სიტყვებს: „და ღმერთსა ესრეთ ევედრებოდა: დედავ — ღვთისაო, ეს ქვეყანა შენი ხვედრია“. ილია ჭავჭავაძის უფალი-ღმერთი პოემაში „აჩრდილი“ ეს არის „დედა-ღვთისა“. მფარველი ერისა განცდილია ღმერთად ამ ერისა და აი, ამ გამოცხადების ადგილს, მყინვარის შემოგარენს ილია ირჩევს კიდევ ერთი და ახალი გამოცხადებისათვის. ეს არის მისი საკუთარი სულისა და გონების შეჭრა ყივლულების მღვიმეთა ერთ პატარა საგანდევლო სენაკში ქარიშხლით გადასროლილი მწყემსი გოგონას სახით. დიახ. ილია ეცხადება განდევილს ისე, რომ განდევილმა არ იცის ამ გამოცხადების იდუმალი; მწყემსი გოგონა ორეულია ავტორისა, მისი პოზიციის. ილია გარდასხეულებულია თავის გმირ გოგონაში.

„თვით მადლს ტრფობისას რომ მოცხურვოს ხორცსმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად. უკეთესს სახელს ვერ იხატრებდი თავის ხიცოცხლის გამომსახველად“-ო.

ასე აღწერს ილია ჭავჭავაძე ამ მწყემსი გოგონას მშვენიერებას, რომელიც მან როგორც მწერალმა თავის ორეულად აირჩია და ამით განდევილობის, როგორც ცხოვრების გზის მოვლენა, თავის საუკუნემდე, საკუთარ თანადროულობამდე მოიტანა.

როგორც გახსოვთ, სიუჟეტურად მთელი ტრაგედია განდევილისა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოულოდნელი ქარიშხ-

ლისა და თავსხმისაგან შეფარებული მწყემსი გოგონა სენაკში ცეცხლთან მიყუდებული ვასათობად და ჩაძინებული, უფრო მწუხრად მშვენიერება და მომხიბლობა მისი ხდება მიზეზი განდევილის სიკვდილისა. აქ ერთი უმთავრესი მომენთია ყურადღების მისაპყრობი: როდესაც განდევილი იგრძნობს, რომ იგი მოხიბლა მწყემსი გოგონას მშვენიერებათ და თავზარდაცემულმა მშველელად თვალბით მოძვინა საღლაც სენაკში დაბრძანებული ღვთისმშობელი ხატი, ხატის გამოსახულებაში ის ღვთისმშობელი კი არ დაინახა, რომელსაც ადრე ხედავდა, არამედ დაინახა მწყემსი გოგონა და ეს აღმოჩნდა მისი სასიკვდილო თვითგანჩინების არსებითი წინამძღვარი, ამით დარწმუნდა იგი სწორედ, რომ უფალმა დასაჯა იგი და ვეღარ ხედავს დედა-ღვთისმშობელს თავისი ხატისას.

ჩვენის აზრით, ილია ჭავჭავაძემ პოემა „განდევილის“ ამ ერთი დეტალით მიაგნო უმთავრესსა და გრანდიოზულ მსოფლმხედველობრივ შეცდომას ბერმონაზვნური ინსტიტუტისას. ილიამ აჩვენა, რომ ბერმონაზვნობაში გათიშულია სახე ღვთისმშობლისა და სახე ქალობის ზოგადი იდეისა. ეს იმას ნიშნავს, რომ ღვთისმშობელი არ წარმოადგენს იდეას ქალობისას და დედურობისას და არც მონაწილეობს ამქვეყნიური ცალკეული ქალის არსებობაში. მონასტრული ეთიკით, ღვთისმშობელი არ არის ქალი, ღვთისმშობელი არის მხოლოდ ღვთისმშობელი და არც ერთი ქალი არ არის ღვთისმშობელი. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ღვთისმშობელს არავითარი საერთო არა აქვს არც ერთ ქალთან. ეს კი დაახლოებით იმას ნიშნავს, რომ ამავე მოძღვრებით შესაძლებლად ჩავთვალოთ იგივე მსჯელობა მაცხოვრის მიმართ და ვალიაროთ, რომ არც ერთ მამაკაცს ახავითარი საერთო არა აქვს მაცხოვრის არსებობასთან. მაშინ, როდესაც მაცხოვარი იესო ქრისტე ეს არის ადამიანების და ადამიანობის გვირგვინი, გაღმერთებული კაცი, ისევე როგორც განკაცებული ღმერთი. ხოლო ღვთისმშობელი ეს არის გაღვთისმშობლებული ქალი და ამქვეყნიური მატარებელი სულიწმიდის დედურობისა. უბრალოდ რომ ვთქვათ, ღვთისმშობელი ისევე არსებობს ყველა ქალში, როგორც ყველა ქალი

არსებობს ღვთისმშობელში. ბერძნული ფი-
ლოსოფიის ენაზე ღვთისმშობელი ეს არის
ამჟვეყნიური განსხეულება ქალობისა და
დედობის იდეისა, ქალური საწყისის, რომ-
ლის მონაწილეობაც ყოველ კონკრეტულ
ქალში ისეთივე საგულისხმოა, როგორც ყო-
ველი იდეისა — საგანში. ღვთისმშობელი
ეს არის იდეა „ყვავილობა“, რომელიც არის
ყველა ყვავილი, ანუ იდეა — „სიბრძნე“;
განყენებული ძალა სიბრძნისა, როგორც რე-
ალობა, რომლის თანაზიარობა გააჩნია ყვე-
ლა ბრძენს ამჟვეყნად.

დედობის ისეთ დიდ შესათუთეს, როგო-
რიც იყო ილია, ეს შესანიშნავად ესმოდ-
და მისთვის ისევე უცხო იყო იმ ბერმონო-
ზონთა არსებობა, რომელნიც ქალის დანახ-
ვაზე პირჯვარს იწერენ, როგორი მახლობე-
ლიც იყო ყოველი პატიოსანი დედის იდე-
ალური გამოსახულების ხილვა ღვთისმშობე-
ლში. ღვთისმშობელი სუნთქავს ყოველ უბ-
რალო დედაში. ეს არის მისი ყოვლადობა
როგორც დედისა და ზეციური დედაფლის;
მრავალგვარი არიან ხატნი ღვთისმშობლისა-
ნი.

მეტისმეტად დედოფლურია და ტახტოს-
ნური, კდემამოსილი და მკაცრი დედა იბე-
რიისა, ათონის სასწაულმოქმედ ხატში.
კიდევ უფრო მკაცრი არიან სვანური ღვთის-
მშობელნი, მელღვარე და კაცობრიული ხსნი-
სთვის მოჩქარეა სახელგანთქმული სიქსტეს
მადონა, ღვთისმშობელი კათოლიკე ქრის-
ტიანებისა და ა. შ. მაგრამ — ყველაშინა უბ-
რალო დედურობა რაოდენ ღვთაებრივნიც
არ უნდა იყვნენ ისინი თავად. და აქ, ჩვენი
აზრის დასტურად, ილია ჭავჭავაძის ზე-
მოთმოყვანილი განდეგილის ეული ეპი-
ზოდის ანალოზისა, კიდევ ერთი წერილი
გვინდა ვიხმოთ მისი თხზულებებიდან, რო-
მელიც გაბრიელ ეპისკოპოსის ციტატას შე-
იცავს. გაბრიელ ეპისკოპოსს, ჩვენს სასი-
ქადულ მღვდელმთავარს, ქართველი დედის
იდეალად ესახებოდა თურმე ერთი ხატი
ღვთისმშობლისა, რომელზედაც იგი თავად
აგრერივად ჰყვებოდა თურმე ამბად: „მე
თვითონ არ მინახავს, ხოლო გამოიგონია სა-
რწმუნოთა კაცთაგან, რომელ ერთს ძველს
ეკლესიასა შინა კედელზედ არის დახატული
ყოვლად წმიდა ღვთისმშობელი და მის წინ
სძევს მატყლი, ხელში უჭირავს ტარი და

ჭკოსვს მატყლსა. ნეტამც ჩემის თვალთ
მენახა ეს ხატი! მაშინ მე გავიცინობდი მე-
ორესა კერძოსა საღმრთოსა მიხედვითა მისი
თისა და უდიდესსა პატივსა და კრძალვასა
მისადმი იგრძნობდა გული ჩემი!“ (მითითება)
როგორც ხედავთ, აქ ჩვენი სახელგანთ-
ქმული მღვდელმთავარი, მოძღვარი დიდი
და მოაზროვნე-მორალისტი გაბრიელ ქიქოძე
ღვთისმშობლის ადამიანური მხარის ასეთი
გამოხატვით არის მოხიბლული, მისი საღ-
მართო ე. ი. ღვთაებრივი ხასიათის მეორე
მხარის: „მაშინ მე გავიცინობდიო მეორესა
კერძოსა საღმრთოსა მისის ხასიათისასა და
უდიდესსა პატივსა და კრძალვასა მისდამი
იგრძნობდაო გული ჩემი. ისევე როგორც
მაცხოვრის დიოფიზიტური, ანუ ორბუნებო-
ვანი ბუნების მალიარებლობა იწვევს უფ-
რო მეტ კრძალვასა და თაყვანისცემას მის-
დამი იმის გამო, რომ მასში არის ღვთაებრი-
ვითა და ადამიანური ბუნებაც, გაბრიელ ქი-
ქოძეს ღვთისმშობლის ხატში აღუღვებს
სწორედ უბრალოქალობისა და მზრუნველ-
დედობის, როგორც მისი ღვთაებრივი ბუნე-
ბის მეორე მხარის, მეორე კერძობის გა-
მომხატვა. — რა კარგი იქნებოდა, რომ ყო-
ველსა ქალსა — განაგრძობს იგი, მარადის
ჰქონდეს წინაშე თვალთა ისრეთი ხატი ყოვე-
ლად წმიდისა, რომ ერთეკრძო მისსა იდგეს
და შესცქეროდეს მას სიყვარულის ღიმილი-
თა ღვთაებრივი ყრმა მისი, ხოლო თვით მას
ხელში ეყარას მატყლი და ტარი და სახესა
ზღდა მისსა ღვთაებრივსა კარგითა ხელოვნე-
ბითა იყოს გამოყვანილი ის ღვთაებრივი
სიწმინდე, სიმწვიდე და სიყვარული, თვალ-
თა შინა მისთა ბრწყინვიდეს ის უფესკრული
გონებისა და კრძალულებისა, რომელნი
წარიტაცებენ კაცის გულსა. ესრეთი ხატი
იქნებოდა ჭეშმარიტი დროშა, ანუ სიმბოლო.
ესე იგი ნიშანი ყოველის ქალის მოვალეო-
ბისა, ღირსებისა და მნიშვნელობისა“. ასეთი
ქალობის მაგალითად, რომლის იდეალადაც
გაბრიელ ქიქოძის ღვთისმშობელი შეიძლე-
ბა წარმოვიდგინოთ, წერს ილია ჭავჭავაძე —
ნინო ბაგრატიონი მიმარჩნიაო და ნინო ბაგ-
რატიონის ბუნებისა და სათნოების დასახ-
ტავად და საუწყებლად ჩვენთვის, იხმობს
ილია სწორედ გაბრიელ ქიქოძის ჩვენს მი-
ერ ზემოთმოხმობილ ციტატასაც.

იმისათვის, რომ დაეხატა მთელი მოძღვ-
რება ბერ-მონაზვნური ინსტიტუტისა და

ცხოვრების გზა ბერ-მონაზვნური გაგებისა. ილია ჭავჭავაძემ დახატა ერთი მიმდევარი ამ მოძღვრებისა, ერთი განდევილი ბერი და ერთი ქალი, ანუ ბეთლემს შეფარებული, ადამიანებს აცდენილი და ფიზიკურად ღრუბლების სიმაღლესაც აცდენილი კაცი, რომელიც ერთი ქართველი მწყემსი ქალწულის ღვთისმშობლისადარი მშვენიერების მშვენიერებად აღქმის გამო, უბედურადღობდა და თავის მოკვლის სურვილი მეხად ეცემოდა. დახატა ბერი, რომელიც ღვთისმშობლისადარი მწყემსი გოგონას მშვენიერების მშვენიერებად აღქმას უფლის ღალატად განიცდიდა, გეგონება მწყემსი გოგონას მშვენიერებაში არ იყო უფალი და იყო მხოლოდ მეტოქეობა უფლისა.

ილია ჭავჭავაძე როგორც მწერალი, ხან მწყემსი გოგონას პირით ეკითხებოდა ამ განდევლის სათქმელს, ხან განზე გადგებოდა და მოყვარე მაყურებელივით აღაჯღენდა აზრსა და ლოცვას განდევლისთვის, რომელიც ყინულებში წამებასა და გვემას თვითონ უსჯიდა თავისთავს. ღმერთს მიძღვნილი და ერთიან შეწირული, იგი მონა ღვთისა, ფიქრობდა რომ სწორედ ამგვარად ამებდა უფალს, რადგან სწორედ ამ განმარტობითა და ყველასაგან მოწყვეტით, სწორედ ამ ყინულებში გაყინვით გაიციცხოვნებდა სულს ამქვეყნიურ ცოდვათა დასაწვავად და განსასებტაკებლად სულისა.

და საინტერესო რამ ხდება: ბუნებრივია, რომ განდევლის გზა რელიგიურ რწმენას შეიცავს და განდევილური გზა ცხოვრებისა რელიგიური გზაა, მაგრამ როდესაც მკვლევარნი და შემეცნებელნი ილია ჭავჭავაძის განდევლის ანალიზებენ, ერთნი მიიჩნევენ, რომ ილიამ დაჰგმო განდევლობა, რადგან განდევილი, როგორც მთავარი გმირი პოემისა, დამარცხდა, და ე. ი. დაჰგმო სარწმუნოება და რელიგია (ესენი ძირითადად ათეისტი მკვლევარები არიან), ხოლო მეორენი ფიქრობენ, რომ ილიამ აჩვენა აპოლოგია რწმენისა და ე. ი. სარწმუნოებისა და რელიგიისა, და დაჰგმო ღალატი სარწმუნოებისა და რწმენის; რომ განდევილი ამ დამარცხებასთან და სიკვდილთან მიიყვანა არა რწმენამ და ე. ი. რელიგიამ, არამედ ღალატმა რწმენისამ.

ერთ შემთხვევაშიც და მეორეშიც არ არის განსხვავებული ერთმანეთისაგან რწმენა

და სარწმუნოება. რწმენაში არის ფსიქოლოგიური მხარე გადაწყვეტი, სარწმუნოებაში, აღმსარებლობაში, მოძღვრების, მსოფლიო დევლობის მხარე.

საქმე იმაში გახლავთ, რომ ის დიდი ზოგადობა, რომლითაც ილიამ აღწერა განდევლის ცხოვრება, სრულიად არ იძლევა საშუალებას არც პირველი თვალსაზრისათვის, არც მეორისა. პირველი აიგვეგებე სარწმუნოებასა და ეკლესიას, სარწმუნოებასა და ეკლესიურ-მონასტრულ ინსტიტუტს, ხოლო მეორენი — მონასტრულ ინსტიტუტსა და ჭეშმარიტებას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას და ქართული მსოფლმხედველობრივი აზრის ისტორიას აუთვისებელი დარჩა ილია ჭავჭავაძის თეოლოგიურ-ეკლესიური თვალსაზრისი და საერთოდ დედააზრი პოემა „განდევლისა“. უმნიშვნელოვანესად კი ამ საკითხში დიდი ქართველი ფსიქოლოგის დიმიტრი უზნაძის ნაზარევი გვესახება, რომლითაც დაგმობილია არა რწმენის ხარისხი განდევლისა, არამედ არჩევანი მიზნისა. ბ-ნი დიმიტრი უზნაძის აზრით, განდევილი ასცდა ადამიანისათვის მისადავის გზას, ასცდა ადამიანურ ბუნებას თავის მიზანდასახულობაში, რის გამოც მისი ადამიანური ფსიქოლოგია მოვიდა კატასტროფაში. ბ-ნი დიმიტრი უზნაძე, ბუნებრივია, მოვლენას ფსიქოლოგიურ განასერში იმეცნებს ამჯერად და იგი აღარ ეხება ამ მიზნის არჩევანის ზოგად ბერმონაზვნურ ინსტიტუტსა და ქართულ აზროვნებას.

როდესაც მწყემსი გოგონა განდევლისეული ცხოვრების გზის არჩევანით გაოცებული კითხულობს — კი მაგრამ ღმერთს რისთვის უნდა აქ. ამ ყინულებში ყოფნა კაცი-სა ან დაეწყება მოყვასისაო, ამით თითქოსდა მწყემსი გოგონას ამ ბალღური უშუალობით და გაფართოებული თვალებით, საკვირველების აღმოჩენით, განდევლის ამგვარი ცხოვრების ხილვით, განდევლის წინ შეკითხვად აღიმართა თავად პოეტი — ილია ჭავჭავაძე: გოგონას ამ ვერდაჯერებაში, რომ განდევილი აქ ღმერთმა მოიყვანა, მისმა სურვილმა და სიყვარულმა ადამიანისამ, არის დაეკება ცხოვრების გზის მთელი ამ ბერ-მონაზვნური პრინციპის ჭეშმარიტებაში.

ილია ჭავჭავაძე სვამდა აქ უმთავრეს კი-

თხვას ღმერთისა და კაცის და კაცისა და მოყვასის ურთიერთმიმართების.

უწინარეს და უპირველეს ყოვლისა, იგი, ჯერ მოსამართლე და მოწყალე ილია ჭავჭავაძე თავად, ღმერთს ათავისუფლებდა მაწამებლისა და ჭალათის როლში ყოფნისაგან და მეორე: ასკეზისა და მოყვასის სიყვარულის ურთიერთმიმართულის საიდუმლოებას ხსნიდა.

ილია ამხელდა ასკეტის გაგებული ღმერთის მცდარობასაც და მოყვასის სიყვარულთან დაშორების პირველივე შეცდომასაც ასკეტის ღვთიურ მორალურობაში. ილიას შეკითხვაში აშკარა იყო, რომ წამება და გვემა, რომელიც განდევნილმა თავისთავს მიუსაჯა უფლის სახელით, უფლისაგან არ იყო მისჯილი და უფალი არ იყო ის ჭალათი, რომელიც ასკეტმა ასეთად დასახა, და მეორე: უფლის სახელით ასეთ განდევნილობასა და ყინულებში ყოფნას უსათუოდ მოსდევდა „დავიწყება მოყვასისა“, რაც აგრეთვე ეწინააღმდეგებოდა ილია ჭავჭავაძისეულ და სახარებისეულ გაგებას მოყვასის სიყვარულისას, ვითარცა ღვთისაგან მონიჭებულს ნიჭსა და მადლს — „გიყვარდეს მოყვასი შენი ვითარცა თავი შენი“. და ბუნებრივია, ილიას ეს მონუმენტური შეკითხვა — ღმერთს რისთვის უნდა ეს განდევნილსეული დავიწყება მოყვასისაო, იყო მთელი ასკეტური მორალის დიდი და სამართლებრივი განკითხვა, განკითხვა უფლის სახელით, და იყო ფაქტიურად, „ბრალდებული“ ღმერთის განთავისუფლება მოსამართლის მიერ განდევნილის მიერ მიყენებული უამრავი უღმერთო „ბრალისაგან“. ღმერთს არ გაუჩენია კაცი „ყინულებში დასამწყვდეველ“. ან დამვიწყებლად მოყვასისა! ღმერთმა შექმნა ყოველი ქვეყანა კაცისათვის, განსაგებად მისი ცხოვრებისა: ნაყოფნი თუ წყალნი, თევზნი თუ ცხოველნი, თუ სხვა სიკეთენი ბუნებისა...

„ჩვენ კაცთა მოგვცა ჭკვეანა,
გაქვს უთვალავი ფერიოთა“.

მწირმა ყოველი მადლი აიკრძალა ღვთისა და, ბუნებრივია, ამ ყოველთა შორის აიკრძალა სიყვარულიცა და სიახლოვეც ადამიანისა, მოყვასის.

ინტერვიუ ალფრედ შნიტკანთან*


როგორი კავშირი გაქვთ წარსული ეპოქების მუსიკასთან?

შნიტკე: კავშირი წინამორბედებთან განპირობებულია იმ პოლისტილისტური „თამაშებით“, რის უფლებასაც ჩემს თავს ვაძლევ უკვე დიდი ხანია. ეს კავშირი ვლინდება ციტატებითაც და სხვა საშუალებებითაც. ამრიგად, დაკავშირებული ვარ სრულიად განსხვავებული ეპოქების მუსიკასთან. რასაკვირველია, მიჭირს საკუთარი თავის გაანალიზება, მაგრამ მაინც თავიდანვე ვიტყვი, რომ ჩემს ნაწარმოებებში მოიპოვება რომანტიკული მუსიკის ელე-

* ინტერვიუ, რომელიც ჩაიწერეს ნ. შახნაზაროვმა და გ. გოლივისკიმ, გადმოებეჭდილია კრებულიდან „ნოვია ვიზნ“ (მოსკოვი, გამომცემლობა „სოვეტსკი კომპოზიტორ“, 1989, გვ. 332).

მენტები, შესაძლოა, ისინი კარბობენ კიდევ. მათში უხვადაა ფორმის დრამატული კონცეფცია. იგი, უპირველესად ყოვლისა, აღებულია რომანტიზმიდან. ექსპრესიის გაბატონებული ტიპი თავის არსებობას უნდა უმადლოდეს გვიანდელი ხანის რომანტიკოსებს, მუსიკალურ ექსპრესიონიზმს, რომელიც რომანტიზმიდანაა წარმოქმნილი. გარდა ამისა, მუდმივი ინტერესი მაქვს წინამორბედი ეპოქებისადმიც — ბაროკოს მკაცრი სტილისა და უფრო აღრინდელი დროის მუსიკისადმი. მხედველობაში მაქვს გრიგორიანული ქორალი, პირველადი მრავალხმიანობა, ორგანოში, ნიშნებრივი გალობა (Знаменный распев). ამრიგად, მაინტერესებს მუსიკირების ყველანაირი არქაული ფორმა.

ჩემს ნაწარმოებებში შეხვედებით ციტატებს: გრიგორიანული ქორალი ციტირებული მაქვს მეორე სიმფონიაში, ნიშნებრივი გალობა, ჰიმნებში. მაქვს სტილიზაციის ცდებიც. ასე მაგალითად, მეოთხე სიმფონიაში სტილიზებულია ლუთერანული ქორალი, ნიშნებრივი გალობა, კათოლიკური საეკლესიო წესჩვეულების იუბილაცია, წარმოსახვითი ხასიათის ებრაული ლიტურგიული მუსიკა. მაქვს აგრეთვე არქაული ლოგიკით ინტონაციური აზროვნების ცდები, რაც ვარაუდობს ზუსტი წყობის უქონლობას, მოციმციმე საყრდენებს, პირველი ჰიმნის „გოთლონჩელოს, არფისა და ლიტაგრებისათვის“ დასაწყისში, სამი შესავალი აკორდის შემდეგ მიმდინარეობს წყობის მოსინჯვა. პირველ ვარიანტში უნდა დაეკრა ქვევით გადაწყობილ ვიოლონჩელოს. მაგრამ ამაზე უარი ვთქვი, რადგან ასეთნაირად გადაწყობილი ჩელო არაზუსტად ეღერს. სტაბილური წყობის პირობებში მე მაინც ვცდილობდი ინტონაციური ციმციმისა და საყრდენის ძებნის იმიტირებას, არა ტონიკის, არა ტონალობის, არამედ რამენაირი ინტონაციური წყო-



ბის იმიტირებას. ეს იყო არქაულ ინტონაციურ ლოგიკაში წვდომის ცდა, ლოგიკისა, რომელიც მე მაქვს წარმოდგენილი, შესაძლოა, შეცდომითაც.

შემიძლია მრავალი მაგალითის მოყვანა. დიდი რაოდენობის სტილიზაციაა მესამე სიმფონიაში. ამ სიმფონიის მეორე ნაწილში ვცდილობდი მთელი გერმანული მუსიკის (ბახიდან მოყოლებული თანამედროვეობამდე) სტილიზაციას, ავტორთა ინდივიდუალობის გათვალისწინებით. მაქვს თანამედროვე ენის ტრადიციულთან შერწყმის კიდევ უფრო რთული ცდები. ასეა, მაგალითად, სამ მადრიგალში ხმისა და ანსამბლისათვის. პირველი მადრიგალი, რომელიც ჰარმონიული და მელოდიური ენის მხრივ სრულიადაც არ არის არქაული და სადაც არაფერი არაა სტილიზებული, ტექნიკის მხრივ შესრულებულია ძალიან ზუსტად — ესაა კანონი,



იგი სახეცვლილებით ანსახიერებს მკაცრი სტილის ტექნიკას — ვერტიკალურსა და ჰორიზონტალურ-მოძრავ კონტრაპუნქტებს. იგივეა მეოთხე სიმფონიაში, რომელიც ტექნიკურად არაჩვეულებრივად ზუსტადაა შესრულებული. მასში გამოყენებულია მრავალნაირი პოლიფონიური ხერხი. ან კიდევ Concerto grosso, სადაც უმეტესწილად გამოყენებულია კანონისა და მოძრავი კონტრაპუნქტის ტექნიკა. აგრეთვე თემების ერთდროული შეხება, თემებისა, რომლებიც მანამდე ცალ-ცალკე ხმოვანებდნენ. ასე თუ ისე, როცა ნაწარმოებს ვთხზავ, ყოველთვის ვფიქრობ მუსიკალურ წარსულზე. ამ წარსულიდან ყოველთვის რაღაც მონაწილეობს ჩემს ნამუშევარში.

ვინ მიგაჩნიათ თქვენს მასწავლებლად ამ სიტყვის ფართო გაგებით? ვის თვლით თქვენს სულიერ და პროფესიულ „მამებად“?

შინიტყა: რაც შეეხება მასწავლებლებს: თუ გავიხსენებ იმათ, ვინც ჩემზე ახდენდა შთაბეჭდილებას და აპირებდა ჩემს განვითარებას, მოყოლებული მუსიკალური სინორჩიდან, მაშინ ვიტყვოდი, რომ დასაწყისში, დაახლოებით 12 წლის ასაკში, როცა მუსიკის სწავლა დავიწყე და მაშინვე ვცადე მუსიკის შეთხზვა, ესენი იყვნენ ბეთჰოვენი და შუბერტი. მერე, თოთხმეტიდან თვრამეტ წლამდე გამიტაცა რახმანინოვმა და სკრიაბინმა, ამ დროს არ მიყვარდა მოცარტი და ჰაიდნი, უბრალოდ არ მემოდა მათი მუსიკა. დაახლოებით 1953 წლისათვის მისაწვდომი გახდა პროკოფიევის, შოსტაკოვიჩის, მისაკოვსკის ზოგიერთი ნაწარმოები. ერთხანს გატაცებული ვიყავი მისაკოვსკით. გარკვეულ პერიოდში გამიტაცა შოსტაკოვიჩმა (პროკოფიევი არ მიტაცებდა). დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ორფის „Carmine Burana“-მ. ვცილობდი ამ ტექნიკის ათვისებას, პირველ რიგში, რიტმის სფეროში, აგრეთვე მოკლე მოტივების რიტმული ვარიაციების ტექნიკის მხრივაც. ანალოგიურად განვიცდიდი სტრავენსკის, მისი ტექნიკის გავლენასაც, განსაკუთრებით მიზიდავდა ოსტი-

ნატოს მისეული გამოყენებაცა და ჰარმონიული აზროვნებაც. რა თქმა უნდა გავლენა მოახდინა სტრავენსკის ორკესტრმაც. შემდეგ დაიწყო ახალი ვენური სკოლით გატაცების საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი. მერე გამიტაცა ავანგარდულმა მუსიკამ. ეს იყო პრაქტიკული სწავლა, რომელსაც 1960 წლიდან, კონსერვატორიის შემდეგ შევუდექი.

დაახლოებით 1968 წლისათვის მიგზვდი, რომ მთელი ეს სკოლა, ახალი ტექნიკა არ მანათვისუფლებს მუსიკაზე საკუთარი თვალსაზრისის შექმნისაგან იმასაც მიგზვდი, რომ არაა საჭირო ან თვალსაზრისის ძებნა, რადგან ძიება მას ვერ გააოგნინებს. აქ უნდა ყური მიუგდო საკუთარ თავს, იმას, რაც გიხმობს და გიზიდავს. ამაშია შენი ბუნება. და მეც მიგზვდი, რომ ის, რაც ჩემი აზრით, უნდა აღმომეფებრა საკუთარი თავიდან — სხვადასხვაობისადმი ინტერესი, სხვადასხვა საუკუნეში შექმნილი განსხვავებული სტილური ელემენტების შერწყმისაკენ მისწრაფება — სწორედ ესაა ჩემი ბუნება და მასთან ბრძოლა საჭირო არ არის. პირიქით, აქედან უნდა გამოვიდე და დავემორჩილო უფრო შინაგან მუსიკალურ ინსტიქტს, ვიდრე წინასწარ გარანტირებულ თეორიულსა და ესთეტიკურ კონცეფციებს.

და აი, ამ მომენტიდან დღევანდლამდე ჩემთვის ცენტრალურ ფიგურად დამგალითად რჩება მალერი. სწორედ იმიტომ, რომ მან თავის თავს უფლება მისცა გადაეხიზა ესთეტიკური და ტექნიკური პურიზმისათვის, ჩაიკოვსკის მსგავსად, მაგრამ უფრო თამამად, ვიდრე ეს გააცეთა ჩაიკოვსკიმ. ამ პრიზმიდან აღვიქვამ მეოცე საუკუნის მთელ მუსიკას. მით უფრო, რომ მალერი, როგორც გვიანი რომანტიზმის მხატვარი, მთელი ცხოვრების მანძილზე დაკავებული იყო ისეთი პრობლემით, როგორცაა „ინდივიდუალობა და სამყარო“. „მე და საზოგადოება“, „მე და მსოფლიო“. ახალ დონეზე დაყენებული სწორედ ეს პრობლემა დღეს აქტუალურია ისე, როგორც არასდროს.

მხატვართა განმზოლოების ცნობილი

პოზიციიდან განდგომა, რომანტიკული საბურველის მოცილება ტიპურია სამოციანი წლების ავანგარდისათვის. მაგრამ ამისგან არაფერი გამოვიდა, ვინაიდან საბოლოო ჯამში ავანგარდის ყველაზე მკვეთრი წარმომადგენლები მაინც მივიდნენ ამ პოზიციასთან, თუმცა დღეს იგი სხვაგვარად გამოიყურება. შტოკჰაუზენი მივიდა წინაწარმეტყველის როლთან, იგი უნივერსალური, სუბარული რელიგიის, და არა მარტო რელიგიის, არამედ ამგვარი ცხოვრების წესის, მჭადაგებლად მოგვევლინა. იგი თავისი პოზიციით მეტისმეტად დაუახლოვდა სკრაბინს, ლამის მივიდა რა სოლიპსიზმამდე. ბერიო დაუბრუნდა რომანტიკულ გამომსახველობას; უფრო მეტად მიუბრუნდა მას პენდერეცი. ბულეზი, როგორც უფრო რაციონალისტური ადამიანი, რომელსაც კონტროლის ქვეშ ჰყავს თავისი თავი, ამას შეგნებულად არ დაუბრუნდა, მაგრამ აღსანიშნავია მისი მისვლა გარკვეულ ტრადიციულ ელემენტებთან, რასაც მოჰყვა მისი აზროვნების ერთგვარი „გამუსიკალურება“ — უწინ იგი ცდილობდა თავის თავში ინტუიტურის აღმოფხვრას, სწორავდა რა წმინდა მუსიკალურ კრიტერიუმებს სტრუქტურულ სრულყოფილებას. ახლა ინტუიტურ-მუსიკალური საწყისი კვლავ დაბრუნდა მის მუსიკაში. შესაძლოა, ეს მისივე შემსრულებლობის ზეგავლენით მოხდა. ყოველ შემთხვევაში, ამაშიც ვხედავთ მუსიკოსთა ტრადიციულ ტიპთან გარდუვალ მიბრუნებას.

ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ მალერი კვლავაც რჩება მეოცე საუკუნის მუსიკის ცენტრალურ ფიგურად. თუმცა მისი პირდაპირი გავლენა უკვე აკრავს ხანია შეწყდა. გარდა ამისა, მიზიდავენ კომპოზიტორები, რომლებიც აწარმოებენ სხვადასხვაგვარ სტილურ სინთეზსა თუ დაპირისპირებებს. მათ შორისაა აივზი, ამ ბოლო დროს დამაინტერესა ბ. ა. ციმერმანმა. თანამედროვეთა შორის უფრო საინტერესო გახდნენ ის კომპოზიტორები, რომლებიც ტექნიკის მხრივ ნაკლებ დოგმატურნი არიან და რომლებსაც თავიანთი შემოქ-

მედება ისე რაციონალურად არ ჩამოუყალიბებიათ, როგორც ეს გააკეთეს შტოკჰაუზენმა ან ბულეზმა. ლაპარაკი ვინც რამდენადმე მაინც შეინარჩუნა წმინდა არტისტული იმპულსურობა და მუსიკალურობა.

მუსიკალურობა ძალზე უცნაური რამაა: მასშია ის რალაცა, რასაც ვერ ვაძლევ ზუსტ განმარტებას. მაგალითად, შტოკჰაუზენი, ჩემი აზრით, ნაკლებ მუსიკალურია, მიუხედავად იმისა, რომ მას გააჩნია თავისი მუსიკალური სამყარო, თავისი მუსიკალური კონცეფცია. ესაა ისეთი მუსიკა, რომელიც მანამდე არ არსებობდა. მაგრამ იგი უფრო ნაკლებადაა კომპოზიტორი, ვიდრე ბერიო ან პენდერეცი. ესენი უფრო მუსიკალურნი არიან. ისინი, პირველ რიგში, კომპოზიტორები არიან. პირადად ჩემთვის ბერგი უფრო მუსიკალურია, ვიდრე შონბერგი. მუსიკალურობა არ დაიყვანება სილამაზმემდე ან ამის მსგავს კატეგორიებამდე. შესაძლოა, არსი მდგომარეობს იმაში, რაც გვევლინება ყოველწამიერი გადარჩევის კრიტერიუმად: ესაა ქედრადობა ან რაიმე კონცეპტუალური იდეა. როცა ჰარბობს იდეა — შტოკჰაუზენისათვის სწორედ ესაა დამანასიათებელი, — მაშინ მან შეიძლება ზიანი მიაყენოს მოცემული მომენტის კონკრეტულ მუსიკალურობას. ვიმოარებ, ასეთ საკითხებზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ პირობითად. დია, მაინც, ეს ასეა.

როგორ გგონიათ, მხატვრისა და სამყაროს ცნობილი დაპირისპირება განპირობებულია მხატვრული ბუნების იმანენტური თვისებებით თუ შესაძლებელია ამის გადალახვა?

შნიტკე: მე არ ვთვლი, რომ ეს აუცილებელი იყო ყველა დროისათვის. შესაძლოა, სხვაგვარად ხდებოდა ბახის დროს ან იმ ხანებში, როცა მუსიკა ასრულებდა თავის ფუნქციას თავისი მაღალი საშუალებებისამებრ. დღეს მასობრივი ყიდის მუსიკის სოციალური ფუნქცია უმეტესწილად რეალიზდება მუსიკის პრიმიტიული ელემენტების საშუალებით. მაშინ კი ბედნიერი დრო იყო, რადგან ის, რაც ყველას აკმაყო-

ფილებდა, წარმოადგენდა მუსიკის უკანასკნელ სიტყვას. შესაძლოა, ვიღაცეებისათვის ეს მიუწვდომელი და გაუგებარი რჩებოდა, მაგრამ პასიონები და კანტატები ქმნიდნენ მუსიკალური ყოფის ნაწილს.

მაშინ მხატვრის ინდივიდუალური განკერძოება არ ხდებოდა. ეს მოხდა უფრო გვიან, რომანტიზმის წარმოქმნის დროს. ეს ბოლომდე არც თანამედროვეობის მიერაა აღძვლული. კარგი იქნებოდა, რომ შეგვძლებოდა იმ შორეული დღეების დაბრუნება. ეს მრავალგზის არის აღწერილი და გადმოცემული თომას მანისა და აღორნოს მიერ.

ამ თემას სხვაგვარად რომ მივუდგეთ, შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებლად არ მიმაჩნია მარტივისა და რთულის შერწყმა. ავიღოთ უკანასკნელი ათწლეულები. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენმა კომპოზიტორებმა ახალ ეტაპს მიაღწიეს, ფოლკლორთან დამოკიდებულებაში, „კუჩქისტების“ ვარირებასთან შედარებით. სავესებით დამაჯერებელია ის, რაც გააკეთეს სლონიმსკიმ, ტიშჩენკომ, ბუტკომ ისეთ სფეროში, როგორცაა ნიშნებრივი გალობა. მაგრამ ამავე დროს, სამწუხაროდ, ჩვენ ვიცნობთ სერიოზულ მუსიკაში მასობრივი ინტონაციების შექმრის ნაკლებად დამაჯერებელ ნიმუშებსაც.

თქვენს მიერ მაღერზე გამოთქმული აზრი ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მხატვრის ინდივიდუალობა თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან პრობლემებს გამოხატავს?

შნიტკე: რა თქმა უნდა, ეს ასეა. ეს გარდუვალაია, მაგრამ ინდივიდუალობა ყოველთვის არ წარმოადგენს თანამედროვეობის უშუალო გამოხატვას. ჩვენს კომპოზიტორებს არც თუ იშვიათად ამტყუნებენ — არქაულობას თავს აფარებთო, თანამედროვეობას პირდაპირ არ ანსახეიერებთო, სინამდვილეს გაურბიხართო და ა. შ. მთელი ცხოვრება გამსჭვალულია სულიერ ფასეულობებთან მიბრუნების, სამყაროს სრული გადააზრების ცდებით. ახალ შეგნებას,

რომელიც ას წელზე უფრო ნაკლები ნინისა, ვუპირისპირებთ ზოლმე ათიათასწლოვან სიძველეს. განა შეიძლება უტბად ავიღოთ და ყველაფერი გამოვაცხადოთ სიყალბედ?

ესაა პირველი, რაც ასახავს დროის სულისკვეთებას.

მეორე: ჩვენ თვით სინამდვილე გვყალიბებს ფსიქოლოგიურადაც და ემოციურადაც, რაც ცხადია, ზეგავლენას ახდენს ხელოვნებაზე. უკანასკნელი ოცი, ოცდაათი წლის მანძილზე ტექნიკის და არა მარტო ტექნიკის წყალობით გიგანტური ცვლილებები განიცადეს ჩვენმა წარმომადგენლებმა დროსა და სივრცეზე. მაგალითად, მუსიკაში ცვლილებები გამოიწვია იმანაც, რასაც მანამდე არ სწავლობდნენ ასეთი დაცილებით. ლაპარაკია იმაზე, რაც იყო წინათ. გაჩნდა უნივერსალური წარმოდგენა სამყაროზე, დროზე. გაჩნდა წარსულის სიახლოვის შეგრძნება, გაჩნდა შორეულისა და ეთნიკურად უცხო გათავისების ტენდენცია. ყოველივე ამან გამოცვალა და კვლავაც ყოველდღიურად მკვეთრად ცვლის ადამიანს.

თქვენ ამბობდით, რომ მხატვრის შეიძლება გააჩნდეს სამყაროსადმი თავისი განსაკუთრებული პოზიცია. ეხება კი ეს ყველა უანარს — დავუშვათ, სიმღერას ან ოპერას (გავხსენოთ თუნდაც პროკოფიევის „ომი და მშვიდობა“), ყველა ისტორიულ პერიოდს და ჩვენი დროის ყველა სიტუაციას? გვახსენდება შოსტაკოვიჩის მეშვიდე, პროკოფიევის მეხუთე სიმფონიები და სხვა..

შნიტკე: მხატვრის ერთგვარი განკერძოება სულაც არ ნიშნავს კავშირის გაწყვეტას გარემომცველ რეალობასთან. მხატვარი მხოლოდ როგორც პიროვნება, როგორც ინდივიდუალობა რეაგირებს რეალობაზე, ანუ რეაგირებს სუბიექტურად. იგი არ ასახავს მოვლენებს როგორც ობიექტური სარკე, როცა მხატვარი აქტიურად ერთვება აქტუალურ რეალობაში — იგი ვერ დარჩება გულგრილი ზოგადსაკაცობრიო პრობლემებისადმი. მაგრამ აქ მას გააჩნია ორი შესაძლებლობა: მას შეუძლია შექმნას ან

ერთდღიანი პლაკატი, ან ხელოვნების ნიმუში. ორივე საჭიროა. მაგრამ, მხოლოდ მეორე ინარჩუნებს თავის აქტუალობას მაღალი დონის განზოგადებების გამო. (პიკასოს „გერნიკა“ ასრულებდა აქტუალური პლაკატის მნიშვნელობას, მაგრამ მას დღემდე არ დაუკარგავს ზემოქმედების ძალა. ვინაიდან წარმოსახა ყველა დროის განმზოგადებელი ნგრევის ხატი).

იმისათვის, რომ აქტუალური გამოძახილი ხელოვნების ნიმუშად იქცეს, მან უნდა გადალახოს დროებითი აქტუალობის საზღვრები და გადაიზარდოს საზოგადო აქტუალობაში. ამიტომაც არ ჰკარგავს მნიშვნელობას პროკოფიევის „ომი და მშვიდობა“, „ოსტაკოვიჩის მეშვიდე სიმფონია და მეოცე საუკუნის სხვა ნაწარმოებები. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ლაპარაკ იწყებენ ხოლმე მოქალაქეობრიობაზე, ცხადია, მხატვრის მოქალაქეობრივი პოზიცია ყველაზე მკვეთრად ვლინდება იმ ნაწარმოებებში, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან რეალობას.

მაგრამ არსებობს ისეთი რეალობებიც, რომელთა მიმართ ერთადერთი მოქალაქეობრივი პოზიცია — ამ რეალობის მიუღებლობაა. ერთმანეთს რომ შევადაროთ მეოცე საუკუნის ორი უდიდესი კომპოზიტორი — ოსტაკოვიჩი და ვებერნი, გამოირკვევა, რომ ისინი მეორე მსოფლიო ომის დროს გამოხატავდნენ თავიანთ მოქალაქეობრივ პოზიციას. ფაშიზმის პირობებში ვებერნის ინდივიდუალისტური განზენა სპილოს ძვლის კოშკში, მისდაუნებურად წარმოადგენდა მოქალაქეობრივ აქტს: იქ, სადაც რეალობა ხელოვნებისაგან მოითხოვს პროფანაციას, ინდივიდუალური საწყისის ნიველირებას დემაგოგიური, უტილიტარული მიზნების საკეთილდღეოდ, მხატვრის მიერ კავშირის ინდივიდუალურად გაწყვეტა გარემომცველ რეალობასთან ობიექტურ პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენს.

რა აკავშირებს შორეულ ეპოქებს, შემეცნების სრულიად სხვა ტიპს ჩვენს ნერვიულ, ექსპრესიულ, დინამიკურ, კო-

ნფლიქტურ საუკუნესთან? რას პრობლობს ჩვენი საუკუნე შემეცნების ტიპში?

შინატყე: რაც შეეხება ჩვენი დროის ნერვიულობასა და კონფლიქტურობას, გარკვეულწილად, ეს რა თქმა უნდა ასეა, მაგრამ ეს მაინც არაა აბსოლუტური კეშმარტება. ჩემი აზრით, ხუთასი წლის წინ ადამიანებისათვის მათი დრო ასეთივე ნერვიული და კონფლიქტური იქნებოდა. მოსმენილი მაქვს ერთი სპეციალისტის ლექცია ბუდიზმზე, სადაც იგი სწორედ ამაზე ლაპარაკობდა: ამბობენ, რომ ორი ათასი წლის წინ ადამიანი მედიტაციას ადვილად ეძლეოდა. დღეს კი ამის საშუალებას არ გაძლევს მეზობლის რადიო და ტელევიზორიო. სპეციალისტმა ამასთან დაკავშირებით მოიგონა ისეთივე ჩივილი, რომელიც ბუდას გაუგონია თავისი მოწაფეებისაგან, რომლებიც მდინარის პირას ცხოვრობდნენ, მათ ხელს უშლიდათ ტვირთის გადაზიდვა, ბორბლების რახარუბი.

და კიდევ ერთი რამ: არსებობს რაღაც ძაფი, რომელიც ჩვენამდე აღწევს ათასწლეულების სიღრმიდან. იგი სახეს იცვლის, სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს გამოხატვის ფორმა. მაგრამ დროთა კავშირის შემეცნება აქტუალურს ზღის თვით წარსულს.

შესაძლოა, ამიტომაცაა აქტუალური ის საშუალებები, რომლებიც ანსახიერებენ დროთა ამ კავშირს?

შინატყე: რასაკვირველია.

რამ მოახდინა ზეგავლენა თქვენს შემოქმედებით ევოლუციაზე, უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე რომ განიცადეთ?

შინატყე: ხშირ შემთხვევაში ჩემზე ძლიერ ზემოქმედებს ახდენდნენ არამუსიკალური, არამხატვრული შთაბეჭდილებები.

მუსიკალური თვალსაზრისით კი ხშირად ვიმყოფებოდი გაორებულ მდგომარეობაში. გამაჩნდა ჩემი საკუთარი ინტერესები, რომლებიც ენებოდა თანამედროვე მუსიკალურ ტენოლოგიას ახალ ნაწარმოებებს. ყოველივე ამას ვსწავლობდი და ჩემს მუსიკაში ვიყე-



ნებდი. მაგრამ ჩემი ცხოვრება ისეთნაირად წარიმართა, რომ დაახლოებით ჩვიდმეტი წლის მანძილზე უფრო მეტად და ხშირად ვმუშაობდი კინოში, ვიდრე ეს საჭირო იყო. მუშაობა მიწვედა არამარტო ჩემთვის საინტერესო ფილმებზე, ბოლოს და ბოლოს შევიგრძენი გარკვეული უნერხულობა, ერთგვარი გაორება. დასაწყისში ასე იყო: ჩემთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა იმას, რასაც კინოში ვაკეთებდი. მე ვეძღვებოდი მხოლოდ ჩემს საკუთარ ნაწარმოებებში. მერე მივხვდი, რომ ეს ნომერი არ გავა: პასუხს ვაგებ ყველაფერზე, რასაც ვწერ, ვირწმუნე, რომ ასე იცნა გაორება შეუძლებელია და რომ მე უნდა გადავსინჯო ჩემი დაპოვნებულ ფილმთა როგორც ერთის, ისე მეორის მიმართ. გარდა ამისა, აღარ მაქმყფივლებდა. გულწრფელად ვიტყვი, მუსიკის გამოთვლა. რა თქმა უნდა, საქმეს ვამარტივებ. ეს არ იყო მარტოდენ გამოთვლა. დავრწმუნდი, რომ გარკვეული არანორმალურობა ბუდობდა თვით იმ განხეთქილებაში, რომელიც გააჩნია თანამედროვე მუსიკალურ ენას, „განხეთქილება“ მდგომარეობს ლაბორატორიულ „სიმბალესა“ და კომერციულ „ფსიკერს“ შორის. აუცილებელია ამ განხეთქილების გადალახვა და არა მარტო ჩემთვის, ჩემი პირადი სიტუაციიდან გამომდინარე. მუსიკალური ენა უნდა იყოს მთლიანი (იგი ასეთი იყო ყოველთვის) და უნივერსალური. მან შეიძლება გადაიხაროს აქეთ ან იქით, მაგრამ არ უნდა არსებობდეს ორი მუსიკალური ენა. მუსიკალური ავანგარდის განვითარება კი ხელს უწყობდა შეგნებულ განხეთქილებას ანუ მეორე, ელიტარული ენის შექმნას. და მეც დავიწყე უნივერსალური ენის ძებნა — მუსიკალური თვალსაზრისით ჩემი ევოლუცია სწორედ ასე გამოიყურებოდა..

რომელი ფილმიდან ან სერიოზული ენარის რომელი ნაწარმოებიდან ჩათვალეთ, რომ უფრო უნივერსალური გახადეთ თქვენი მუსიკალური ენა?

შენიშვნა: კომპოზიტორი, რომელიც კინოში მუშაობს, ყოველთვის რისკის წინაშე დგას. შემთხვევითი არაა, რომ

ამერიკაში არსებობს პროფესია Composer და Hollywood composer, რაც სრულიად სხვა პროფესიაა. დასკვნა: ლეთში არც ერთი წესიერი, თავისი თავის პატივისმცემელი კომპოზიტორი კინოში არ მუშაობს. კინო ყოველთვის სთავაზობს კომპოზიტორს თავის პირობებს (ს. ვიუნშმეინისა და ს. პროკოფიევის თანამშრომლობა, ვგონებ, ერთადერთი შემთხვევაა, არის კიდევ თითო-ოროლა გამოჩაყლისი). ამას თავს ვერ დაალწვევ. საქმე ბოროტი რეჟისორის დიქტატთან კი არა გვაქვს, არამედ ენარის სპეციფიკასთან. ვიცი რა ეს, უკანასკნელ წლებში ცდილობ ვიმუშაო იმ რეჟისორებთან და იმ ფილმებზე, სადაც თავისთავად წარმოიქმნება ხოლმე საინტერესო მუსიკალური ამოცანები, ამის საშუალება მომეცა კინოში მუშაობის დასაწყისშივე, საკუთარი კინობროდუქციის სიკვარბზე ჩივილისას მხედველობაში მაქვს არა ყველა და ყველაფერი, არამედ იძულებითი პრაქტიკული გარემოებებით განპირობებული სამუშაო, რომლის გამოც მიხდებოდა აბსურდული სისაძაგლის კეთება.

დასაწყისში ზოგიერთ ფილმზე მუშაობა ჩემთვის ლაბორატორიას წარმოადგენდა: დღეს დაეწერე რაღაც, ხვალ ამას ვისმენ ორკესტრის შესრულებით, არ მომწონს რაიმე, იქვე შემიძლია შევასწორო, შევამოწმო ესა თუ ის ხერხი, საორკესტრო ფაქტურა ან კიდევ რაიმე სხვა. ამ მხრივ კინომ ბევრი რამ მომცა. გარდა ამისა, თვით მიმართვა ქვენა, მდაბალი მასალისადმი, რომელსაც კინო ყოველთვის გვკარნახობს (არ მახსოვს რა რაოდენობის სასულე მარშები, უტიერო ვალსები, რბევები, ხვრეტები და პეიზაჟები მაქვს დაწერილი), შეიძლება სასარგებლოც იყოს. მე შემიძლია ესა თუ ის თემა გადავიტანო სხვა ნაწარმოებში. ისიც ახლებურად აზმოვანდება სხვა მასალასთან კონტრასტში. ვთქვათ, კონჩერტო გროსოში № 1 მაქვს ტანგო. ეს ტანგო აღებულია ფილმიდან „აგონია“ (რასპუტინზე). ფილმში ესა იმ დროის მოდური ცეკვა. მე იგი იქიდან ამოვიწიე და კონტ-

რასტული კონტექსტის, სხვაგვარი გან-
ვითარების წყალობით, ფილმისგან გან-
სხვავებული აზრი შევიძინე.

„სტრიოზული“ შემოქმედებისაკენ მიბრუნება კინტეტით დაიწყეთ?

შნიტკე: მთლად ასე არ არის. კინტეტით დავამთავრე 1976 წელს. მაგრამ ვმუშაობდი მასზე 1972 წლიდან. შე-
საძლოა, ზღვარი გასდო „რეკვიემი“, რომელიც 1975 წელს დავასრულე. რაც შეეხება კინტეტს: იგი დაწყებული მქონდა, მაგრამ დაახლოებით სამი წლის მანძილზე ვცდილობდი შემეცვალა ის, რაც მეწერებოდა. „რეკვიემი“ კი... 1975 წელს თითქმის ვიღაცამ მაჩუქაო. ეს იყო ძალიან მკვეთრი ნახტომი. „რეკვიემის“ შემდეგ კინტეტზე უკვე სხვაგვარად დავამთავრე. კინტეტ-
ტიც ამ ზღვარზე დეეს. იგი ვუძღვენი დედას (იგი 1972 წელს გარდაიცვალა). რაც უნარესად მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ჩემი მომდევნო მუშაობისათვის.

თქვენი აზრით, ამ უჩანასკნელი ოცი წლის მანძილზე რომელმა თანარებმა განიცადა ყველაზე რადიკალური ცვლილება და რა არის ამის მიზეზი?

შნიტკე: სამოციან წლებში ტრადიციული თანარები გამოიყურებოდა კიდევ უფრო ტრადიციულად. მათ გვერდზე ე. დენისოვის, ს. გუბაიდულინის, ტ. მანსუროვისა და სხვა ავტორთა შემოქმედებაში ჩნდება არატრადიციული ფორმები. მაშინ ეს ავტორები რაღაც სხვას ეძებდნენ. სადღეისოდ ტრადიციულმა თანარებმაც განიცადა სახეცვლა. ისინი განახლდა მუსიკალურ სამყაროში შემოჭრილი სიახლეების ზეგავლენით. ზოლო ის კომპოზიტორები, რომლებსაც იმ დროს არ იზიდავდა ტრადიციული თანარები, ახლა მათდამი ინტერესს იჩენენ და იყენებენ კიდევ ამ თანართა განახლებულ ფორმებს. ბოლო ხანებში აღინიშნება ტრადიციულისა და ახალი ფორმების დაახლოება, ადრე არსებული პოლარიზაციის ნაცვლად. ეს ფაქტია. მაგრამ, სამწუხაროდ, ერთგვარი ინერციით კვლავაც გრძელდება კომპოზიტორთა პირობითი დაყოფა, მიუხედავად იმისა, რომ

ამან უკვე დიდი ხანია ყოველგვარი აზრი დაკარგა.

გარდა ამისა, გაჩნდა ბევრი რამე, რასაც არა აქვს არც ტრადიციული და არც ავანგარდული წარმოშობა. ეს სიახლე არ წარმოქმნილა არც ტრადიციულისა და ავანგარდულის ურთიერთ-
შემოქმედებით. არა, ეს ახალი ამოიზარდა, როგორც იმთავითვე ბუნებით ბოძებული რამ. ასეთია, გ. ყანჩელისა და ა. ტერტერიანის სიმფონიზმი. ეს სიმფონიური თანარის ბუნებრივი განახლებაა. იგი დღესაც იპყრობს ყურადღებას. ამასთან ერთად, ბევრი რამ აღმოცენდა ახალი მიდგომიდან ფოლკლორისადმი; ძველებური რუსული ტრადიციული მუსიკისადმი. ყოველივე, რასაც აკეთებენ ბ. ტიშჩენკო, ს. სლონიმსკი, რ. შვედრინი მოწმობს იმას, რომ კომპოზიტორები თავისუფლდებიან სქემებისაგან, მუსიკალური ენის თანრობრივი ფორმალური სტერეოტიპებისაგან. ამ მხრივ დღეს გაცილებით უფრო საინტერესო დროა, ვიდრე 20 წლის წინ. ამჟამინდელი დროისათვის არაა დამახასიათებელი ოვგმატიზმი და ცრუ კონფლიქტები იმ ადამიანთა შორის, რომლებიც სხვადასხვა პოზიციაზე დგანან. ჩვენ მიუვხლოვდით იმ საწყის ნორმალურ მდგომარეობას, როცა არსებობდნენ კომპოზიტორები და არა მიმართულებები.

შეიძლება ლაპარაკი საბჭოთა მუსიკალური კლასიკის ტრადიციების არსებობაზე?

შნიტკე: მე ვფიქრობ, რომ ამ ტრადიციებზე შეიძლება ლაპარაკი. საბჭოთა მუსიკალური კლასიკა სათავეს იღებს პროკოფიევისა და შოსტაკოვიჩის მუსიკიდან, ნაკლებად მიასკოვსკის შემოქმედებიდან, რომლის კვალს დღეს ოდნავ ჩანს, მაგრამ მაინც არსებობს. ჩვენთვის ეს ნაკლებად შესაძინევია. გარედან ეს უფრო უკეთ მოჩანს. ჩვეულებრივი მოულოდნელობა; სადღაც საზღვარგარეთ უსმენენ მუსიკას, რომელიც ჩვენი აზრით აბსოლუტურად ახალია და ამბობენ: „ესა რუსული სკოლა“. მათ ესმით ამ მუსიკაში რუსული საწყისი. შოსტაკოვიჩიც, პროკოფიე-

ვიც. დიახ; მათ ეს რაღაცნაირად ეს-
მით. არა მგონია, რომ ასეთი მიდგომა
წინასწარ გამიზნული იყოს, თუმცა
მათთვის არც ეს არის უცხო. ეს, რო-
გორც ჩანს, მუსიკისათვის დამახასია-
თებელი თვისებაა, რომლის ფორმირე-
ბაზე ზემოქმედებას ახდენს გარკვეუ-
ლი ადგილი და დრო.

მაგრამ ახლა, ჩემი აზრით, ყველაზე
ძლიერია შოსტაკოვიჩის ზეგავლენა,
რამაც ახალი ძალა ჰპოვა მისი გარდაც-
ვალებისთანავე. მოხდა ის, რაც ხდება
ამ უსამართლო ცხოვრებაში. სიცოცხ-
ლის ბოლოს ნაკლებ ინტერესს იჩენენ
ზოლმე მხატვრისადმი. მხოლოდ სიკვდი-
ლის შემდეგ ივებენ ამ დანა-
კარგის ფასს. აქედან იწყება ახალი შე-
ფასება. კომპოზიტორს სიცოცხლეში
ვითვლით ხოლმე — კიდევ ერთი ანუ
მეცამეტე კვარტეტი, კიდევ მეთოთხმე-
ტე კვარტეტი, კიდევ ერთი ანუ მეთ-
ხუთმეტე კვარტეტი, რომელიც თით-
ქოს მეთორმეტეს ჰგავს... მაგრამ, რო-
ცა შეწყდა ეს „კიდევ“, მაშინ გახდა
ნათელი, რომ ეს სამყარო დაკეტილია,
მხოლოდ ამის შემდეგ გავივით თუ რა-
მდენად მნიშვნელოვანი, მდიდარი და
ყოველი ჩვენგანისათვის საჭირო იყო
ეს სამყარო.. ასე დამემართა პირადად
მე. შოსტაკოვიჩის ცხოვრების ბოლო
წლებში ნაკლებად მაინტერესებდა,
გულს მიტეხავდა მისი ახალი ოპუსები.
მაგრამ, როცა მეთხუთმეტე კვარტეტს
მოეუსმინე, უკვე მისი სიკვდილის შემ-
დეგ, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა,
რომ მან ეს ნაწარმოები, ისევე, რო-
გორც სხვა ქმნილებანი, სახელდობრ
ალტის კონცერტი, იქ შექმნა. მაგონდე-
ბოდა მალერის ბოლო ნაწარმოებები,
ასევე იქაა შექმნილი მალერის „სიმღერ-
ა მიწაზე“, მეცხრე სიმფონია, მეთათ-
სიმფონია, ვაგნერის „პარსიფალი“.
არსებობს ნაწარმოებები, რომლებსაც
კომპოზიტორები წერენ ცხოვრების
ბოლო წლებში (ბეთჰოვენის ბოლო
კვარტეტები, „ფუგის ხელოვნება“). ამ
ნაწარმოებთა მუსიკა ერთგვარად გან-
მუხტულია, ცივიცაა. კომპოზიტორის
სიცოცხლეში ჩვენ ბოლომდე არ გვეს-
მის, რომ ყოველივე ეს იქიდანაა. აქე-

დნ მოდის გულგატეხილობა — როგო-
რი ექსპანსიური, იმპულსური იყო შოს-
ტაკოვიჩის მეოთხე სიმფონია, და უც-
ხად მეთხუთმეტე... მხოლოდ მერე ვაც-
ნობიერებ, რომ ჩვენს წინაშე ხელოვნ-
ების გაცილებით უფრო მაღალი საფე-
ხურია.

ამ თვალსაზრისით კვლავაც გრძელ-
დება შოსტაკოვიჩის ზოგადსულიერი
გავლენა. გრძელდება მისი ინტონაციური
აზროვნების ზემოქმედება ბევრ კომპო-
ზიტორზე, ზოგიერთები პირდაპირ აგრ-
ძელებენ მის ხაზს. ასეთია ბორის ტიშ-
ჩენკო, თუმცა მე არ მიმაჩნია, რომ ეს
შოსტაკოვიჩის სკოლაა. მე ვთვლი,
რომ ბოლო წლებში თვით ტიშჩენკოც
ზემოქმედებდა შოსტაკოვიჩზე. ჩემი
აზრით, აქ ადგილი ჰქონდა ურთიერთ-
ზეგავლენას. არ ვლაპარაკობ მარტო
ტიშჩენკოზე. გავიხსენოთ შჩედრინის
„მუსიკალური მიძღვა“ («Музыкаль-
ное приношение»).

შენილებული, არადინამიკური გან-
ვითარების თვით ტიპი, რომელსაც ახა-
სიათებს ინტონაციური სიძუნწე, ნელი
ტემპი და უკიდურესი ასკეტიზმი,—ჩვენ
მივიღეთ შოსტაკოვიჩისაგან. მაგრამ
შჩედრინის ნაწარმოებში, რომელიც
მრავალჯგის მომისმენია, ის სრულიად
შეცვლილია, შესაძლოა, რაციონალიზე-
ბულიც. ისეთი შთაბეჭდილება შემექმ-
ნა, რომ ესაა უპირველეს ყოვლისა, სრუ-
ლიად სხვაგვარ ბგერით სამყაროსთან
შეზრდის ნაყოფი. ჩემთვის შჩედრინი
ახლებურად გაიხსნა, ამ ნაწარმოებმა
გადაწონა მთელი მისი წინამორბედი
მუსიკალური ზემოქმედება. აქ, რა თქმა
უნდა, გრძელდება შოსტაკოვიჩის ზე-
გავლენა, არა პირდაპირი გზით, არამედ
ისე, როგორც უნდა იყოს — მიმდინა-
რეობს მატების შეუწყვეტელი პროცე-
სი. საბედნიეროდ, შეწყდა ის მიმბაძვე-
ლობა, რასაც ადგილი ჰქონდა მთელ
რიგ კომპოზიტორთა ნაწარმოებებში,
შოსტაკოვიჩის სიცოცხლის დროს.

დღეს ძნელია ლაპარაკი პროკოფიე-
ვის ზეგავლენასა და ზემოქმედებაზე.
ჩემი აზრით, დღეს ეს ნაკლებად პოუ-
ლობს გამოხატულებას. რატომ? არ ვი-
ცი. ადრე, ორმოცდაათიან წლებში

პროკოფიევის ზეგავლენა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე შოსტაკოვიჩისა.

დღეს შეიძლება ლაპარაკი ეროვნული ტრადიციების არსებობაზე? როგორ გამოხატულებას პოულობენ ისინი?

შნიტკე: შეიძლება, საჭიროცაა, უქვევლიცაა. მაგრამ ამასთან ერთად ამ სფეროში არსებობს ჩაღაც გრადაციებიც, რომელთა განსხვავება აუცილებელია. ეს საკითხი განსაკუთრებით რთულია მრავალნაციონალურ ქვეყანაში. ჩემი აზრით, ეროვნული ტრადიცია ვლინდება ყოველ ნებისმიერ შემთხვევაში, კომპოზიტორის ნებისა და სურვილების მიუხედავად. ეს ტრადიცია განპირობებულია იმ ატმოსფეროთი, რომელშიც კომპოზიტორი დაიბადა, აღიზარდა და ცხოვრობს. ამ თვალსაზრისით, მისთვის ეროვნული სამუდამოდაა გარანტირებული.

დგება ხოლმე ისეთი ეპიზოდი, როცა ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. მაშინ აუცილებელი ხდება ეროვნულის შეგნებული კულტივირება. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყოველთვის არაა საჭირო. „კუჩკისტებისათვის“ ეს აუცილებელი იყო — ისინი უნდა მოსწყვეტოდნენ ლისტს, ვაგნერს, რომლებიც მათზე ჰიპნოზურ ზემოქმედებას ახდენდნენ. თუმცა მათ ბოლომდე მაინც ვერ გაწყვიტეს ეს კავშირი. „კუჩკისტებზე“ გიგანტური იყო ამ კომპოზიტორების, განსაკუთრებით ლისტის გავლენა. მიუხედავად ამისა, მათ მაინც გამოავლინეს თავისი თავი, რადგან შეგნებულად მისიწრაფოდნენ ამ მიზნისაკენ. — ამაში ისინი მართლები იყვნენ, მაგრამ „კუჩკისტები“ სცდებოდნენ, როცა ებრძოდნენ ჩაიკოვსკის. კარგს არაფერს უნდა მოველოდეთ, როცა მუსიკალური სიტუაციის მიუხედავად ეროვნულს აქცევენ ვალდებულებად, მით უფრო, თუ ეროვნულის ორგანული გამოვლინების ნაცვლად იარლიყებს მოითხოვენ.

დღეს რამდენად გავლენიანი შეიძლება იყოს რუსული ეროვნული ტრადიცია, სახელდობრ მუსორგსკის ტრადიცია? ინტერესი რუსული ფოლკლორის ძველებური რუსული სასულიერო მუსიკისადმი, ხომ არ არის ამ შემთხვევების, ეროვნული რუსული ტრადიციის გაგრძელება?

შნიტკე: დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ყოველივე ეს ეროვნული გამოვლინებაა. ეროვნული ტრადიცია — ეს უზარმაზარი პოტენციალია, რომელიც ჯერ კიდევ არაა სრულყოფილად რეალიზებული. ძველებური რუსულ მუსიკაში სიტყვასთან დამოკიდებულება ისეთი არაა, როგორც მუსორგსკისთან, ერთი მარცვალის შეუწყვეტელი გამღერება, რაღაც ბგერების „ო“, „ა“-ს ჩართვა, წარმოადგენს „ნიშნებრივი გალობის“ სრულიად თავისებურ გეტერეფონიას, დისონანტურ მრავალზმინობას. ყოველივე ეს საინტერესოა არა მარტო წმინდა მუსიკალური ნიშნებით, არამედ ზოგადკულტურული თვალსაზრისითაც. აქ შესაძლებლობების მთელი ზღვაა. მუსორგსკის გარეშე არ იქნებოდა შოსტაკოვიჩი. შოსტაკოვიჩის მთელი მუსიკალური პროზა სათავეს იღებს მუსორგსკისაგან და ხალხური სიმღერის ცვალებადი ზომებიდან (ისეთი გრძნობა მაქვს, რომ მუსიკა პერიოდული აქცენტებისა და მეტრიკის წყალობით პრინციპში ლექსებივითაა, მაშინ, როდესაც შოსტაკოვიჩთან იგი უახლოვდება პროზას). აქ, რა თქმა უნდა, უზარმაზარი შესაძლებლობებია. მე მგონია, რომ კომპოზიტორებს შეეძლოთ ეს შესაძლებლობანი უფრო ფართოდ გამოეყენებინათ.

ქურნალ „ჯვარი ვაზისას“ სამი წლის გამოცემები

(1986 — 1988 წ. წ.)

თეიმურაზ ზანჯიანიძე

1988 წელს შესრულდა 10 წელი მას შემდეგ, რაც გამოსვლა დაიწყო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ახალმა ქურნალმა „ჯვარი ვაზისას“. განვლილი წლების მანძილზე ქურნალი მნიშვნელოვნად გაიზარდა და მრავალფეროვანი გახდა. გაფართოვდა ავტორთა წრე, პუბლიკაციებს სასულიერო პირების გვერდით ამზადებენ ცნობილი მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები. მნიშვნელოვნად იმატა ტირაჟმა და, რაც მთავარია, თუკი ადრინდელ წლებში მხოლოდ ორჯერ გამოდიოდა წელიწადში, 1988 წლიდან კვარტალში თითო ნომერი გამოდის. ქურნალის უახლოესი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ იგი ყოველთვიური გახდეს. ისევე როგორც რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის „ქურნალ მოსკოვსკოი პატრიარხი“, ბაპტისტური „ბაპტისტსკი ვესტნიკ“ და სხვ.

ყოველივე ეს, სასულიერო პირთა თქმით, შესაძლებელი გახდა გარდაქმნის შედეგად. რომელმაც შესამჩნევი ცვლილებები მოახდინა ჩვენს საზოგადოებაში. მორწმუნეთა უფლებების ხელოვნურ შეზღუდვაზე უარის თქმამ. ეკლესიის კონსტიტუციური უფლებების აღდგენამ მნიშვნელოვნად გაააქტიურა ეკლესიის საქმიანობა. იმატა რელიგიურ სასწავლებლებში შემსვლელთა რიცხვმა, გაიზარდა გამოცემული რელიგიური წიგნების რაოდენობა და ტირაჟები. გაიხსნა ადრე უპატრონოდ მიტოვებული ბევრი ეკლესია.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი უძველესი ეკლესიების აღდგენას, როგორც არის თბილისის ანჩისხატი და მეტეხი, ეკლესიები ყვარელში, ზუგდიდში, დმანისში, ახალციხეში, ბოლნისში, გორში და ა. შ. მოქმედ ეკლესიათა რაოდენობამ საქართველოში კარგა ხანია ორასს გადააჭარბა. შესაბამისად იმატა სასულიერო პირთა რიცხვმაც, რომლებიც აქტიურად ჩაერთვნენ, როგორც სასულიერო, ისე საერო ცხოვრებაში. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ბოლო წლებში ეკონომიკურადაც უკეთესად გამოიყურება. იმატა ვიზიტორთა რაოდენობამაც, რომლებიც ცდილობენ ახლოს გაეცნონ მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს ქართულ ქრისტიანულ ეკლესიას, მის სულიერ ცხოვრებას.

1988 წლის 1 ოქტომბერს თბილისში გაიხსნა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო აკადემია. ამ მოვლენას ქართული სამღვდლოება დიდი იმედით და სასოებით შეხვდა, რადგან მას შემდეგ, რაც ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა დაკარგა, მას ასეთი რამ აღარ ჰქონია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ადრე განთქმული იყო თავისი აკადემიებით, 1972 წლიდან სემინარიაც კი დიდი გაჭირვებით არსებობდა.

ამ დროისათვის ქართული ეკლესიის მდგომარეობა მართლაც ძალზე მძიმე იყო. სულ მოქმედებდა რამდენიმე ათეული ეკლესია. მრევლი ძალიან შემცირებული იყო. რწმენა

დაკნინებული, ფინანსური მდგომარეობა ძალზე ცუდი. საეკლესიო ქონება განიავებული.

ქართული ეკლესიის აღმავლობაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მის ახლანდელ კათოლიკოს-პატრიარქს ილია II, რომელსაც ისევე როგორც ყურნალ „ჯვარი ვაზისას“, საიუბილეო თარიღი ჰქონდა — ინტრონიზაციის 10 წელი. განვლილი წლების მანძილზე ახალმა კათოლიკოსმა ბევრი რამ გააკეთა მდგომარეობის გამოსასწორებლად. გამოვიდა საინფორმაციო ბიულეტენი, დამთავრდა ბიბლიის თარგმანი ახალ ქართულ ენაზე, გაძლიერდა უცხოეთთან კონტაქტები. მის დროსვე გამოვიდა „ჯვარი ვაზისას“ პირველი ნომერი.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მოღვაწეობას დიდი სტიმული მისცა რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლისთავის საზეიმო აღნიშვნამ. რადგან საშუალება შეუქმნა ქართულ ეკლესიას ახალი ფურცლები გადაეშალა თავის განვითარებაში, გაეფართოებინა თავისი მოქმედების არე.

საერთო ჯამში, სასულიერო პირები დიდი მაღლიერებით იხსენიებენ გარდაქმნას და მის ავტორებს. აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი დადებითად მოქმედებს ეკლესიის ცხოვრებაზე, მის აღმავლობაზე.

ყურნალი „ჯვარი ვაზისა“ უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებაში. ჩვენი ინფორმაციის მიზანია განვიხილოთ 1986-1988 წლებში გამოსული ყურნალის ნომრები. ისევე როგორც წინა წლებში გამოცემულ ნომრებში, აღნიშნულ პერიოდშიც ქვეყნდება უხვი მასალა დოგმატიკის, ზნეობრივი ღვთისმეტყველების, კულტის, ქადაგების თუ სხვა ღვთისმეტყველურ დარგებში. გარდა ამისა, ყურნალი უყურადღებოდ არ ტოვებს საერთო ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს.

ყურნალის ერთ-ერთი ძირითადი რუბრიკა დაარსების დღიდან არის „ღვთისმეტყველება“. ამ რუბრიკით ხშირად ქვეყნდება როგორც ძველი, ისე თანამედროვე თეოლოგთა ნააზრევი. თეორიული თუ ძირითადი ღვთისმეტყველების დოგმები, შედარებით თუ დოგმატიკური ღვთისმეტყველების დებულებანი, ზნეობრივი თუ პრაქტიკული ღვთისმეტყველების საკითხები და სხვ.



ყურნალის 1986 წლის № 1-ში ქვეყნდება წერილი „ღვთიური მცნება ნათელის შესახებ“, რომელშიც ნათქვამია, რომ „ღვთიური მცნებები გაწმენდენ გულსა და გონებას, ამაღლებენ სულს, ამსუბუქებენ ამქვეყნიურ ურგასა და წუხილს. იგი ყველას მოგვიწოდებს სიკეთის, სიყვარულისა და მშვიდობისაკენ. რომ ღვთიური სიბრძნე-მეცნიერება ადვილად აგნებს ადამიანის გულს, დაინახავს რა მათში სიღბოსა და სწრაფვას, თვით ჩასწვდება მის სულს, დაივანებს მასში“.

ყურნალი ამავე ნომერში აცნობს თავის მკითხველს მართლმადიდებლურ სწავლებას მიცვალებულთა ლოცვისა და მოხსენიების შესახებ.

რუბრიკით „ღვთისმეტყველება“ ყურნალი დროდადრო აქვეყნებს მეტად საყურადღებო ლიტერატურულ ძეგლებს. ასე, მაგალითად, „ჯვარი ვაზისას“ 1987 წლის № 2-ში გამოქვეყნდა ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლი „გოდებაჲ გიორგი მთაწმინდლისა“, რომელიც ეხება მეთერთმეტე საუკუნის ქართველ მოღვაწეს საბერძნეთში გიორგი მთაწმინდელს, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ჩვენს სასულიერო ცხოვრება-

ში და ორიგინალური თუ ნათარგმნი ძეგლებით გაამდიდრა ქართული ლიტერატურა. როგორც ს. ჩხაიძის წერილშია ნათქვამი, გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალებამ დიდი მწუხარება გამოიწვია კონსტანტინეპოლის ქართველებში, მის მრავალრიცხოვან მოწაფეებსა და თაყვანისმცემლებში. გიორგი მცირის ნაწარმოებები სწორედ იმ ვანცდასა და შთაბეჭდილებას ასახავს, რაც გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალებამ გამოიწვია.

ჟურნალში გარკვეული ადგილი ეთმობა დიალოგს არამართლმადიდებლურ ეკლესიებთან (ეკუმენისტური მოძრაობა), პირველ რიგში კი კათოლიკურ ეკლესიასთან. როგორც ცნობილია, ურთიერთობა რომსა და საქართველოს შორის საუკუნეთა სიღრმიდან მოდის. ბოლო საუკუნეებში ეს ურთიერთობა შედარებით იშვიათი იყო, მაგრამ იგი აღდგა ჩვენი საუკუნის 60-70-იანი წლებიდან. ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ცდილობს გააცხოველოს ეს ურთიერთობა კათოლიკებთან. ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ეკლესიებთან. ჟურნალი (1988 წ. № 2) ბეჭდავს ნაწყვეტს ეპისკოპოს ამბროსის საკანდიდატო შრომიდან „რომის პაპის პავლე VI პონტიფიკატი“. შრომის ამ ნაწილში ვაანალიზებულია პავლე VI-ს პირველი ენციკლიკა „ეკლესიის არსი“, სადაც ლაპარაკია ეკლესიის უმთავრეს ფუნქციაზე — იხსნას ადამიანის სული საუკუნო სიკვდილისაგან. ეპისკოპოს ამბროსის სტატია დაწერილია ეკუმენური სულისკვეთებით. აღნიშნულია, რომ კათოლიკური ეკლესია ცდილობს განხორციელებდეს ქრისტიანულ ეკლესიათა გაერთიანება, რაც მთლიანად შეესაბამება ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი მეთაურის კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სულისკვეთებას.

ამავე რუბრიკით, 1988 წლის № 1-ში „ჩვენი ვაზისა“ აქვეყნებს ეპისკოპოს ზოსიმეს სტატიას „ეკლესია სეკულარიზებულ საზოგადოებაში“, დაწერილს შვეიცარიაში ნოშატალის მახლობლად ლე-ჟენეუე სუოფრანში ჩატარებული ევროპის ეკლესიათა კონფერენციისათვის, რომლის თემა იყო „მისია და სეკულარიზაცია“. ეპისკოპოსი გვაცნობს კონფერენციაზე მიღებულ შთაბეჭდილებებს.

ამავე ნომერში ჟურნალი აქვეყნებს მასალებს ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი ბუ-

რჯის იოანე ოქროპირის შესახებ, როგორც ცნობილია, იოანე ოქროპირი გარდაიცვალა დასავლეთ საქართველოში, როცა იგი ბეჭენთისაკენ მიემართებოდა. სტატიაში აღნიშნულია, რომ 1986 წელს გამოცემლობა მეცნიერებამ გამოსცა წიგნი სათაურით: „იოანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი 968 წლის ხელნაწერის მიხედვით. წიგნი გამოაქვეყნა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ფლოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა რუსულად გვარამიამ.

1988 წლის № 1-ში ჟურნალი აქვეყნებს ანგარიშს ქალაქ მცხეთაში იანვარში ჩატარებული ორდღიანი სემინარიისა სათაურით „წმიდა ნათლობა და კატეხიზაცია“. ქვეყნდება სემინარზე მიღებული რეკომენდაციები სასულიერო პირთათვის.

ჟურნალი ხშირად ეხება კულტისა და ლეთისმსახურების საკითხებს. 1988 წლის № 2-ში გამოქვეყნებულია სტატია „ლოცვისათვის“, სადაც ლაპარაკია ლოცვის არსისა და დანიშნულების შესახებ. ნათქვამია: „ლოცვა მუდმივი შეგრძნებაა სულიერი სიგლახანისა და უძღურებისა. ლოცვა საკუთარ თავში, ადამიანებსა და ბუნებაში ღვთაებრივი სიბრძნის, სახიერებისა, ყოვლისშემძლეობისა და ღიღების ჰერეტაა; ლოცვა მადლთა გარდმოსული“.

სტატიაში ლაპარაკია როგორ უნდა ებრძოლოს ადამიანი ცთუნებას ლოცვის დროს, რა პირობებია საჭირო ლოცვისათვის, რა უნდა აკეთოს მორწმუნემ, რომ მისი თხოვნა უფლამდე მივიდეს.

ჟურნალის 1988 წლის № 2-ში ქვეყნდება 1959 წელს გარდაცვლილი დეკანოზის იოანე სიმონის ძე ლუკაშვილის თხზულება „მღვდლის იდეალი“, რომელშიაც ლაპარაკია თუ ვინ შეიძლება იყოს მღვდელი, როგორ უნდა მომზადდეს მღვდელი, როგორი უნდა იყოს მღვდლის სამი უმთავრესი მოვალეობა: 1. მღვდელი როგორც მოძღვარ-მქადაგებელი; 2. მღვდელი როგორც ზნეობრივი ხელმძღვანელი და აღმზრდელი თავის სამწყსოსი და 3. მღვდელი როგორც ღვთისმსახურების შემსრულებელი. მღვდელი, ლუკაშვილის თხზულების მიხედვით, უნდა იყოს შვეიდიბისმყოფელი, მოჩხუბარა შეპირიბედი, ავადმყოფის ნუგეშისმცემელი,

მგლოვიარის დამამშვიდებელი. პატიმრის მანუგეშებელი. ცრუმორწმუნეობის აღმომფხვრელი. ზნეობრივ სწეულებათა მკურნალი, რელიგიურ გულგრილობასთან მებრძოლი, დეკანოზი ლუკაშვილი თავის შრომაში არჩევს ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ალ. ყაზბეგის, ი. ჭავჭავაძისა და სხვათა ნაწარმოებებში დახატულ მღვდლისა და სულიერი მოძღვრის სახეებს.


ამავე რუბრიკით, ჟურნალი აქვეყნებს ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწის, თეოლოგის დოქტორის, ვარშავის უნივერსიტეტის პატროლოგიის პროფესორის, მართლმადიდებელი ეკლესიის არქიმანდრიტის ქართული ისტორიის მკვლევარის გრიგოლ ფერაძის ბიოგრაფიას, რომელიც ნ. პაპუაშვილს ეკუთვნის და გრ. ფერაძის ქადაგებას „მამაო ჩვენოს“ შესახებ.

„ღვთისმეტყველების“ რუბრიკით ჟურნალი 1988 წ. № 3-ში აქვეყნებს ადრექრისტიანული პერიოდის უმნიშვნელოვანესი ძეგლის „დიდაქეს“ ანუ „მოძღვრება თორმეტი მოციქულისა“ თარგმანს და მის კომენტარს, რომელიც ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს ე. ჭელიძეს ეკუთვნის.

ჟურნალის 1988 წლის ბოლო ნომერში გამოქვეყნებულია საუბარო დაუჯდომელზე ანუ აკათისოს შესახებ.

მართლმადიდებლური რჯულთმოძღვრება დიდ ადგილს უთმობს ქადაგებას. 1986 წლის № 1-ში ქვეყნდება წერილი, რომელიც ეხება პომილეთიკის ისტორიას. მოძღვრება-ქადაგებებს, რომელნიც წარმოითქმება მორწმუნეთა დასამოძღვრავად. წერილში ლაპარაკია სხვადასხვა ტიპის ქადაგებაზე.

„პავლე მოციქული, — ნათქვამია სტატიკაში. — იყო პირველი, რომელმაც შექმნა სწავლება ქადაგების შესახებ. მან ჩაუყარა საფუძველი ქადაგების თეორიას. პავლე მოციქული უარყოფდა ანტიკურ ორატორობას, აღნიშნავდა, რომ ქრისტიანულ ქადაგება არის მხოლოდ სულიწმიდის გამოვლენის შედეგი. მისი მტკიცებით ქადაგება სიტყვიერ სამკაულებს არ საჭიროებს, მაგრამ მალე დრო შეიცვალა და ნათელი გახდა, რომ აუცილებელი იყო ღრმა ქრისტიანული ცოდნა შეერთებოდა ყოვლისმომცველ განათლებასა და მის ოსტატურად გადმოცემას.



პომილეთიკა ქრისტიანული ღვთისმეტყველების დარგია, რომელშიაც გადმოცემულია საეკლესიო ქადაგების პრინციპები. სტატიკაში მითითებულია ორიგენზე, როგორც ამ პრინციპების სისტემატიზატორზე, ბასილ კაპადოკიელზე, ნეტარ ავგუსტინეზე, იოანე ოქროპირზე, რომელმაც მას დასრულებული სახე მისცა.

ჟურნალი ბეჭდავს (1986 წ. № 2) ეპისკოპოს ზოსიმეს (შიოშვილი) ქადაგებებს: „ღვთის სასუფეველის შესახებ“ და „წინასწარმეტყველ იონას ხსენებასთან“ დაკავშირებით. აქვე ჟურნალი აქვეყნებს ეფრემ ასურის სწავლანს „სიმშვიდისათვის“ და „უშფოთველობისათვის“.

1988 წლის № 1-ში მოთავსებულია ორი სწავლება: პირველ მათგანში ლაპარაკია აღსარების შესახებ — ერთ-ერთ იმ შვიდ საიდუმლოთაგან, რომელიც ქრისტიანობას აქვს და მეორეში ლაპარაკია დავითნის შესახებ. ჟურნალი აქვე აქვეყნებს X საუკუნის ქართველი მგოსნის ოპიზარის „გალობანი სულისა“.

1988 წლის № 2-ში გამოქვეყნებულია ეპისკოპოს ზოსიმეს (შიოშვილი) ორი ქადაგება: პირველი მათგანი ეძღვნება „უძღები შვილის

კვირას“, რომელიც მთავრდება მოწოდებით: „დავიმდაბლოთ თავი. მოვიშორეთ ბიწი და ქუჭკი. მივიქცეთ ისევ უფლისადმი და აღვი-ართო ცოდვანი ჩვენნი... მოვიპოვოთ გულ-წრფელი სინანული, რომ მონანულთ მოგ-ვეცეს გამართლება უფლისა მიერ“.

მეორე ქადაგება მიძღვნილია „მეზვერისა და ფარისევლის კვირასთან“. ამ ცნობილ ბიბლიური იგავიდან ეპისკოპოსი ზოსიმე აკეთებს დასკვნას: „შევიზოვოთ უფალს, რომ მოგვანიჭოს განცდა საკუთარი ცოდვებისა და არა განკითხვა მოყვასისა, რათა მოვიპოვოთ გამართლება უფლისმიერი, რომლის არს დიდება და პატივისცემა“.

ეპისკოპოს ზოსიმესვე ეკუთვნის 1988 წლის № 3-ში გამოქვეყნებული ქადაგება, რომელიც მიძღვნილია პეტრე-პავლობის დღესასწაულისადმი. ქადაგებაში ეპისკოპოსი ულოცავს მრევლს ამ დღესასწაულს და ყურადღებას ამახვილებს პეტრესა და პავლეს დიდ ღვაწლზე ქრისტიანობის გავრცელების საქმეში.

„ჯვარი ვაზისას“ ყოველი წლის პირველი ნომრები ტრადიციულად იწყება საახალწლო ეპისტოლეით, სადაც ეკლესიის მეთაური კათოლიკოს-პატრიარქი უსურვებს თავის მრევლს გამარჯვებას, ჯანმრთელობას, სულიერ აღორძინებას, მშვიდობას, ბავშვების აღზრდას. ყურადღებას ამახვილებს მშობლების როლზე ახალი თაობის აღზრდაში და სხვ. ხოლო მეორე ნომერში, ასევე ტრადიციულად, ქვეყნდება სააღდგომო ეპისტოლე მიძღვნილი უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულისადმი — აღდგომისადმი, სადაც ლაპარაკია იესო ქრისტეს მსხვერპლის სიღიადეზე, მის როლზე კაცობრიობის ცოდვისაგან ხსნის საქმეში.

ისევე როგორც წინა წლებში, 1986-88 წლებში საქართველოში მართლმადიდებელ ეკლესიას უხვად ჰყავდა სტუმრები, რომელთა შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას გვაწვდის ქურნალი „ჯვარი ვაზისა“. ვიზიტორთა შორის უნდა აღინიშნოს 1986 წელს ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპისა და პატრიარქის ნიკოლოზ VI ჩამოსვლა. მისი განმეორებითი ვიზიტი. ამავე წელს უფლის კვართის დღესასწაულზე ჩამოვიდნენ ათონელი ბერები. სტუმრად იყვნენ ვაშინგტონის მთავარეპისკოპოსი სრულიად ამე-

რიკის და კანადის მიტროპოლიტი უნეტარე სი თეოდოსი და თანმხლები პირები.

1987 წელს საქართველოს ესტუმრებოდა სტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოს I. ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის, ალექსანდრიისა და იერუსალიმის პატრიარქი მაქსიმე V. ჩამოვიდნენ სტუმრები სინის მიდიან, სინის მთისა და რაიის მთავარეპისკოპოსის მეთაურობით, გვესტუმრნენ საბერძნეთის ეკლესიის წარმომადგენლები.

1988 წელს ქურნალი აშუქებს იტალიის კომუნისტური გავთვის „უნიტას“ პოლიტიკური მიმომხილველის აჩესტე სანტინის და ბიბლიის გამავრცელებელი საზოგადოების თანამშრომლის დოქტორ მანუილ ჯინეშინის ვიზიტს, ამერიკელი სენატორის უილიამ ბრედლის და მისი საუბრის ჩანაწერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, ქვეყნდება მასალა ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პატრიარქის პართენიოს III ვიზიტის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის შულციის ვიზიტის შესახებ, რომელიც მეუღლითურთ ეწვია სიონის საპატრიარქო ტაძარს და დაესწრო წირვას. სტუმრად იყვნენ ბერძენი მიტროპოლიტები დიონისე და პანტელეიმონი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან ქალბატონი ირა რაიზნერი და ბატონი ჰანს ვერნერი, რომელთაც განზრახული აქვთ საქართველოსა და ქართული ეკლესიის, ქართული ნელოგენების ამსახველი ფოტო-ალბომის გამოცემა და სხვ.

მეორე მხრივ ქურნალი არ ივიწყებს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა ვიზიტებს საზღვარგარეთ და აქვეყნებს მათ შთაბეჭდილებებს. ქურნალში გამოქვეყნებულია მასალა ქართველ სასულიერო პირთა ჯგუფის საბერძნეთში მოგზაურობის შესახებ, ათონის მთის მონასტრების მისალოცად. აშშ ქრისტეს ეკლესიათა ეროვნული საბჭოს მიწვევით საბჭოთა კავშირის ქრისტიანულ ეკლესიათა დელეგაცი-აში მონაწილეობდა მიტროპოლიტი დავითი. 1986 წლის სექტემბერ-ოქტომბერში აშშ-ში თავის თანმხლებ პირებთან ერთად იმყოფებოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ქართული ეკლესიის წარმომადგენელი იყო იტალიის ქალაქ ასიზში, სადაც მშვიდობის დაცვისათვის სამლოცველოდ შე-

კრებებს მსოფლიოს ყველა რელიგიისა და აღმსრულებლობის წარმომადგენელი. ამ შეკრებაზე იყო ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი კონსტანტინე. ჟურნალში ქვეყნდება წერილი იერუსალიმში ქართული ეკლესიის დელეგაციის ვიზიტის შესახებ, რომელიც აქ მიიზატიყა იერუსალიმისა და სრულად პალესტინის პატრიარქმა დიოდოროს I, საქართველოს დელეგაციას მეთაურობდა კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

ჟურნალი აქვეყნებს ინფორმაციებს ამა თუ იმ ქვეყნის საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ, კერძოდ კონტაქტებს რომსა და ქართულ ეკლესიას შორის (1988 წ. № 1). ცნობებს ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიულად. ამ ქვეყანაში ეკლესიის წარმომადგენელთა ვიზიტის შემდგომ შთაბეჭდილებებს.

ჟურნალი (1988 წ. № 1) ფართოდ ეხმაურება ქართული ეკლესიის ამაგდარი სასულიერო პირების წლისთავებს, საიუბილეო თარიღებს, იხსენებს მათ, ვინც თავისი საქმიანობით წინ წასწია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტი. ასეთ სასულიერო პირებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს (ცინცაძე), რომლის დაბადებიდან 120 წელი შესრულდა. იგი საქართველოს კათოლიკოსი იყო 1932-1952 წწ. მას შემდეგ, რაც 1917 წელს მარტში ქართულმა ეკლესიამ აღიდგინა დამოუკიდებლობა, იგი მიისწრაფვოდა მშობლიური ეკლესიის განმტკიცებისათვის. აღსანიშნავია მისი ღვაწლი ქართული ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლებისა და რუსეთის ეკლესიასთან გაწყვეტილი ურთიერთობის აღდგენის საქმეში, რომელიც 1943 წელს კეთილად დაკვირვდინდა. აღსანიშნავია მისი ბრძოლა მშვიდობის საქმისათვის, ფულადი დახმარება ფრონტისათვის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ომის შემდგომი ზრუნვა მშვიდობისათვის, მიმოწერა უილიამ კინგთან, ეოზეფ რაიტთან, მისი ღვაწლი ისტორიული ძეგლების აღდგენის საქმეში და სხვ. ჟურნალი აქვეყნებს კათოლიკოს კალისტრატეს მიერ წმ. მთავარმოწამის გიორგის ხსენების დღეს თქმულ სიტყვას.

ჟურნალის ამავე ნომერში (1986 წ. №1) ქვეყნდება მასალა, რომელიც ეხება ცხუმ-

აფხაზეთის ეპისკოპოსის ლეონიდეს (ევაწია) დაბადების 100 წლისთავს. ჟურნალში აღნიშნულია აფხაზეთში ეკლესიების აღდგენისათვის მის მიერ გაწეული ღვაწლის შესახებ.

ქართველ სასულიერო პირთა შორის გამოჩენილი ადგილი ეკავა XIX საუკუნის ქართული აზროვნების შესანიშნავ წარმომადგენელს გაბრიელ ეპისკოპოსს. თეოლოგსა და მეცნიერს. პედაგოგს, დაუცხრომელ მოძღვარსა და განმანათლებელს, მაღალი და წმინდა ზნობის მატარებელს, რომლის შრომა «Основания опытной психологии» 1858 წელს გამოიცა პეტერბურგში, მისი ქადაგებანი თარგმნილი იქნა ინგლისურ ენაზე და დაისტამბა ლონდონში. ჟურნალში გამოქვეყნებულია გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს გაენათის მონასტერში ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა, რომელშიაც სათანადოდ არის შეფასებული გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრება. «თვითთული წამი მისი ცხოვრებისა — მოძღვრებაა. მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის. ერთად კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალი სათნოებისა და სიყვარულისა. მართლისა და ჭეშმარიტებისა, მაღლისა და მოწყალეებისა». ჟურნალი აქვეყნებს გაბრიელ ეპისკოპოსის ანდერძს, რომლის მიხედვითაც მთელი თავისი ქონება მან ხალხს, ღარიბთა და უპოვართ დაუტოვა.

აქვე გამოქვეყნებულია მისი ცნობილი პასუხი გიორგი მუხრან-ბატონის ბროშურაზე, სადაც ეს უკანასკნელი მცირერიცხოვანი ხალხების დიდ ერებში გათქვეფდის აუცილებლობას ამტკიცებდა.

როგორც ცნობილია, ამ ბროშურას დიდი აღწვთობა მოჰყვა საქართველოში, მასში გადმოცემული დებულებები სასტიკად დაგმეს ილია ჭავჭავაძემ. დავით ერისთავმა და სხვებმა. ძალზე დამაჯერებელი და არგუმენტირებული პასუხი გასცა მის ავტორს გაბრიელ ეპისკოპოსმა: „მცირე ხალხი მოკლებული თავის ენისა — იქნება მოკლებული ყოველი ინდივიდუალური ხასიათის თვისებათა და უსარგებლო იქნება თავისთავისა და სხვისთვისაცო“, — წერდა იგი.

ჟურნალი აქვეყნებს მასალებს ქართული ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწის პატრიარქ-კათოლიკოსის კირიონ II-ის შესახებ, რომლის გარდაცვალებიდან 80 წელი შეს-

რულდა. როგორც ცნობილია, კირიონ II-ის სახელთან დაკავშირებულია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. თ. ჯვარიძის მიერ მომზადებულ მასალებში დაწვრილებით არის გადმოცემული კირიონის ღვაწლი, მისი ქრისტიანული მოღვაწეობა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის აღორძინებისათვის. კირიონი, ქართველი ხალხის მტრებმა მოკლეს 1918 წლის 26 თუ 27 ივნისს მარტყოფის მონასტერში. მისი მკვლელობა ქართველმა ხალხმა სრულიად სამართლიანად ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ტრაგედიის სიმბოლოდ დააყენა.

კირიონი, როგორც წერილშია აღნიშნული, მრავალმხრივ კვლევას ეწეოდა მოსკოვის, პეტერბურგის, თბილისის, კამენეც-პოდოლსკის, ხარკოვის, კიევის, ხერსონის ორიოლის, კონოს არქივებში, მუზეუმებში, მონასტრებსა თუ საჯარო ბიბლიოთეკებში, სწავლობდა ყოველივე იმას, რაც საქართველოსა თუ ქართულ ეკლესიას ეხებოდა.

ფრიად საინტერესოა მისი წიგნი „ივერიული ტურული როლი რუსეთის ისტორიაში“. ამ წიგნში იგი შეეცადა რუსი მკითხველისათვის და არა მარტო მათთვის, გაეცნო ის დიდი როლი, რომელიც საქართველოს და ქართულ ეკლესიას ეკუთვნოდა მთელ საქრისტიანოში, ეჩვენებინა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული საგანგებო როლი სლავების განთავისუფლების საქმეში. მით უმეტეს, ნათქვამია ამ მასალაში, რომ ასეთი საგანგებო რიცხვი 50 მონასტრამდე იყო.

კირიონს დიდი დამსახურება მიუძღვის არა მარტო ქართველი ხალხის და ქართული ეკლესიისადმი, არამედ რუსი ხალხისა და რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისადმი. იგი ღვენიის გამო დიდხანს ცხოვრობდა რუსეთში. ეკავა სხვადასხვა სასულიერო თანამდებობანი, ეწეოდა ქველმოქმედებას. აღსანიშნავია, რომ მან ორიოლში რუსეთ-იაპონიის ომის დროს საკუთარი სახსრებით შექმნა სავადმყოფო — ლაზარეთი.

ჟურნალი აქვეყნებს წერილებს ეკლესიისათვის თავდადებული იმ ადამიანების მოსაგონებლად, რომელთაც თავიანთი უპრეტენზიო შრომით, მაღალი ზნეობით აამაღლეს ეკლესიის ავტორიტეტი.

„ჯვარი ვაზისა“ თავის ფურცლებზე ფართოდ ეხება არა მარტო სასულიერო პირების

ცხოვრებას, არამედ საერო მოღვაწეებსაც. ამ მხრივ აღსანიშნავია 1986 წ. № 1-ში გამოქვეყნებული ქართველი მრევლის ზოგადო მოღვაწის დავით სარაჯიშვილისადმი (1848-1911) მიძღვნილი წერილი. დ. სარაჯიშვილი იყო ფილოსოფიის მაგისტრი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოში კონიაკის წარმოების ფუძემდებელი. ამასთან იგი ფართო მეცნიერულ საქმიანობას ეწეოდა. მისი დახმარებით მრავალი კულტურული თუ საგანმანათლებლო საქმე შესრულდა საქართველოში, მისი ანდერძით ქონების მნიშვნელოვანი ნაწილიც საქართველოს ეკლესია-მონასტრებს დარჩა.

ჟურნალის ამავე ნომერში მოთხრობილია ცნობილი საზოგადო მოღვაწის აჭარელი პაიდიარ აბაშიძის (1893-1966) შესახებ, რომელმაც აჭარის შემოერთების შემდეგ დიდი როლი შეასრულა ქართული სულისა და ენის აღორძინების საქმეში. იგი დაუღალავად იბრძოდა აჭარის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერებისა და ქართველი ხალხის ერთიანობისათვის.

1987 წლის № 2-ში ქვეყნდება მასალები საქართველოს ორი ღირსეული შვილის ქართული ენათმეცნიერების პატრიარქის, დიდი ფილოლოგის აკაკი გაბრიელის ძე შანიძისა და დიდი ქართველი მსახიობის ვერიკო ანჯაფარიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ჟურნალი აქვეყნებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II საუბარს: ფრაგმენტს ვერიკო ანჯაფარიძისთან, რომელიც რწმენის საკითხებს ეხება. რაც შეეხება აკადემიკოს აკაკი შანიძის ღვაწლს ეკლესიის წინაშე, იგი ასეა დახასიათებული: „ძველი ქართული ლიტერატურისა და ენის ისტორია — ეს ეკლესიის ისტორიაა“.

ამავე ნომერში ჟურნალი ეხმაურება საქართველოს გენიალური შვილის ვჟა-ფშაველას დაბადების 125 წლისთავს.

ჟურნალი 1988 წლის № 1-ში აქვეყნებს ამავე წელს პარიზში გარდაცვლილი ცნობილი ქართველი მეცნიერისა და პატრიარქის კ. სალიას ხსოვნისადმი მიძღვნილ მასალას. კ. სალიამ დიდ ღვაწლი დასდო ქართულ ხელოვნებას, მწერლობას, მეცნიერებას. იგი იყო საქართველოს აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, საზღვარგარეთ მრავალი სამეცნიერო საზოგადოების წევრი. პარიზში ქართველოლოგიური ჟურნალის „რევიუ დე კარტე-

ლოლოვი“-ს („ბედი ქართლისა“) გამომცემელი. ანდერძის თანახმად, მისი ცხედარი თბილისში ჩამოასვენეს და მადლიერმა ქართველმა ხალხმა დიდუბის მოღვაწეთა პანთეონში დაასაფლავა.

მე-19 და მე-20 საუკუნის მიჯნაზე ქ. ბათუმში აშენებულ იქნა გათური სტილის კათოლიკური ეკლესია, რომლის ინიციატორი და დამფინანსებელი იყო სტეფანე ზუბალაშვილი. სტატიაში (1988 წ. № 1), რომლის ავტორია გ. ტოტოჩავა, ლაპარაკია ტაძრის ისტორიასა და მისი ამგების პიროვნების შესახებ. 1989 წელს ეს ეკლესია, რომელშიც წირვა-ლოცვა დიდი ხნის შეწყვეტილი იყო, რესტავრირებულ იქნა და გადაეცა ეკლესიას.

რუბრიკით „კვალი ნათელი“ ჟურნალი 1988 წ. № 2-ში აქვეყნებს თანამედროვე ქართველი მწერლისა და კინო-დოკუმენტალისტის რ. თაბუკაშვილის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ნ. თოფურბას წერილს. რ. თაბუკაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის თავისი ერისა და ეკლესიის წინაშე. მან თავი მოუყარა და კინოფირზე აღბეჭდა ქართული ჯვრები, ხატები, ხელნაწერები, რომლებიც მთელ მსოფლიოშია გაფანტული. იუბილარს ღირსშესანიშნავი თარიღი მიუღოცა კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

ჟურნალის მომდევნო ნომერი (1988 წ. № 2) გვამცნობს, რომ კათოლიკოს-პატრიარ-

ქის ილია II-ის მიერ სიონის ეკლესიაში 1988 წლის 16 მარტს გადახდილი იქნა პანაშვიდი, რომელიც მიძღვნა პარიზში გარდაცვლილი დეკანოზის ილია ანტონის ძე შელას სხოვნას. პარიზის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია 1947-48 წლებში გაუხსნიათ იქ მცხოვრებ ქართველ მართლმადიდებლებს. თავდაპირველად ღვთისმსახურება სრულდებოდა პატარა ნაქირავებ სამლოცველოში. 1964-65 წლებში როზერიების ქუჩაზე ქართველებმა შეიძინეს მრავალსართულიანი ბინის ქვედა სართული. იქ გაიხსნა წმ. ნინოს სახელობის ეკლესია, სადაც ლოცვა დღემდე მიმდინარეობს. მისი სულისჩამდგელი იყო მამა ილია. სტატიაში მოთხრობილია მამა ილიას მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ.

ჟურნალის 1988 წლის № 3-ში გამომქვეყნებულია ზ. თორბას წერილი XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის სასულიერო მოღვაწის ალექსი ბერის (ბაქრაძე) შესახებ. ალექსი ბერი სასულიერო მოღვაწეობასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ქართულ პერიოდიკაში, თარგმნიდა, ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას. ზრუნავდა ქართული ლიტერატურული ძეგლების გადაწერა-გაგვრცელებაზე, მოვლა-პატრონობაზე. ჟურნალი გვთავაზობს ალექსი ბერის მიერ 1905 წელს წარმოთქმულ ქადაგებას, რომელსაც ჰქვია „ერთობა და ეკლესია“.



ამავე ნომერში ჟურნალი აქვეყნებს ცნობილი ქართველი მოღვაწის დავით არსენიშვილისადმი მიძღვნილ ნათელა ვაჩნაძის სტატიას. სხვა მნიშვნელოვან ნაწარმოებებთან ერთად დავით არსენიშვილი არის შემქმნელი, დამაარსებელი და პირველი დირექტორი ანდრეი რუბლიოვის სიძველეთა მუზეუმისა მოსკოვში. რომელსაც მან დიდი ენერგია შეუღალა.

„ჯვარი ვაზისას“ 1988 წლის № 4-ში მესხეთის პრობლემებთან დაკავშირებით ქვეყნდება სტატია XIX საუკუნის მოღვაწის, თეოლოგისა და მოძღვარის, მწერლისა და პუბლიცისტის, ისტორიკოსისა და გადამღებ-კალიგრაფის, მღვდელ ივანე გვარამაძის შესახებ, რომლის სტატიები და კორესპონდენციები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ხასიათის ნარკვევები, მასალები ქართული ხალხური შემოქმედების შესახებ ხშირად იბეჭდებოდა პრესაში. ივანე გვარამაძე ფრიად განსწავლული პიროვნება იყო. მან ქართულთან ერთად იცოდა სომხური, თურქული, ლათინური, ფრანგული, რუსული ენები. მას მრავალი ნაშრომი აქვს როგორც სასულიერო, ისე საერო დარგში. მათ შორის ლექსები, პროზაული ნაწარმოებები, ფოლკლორული ჩანაწერები, სახელმძღვანელოები, ქადაგებანი. წერილი ი. გვარამაძეზე ეკუთვნის ზ. თორიას. ამავე ნომერში ქვეყნდება ი. გვარამაძის წერილი ა. წერეთლისადმი.

ჟურნალი (1988 წ. № 1) აქვეყნებს მასალას გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ასიროლოგის, თბილისის, ბრიუსელისა და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორის მიხაკო წერეთლის ცხოვრების შესახებ. ჟურნალი ბეჭდავს მის სიტყვას წარმოთქმულს ილია ჭავჭავაძის თბილისში ჩამოსვენების დროს 1907 წლის 7 სექტემბერს, რომელსაც დიდი რეზონანსი მოჰყვა მთელ საქართველოში.

მშვიდობისათვის ბრძოლას ნებისმიერი ქრისტიანული ეკლესია თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნევს. გამოჩაგლისი ამ მხრივ არც ქართული მართლმადიდებელი ეკლესიაა. რომლის წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მშვიდობისათვის ბრძოლის თითქმის ყველა საქმიან შეხვედრაში. ამ საქმიანობის გაშუქების მიზნით ჟურნალს

შემოღებული აქვს რუბრიკა: „მშვიდობისათვის“
ველთა“. ამ რუბრიკით ჟურნალი 1986 წლის ნომერებში აქვეყნებს 6-10 ნომერებში, მაისის თბილისში ჩატარებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონალური კონფერენციის მასალებს. ჟურნალი ბეჭდავს ამ კონფერენციაზე კათოლიკოს-პატრიარქის ილია II სიტყვას, რომელშიაც იგი გამოხატომურ ომს. მისი აზრით, ატომური ომი გაუმართლებელია არა მარტო რელიგიური და მორალური თვალსაზრისით, არამედ საერთოდ, სალი აზროვნებითაც. ილია II ხაზს უსვამს ახალ აზროვნებას საბჭოთა პოლიტიკაში. ახლა, — ამბობს იგი, — ყველა ხედება, რომ დედამიწაზე ღვთისაგან ბოძებული სიციცხლის შენარჩუნება ადამიანის მოღვმის უპირველესი ვალია. დღეს ყველას ესმის, რომ მთავარია არა იდეოლოგიური, ან ესა თუ ის ფილოსოფიური კონცეფციები, არამედ ადამიანი. ივია მთელი საზოგადოებრივი და მატერიალური სიმდიდრის საზომი“. სიტყვაში ლაპარაკია იმის შესახებ, თუ რა შეუძლია გააკეთოს ეკლესიას ამ დიდმნიშვნელოვან ბრძოლაში.

როგორც ვხედავთ, საეკლესიო ცხოვრებაშიც ნათლად აისახა ის ახალი მიდგომა და ის ახალი აზროვნება, რომელიც საერო ცხოვრებამ წამოაყენა.

ჟურნალი „ჯვარი ვაზისას“ აქტიურად ეხმარება ისტორიულ თარიღებს, სათანადოდ მიუხლავს იმ გამოჩენილ პირებს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს როგორც საერო, ისე სასულიერო სფეროში. ერთ-ერთი ასეთი გამოჩენილი მეფე და პოლიტიკური მოღვაწეა საქართველოს ისტორიაში გიორგი V (ბრწყინვალე, 1318-1346 წწ), რომელმაც აღადგინა საქართველოს დარღვეული პოლიტიკური მთლიანობა.

გიორგი ბრწყინვალემ ხელი შეუწყო ქვეყნის სულიერ აღორძინებას, აღადგინა განათლების ძირითადი კერები, განაახლა ძველი ეკლესიები, ააშენა ახალი ტაძრები. ვ. ჯვარიძის სტატიაში დაწვრილებითაა გადმოცემული გიორგი ბრწყინვალეს ღვაწლი ქართული ეკლესიის გაძლიერების საქმეში. ჩამოთვლილია, რომ მის დროსაა აგებული საფარის საბას ეკლესია, ზარზმის დიდი ტაძარი. ცაიშის გუმბათოვანი ტაძარი, ბორ-



ჯომის ხეობაში სოფელ დაბასთან აგებულია პატარა ეკლესია, მის დროსაა განხილული იერუსალიმის ქართველთა ჯგრის მონასტრის განთქმული მოხატულობაც.

ეურნალის 1986 წლის № 2 ეხმაურება ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლის, კლდეში გამოკვეთილი ქალაქის ვარძიის 800 წლის თავს. ამ შესანიშნავი ძეგლის მშენებლობა, როგორც ცნობილია, დაიწყო მეფე გიორგი III დროს და დამთავრდა თამარ მეფის დროს. მისი აშენება კიდევ ერთი დადასტურება იყო ქართული ეკლესიის ზრდისა და აყვავებისა. ამ თარიღთან დაკავშირებით ეურნალი აქვეყნებს პროფესორ გ. გაფრინდაშვილის სტატიას, რომელშიც მოთხრობილია ვარძიის გამოკვეთის ისტორიისა და მშენებლობის შესახებ, ლაპარაკია მხატვრობის თავისებურებებზე. სტატიაში ხაზგასმულია, რომ ვარძია და რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი“ ქართული კულტურის ერთი ზოგადი წრის ჰუმანისტური ძეგლებია. იუბილესთან დაკავშირებით ამავე ნომერში გამოქვეყნებულია XII საუკუნის მოღვაწის და პოეტის იოანე შავთელის „გალობანი ვარძიის ღმრთისმშობლისანი“.

ეურნალის 1987 წლის № 2-ში რუბრიკით „ქართლის ცხოვრების ფურცლები“ გამოქვეყნებულია მარინე ნიაურის წერილი

„წმინდა აშოტ კუროპალატი“, სადაც მოთხრობილია VIII-IX საუკუნეებში მოღვაწე მეფის ცხოვრებისა და მისი მრავალმხრივი საქმიანობის შესახებ არაბების შემოსევების ეამს. აღნიშნულია მისი ღვაწლი ეკლესიების მშენებლობაში, მისი თავგანწირული ბრძოლა სამშობლოსა და ქრისტიანული მოძღვრებისათვის. როგორც ცნობილია, აშოტ კუროპალატი მოკლულ იქნა არაბების მიერ.

„ჯვარი ვაზისას“ სხვადასხვა ნომერებში არკვეული ადგილი ეთმობა საზღვარგარეთ ქართულ საგანებს, იქ დაცულ ხელნაწერებს თუ არსებულ ძველ ქართულ წარწერებს. ეურნალის 1986 წლის № 1-ში გამოქვეყნებულია მასალა, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სინას მთის ლიტერატურულ სკოლას და მწიგნობრულ კერას ძველი ქართული მწერლობის განვითარებაში.

ეურნალი აშუქებს სინას მთაზე არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ცხოვრებას, იქ არსებულ ძველ ქართულ წარწერებს. ბოლო წლებში ამ მასალებს დამატება ახალი ცნობები, კერძოდ წმინდა ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილი იქნა უცნობი ხელნაწერები. წერილში გაანალიზებულია ეს მასალები და გამოთქმულია აზრი, რომ აქ არსებული ძველი ქართული წარწე-

რები საშუალებას იძლევიან თვალი გავადევნოთ ქართველ მოღვაწეთა გზას სინას მთის სავანეებისაკენ. ავტორის აზრით, ამ წარწერებს აქვთ დიდი პოლიგრაფიული, ონომასტიკური და ტოპონიმური მნიშვნელობა, მათი მიხედვით ირკვევა, რომ ქართველთა კვალი სინას მთაზე უკვე VII საუკუნიდან, ან უფრო ადრეც არის სავარაუდებელი.

ქართველი ლევისმეტყველები „ჯვარი ვახისას“ ფურცლებზე ეხმაურებიან იმ კამათს, რომელიც მიმდინარეობს საერო პრესაში. ამჯერად ყურადღება მახვილდება ძველ ქართულ ხელნაწერზე „ქება და დიდებამა ქართულისა ენისაჲ“. ეურნალის 1986 წლის № 1-ში ქვეყნდება X საუკუნის ამ ხელნაწერის ფოტო. ამ ნაწარმოების შესახებ მრავალმა მეცნიერმა გამოსთქვა თავისი შეხედულება. კამათს იწვევს ის, თუ რა იგულისხმება მის შინაარსში. ეურნალში აღნიშნულია, რომ ეს ხელნაწერი ბოლო მეცნიერული მონაცემებით მიეკუთვნება მეოთხე საუკუნეს. ეურნალის და კათოლიკოს-პატრიარქის განმარტებით მასში გამოკვეთილია აზრი, რომ მეორედ მოვლინებისას იესო ქრისტე ცოცხლებს და მკვდრებს განსჯის ქართულ ენაზე; რომ ქართული ენა დამარხებულია, დამკირებულია, მაგრამ აღდგება ისევ, როგორც აღდგა ლაზარე სახარებისეულ სიუჟეტში. ქადაგებაში, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ 13 (26) აპრილს 1986 წლის ლაზარეს შაბათს წარმოსთქვა, სწორედ ეს აზრია გატარებული.

„ჯვარი ვახისას“ 1987 წლის პირველი ნომრის მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს. ეურნალი მიუთითებს მის განსაკუთრებულ როლზე საქართველოს ისტორიაში, რომ ეს იყო სწრაფვა მამულის მსახურებისაკენ, მისი სიკეთისა და აყვავებისაკენ. იგი დაუღალავად იბრძოდა საქართველოს კეთილდღეობისათვის და ამ კეთილშობილურ ბრძოლაში ტრაგიკულად დაიღუპა კიდევ. ასეთმა სიკვდილმა კიდევ უფრო აამაღლა ილიას ისედაც ბუმბერაზი ფიგურა. ქართულმა ეკლესიამ ამ აურაცხელი დავასა და თავდადებისათვის ილია ჭავჭავაძე ილია მართლის სახელწოდებით წმინდანად შერაცხა. ეურნალი ამ მნიშვნელოვან იუბილესთან დაკავშირებით აქვეყნებს მთელ რიგ სტატი-

ებს: მათ შორის კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს, არქივისკოპოს თაღოვანის ხელნაწერნალ „ჯვარი ვახისას“ რედაქტორის ბ. კობალაძის, პროფესორ შ. ბაღრიძის წერილებს, რომლებშიც გაშუქებულია მწერლის ღვაწლი, დამოკიდებულება ქრისტიანობისადმი, ქართული ეკლესიისადმი. ქვეყნდება მისი წმინდანად გამოცხადების გადაწყვეტილება, მწერლისადმი მიძღვნილი ტროპარი. გამოკვეყნებულია ილია ჭავჭავაძის მნიშვნელოვანი სტატიები. მისდამი მიძღვნილი გ. ლეონიძის და კ. ნადირაძის ლექსები, გარჩეულია მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები — პოემა „განდვლილი“. აგრეთვე მასალები იმის შესახებ, თუ როგორ ზრუნავდა იგი საქართველოსთვის ახლადდაბრუნებული აჭარისა და ისტორიულად განწირულ, დაჩაგრულ საინგილოს ბედზე; აქვეა ფრავმენტები ილია ჭავჭავაძის გამოსვლისა 1907 წელს პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოს სესიაზე, რომლის წევრიც იყო იგი. ამ გამოსვლაში დიდი ილია ილაშქრებს სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ამ წერილის ერთგვარი გაგრძელებაა მწერლის ქვრივის თხოვნა სიკვდილით არ დაესაჯათ ილიას მკვლელი — ეს იქნება ქრისტეს მცნებების დარღვევაო, — წერდა იგი. ამ წერილმა თავის დროზე დიდი რეზონანსი გამოიწვია. მას გამოეხმაურნენ ლევ ტოლსტოი, უცხოური გაზეთები. ყოველივე ამაზე საინტერესო მასალა არის გამოქვეყნებული „Русские ведомости“-ში.

ეურნალის ტრადიციულ რუბრიკაში „ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან“, გამოქვეყნებულია თბილისის სასულიერო სემინარიის იმდროინდელი რექტორის ეპისკოპოსის სერაფიმეს წერილი და მასზე ილია ჭავჭავაძის პასუხი, სადაც იგი არკვევს რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთობის ზოგიერთ საკითხს. „ღმერთს, — წერდა ი. ჭავჭავაძე, — რომელმაც შექმნა ქვეყანა, სრულებითაც არ უნდოდა რომ ერთფეროვნება ყოფილიყო. ამის დადასტურებად გვესახება ის მრავალფეროვნება, რომელიც ჩვენს ირგვლივ არის. ამ მრავალფეროვნებას არ შეუძლია ხელი შეუშალოს ქმნადობის ერთიანობას. საბოლოო ჯამში ეს მრავალფეროვნება არის სამყაროს ის დიდი სიღრმეობა, რომელშიაც ადამიანი ეძებს და პოულობს ღმერთს.

აქაური ჩინოვნიკების მიერ გარუსების აღდის წამოყენება ხომ არ ნიშნავს ღვთის განგების წინააღმდეგ წასვლას, რომელმაც აუცილებელი გახადა დაესახლებინა მსოფლიო სწავლასზე ტომებით და ხალხებით და არა იმ მიზნით, რომ დაენგრია ზოგადსაქა-ცობრივი ერთობა...“

ეურნალი აქვეყნებს დ. ხანანაშვილის წერილს „ილია ჭავჭავაძე და ქართველი ებრაელები“. რომელშიაც ლაპარაკია დიდი ქართველი მწერლის ზრუნვასა და დამსახურებაზე ქართველი ებრაელების მიმართ.

ეურნალი ბეჭდავს იმ სიტყვებსაც, რომელიც წარმოთქმულ იქნა ილია ჭავჭავაძის დასაფლავების დროს, მათ შორის სასულიერო პირების — დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის, ეპისკოპოს ლეონიდეს, არქიმანდრიტ ამბროსის (ხელიას), დიდუბის ტაძრის წინამძღოლის ნიკიტა თალაკვაძის მიერ.

„ჯვარი ვახისას“ 1987 წლის № 1 ეხმაურება დიდ თარის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის აღდგენის 70 წლისთავს, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატში ნათქვამი იყო, რომ როდესაც ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკურად გადაწყდებოდა, ცალკე უნდა გადაწყვეტილიყო ეკლესიის საკითხები. მაგრამ ცარიზმს და რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას სხვა მიზნები და ამოცანები ჰქონდა ქართული ეკლესიის მიმართ. ეს უკანასკნელი უნდა გამხდარიყო მორჩილი იარაღი ქართველთა რუსიფიკაციის საქმეში. ამ მიზნით, უკვე 1811 წელს ყოველგვარი კანონის დარღვევით გაუქმებული იქნა საკათალიკოსო და მის ნაცვლად შეიქმნა საეგზარქოსო, რომელმაც 1917 წლამდე იარსება.

განვილიო 106 წლის მანძილზე სულ 15 ეგზარქოსი გამოიკვალა. მათგან მხოლოდ ერთი, ვარლამ ერისთავი იყო ქართველი, ხოლო დანარჩენი 14 რუსი, რომლებიც აშკარა ანტიქართულ ორიენტაციას ადგნენ და ყოველ ძალას ხმარობდნენ რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებისათვის.

საქართველოში საკათოლიკოსის გაუქმებას, საეგზარქოსოს შექმნას და უცხო ენაზე წირვა-ლოცვას მოჰყვა რწმუნის შერყევა, შემცირდა მორწმუნეთა რაოდენობა, იმატა რელიგიისადმი გულგრილობამ. სტატიაში,

რომელიც ეპისკოპოს ზოსიმეს (შოშვილს) ეკუთვნის, ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ განიცდიდნენ ქართული ეკლესიის მდგომარეობას ერის სასულიერო მამულიწველები.

როგორც სტატიაშია ნათქვამი, 1905 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის შენობაში შედგა სამღვდელთა კრება, რომელმაც გაბედა ქართული ეკლესიის მძიმე მდგომარეობაზე მსჯელობა. ამ შეკრების მონაწილენი ეგზარქოს ალექსის ბრძანებით დაშალეს და მკაცრად დასაჯეს. ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია მხოლოდ თებერვლის რევოლუციის შემდგომ აღიდგინა. ეს მოხდა 1917 წლის 12 მარტს, ხოლო საბოლოოდ გაფორმდა ამავე წლის 8-17 სექტემბერს თბილისში საქართველოს ეკლესიის კრებაზე. კათალიკოსად აირჩიეს კირიონი.

ეურნალში ამ თარიღთან დაკავშირებით ქვეყნდება სხვა მასალებიც: ნაწყვეტები იმდროინდელ ეურნალ „სვეტიცხოვლიდან“, კერძოდ, ეპისტოლე, რომლითაც ქართულმა ეკლესიამ აღმოსავლეთის პატრიარქებს, რომის პაპს და სომეხთ კათალიკოს-პატრიარქს ამცნო, რომ ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღიდგინა ავტოკეფალია.

ისე როგორც მთელ ქრისტიანულ მსოფლიოში, ასევე საქართველოშიც ფართოდ აღინიშნა რუსეთის ნათლისღების 1000 წლისთავი. საიუბილეო წლის 20 მაისს, საპატრიარქო რეზიდენციაში მოეწყო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც ქართული სამღვდელთებისა და საპატრიარქოს თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სომხური, კათოლიკური, ებრაული სამღვდელთების წარმომადგენლებმა, ქართველმა მეცნიერებმა.

ეურნალი (1988 წ., № 3) ბეჭდავს კონფერენციაზე წაკითხულ ერთ-ერთ მოხსენებას. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი — ვალენტინ ნიკიტინი. საინტერესო იყო ეპისკოპოს ზოსიმეს გამოსვლა, სადაც მან ასეთი აზრი გაატარა: „განსაკუთრებით გაიზარდა ქრისტიანული რუსეთის როლი მას შემდეგ, რაც დაეცა ბიზანტიის ძღვევამოსილი იმპერია. ამიტომაც შეკ-

ყურებდა მართლმადიდებელ რუსეთს იმედის თვლით მაჰმადიანური საფრთხის წინაშე მდგარი ბევრი ქრისტიანული ქვეყანა. საქართველოც ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ქრისტიანული სარწმუნოების მიზნით თავიანთი ბედი ერთმორბმუნე რუსეთს დაუკავშირა. დიახ, სწორედ მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვა და გადარჩენა ელო საფუძვლად იმ ისტორიულ ტრაქტატს, რუსეთსა და საქართველოს შორის რომ გაფორმდა. ქრისტეს ჯვარმა და წმიდა სახარებამ დაგვაახლოვა ჩვენ. ამიტომაცაა, რომ რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლის დღესასწაულს ჩვენი ერი და წმინდა ეკლესია თვის დიდ დღესასწაულად“.

ყურნალი (1988 წ. № 3) აქვეყნებს ანგარიშს იმ საიუბილეო ზეიმებისა, რომელიც ჩატარდა 4-დან 17 ივნისამდე მოსკოვში, კიევში, ლენინგრადსა და ვლადიმირში რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლისთავთან დაკავშირებით. აქვე ქვეყნდება ინფორმაცია წმიდა სამება სერგის ლავრაში ჩატარებული რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კრებისა, რომელზედაც სიტყვით გამოვიდა ილია II. ყურნალი აქვეყნებს მის მისაღმებას: „დიახ, — ამბობდა ილია II — ქრისტიანობა შემოტანილი იყო ბიზანტიიდან... მაგრამ ეკლესიის გაზდა რუსი ხალხის სული და იგი რჩება ამაღლ“.

„ჯვარი ვახისა“ გარდა ძირითადი რუბრიკებისა აქვეყნებს სხვადასხვა ღვთისმეტყველურ მასალებს: მათ შორის საეკლესიო ტერმინების ლექსიკონს, საგალობლებს, ფოტო მასალას საეკლესიო ცხოვრებიდან. ყურნალს აქვს რუბრიკა — „პოეზია“, სადაც ცნობილი ქართველი პოეტების ლექსებთან ერთად იბეჭდება სასულიერო პირთა ლექსები ასე მაგალითად, არქიეპისკოპოს თადეოზის (იორამაშვილი) და პოეტი ქალის ვ. ლუდუშაურის ლექსები. ყურნალი აქვეყნებს ეთნოგრაფიულ მასალებსაც.

ყურნალი ფართოდ გამოეხმაურა საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში — სვანეთში მომხდარ სტიქიურ უბედურებას. ბეჭდავს ფოტომასალას, თანაგრძნობის წერილებს, დეპეშებს, ცნობებს. რომელიც ქართულმა ეკლესიამ მიიღო როგორც საბჭოთა კავშირიდან, ისე საზღვარგარეთიდან.

1988 წ. № 3-ში მკითხველი ეცნობა კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სიტყვას

წარმოთქმულს 19 მარტს შოთა რუსთაველის საზოგადოების დამფუძნებელ სხდომაზე. მან დალოცა საზოგადოების შექმნა ^{ანტონოვსკი} ^{პეტროპოლისკი} კეთილშობილური მიზნები ერის საკეთილდღეოდ.

ყურნალი (1988 წ. № 1) აქვეყნებს იმ შეხვედრის ანგარიშს, რომელიც შედგა მოსკოვში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, სრულიად რუსეთის პატრიარქს პიმენსა და რუსეთის ეკლესიის მმართველ მღვდელმთავრებს შორის. საუბარი შეეხო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, ავტონომიისა და დიპტიხის საკითხებს, რომელიც განხილულ იქნა მომავალი წმიდა დიდი კრების მოსამზადებელ თათბირზე. შეხვედრამ ცხადყო ორი მეზობელი ეკლესიის ერთიანი პოზიცია ამ საკითხებზე.

1988 წ. № 3-ში დაბეჭდილია ებრაელი ლიტერატორის დ. ბუზუჯაშვილის სტატია „რატომ უყვართ ებრაელებს საქართველო“. სტატიაში აღნიშნულია, რომ მსოფლიოში არ არის ისეთი ადგილი, სადაც ქრისტესა და მოსეს სჯულის ადამიანებს ასე შეზღუდულივით ეცხოვროს, როგორც ებრაელებსა და ქართველებს საქართველოში. სტატიაში ლაპარაკია საქართველოში ებრაელთა ცხოვრებისა და მეორე სამშობლოსადმი მათი სიყვარულის შესახებ.

ყურნალი აქვეყნებს (1988 წ. № 4) კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს მესხეთში მოგზაურობის ანგარიშს, აგრეთვე მესხეთთან დაკავშირებულ მასალებს. მათ შორის ცნობას 1988 წლის 28 აგვისტოს საფარაში წიგნ-ლოცვის ძღვენის შესახებ.

* * *

მამ ასე, ყურნალი „ჯვარი ვახისა“ ათი წლისაა. განვლილი წლები ყურნალისათვის მაინც სპეციფიკური იყო. მკითხველთა ნაწილი მას აღიქვამდა როგორც ერთგვარ „აქრძალულ ხილს“. „აქრძალული ხილივით“ ტკიბის და მიუწყვდომელს თავისი მცირე ტირაჟის გამო. ამ წლების მანძილზე მის ფურცლებს სხვა მასალებთან ერთად აცოცხლებდა და საინტერესოს ხდიდა ეროვნულ-პატრიოტული თემები, რაც ესოდენ მცირე იყო უძრავობის პერიოდში საერო პრესაში. ამიტომ, მიუხედავად მალაიი ფასისა, იგი მაინც დეფიციტურ გამოცემად რჩებოდა.



„მუხენიერეზის ჰარმონია“ და „ჰეჟენის საერთო

მუხენიერეზა“ ანუ ალექსანდრე ყაზბეგის

ესთეტიკური მრწამსისათვის

(100 წლის აღსანიშნავად)

ფარნაოზ კობახიშვილი

ალექსანდრე ყაზბეგის მთელი შემოქმედება ეროვნულ ვეებასთან შერთული ადამიანის ამაღლებული სულის უსასოო დრტივნებასთან ერთად „მუხენიერების ჰარმონიის“ განსახებაც არის და სწორედ ეს მომხიბვლელობა შინაგანად თან სდევს მის ყოველ სტრიქონს.

„ჰეჟენის საერთო მუხენიერება“ და „მუხენიერების ჰარმონია“ ის ესთეტიკური კრიტიკურიუმებია, რომლებიც ყველაზე თვალნათლივ „მოძღვარში“ გამოიკვეთა და მის გასააზრებლად საგანგებოდ ამ ფილოსოფიურ-ესიქოლოგიურ რომანს დავეუკირდეთ.

გავიხსენოთ ისიც, რომ მწერალს ყველაზე მეტად „მოძღვრის“ შეუტყობლობა ეწყინდა ორი სახის (მესამე მცირე ბარათია) პასუხია შემორჩენილი (რა დასანანია, რომ თეორიული თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი პირველი მათგანი „წერილები სხვადასხვა საკითხებზე“, ხოლო მეორე „კერძო მიმოწერაშია“ მოთავსებული. ზუთტომეული, 1950 წ.) წყენა კი სრულიად ბუნებრივია, რადგან შეფასება დაფუძნებული იყო არა მართო ალ. ყაზბეგის თხზულებათა ზერეღე ნიველირებაზე¹, არამედ მწერლის თეორიული დონისა და კემშარტი დიდოსტატობის დაუნახაობაზედაც („პლანი, უმწიფრობა...“).

ალ. ყაზბეგის შემოქმედებითი ინტუიციისა და თეორიული დონისათვის საქმარისია თუნ-

დაც რამდენიმე მომენტი გავიხსენოთ მისი პოლემიკური წერილიდან: უპირველეს ყოვლისა, — ალ. ყაზბეგი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს „ხასიათის გამოხატვას“ და მასალა, ამბავი („სხვადასხვაგვარი ცხოვრება მოთხრობაში გამოყვანილის მოქმედის პირებისა“) მწერალს იმისთვის სკირდება, რომ „შეადგინოს მოთხრობა და გამოხატოს ხასიათი“.

მწერლისათვის ერთი და იგივე საგანი „სხვადასხვა ცვლილებაში მყოფი და, მაშასადამე, მასალა თვით ეპიზოდის გასაგრძელებლად და ხასიათის გამოსახატავად [არის] მოცემული“ (ტ. V, ზვ. 145).

გამოთქმა „ეპიზოდის გასაგრძელებლად“ — მოვლენათა, ამბავთა ბუნებრივ-ლოგიკურ, შინაგან კავშირთრთიერთობათა იმ ნიუანსს გულისხმობს, რაც კომპოზიციის არსს შეადგენს. აქვე გავიხსენოთ ილიას: „სულს ადევნე გულისყური და არა ხორცსა, აზრსა და არა ამბავსაო“.

ალ. ყაზბეგი მიანიშნებს შინაარსებით გაცტაცების იმ საშიშროებაზედ, რომელიც ამჯამადაც ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკის სავალალო სენს შეადგენს: „ხასიათს ვერ გაარჩევთ, შინაარსის შესახებ შეგიძლიან სთქვათ მხოლოდ „კარგია“, „არ ვარგა!“.

ხასიათის გრადაციებზე, ცვლილება-განვითარების წარმოჩენაზე აქცენტირება თავის-

თავად ხომ დღეს ცნობილი დებულების „ხასიათის ისტორია წოდებული რომანად“ — არსს მოიკავს (თან ბალზაჟის განსკაიასთან მიწერილი ბარათიდან აღებული ფრაზა დაახლოებით იმავე წლებით არის დათარიღებული, მაგრამ მკითხველისათვის ცნობილი გახდა ძალზედ მოგვიანებით).

აღ. ყაზბეგს სწამს რეალიზმის კანონთა კანონი, რომ ესა თუ ის მწერალი „თავის ქეიფს“ კი არ ასდევს, არამედ „სრულიად [ემოჩიონებს] მისგან გამოყვანილის გმირის სულის მოძრაობას, და რაოდენადაც მის მოძრაობის სინამდვილეს დაუახლოვდებოდა, იმოდენად მოთხრობას მეტი ღირსება მიეცემოდა“ (გვ. 147).

გმირის სულის მოძრაობის სინამდვილესთან ე. ი. მხატვრულ სინამდვილესთან თანაზიარობაა შენაქმნის ღირსების განმსაზღვრელი. თხზულების პერსონაჟის „ხასიათის სამდვილად გადმოცემისთვის“ მიყოლა აუცილებელია მწერლისათვის და ეს იმ დროს, როცა დაახლოებით იმავე წლებში „შეუფერავი რეალიზმის“ (როგორც უწოდებენ) მიმდევარი ქადაგებს:

„რალა თქმა უნდა, ჩემი მკითხველი მოუთმენლად ელის ეკას ამბის გაგებას და უცემს გული: ნუთუ ეკა დარჩა სულთანსა და გამოეწირა მისთვის თავდადებულ მაციოს. საწყალი მაციო.

ნამდვილს ცხოვრების მოვლინებაში უფრო შესაძლებელია, რომ აგრე მომხდარიყო, როგორც მკითხველი ფიქრობს, მაგრამ მე, როგორც რომანისტი, რომელსაც უყვარს თავის რომანის გმირი ქალი, აგრე ადვილად არ დამეოთხოვა ჩემი რჩეული პირი, რომ მკითხველის თვალში მოეცხოს რამე დასამცირებელი ჩირქი თუნდა რომ ეს ჩირქი იყვეს ყოვლად აუცდენელი“.²

აღ. ყაზბეგი არა მარტო რეალისტური ხელოვნების არსს გამოხატავს, არამედ დღევანდელ მეცნიერთა შორის ერთი სადაო საკითხის სპეციფიკასაც სწვდება და შემოქმედის სანაქებო ინტუიციით ავლენს — ეს არის ავტორისა და შენაქმნის ურთიერთობის, „ავტორის სახის“ („Отправ автора“) პრობლემა.

ვინაგრადოვი, კონრადი, ლიხაჩოვი „ავტორის სახეს“ მიიჩნევენ „მხატვრული ნაწარმოების მარეგულირებელ ცენტრად“, ბახტინი წინააღმდეგია ამ კომპონენტის ცალკე გამოყოფისა. აღ. ყაზბეგი შემოქმედს შენაქმნ-

თან სრულ თანაზიარობაში ხედავს და ნაწარმოების მიმდინარეობის მოუცილებელ ნაწილად მიაჩნია: „ავტორი უნდა შეეწყოს მოთხრობის მიმდინარეობას, მისი მსვლელობისათვის საჭირო კალაპოტში უნდა ჩადგეს“ და ესა თუ ის ადგილი, მომენტი, შესაძლებელს მოვლენად (ე. ი. მხატვრულ სინამდვილედ — ფ. კ.) უნდა აქციოს“.

ამ აზრს უფრო აღრმავებს: „ქვეშარტიტები სამებრ, შესაძლებელს მოვლენად უნდა გამოიყვანოს მწერალმა ხსენებული ადგილის მიმდინარეობა (თანმიმდევრული განვითარება — ფ. კ.) და არა დაღონებულს გმირს ხტუნაობა და ხარხარი დააწყებინოს, აქა[ო]და მე ამ თვალთ უყურებო, მე მხიარულადა ვარო და ბუზანჯალ შემჯდარ ხბოსავით კუნტარუში და ტლინკების ქნევა მომწადებიაო“ (გვ. 146).

აღ. ყაზბეგს შინაგანი აზრის, მხატვრული მიზანსწრაფვა-იდის, მიზანდასახულობის გარეშე არ წარმოუდგენია შენაქმნის: „როდესაც საზოგადოთ მოთხრობა იწერება, შიგ ტენდენცია („ტენდენცია“ ხმარობს მხატვრულამოცანის, ჩანაფიქრის მნიშვნელობით — ფ. კ.), აზრი რამ უეჭველად უნდა იყოს ჩარეული და მე არა მწამს იმათი ნაწერები, ვინც აზრის გაუტარებლად უსულს სურათებს ხატავენ“, მაგრამ არ იფიწყებს, რომ „აუცილებელია ზომიერება „აზრი უეჭველად უნდა იყვეს ყოველ უზრალო აღწერაშიც, მხოლოდ აზრით გადამლაშება მოთხრობისა, აგრეთვე როგორც სხვა მხარეებით გადამლაშება, მართალია არ ვარგა“.

მწერალი მზად არის ამ თვალსაზრისით თავისი ნაწარმოებები გადასინჯოს თუკ დაუმტკიცებენ: „თუ ამ მხრივ „მოდღვარში“ რომელიმე შემადგენლის ნაწილის გადაჭარბება ნახეთ, მიჩვენეთ და მე შევასწორებ“ (გვ. 150).

ონოფრეს ბუნება-ხასიათის გასაგებად ძალზე საგულისხმოა მწერლის თვით განმარტება: „ამასთანავე იქონიეთ მხედველობაში. რომ ამ მოთხრობაში ვხატავ იდეალურს მოძღვარს [...] ჩემი მოძღვარი ხალხისა და ქვეყნისთვის თავგანწირულია, ის აღზრდილია უმაღლესთა კანონთა საზრების გავლენის ქვეშ და ეს სწავლა იქამდის ტენდენციონური არის (ე. ი. გამიზნული — ფ. კ.), რომ თვით ჩემე მოძღვარიც თუ არ იდეალურს, ტენდენციონურ ქმნილებათ, სხვაგვარად ვერ გამოიხატებოდა“.

თან ამ უდიდეს საკაცობრიო პრობლემას (ზენმალალი იდეალებით გამსჭვალულ, ხალხის კეთილდღეობის მომხმან მოძღვრებას და მის მოძღვარ-შთამაფონებელს) მწერალი თანადროული საზოგადოების მორალურ დაქვეითებას უკავშირებს და დანაწიებით ჩივის ჩვენი ხალხისათვის წარსულში ნიშანდობლივი, „სამშობლოსებური“ ზნეობის შებღალავი.

შემოქმედი გარძობს თავისი ნაღვაწის ღირსებას და ამიტომაც ბრძანებს: „მე არ მიინდა შევაქო ჩემი „მოდღვარი“, მის ღირსებაზედ და ნაკლოვანებაზედ არ ვლაპარაკებ, მისი გარჩევა მომავლის კრიტიკის საქმეა“ (ტ. V, გვ. 150).

და სწორედ საპირისპიროდ კრიტიკოსის მცდარი მოსაზრებისა: „ანა მგონია, რომ იმან [ყაზბეგმა] შეიძლოს ან ფსიქოლოგიურის რომანის დაწერა, ან სხვადასხვა სამოქალაქო და საზოგადო მოტივებზე აგებული მოთხრობების შედგენა“ (გვ. 533) — დაბეჭდვით ვთქვათ, რომ ყაზბეგის ბრწყინვალე ფსიქოლოგიურ ნიჭს, რომელიც „ელგუჯაშივე“ გამოჩნდა (მარტო ერთი ჭაჭალას სიკვდილის სცენა და საერთოდ მათია-ჭაჭალას ტრაგიკული სახე ხრამ იშვიათზე-იშვიათია) „მოდღვარი“ აგვირგვინებს.

თან ამ რომანში ეპოქის უმძიმესი საპირობოროტო საკითხები: პიროვნება და საზოგადოება, სამყაროს სიდიადეში ინდივიდის ადგილი და ხვედრი, ლამაზ იდეალთა, ზეალტაეებულ ლტოლვათა ჰარმონიულობა, მშვენიერების კატეგორია შერწყმული მოძღვრებამორალის პრობლემასთან, რომლებიც ამ რომანის არქიტექტონიკის საყრდენია — თხზულებას მხატვრულ-ესთეტიკურ შემეცნებასთან-ერთად ფილოსოფიურ დიაბაზონსაც უქმნის.

„მოდღვარი“ ალ. ყაზბეგის სხვა რომანთათვის უჩვეულო შესავლით — ბუნების მომხიბვლელობით, გაზაფხულის გამაბრუებელი სურათით-წყევბა და მას რთული სიღრმისეული ჩანაფიქრი აქვს. თავისთავად ეს სწორუპოვარი ნახატი-ქართული პეიზაჟური ლიტერატურის ერთი შედევრთაგანი — მეტად სერიოზული მიზანდასახულობისა და თან ნაწარმოების პრობლემათა კომპოზიციურად შემამზადებელ-დამაკავშირებელი.

მთლიანად ეს პირველი თავი მწერლის პოეტის, მისი ესთეტიკური მრწამსის ერთ-ერთი უმთავრესი გასაღებია; მასში თითქოს-

და დაჯამებულია ის უპირველესი მარჯვლირიბელი, რაც ალ. ყაზბეგის მთელ შემოქმედებას წარმართავს.

პირველივე სტრიქონიდანვე დაწყებული ქებათა-ქება ბუნებისა მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთ იზომება: „ბურსაკირის ღლე ზაფხულობით უნდა ნახოს კაცმა, რომ სრულად გაიგოს და იგარძნოს მთის ბუნების სიტკობება, მისი მშვენიერება და ის წარმოუთქმელი ნეტარება, რომელსაც ადამიანს გაუღვიძებს!“ (გვ. 344)*;

მიდამოს სიტურფე იმით არის ძვირფასი, რომ „სიცოცხლის სიტკობებას გაგარძნობინებნი“, — იმით ფასდება და მშვენდება, რომ „ბუნებისაგან დაყვავებული და გამხიარულეული მთიელები სიცოცხლის სიტკობებას ეძლეოდნენ, ყველა მხიარულედა, ყველა ხარობდა, ბუნების მშვენიერებით ადრულე გული მოუხვენრად ფართხლობდა“.

ირველივე ალტაეება, ზეიმია, ბუნების უსაზღვრო ლიტანიობაა, სიცოცხლის მომხალოებელი მგზნებარება ღვივის: „გალაღებული საქონელი თამამად დაფუნდრუკებდა, ნამით გაღვიძებული ყვავილები მზის შუქს ეკრძალებოდა; გაშმაგებული ფუტკრები მინდარის კელუშთ თავს ევლებოდნენ და წყნარი ნიავი მათ ცეკვდა შესისამაშებდა მზის შუქი ცას აწითლებდა და ოქროსფრად მოჭვენოდა ურიცხვ გოლიათებს. ყვავილის კოკრებს, ახლადგამონასკულებს, ოდნავ გადაეხადათ მწვანე პირბადე და გაღიმებულ სახე მორცხვად გამოეჩინათ“ (გვ. 355-45).

სამყაროს სიკელუტე-მშვენიერება ადამიანისთვის არის და ადამიანითვე ქვრეტს მწერალი: „აქა-იქ მთის წვერებზედ მოჩანდნენ მწყემსები და ამ განთიადს მიეგებოდნენ სიმღერით, ან ჩამავლის მზის შუქს ესალმებოდნენ, ხოლო ახალგაზრდა გოგონათა ხალისიანი სიმღერა ხმამალ კვილად ისმის: „ქალები ჭვუფ-ჭვუფად დადიოდნენ ხილის საკრებად და მწყემსებს შავი ქუქუნა თვლები ისრად სხივს ესროდნენ. წყალზედ წასულნი მხიარულის ღონით ერთობოდნენ და მალდა გამაქიოდნენ:

„სიცოცხლდა გაზაფხული!“

ბოლო ორი სიტყვის (ქალთა ენერჯული მოძახილის) ცალკე სტრიქონში გამოყოფა შემთხვევითი არ არის — ალ. ყაზბეგის მხატვრული აზროვნებისათვის მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს და ვიღრე ამ დებულებას გავიზარებდეთ — გავყვეთ შექმნილი

სურათის მთლიანობას, დავაკვირდეთ სამყაროს რა ესთეტიკური მოდელია წარმოსახული:

„ყველგან მოძრაობა, ყველგან გრძნობა თავისი არსებობისა; ყველგან სიცოცხლის ნიშნად აღმფოთებული (ამ სიტყვის ალ. ყაზბეგი ყოველთვის „შეშფოთების“ მნიშვნელობით ხმარობს — ფ. კ.) მოუსვენრობა და დაუტყობლობა... სიტკბოების მკმუნვარება, შერეული გამოურკვეველს წადილს, ყველგან ისე აფერადებდა სიცოცხლეს და იმდენის სიტკბოებით ავსებდა!“⁵

გრძნობა თავისი არსებობისა, დაუტყობლობა, სიტკბოების მკმუნვარება, წადილი აფერადებს ირგვლივ სიცოცხლეს და სიკეთით ავსებს; ბაგენი სიმღერად იფრქვევა; გული მოუსვენრად ფართხალებს და რაც მთავარია „ეს ყველა უფრადებოდა ბუნების მოკაზმულობას და სერთო მეჭლიშისთვის მორართულიყო“. ადამიანის ალტყინება ბუნების მოკაზმულობას, მის სიდიადეს უერთდება და საერთო მეჭლიშს შერწყმის. ამ მეჭლიშისთვის მოიმართება-განაწყობა:

სამყაროს ამღერება-სიდიადეში ჩართული ადამიანის ხმამაღალი კვილი იმ თვითარსებობის, თავისთავადობის, სიცოცხლის ენერგიული, დაუოკებელი მოწოლა, რომელიც ცასა და ქვეყანას სწვდება და აღიღებს სიკეთით აფერადებულ ბედნიერ წუთებს, ხოლო ჰანგი „სიცოცხლეა, გაზაფხული!“ (ბოლოში აუცილებელი გრძნობის ნიშნით) — ჰიმნია, „კაცის სიცოცხლის გაზაფხულისა“ (აკი, „მოდღერის“ X თავში პირდაპირ ამბობს: „ახეთია კაცის სიცოცხლის გაზაფხული. მისი სტუმრობა ისე ძნელია, ისე იშვიათი, რომ, როდესაც ეწყვევა ვისმე, ყველასა და ყველაფერს გადავიწყებს“ (ტ. II, გვ. 405).

დასტურად იმისა, რომ ამ ლიტანიობაში „კაცის სიცოცხლის გაზაფხულია“ ნაგულისხმევი — გავისენოთ, რომ ამბავი, მოქმედება იშლება შუაგულ ზაფხულს („ბურსაპირის ღელე ზაფხულობით უნდა ნახოს კაცმა“... „იი ასეთია საზაფხულო სადგური სნოსა და გულდამყარის ხეობის მეცხვარეებისა“; „ზაფხული იყო“, გვ. 334) და აქენტირება, მახლობლად გადატანილია სიცოცხლის გაზაფხულიანობაზე, ვინაიდან მხოლოდ ამ ხანად, ამ მომენტით არის, რომ ადამიანი თავის არსებობას გრძნობს.

შემოქმედს კულმინაციამდის აპყავს-რა სიცოცხლის ძალმოსილების სიხარული — ჰქმნის

კომპოზიციურ გრადაციას, შეპირისპირება-კონტრასტს პიროვნების განწირვისას, სიცოცხლის გაზაფხულის ჩაბნელებისას, ^{სიკეთის} ^{მკმუნვარება} თო შეზამებას, თითქოს განგებ, უფრო მეტის განსხვავების გამოსაჩენად, განშორებოდა ერთი ყმაწვილი ქალი, გასაოცარის სილამაზისა და დაობლებული მარტოდ გასულიყო“ (გვ. 345).

ამ ასულის სინორჩე, სიტურფე, მომხიბვლელია კიდევ უფრო აძლიერებს კონტრასტს და საერთო ალტყინების საპირისპირო ფონსა ჰქმნის — ძაბავს მკითხველის ყურადღებას, გამაზადებს სრულიად სხვა განცდა-ფიქრის აღსაქმელად და ადამიანური ცხოვრების მარად თანმდევ სატანჯავის გასააზრებლად: ყოფიერების საერთო ზარ-ზეიმში მუდამ ვიღაც კვნისი, იტანჯება. ვილაცის სიცოცხლის გაზაფხული დასეტყვილია.

საერთოდაც მძაფრი კონტრასტების რემბრანდტისეული შუქ-ჩრდილიანი ზატვის უბადლო ოსტატი ალ. ყაზბეგი, აქ უკვე ამ მანერას კომპოზიციური სიმძაფრისთვის იყენებს და ჰეშმარტად გულისყურშიპყრობილი მკითხველი უმაღლვე გადააპყავს საყაცობრიო პრობლემის შესაცნობად: ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის განწირული არსება კეა-ლორღებში კრთომამ-მღვით შეფარებული, დღის შუქს მორიდებულ, ღამ-ღამობით-ღა ვამოდის სახიზნავიდან („მისთვის არც მზარუნველი, არც პატრონი, არც გამფრთხილებელი“...) და მის მწუხარე ამონაკენესში გაისმის წუთისოფლის უსამართლობა-გაუტანლობის გულმართალი განსჯა:

„წუთის სოფელი! უფალმა შეგამო ათსგვარადა ერთი რო კარგად მოაწუე, ცხოს რად არ ავღებ ფარადა!“

აი, ადამიანის ბედისწყაროს, წუთისოფლის, გაუტანლობის, მისი სიმრუდის მძაფრი ბრალდება, იმ უკულმართობაზე წუხილი, რომლითაც ერთი ყოველმხრივ გამოთავებულია, მეორე კი გაცამტვერებული, „ერთი რო კარგად მოაწუე, ცხოს რად არ ავღებ ფარადა“ — ვინც ეს ურვა გაგვაგონა გულში უთუოდ განუზომელ ნაღველს იტევს და რომანისტიც ცნობისმოყვარეობის გამაძლიერებელ რემარკს ჩაურთავს: „ვინ იცის, ამ დროს რა ოცნებამ წაიღო უბედურის გონება, ვინ იცის, რა სურათები ეხატებოდა თვალწინ; ვინ იცის, რა წარსული გამოევლო და კიდევ რას მოელოდა ცრუ და მუხთალის ბედისაგან“...

მწერალი მთელი ამ სცენით ქვეცნობიერად აღძრავს ფიქრს, რომ ადამიანი არ შეიძლება მიუხედავი, უპატრონო იყოს; მას უნდა გაუფრთხილდეთ, ვიზრუნოთ და ამ დებულების განმასახიერებლად სიუჟეტში ჩათია ობლივილი ჩაერთვის.

უბირი მთიანი დედაკაცის არსებაში აღძრული შინაგანი კიდილი თანდათან ჰკვეთს ავტორის თვალთახედვას: „მათში აღზრდილი ადამიანი, რომელსაც წყველისა და ლოცვისა ცრული რწმუნება აქვს, რომელსაც სჯერა, რომ ხმა ღმთისა ხმა ერისა არის“, ტრადიციით, აღზრდილი, აზრით თემობის გადაწყვეტილების თანაზიარია, მაგრამ მეორე მხრივ გული ჰკარნახობს, რომ ადამიანი არავითარ შემთხვევაში არ გასწიროს, არ გაიმეტოს „უბედური, რომელსაც მშველელი ხელი ეჭირებოდა“ და რაც მთავარია, შეიმეცნოს, რომ „უიშისოვად ადამიანი იღუპებოდა...“ — აი თვით ალ. ყაზბეგის გულსტიკივილიანი ჩაგონება — მშველელი ხელი უნდა გაუწოდოთ, თვით საზოგადოებისაგან გარიყულსაც კი — ადამიანი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიღუპოს!

ჩათია ობლივილის ალაღმართალი ვედრება გამგებელისადმი: „უფალო გული საშველად მერჯის და, თუ ცოდოს ჩავდივარ, შენ მაპატიე!“ კვლავ გვაგრძობინებს, რომ თითოეულ ჩვენგანს გული საშველად უნდა ერჯოდეს მეორეს მიმართ. თან ისიც საინტერესოა, რომ გულის, გულმადლიანობის აზრი ალ. ყაზბეგს ყველა ნაწარმოებში აქვს და ამ მხრივ ტიპიურია „მამის მკვლელობა“ შამილის საუბარი ნაიბებთან: „ძლიერები არიან გააურები, ძალიან ძლიერები და იმათ რომ ცოტა კეთილი გული და მოაზრება ჰქონდესთ, მთელს ქვეყანას ხელში დაიჭერდნენ.

— კიდევაც ეგ არის, რომ გული არა აქვსთ — უბასუხა ერთმა ნაიბმა“; უფრო მეტიც, ასეთი ძალმომრეობა დროებითიაო: „...იმან ბოლო არსადა აქვსთ. ემორჩილებიან იმათ მისთვის, რომ ძალა აქვთს“. (ტ. I, გვ. 332-33).

კეთილი გული, როგორც საზოგადოების ურთიერთობის უმთავრესი ფაქტორი, აკლია ძალმომრეობა, კარიერიზმზე, ჩინოვნიკურ მედროვეობაზე დამყარებულ წყობას, და ეს გარემოება მის სისუსტეს ავლენს — საპირისპიროდ იმ დამოკიდებულებისა, როცა ადამიანი მეორესათვის და მეორეთი ცხოვრობს. როცა მადლი, სიკეთე ტრიალებს მათ შორის

და ერთმანეთს გულის სახილველითაც ურეკებენ.

საყურადღებოა, რომ ახალ ეპოქებში მადლიანობის დაშრეტისა, უსულგულო ანგარებიაანობის მომძლავრების სივრცეებში ქართულმა მწერლობამ საგანგებოდ წარმოაჩინა გულის უპირველესობის იდეა; აქი მომდევნო წლებში ილია ჭავჭავაძემ არჩილის პირით ასე დააჭამა წინა ნაწარმოებებშიც გარკვევით ნათქვამი: „გული, ესე იგი ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს, მართლა, რომ აღარ არის, ან არის და დამუნჯებულია...“ „გული რა არის?... გული მადლია“⁶.

კაცობრიობის დიდი საფიქრალი — მადლისა და ბოროტების სამარადეამო კიდილი, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა ცნებებში: „დიდი მადლი“ და „დიდი ბოროტება“ („Великое благо“, „Великое зло“) ილია ჭავჭავაძის უკვდავ „ოთარანთ ქვრივში“ პირდაპირი სახით გვხვდება.

სოფლის სასამართლოდან მომავალი გლეხები ვერ მალავენ გაკვირვებას ოთარანთ ოჯახის „უცნაურობის“ შესახებ.

— „ბიჭო-და, ეს კაცი ან გიჟია, ან ღვთისაგან მოგზავნილი, — ეუბნებოდა გიორგიზედ ერთი იქ დამსწრეთაგანი მეორეს, როცა სასამართლოდამ ხალხი დაიშალა და შინისაკენ წავიდ-წამოვიდა: — რომ არ გაგონილა!..

— მე და ჩემმა ღმერთმა, მაგის გულში ან ღმთის მადლი ჰტრიალებს, ან ერთი რაღაც უბედურებაა მაგის თავს. — დაჰკრა კვირი მეორემ.[...]

— ეგა სიტყვი და გაათავე. მეც ეგ არ მიკვირს! აქი ვამბობ, ეგ კაცი ან გიჟია, ან ერთი რამ ღმთის ნიშანია მაგის თავზედ-მეთქი.

— დედაც ხომ მაგისთანა გადარეული და დამთხვეული ჰყავს. მამაც კი — ღმთის წინაშე — ცოტა არ იყოს, მოუსვენარი კაცი იყო. ეგეები იმანაც იცოდა.

— აი, ამაზედ არის ნათქვამი: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხატეო. მაგათში ან დიდი ცოდო ჰტრიალებს, ან დიდი მადლი. აქ სხვა ნიშანწყალია“ (ტ. II, გვ. 270, თავი VI)...⁷

90-იან-900-იან წლებში ეს თვალთახედვა ვაჟის შემოქმედებაშიც მრავალმხრივ გაიშალა; მისი რწმენით მხოლოდ მადლს შეუძლიან აამაღლოს ადამიანი ქმნადობის ზესრულობადმის:

„როს ეუკერიდები თავის-თავს და არ ვემდური მეტაღა: მადლს დაეთელი ათასობთა, ცოდვა სამ მრჩება კენტადა, მხრები მესხმება, ვიზრდები, ცად ვიწვე ასაფრენადა; გაჩნდება სადღაც ნათელი; გულს ჩამოღება სვეტადა; ზღვაეღება მწყობრი სიტყვები ქალღღებურ დასაბურცადა; მითითიან ველის სიმება; სიაოვნების ღმერთადა“... (ტ. II, გვ. 72)

ვაქასათვის სალოლიავებია, როცა „ყველგან რამ მადლი ტრიალებს, მადლი ჰრწყავს არე-მარესა“, „სამოთხე იმისია ვინც დიდ მადლს სჩადის“, „თუ რას მადლს იზავს ქვეყნადა, მითი იცოცხლებს მკვდარია“.

ცნობილია თვით ვაქას განმარტება — რამდენი ხანი დაბრკოლდა ჯოყოლას პასუხისათვის: „იტირე?! მადლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა...“

„დიდი მადლი“ მსოფლიო ლიტერატურისა და მის თანხვედრად, ქართული მწერლობის ესთეტიკურ-ეთიკური მრწამსიც არის. ილია ჭავჭავაძის, ალ. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას გმირთა არსში ამ „დიდი მადლის“ გამოსხივებაა, მათში გამორჩეულად „სხვა ნიშანწყალადა“, ისინი მეტ-ნაკლებად ამაღლებულ ადამიანთა მრავალსახეს წარმოაჩენენ და, როგორც ყოფიერებას სჩვევია, ბევრჯერ ვერც-კი ესმით მათი, ეოცებათ ის, რაც ყველასა და უმეტესობას არ აცხია...

ალ. ყაზბეგი ყველგან ადამიანურობას, გულითადობას დასტრიალებს და მიიჩნევს, რომ გული იმათა აქვთ, ვინც სხვის მეობას (თუნდაც მტრისას) პატივს სცემს, პიროვნების ღირსებას არ შეურაცხყოფს (ამჟამად მარტო ერთი მაგალითი: „ტყვევებს ყველგან ისე ექცეოდნენ, როგორც სტუმრებს და ყოველის ცონისძიებით ცდილობდნენ არ შეხებოდნენ იმათ კაცობას, იმათ პირადობას“).

ჯათია ობლიშვილის ეპიზოდური სახით განცხადებულია არა მარტო ის დებულება, რომ „მშვენიერების ჰარმონიისა“ და „ქმეყნის საერთო მშვენიერების“ უპირველესთაგანი ადამიანია და მასზე ზრუნვება ზნეკეთილობის ნიშანი — არამედ ამოკვეთილია ის ძირითადი კომპოზიციური ნიშანი, რაც თხზულებაში ონოფრეს ხასიათის ისტორიაში სრულფასოვნად წარმოჩნდა; ონოფრეს მთავარი საღარდებელია — „რატომ არ ძალმიძს ყველა გავაბედნიერო, ყველას განსაცდელი ავადცინო?!“

უღარესად სიმბოლურია მოძღვრის თემა: პირველი გამოჩენაც კი: წინა დღის გამგეინვარებული ბუნება ძლივს ჩაცხრა ^{მეტიერე} ^{მეტიერე} ^{მეტიერე} ფერი გაჩემებულიყო, ყველა დაღუმებულიყო, თითქოს ყველას თავი მოეხარა მედიდურს ბუნების წინაშე“ და ამ მედიდურობის, მძლეთა-მძლეობის ფონზე „ერთს ადგილს რაღაც შეინძრა და წუთს შემდეგ ვიღაც კაცი გამოჩნდა. ის მიდიოდა წყნარად და დაფიქრებული. ფეხებზედ თხილამურებგაკეთებული მტკიცედ მოაბიჯებდა, მოხუცებულს სახე სარწმუნოებით და გონიერული გულკეთილობით უბრწყინავდა. თეთრი, ბროლსავით წვერი, ხანისაგან რაოდენადმე შეჰყვიტოლებოდა და მკერდზედ რბილს აბრუნებდა ვეყარა. მოხუცი ტანადი, ძარღვიანი და კარგად შეკრული კაცი იყო. თუ სახეზედ ეტყობოდა, რომ მას მცირე მწუხარება არ ენახა, სხეული უმტკიცებდა, რომ მისი კარგამყოფობა და ჭანი ბევრს ყმაწვილს კაცსა სანატრელად გაუხდებოდა. ის იყო ჩაცმული იმ ადგილების შესაფერად: თბილი ტყავი, რომელიც გარედან თოკით ჰქონდა შემოჭირებული და ამგვარივე ბატკნის ტყავის ბანჯგვლიანი ქელი. ხელში ეჭირა ნიჩაბი და გზას მოიკვლევდა“ (გვ. 355). სიწმინდე — იდეალის პირველსახე იმითაც ძლიერდება, რომ ბრგე აგებულებებს გულდამაყრის ხეობის მოძღვარი სიკეთის ქმედებით არის გამსჭვალული: „მოხუცი არ ჩქარობდა, სინჯავდა და ათვალერებდა იქაურობას, თითქოს ვილაცას მოელოდა და თავისთვის უქმყოფილოდ რაღაცას ლაპარაკობდა“.

თავისი იერიითა თუ მზრუნველობადარდით („ტიალი! გონჯი ღამე იყო — წარმოთქვა ონოფრემ და დაუმატა: „თუ ამაღამ არავინ იმსხვერბლა, კარგი იქნების — ამიოხრამან“) იმ ჰუმანურობის (და ამით ჰარმონიულობის) სინათლეს აღვივებს, რაც ჯათია ობლიშვილის ქმედებით წარმოაჩინა მწერალმა, თითქოსდა სიმბოლური მინიშნება: უნდა მიდიოდე ნიჩაბმომარჯვებული და ცხოვრების ქარბუქიან გზაზე ჩაჩუმქრულ-მინამქრულებს ეძებდე, ფეხზე აყენებდე, ასულიერებდე მადლმოსილი ონოფრესავით.

ონოფრეს პირველსავე შთამბეჭდავ სახებას მისი სიფაქიზე, შინაგანი კულტურის დიდი ნიშანი—ადამიანის პიროვნული ღირსების პატივისცემა (რაც ილია ჭავჭავაძის, ალ. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას პიროვნების ერთი

საფუძველთაგანია) ამოქვეყნის: მოძღვარი თანაგრძობით ეკიდება მყევალს და არა ცდილობს მომავლურებელი კითხვებით უსასობაში მყოფს სულიერი ტკივილები გაუღრმავოს. რაც ქალს რწმენა-იმედის სიბოზს უღვიძებს გულში: „მან დაინახა, რომ ქვეყნად დარჩენილიყო კიდევ კაცი. რომელიც ადამიანთა სთვლიდა, ფეხქვეშ არა ჰქელავდა მის პირადობას და გველსავით სულის საძიარკვლამდის არ უძვრებოდა, რომ მთელ მისი არსება აერია, მოეწამლა და დაეშხამა“ (გვ. 360).

პიროვნების პატივისცემა, მისი ღირსების ხელშეუყვალობა უშუალოდ გამომდინარეობს და ერთვის თითოეული არსების გაფრთხილება-დანდობას, რაც „ქვეყნის საერთო მშვენიერების“, სამყაროს ჰარმონიის შესანარჩუნებლად აუცილებლობაა: „მოძღვარს თავის თავი იჰამდის მოკრძალებით ეჭირა, რომ ნების ნებად არც ერთ ცხოველს, არც ერთ ქმნილებას, ბუნებისაგან გაჩენილს, ხელს არ ახლებდა, არ მოუსპობდა სიცოცხლეს და ცოდვად სთვლიდა ქვეყნის საერთო მშვენიერებისაგან მის გამოკლებას“ (გვ. 426).

ყველა ქმნილების სიცოცხლე ქვეყნის დამამშვენიებელი და ლაზათის მიმცემია. ამით კი იქმნება ის საედემო მშვენიების ჰარმონია, რომლის დარღვევა მოუტყვებელი ცოდვაა; აქედან გამომდის მისი განწარტება მთიელი-სადმი, რომელიც „ეკლუცად ამართულ ხესა სჭრიდა და მით დამშვენიებულს ადგილს საუკეთესო სურათს აკლებდა“: — „შენ მოუსპე სიცოცხლე იმას, ვისაც ღმერთმა ქვეყნის დამამშვენიებლად მიანიჭა იგი“.

სიცოცხლე ქვეყნის დამამშვენიებელი მოვლენაა, სიხარულია, ლაზათია, რომლის გარეშეც თვით სამყაროც არაფერია და ვინც გაუჭირვებლად სპობს სიცოცხლეს — შეუნიღობელი დამანაშვევა — აი თვით ალ. ყაზბეგის ის მორალი, რომელიც ჰუმანიზმის საკაცობრიო იდეალს სწვდება.

მოხუცი მოძღვარი სწორედ ამას არიგებს უბირ მთიულს: — „და ყველა ცოდის სჩადის, ვინც გაუჭირვებლად სიცოცხლეს უსპობს შემოქმედისაგან გაჩენილს... ვინც ეგრე იქცევა, ის აკლებს ქვეყანას ლაზათს და ლაზათის მიმცემ სიცოცხლეს... ეგეც ხარობს, შვილო, და სიცოცხლობს... რად წაართვი სიხარული, რად მოუსპე სიცოცხლე“.

ყველაფერთან ერთად, ამ საუბარში მინდიას სიბრძნის ერთი ხმაც ისმის და მოძღ-

ვარი მისი ერთგვარი წინამორბედიც არის ჩვენს ლიტერატურაში. ონოფრესაც მიანიჩია რომ ადამიანები ხმელ ჯოყირებს უნდა უნდა ჯერდნენ: „შეშად რად სჭრი მაგას, როდესაც ღმერთს მაგისთვისაც უზრუნვია? უფალს უხვია და გონიერი... ტყისთვისაც ხარკი არ აუცდენია... უზუნაეისს ვანგებით ტყე ხმელ შეშას გიშხადებს და წაილე, რამდენიც გინდა...“ (427).

„შეუწანებლად დაუზოგველობა ქვეყნის სიმდიდრისა“ ხომ ახალი (თვით ჩვენი დროის) ეპოქების ერთი დიდი უბედურებათაგანია და ამ მედროვეობა-ანგარებთანობით იძარცვება კაცობრიობის მომავალი; კეთილშობილი მოძღვრება (მორალი) ყოველმხრივ გმობს ამ ეგოიზმს და პრაქტიციზმის წამლუკაობას გონიერ გულმოწყალებობას უპირისპირებს: „ასე სცხოვრობდა მოძღვარი, ასე ასწავლიდა თავიანთი სიმდიდრის გაფრთხილებას, შებრალებას თვით იმ ქმნილებათაცა, რომელთაც არამც თუ ლაპარაკი, არამედ დაკვნესებაც არ შეეძლოთ“.

„უმალღესთა კანონთა საზრებით“ განმსჭვალული მოძღვარი (მოძღვრება) კდემამოსილად ეკიდება ქვეყნიერების მშვენიების ჰარმონიას, მოწიწებით ცდილობს არაფერი ავნოს, აი დაარღვიოს ურთიერთშეხამება: „ის მოიდიდა წყნარად, დაფიქრებული და გზიდან ფრთხილად იშორებდა კეკლუცად გადმოზნეილს გაფოთილს ტრტებს. მოძღვარი ცდილობდა, რომ შტოების გაწვევის დროს, უცაბედი მოძრაობითაც არის, გაფურჩქნისლის ფოთლებისათვის არა ევენო რა, და მით საედემო მშვენიების ჰარმონია არ დაერღვია“⁴⁸ (გვ. 466).

ერთი მშვენიერი ხის მოჭრით, თუნდაც ერთი ეკლუცად გადმოხრილი გაფურჩქნისლის ფოთლის დაურიდებელი დაზიანებით ირღვევა ბუნების საედემო მშვენიების ჰარმონია და რაოდენ უფრო მოუტყვებელია ადამიანის სიცოცხლის გაუფრთხილებლობა; ამიტომაც ბუნებრივია, ონოფრეს ლტოლვა გადარჩინოს, აუღორძინოს ჩანაველებული ყოფა განწირულთ; ავტორის გააზრებით ხომ მაყვალასა და ონისეს სიცოცხლის გაზაფხული უწყალოდ მოისთვლა საზოგადოებისაგან, ქეშმარტი ტრფიალებით ზესრული პიროვნებანი გასწირა ხალხმა.

მოძღვარი იცავს მშვენიერების იდეალს — საზოგადოება (თემობის სახით) ხშირად ამ იდეალს დაუდევრად აცამტკერებს, მშვენი-

ერებათა გვირგვინს — პიროვნებას სპობს „ქვეყნის საერთო მშენებლობა“ მაშინ არის, განხორციელებული, როცა არა მარტო ერთი აყვალსათვის, არამედ ყველა ერთისთვის არის, ე. ი. როცა „ყველა ერთს“ კი არა სწილავს, დანთქავს და გაითქვეფავს — ის „ერთი“ მისი პირადობა ხელშეუხებელია, როცა საზოგადოებას ახსოვს: „**კაცს ვული და ხუროული იმდა აქვს, რომ შიგ ყველამ ვერ ჩაიხედოს**“. ალ. ყაზბეგმა საუკუნის წინათ შენიშნა ის უბედურება, როცა ინდივიდი ითელდება და გაურკვეველ მასად იქცევა.

ალ. ყაზბეგისეული სამყარო მის წვერთა (და უპირველესად ადამიანთა) ურთიერთგაპირობებულობა (რომელიც შემდეგ ვაჟა-ფშაველას გულმხურვალე აღსარებაშიც გაისმა: „ხვეი მთას მონებს, მთა ხვესა[...]" და მე ხომ ყველას მონა ვარ, პირზედ ოფლადამდინარეო“), თანაზიარობა, თანამონაწილეობა ქვეყნიერების ჰარმონიულობის, მისი აყვავება-გაფურჩქვნის, თავისი არსებობის გრძნობის, ფართო გაგებით — **გაზაფხულის საფუძველთა საფუძველია**.

გაზაფხული ამ ნაწარმოებში მაკროსახედ არის ქცეული. ამ მაკროსამყაროში და საერთოდაც, ადამიანის პიროვნება-პირადობა უმთავრესთაგანი, მაგრამ ადამიანმა არ უნდა შებღალდოს ის „მშენებლებების ჰარმონია“ რომლითაც „ქვეყნის საერთო მშენებლობა“ იქმნება...

სიკეთისა და ჰარმონიულობის საყრდენი. ადამიანის **ადამიანურობა-განკაცება** მოძღვართა უმთავრესი საზრუნავი: „ავადმყოფთან ის იყო ექიმი, დამყუჩებელი ტკივილისა, მოძღვარი და მაჩვენებელი გზისა მართლისა და მოამბე, მომგონებელი კაცთა დიდებისა“ (გვ. 426). მართალი გზის ჩვენება და შეგონება კაცობის სიდიადისა გოეთეს „დიდებულად ადამიანის“, ილიას კაცური კაცის (სრულღირსებიანი ადამიანის) ვაჟას „ლამაზი არსობა ჩემის“ თანაფარდია...

XIX ს. მსოფლიოს აწუხებდა მოძღვრების-მოძღვრის პრობლემა; შეიქმნა ნაირგვარი თეორიები; და თუ ბევრ მათგანს „პრატეული ენა მწიგნობრისა“ ადამიანთათვის უსარგებლოს ხდიდა, ცხოვრებისათვის გამოუსადეგრად აქცევა — ქართული მწერლობის მოძღვარი დაყუდებული, მუხლებზე დაკემული მლოცველი კი არ არის, — არამედ შემგონებელი და მკურნალი, განსახება მორალისა: ილიას-

თან ცოდნა-განათლების, სიკეთე-მადლი, მომფენი. აქტიურად მქმედი, კაცურობის აღსამიანურობის „სანთლის დამნთები“ ხელში დანთებული სანთელი შენს ხელშივე უნდა ჩაქვრეთ“; ალ. ყაზბეგთან „მაჩვენებელი გზისა მართლისა“ და „მომგონებელი კაცთა დიდებისა“, ვაჟას სიბრძნეზიარებე მინდია გამეცნიერებულ-გაცნობიერებულ, ქვეყნად მადლის მწერავი, ხალხის სიკეთისათვის თავადადებული. ყველა მათგანი საერთო საკაცობრიო გალერეიაში (მირიელი, ზოსიმი) უპირატესად ცხოვრების გამამჯობინებელ ქმედებასთან ერთად, **სამყაროს სიდიადის, მისი სიმშენებლის, ჰარმონიულობისა და ადამიანის ამაღლებულობის, განკაცების; შემეცნებელთა** გამოიჩინება.

ამ თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა, პირველ-დასაწყის თავზე დაკვირვება, მისი შერჩენილი ვარიანტების ტექსტოლოგიური ანალიზი. ავტოგრაფის იმ ნაწყვეტებში, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებშია დაცული (13987) გამოაქვეყნა ა. აბაშელმა (1929 წ. თხზ. ტ. II-ში) არ არის „სიცოცხლეა გაზაფხულის ჰიმი“, მთელი სცენა სამყაროსა და ადამიანთა ყივილისა; არაფერია ჯათიას კოლორიტულ სახეზე და მის ვაჟზე, დაწვრილებით არის მაცვალას სავალალო მდგომარეობის ამბავი, ე. ი. აშკარად აკლი: **საბოლოო ტექსტის დახვეწილობა, ფილოსოფიურ-ესთეტიკური სიღრმე**.

ყველა ეს ფრიად არსებითი ხასიათისა და სხვა ცვლილებები (ნინიკა-გელა ონისეს არა ჰკლავს — თავს იკლავს, ონისე საციმბიროდ გამზავრებული გზაში მოკვდა და სხვა) აშკარას ხდის, რომ ცხოვრებისაგან ბედწეწილი ალ. ყაზბეგი, რომელსაც ელემენტარული პირობებიც კი არ ჰქონდა თხზულებათა ტექსტზე მუშაობისა, მაღალნიჭიერი, შინაგანი შემოქმედებითი ენერგიით, ინტუიციით მიანიც ახერხებდა დაეხვეწა, პრობლემატურად გაეძლიერებინა, მხატვრული აზროვნების შესაშურ დონემდეს აყვანა თხზულება და ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ესთეტიკური დიპაზონი ეპოქალური, ზოგადკაცობრიული სატკივრისათვის გადაეწვდინა.

ალ. ყაზბეგის ესთეტიკა ქართული ლიტერატურული აზროვნების საინტერესო ეტაპია და მის მთლიანობაში, სრულსახიანად წარმო-

ჩენა აუცილებლად საშური საქმეა. ამ მხრივ ბევრი რამ არის გასაკეთებელი და „მომავალი კრიტიკისადმი“ მწერლის დიდი იმედი კვლავ ვალად გვაწევს.

ამჟამად მხოლოდ ერთ საგულისხმო მომენტზე შევძელი მცირეოდენი ყურადღების გამახვილება. ეს მომენტი იმდენად მიმზიდველი აღმოჩნდა, რომ თუ საშუალება მომეცა, განვავარდობ მუშაობას.

შენიშვნები:

¹ „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ელისო“, „მოდვარი“, სულ ერთი და იგივე თხზულებაა, რომელსაც ერთი და იგივე ნაქსოვი აქვს. ერთი და იგივე ლიტერატურული ძეგლი და რბილი — საშუაზაროდ ეს აზრი აქაიკ დღესაც ბოგინობს და ერთხელ კიდევ აშკარად ხდის იმ გარემოებას, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებს არც თუ ისე იშვიათად მხოლოდ გარე ამბებით ვუყურებთ და მის შინაგან მხატვრულ არსს ადვილად ვერ შევიცნობთ ხოლმე. თორემ განა რაიმეთი შეიძლება ჩამოთვლილ ქმნილებათა თუნდაც პრობლემატიკის ერთ ოკაში მოქცევა?!

² ან. ფუტყელაძე, რჩეული ნაწერები. ს. კილიას რედ. 1951. გვ. 122 (ხაზგასმა ჩემია. ფ. კ.).

³ ამ უკლებას საგანგებო ყურადღება მიაქცია თ. მალღვრიძემ.

⁴ ბევრმა მკვლევარმა შენიშნა, რომ ბუნება ყაზბეგს ადამიანის გაოშე არ წარმოუდგენია. მაგრამ არსებობდა ამ ადგილებს პეიზაჟად მიიჩნევენ.

⁵ პოლემიკურ წერილშიაც ხომ იგივე აზრია ვატარებულ (თვით გამოთქმებიც კი ემთხვევა): „ბუნება ყარგია მხოლოდ მაშინ, როდესაც შიგ სიცოცხლე ტრიალებს და ბრუნავს, ბრუნავს იმ სიტკობი-სიმწარე შერეულის ძალით. რომელიც ადამიანის თვით ცხოვრებას შეადგენს“ (ტ. V. გვ. 142).

⁶ მაღალმოსილი ჰუმანიზმი იმ ხანის ევროპისა და რუსული ლიტერატურის სათავეებში დებულება იყო და ჩვენი შემოქმედნი ამ მხრივაც საკაცობრიო აზროვნებას უსწორებენ მხარს.

⁷ თან რა საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძემ ეს ქვეთავი ფრიად მახვილგონივრული აქცენტებით დაასათურა — „გიყია თუ რა?“, თითქოს საგანგებოდ მიგვანიშნა, რომ ამ ტიპლ წუთისოფელში მაღლსაცეკეთილშობილება უმეტესობისაგან შეუცნობელი, ბევრჯერ გასაკილავეც კი ხდება.

⁸ ამ მომენტებს პირველად მივაქციეთ ყურადღება წერილში „ჰუმანიზმისა და ადამიანის ზელშეუვალობის იდეალი“ (ყურნ. „შინათბი“, 1976. № 9).



მას შემდეგ, რაც ჩვენს საზოგადოებაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, „გარდაქმნამ“ შეცვალა ჩვენი სახელმწიფოს დამოკიდებულება რელიგიისა და ეკლესიისადმი, რელიგიურმა ორგანიზაციებმა საკმაო თავისუფლება მიიღეს. რელიგიური თემატიკით ახლა ბევრი ოფიციალური ყურნალი თუ გაზეთი გამოდის. ამას ემატება „არაფორმალთა“ გაზეთები და ფურცლები. ასეთ პირობებში „ჯვარი ვაზისას“ შეიძლება „აკრძალული ხილის“ მიმზიდველობა დააქლდეს, მაგრამ წინა პლანზე უნდა წამოიწიოს უფრო მეტმა სიღრმემ და აკადემიურობამ.

ყურნალი „ჯვარი ვაზისა“ მეორე ათწლეულს დიდი გვეგმებით ხვდება. იმედი გვაქვს, რომ გამოცემა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საზოგადოების გარდაქმნაში, მაღალი სულიერი ადამიანების აღზრდაში. ქვეყნად სიკეთისა და სათნოების დამკვიდრებაში, ადამიანთა თუ ზალხთა შორის ურთიერთბატვიისცემისა და ურთიერთსიყვარულის დანერგვაში, საერთოდ სულიერების დამკვიდრებაში, ზნეობის განმტკიცებაში. თავისთავად ცხადია, რომ ყურნალი უფრო მრავალფეროვანი უნდა გახდეს, წამოსწიოს წინერისა და ეკლესიისათვის აქტუალური საკითხები. პასუხი გასცეს „სხვა“ რწმენათა მოძალების პრობლემებს საქართველოში. 1989 წლიდან მის სათავეში ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, რომელიც იმედი აკიდევ უფრო წინ წასწევს და აამალებს ყურნალის ავტორიტეტს, გაზრდის მის პოპულარობას..

სიუზან სონტაგი თანამედროვე ამერიკელი მწერალი და ესთეტიკოსია. მისი რომანები დიდი პოპულარობით სარგებლობს როგორც ფართო საზოგადოებაში, ასევე ლიტერატურულ წრეებშიც. თუმცა სონტაგის განსაკუთრებულ დამსახურებად მიიჩნევა ის გამოკვლევები ითვლება, რომლებიც თანამედროვე ხელოვნების ესთეტიკურ პრობლემებს მიუძღვნა მწერალმა.

ს. სონტაგის საპროგრამო ნაშრომებია „დუმილის ესთეტიკა“ და „ინტერპრეტაციის წინააღმდეგ“, სადაც მისი კრედიო სრულადაა გამჟღავნებული. ამ წერილებში მწერალი XX საუკუნის ხელოვნების მთელი ესთეტიკური მონაპოვარის ერთგვარ შეჯამებას ახდენს. აქ ერთიან კანონზომიერ კონტექსტშია მოქცეული მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული ხელოვნების საფუძვლები და პერსპექტივა, რაც ხელოვნების მთელ ისტორიაზე ვრცელდება.

ს. სონტაგმა ცალკე წერილები უძღვნა ისეთ დიდ ხელოვნათა შემოქმედებას, როგორც არის იონესკო, გოდარი, ნატალი საროტი, ბერგმანი და სხვ.; აგრეთვე თანამედროვე ხელოვნების ცალკეულ მიმდინარეობებს.

მკითხველს გვინდა შევთავაზოთ მცირე წერილი „იონესკო“, რომელიც შეტანილია სონტაგის წიგნში „ინტერპრეტაციის წინააღმდეგ“ (1968).

თარგმანი ეკუთვნის დავით ჩიხლაძეს.

სიუზან სონტაგი

პანონომიკა, როდესაც დრამატურგი, რომლის საუკეთესო ნამუშევრების აპოთეოზს ბანალობა წარმოადგენს, თეატრზე ბანალობებით პირთამდე საესე წიგნს გამოსცემს.* მომყავს შემთხვევითი ციტატები:

„დიდაქტიონიზმი ყოველთვის აღემატება გონების ყოველგვარ პოზიციას და დომინირებისათვის გამოვლენილ ნებას“;

„ხელოვნების ნიმუში მართლაც ბევრად უფრო მადლავს, ვიდრე გონების ნებისმიერი ავანტიურა“;

„ზოგის აზრით ბორის ვაინის „იმპერიის მშენებლები“ ჩემი „ამელითა“ შთაგონებულნი. სინამდვილეში არაფერ არავისგან არ იღებს შთაგონებას; მხოლოდ საკუთარი ტიპიული შეიძლება გახდეს შთაგონების წყარო“;

„მე წარმოვაჩენ აზროვნების კრიზისს, რაზეც ცხადად მიუთითებს ენის კრიზისი. სიტყვებს აღარ გააჩნიათ მნიშვნელობები.“

„არანაირ საზოგადოებას არ ძალუძს მოსპოს ადამიანური სედა; არც ერთ პოლი-

ტიკურ სისტემას არ ძალუძს თავი დაგვალწვიოს სიცოცხლის ტვიგის, სიკვდილის შიშს, დავეციხროს აბსოლუტის წყურვილი“.

როგორ ხდება, რომ ეს შეხედულებები ამალღებულნი ჩანს და — ამავე დროს — ბანალურიც? გარდა ამისა, იონესკოს ესსეები დამძიმებულა ზედმეტი თვითანმარტებებით და მოჭარბებული თავმომწონებით. კვლავ შემთხვევითი ციტატები მომყავს:

„მე შემიძლია დავადასტურო, რომ არც პუბლიკა და არც კრიტიკა ჩემზე არავითარ გავლენას არ ახდენს“;

„შესაძლოა მე სოციალურად ვაზროვნებ — საკუთარი თავის საზიანოდ“;

„ჩემი ყოველი წარმოდგენა თვითანალიზის რომელიმე სახეობის ნაყოფია“;

„მე არა ვარ იდეოლოგი, მე ვარ პირდაპირი და ობიექტური“;

„სამყარო ჩემში არავითარ ინტერესს არ აღძრავს. ეს მე ნამდვილად მაშინებს“.

და ა. შ. და ა. შ. იონესკოს ესსეები თეატრის შესახებ იუმორის საუკეთესო (შესაძლოა უნებლიე) ნიმუშებს წარმოადგენს.

რა თქმა უნდა, „შენიშვნებსა და კონტრ-შენიშვნებში“, სერიოზული ღირებულებ-

* „შენიშვნები და კონტრ-შენიშვნები: წერილები თეატრის შესახებ“ — ევენ იონესკო, თარგმანი დონალდ უოტსონისა, ნიუ იორკი, გროუვი.

ბის იდეებიც მოიპოვება, თუმცა მათ ორიგინალობას არავითარი კავშირი არა აქვს იონესკოსთან. პირველი ასეთი იდეაა შეხედულება თეატრზე, როგორც ისეთ ინსტიტუტზე, რომელიც რეალობის დანგრევით აცოცხლებს რეალობის შეგრძნებას. თეატრის ასეთი ფუნქცია აუცილებლად ესაჭიროება არა მხოლოდ ახალ დრამატურგიას, არამედ ახალ რეჟისურასაც: „აღარავითარი შედეგები“, — მოითხოვდა „არტო თეატრსა და მის ორეულში“. არტოს მსგავსად იონესკოსაც ეზიზღება წარსულის „ლიტერატურული“ თეატრი: მას უყვარს შექსპირის და კლასიკის კითხვა, მაგრამ არ უყვარს ისინი სცენაზე, ზოლო მეორე მხრივ, კორნელი, მოლიერი, იბსენი; სტრინდბერგი, პი-რანდლო, ყიროდუ და სხვები მომამზერებლად მიაჩნია.

თუკი ძველმოდური თეატრის პიესები სრულად უნდა განხორციელებულიყო, ამის საწინააღმდეგოდ იონესკო საიმედო ტრიუქს მიმართავს (როგორც ეს გააკეთა არტომ). ეს არის ერთგვარი ტექსტთან „დაპირისპირებული“ წარმოდგენა: „დაპირისპირებული“ ტექსტის სერიოზულობასთან და მასზე დაშენებულ იმ ფორმალურ პროდუქციასთან, რაც აბსურდულად, ველურად და კომიკურად გამოიყურება; ანა ყოველივე იმასთან, რაც ბუფონადური განწყობის საზეიმო ტექსტის მფარველობის ქვეშ იმყოფება.

ლიტერატურული, ანუ სიუჟეტისა და ინდივიდუალური ხასიათების მქონე თეატრის მიუღებლობასთან ერთად იონესკო მოუწოდებს მთელი ფსიქოლოგიის, „რეალიზმის“ მნიშვნელობის მქონე ფსიქოლოგიის ანუ-ლირიებისაკენ; და მიაჩნია, რომ რეალიზმი ერთფეროვანია და ზღუდავს წარმოსახვას. მის მიერ ფსიქოლოგიის უარყოფა ყოველგვარი არარეალისტური თეატრალური ტრადიციების მექანიზმის აღორძინების შესაძლებლობას იძლევა (ეს ექვევალენტურია ფრონტალობისა ნაივურ მხატვრობაში), მექანიზმისა, სადაც პერსონაჟები სახით დარბაზისაკენ (და არა ერთმანეთისკენ) მობრუნდებიან და გვამცნობენ თავიანთ სახელს, პიროვნებას, ჩვეულებებს, გემოვნებას, ყოველივე ეს, მართლაც ძალზე ნაცნობია: თანამედროვე სტილის კანონიკური ფორმა თეატრში. ყველაზე საინტერესო იდეები „შენიშვნებსა და კონტრ-შენიშვნებში“

გაუღენთილია არტოთი; ანუ უფრო სწორად, ვხვდებით ერთგვარად შელამაზებულ არტოს, რომელიც მართლაც მოგვსახვებს არტო თავისი მძლავარების გარეშე, არტო თავისი სიგიჟეების გარეშე. იონესკო თავის იუმორისტულ შენიშვნებში სრულიად ამაოდ ცდილობს ორიგინალობას, რადგანაც ჰგონია, რომ სიგიჟით აღსავსე არტოს ასეთი რამეები საერთოდ არ მოსვლია თავში. არტოს სისასტიკის თეატრის იდეა განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ფანტაზიის უბნელეს რეგისტრებს: ცოფიან სპექტაკლს, მელოდრამატულ გმობობას, სისხლიან ხილვებს, გოდებას, ალტკინებას. როდესაც იონესკო აღნიშნავს, რომ ნებისმიერი ტრაგედია კომიკურად გამოჩნდება თუ მას დაეაჩქარებთ, ამით მძინვარე კომიკოსის პრეტენზიასაც აცხადებს. მღვიმეების, სასახლეების, ტაძრების ან ველების ნაცვლად იგი თავის წარმოდგენებს საცხოვრებელ ოთახში ღვამს. მისი კომიკური მხარეა „სახლის“ ბანალობა და შეუწყნარებლობა — იქნება ეს მარტონელს კეთილმოწყობილი ოთახი, მოსწავლის სამეცადინო კუთხე თუ შეუღლებული წყვილის საძინებელი. ყოველდღიური ცხოვრების სიგიჟის შემცველი ფორმების საფუძვლად იგი პიროვნების წაშლას ასახლებს, მაგრამ, იონესკოს წარმოდგენები, ჩემი აზრით, მცირე განმარტებებსაც საჭიროებს. თუკი მისი ნამუშევრები მოითხოვენ განმარტებას, მაშინ 1961 წელს „ინგლისელი მწერლებისა და კრიტიკოსების“ სერიით გამოცემული რიჩარდ ნ. კოს მცირე მოცულობის წიგნი პიესების უფრო მეტად გამართულ და კომპაქტურ მხარდაჭერას წარმოადგენს; ვიდრე თვით „შენიშვნები და კონტრ-შენიშვნები“. იონესკოს იონესკოსადმი ინტერესი არ გვაწვდის არავითარ ავტორისულ თეორიას თეატრზე და ცხადად წარმოაჩენს შემაცუბნებელი პატივისცემით დამუშავებულ თემას — ასევე შემაცუბნებელ სიმწირეს იონესკოს პიესებისა.

სხვათა შორის, იონესკოს თეატრის შესახებ დაწერილი წერილების ეგოიზმს — და უსასრულო ბრძოლებს ყუყუჩ კრიტიკოსებსა და ზანტ პუბლიკას შორის ალუზიათა განმარტებებისათვის — მისი ჯიუტი და საცოდავი მოუსვენრობა იწვევს. იონესკო განუწყვეტლივ ამტკიცებს, რომ იგი არასწორადაა გაგებული. ამიტომაც, რასაც კი ერთხელ

იტყვის „შენიშვნებსა და კონტრ-შენიშვნებში“ „შემდგომ განუწყვეტილ იმეორებს მომდევნო გვერდებზეც (ის, რომ ეს ნაწერები 1951-1961 წლებს მოიცავს, სულაც არ გამოდგება გასამართლებად არგუმენტად) იგი ამბობს, რომ მისი წარმოდგენები ავან-გარდული თეატრია; ისინი სულაც არ არის ის, რაც ავანგარდულ თეატრად იწოდება. თურმე იგი წერს სოციალურ კრიტიციზმს; ეს არ არის სოციალური კრიტიციზმი. იგი თითქოსდა ჰუმანისტია; იგი მორალურადაც და ემოციურადაც აცდენილია ჰუმანურობას. ყველგან დარწმუნებული წერს, — როგორც ეს თვითონ, ან შეიძლება სხვასაც მიაჩნია — რომ მისი ქვეშარტი ნიჭი არ არის გაგებული.

რა არის იონესკოს მონაპოვარი? თუ ყველაზე უფრო მომთხროველი სტანდარტებით: განვსჯით, მან დაწერა ერთი ნამდვილად კარგი და მშვენიერი პიესა „ჩეკი, ანუ მორჩილება“ (1950); ერთი კაშკაშა მომცრო ნამუშევარი „მელოტი სოპრანო“ — მისი პირველი პიესა (დაწერილია 1948-49 წლებში) — და მრავალი მცირე ეფექტური პიესა, რომლებიც უხვად არის დატვირთული იგივე მასალით: „გაკვეთილი“ (1950), „სკამები“ (1951), „ახალი მდგმური“ (1953). ყველა ეს ნაწარმოები წარმოადგენს „ადრეულ“ იონესკოს (იონესკო ნაყოფიერი მწერალია). გვიანდელი ნამუშევრები წახდენილია დრამატული მიზნის გაფანტულობით და ვეებერთელა, მზარდი თვითცნობიერებით. ეს გაფანტულობა ცხადად შეინიშნება „მოვალეობის მსხვერპლში“ (1952) — ნამუშევარში ცალკეული ძლიერი ადგილებით, მაგრამ უიღბლო და გადაკარბებული დაწვრილმანებით. აგრეთვე შეგვიძლია მისი საუკეთესო პიესა „ჩეკი“ შევუდაროთ იგივე ხასიათებით აღტყვას, მაგრამ მწირი შედეგების მომცემ პიესას „მომავალი კვერცხებშია“ (1951). „ჩეკი“ აღსავსეა სისასტიკით, მდიდარი ფანტაზიით, გამჭრიახობით და ლოგიკურობით; იონესკოს ეს ერთადერთი პიესა უძლებს არტოს სტანდარტებს: სისასტიკის თეატრი — როგორც კომედია. მაგრამ პიესაში „მომავალი კვერცხებშია“ იონესკო იღებს თავისი გვიანდელი ნაწერებისთვის დამახასიათებელ დამლუპველ გეზს: „სანახაობის“ მაგივრად იწყებს ჩაბრუნებას შიგნით და თავისი პერსონაჟების კონცერნს მომაბეზრებლად ხუნძლავს თეატრის სტრუქტურებით. ენის ბუ-

ნებით და ა. შ. იონესკო დიდი მონაცემების ხელოვანია, რომელიც მსხვერპლად ეწერება „იდეებს“, მისი ნამუშევარი „დედები“ იწყებს დაკაობებას; მის ტალანტს ვერაფერს გაუხეშება. „შენიშვნებისა და კონტრ-შენიშვნების“ სახით ჩვენ ხელთ გვაქვს დრამატურგის (როგორც მოაზროვნის) მიერ თვითგანმარტებებისა და თვითდაცვისათვის გაწეული უზარმაზარი შრომის ერთი ნაწილი, რაც მთლიანად იპყრობს ერთ-ერთ მის პიესას „იმპროვიზაციას“; რაც ჭიუტად გვკარნახობს შენიშვნებს პიესის შექმნის შესახებ „მოვალეობის მსხვერპლისა“ და „ამედის“ მაგალითზე; რაც თანამედროვე საზოგადოების გაუბრალოებულ კრიტიკას „მკვლელით“ და „მარტორქით“ შთაბრუნებს.

იონესკოს ორიგინალური მხატვრული იმპულსია მისი აღმოჩენები ბანალობის პოეზიაში. როგორც თვითონ ამბობს, მისი პირველი პიესა „მელოტი სოპრანო“ დაწერილია თითქმის შემთხვევით: როდესაც ინგლისურის შესწავლის მიზნით მან ასიმილაციური ფრაზების წიგნი შეიძინა და იქ სმოთებისა და მარტინეჟის en famille¹ აღმოაჩინა. ასევე ყოველ მომდევნო პიესას ერთმანეთთან აახლოებს კლიშეების წაღმურედმა ტრიალი. თვალს თუ გავადევნებთ, კლიშეების პოეზიის აღმოჩენა მიგვიყვანს მნიშვნელობებისაგან გათავისუფლებული პოეზიის აღმოჩენასთან — ყველა სიტყვების ურთიერთშენაცვლებადობასთან (აქედან გამომდინარეობს „ყბედობის“ ლიტანია „ჩეკის“ ფინალში). ეს იმაზე მეტყველებს, რომ იონესკოს ადრეული პიესები „ეფუძნება“ მნიშვნელობების გაუქმებას ან არაკომუნიკაბელობას. თუმცა ეს საუკეთესო ფაქტია იმისა, რომ მრავალფეროვან თანამედროვე ხელოვნებაში შეიძლება შეიქმნას ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებიც აღარ იმეტყველებენ სუბიექტური შინაარსით — ძველი სენსუალობის შესაბამისად. უკეთეს შემთხვევაში ერთადერთი სუბიექტური შინაარსი შეიძლება იყოს ტექნიკა. იონესკოს დამსახურებაა (გმირობად არ ვუთვლი), რომ თეატრისათვის მიისაკუთრა თანამედროვე პოეზიის ერთ-ერთი დიდი ტექნიკური აღმოჩენა: ენასთან დაკავშირება გარედან ანუ უცხო პირის პოზიციიდან. იონესკომ ენასთან ურთიერთობის ის დრამატული რესურსები გამოააშკარავა, ადრევე რომ იყო ცნობილი,

მაგრამ აქამდე მხოლოდ მოდერნული პოეზიით იფარგლებოდა. მისი ადრეული პოეზები არ „მოგვიტობენ“ მნიშვნელობების არქონაზე.

იონესკოს მიერ კლიშეების აღმოჩენა იმას უნდა ნიშნავდეს, რომ იგი ენას განიხილავს არა როგორც კომუნიკაციის ანდა თვითგამოხატვის ინსტრუმენტს, არამედ როგორც იდუმალად არსებულ ექსოტიკურ სუბსტანციას ურთიერთშენაცვლებად პერსონაჟებს შორის — ტრანსის გარკვეული სახით, მისი შემდეგი აღმოჩენა ის იყო, რომ იგი ენას ისე ეპყრობოდა, როგორც ფიზიკურად ხელშესახებ საგანს — რაც ასევე კარგადაა ცნობილი მოდერნულ პოეზიაში (მაგალითად, „გაკვეთილში“ მასწავლებელი კლავს მოსწავლეს სიტყვა „დანის“ უბრალო წარმოთქმით). ის ჯადოსნური მექანიზმი, რაც ენას საგნად გარდასახავს, არის გამეორება. ეს სიტყვიერი გამეორება დრამატიზებულია იონესკოს პოეზების სხვა უცვლელი მოტივების დახმარებით: მატერიალური საგნების ირაციონალური, უბედურების მომასწავებელი გაზვიადებით (მაგალითად: კვერცხები პიესაში „მომავალი კვერცხებშია“; სკამები „სკამებში“; ავეჯი „ახალ ბინადარში“; დარტყმები „მკვლელში“; ფიალები „მოვალეობის მსხვერპლში“; ან რობერტა II-ის ცხვირები და თითები „ჭკეში“; გვამები „ამედიში“ და პიესაში „როგორ დავაღწყოთ თავი ამას“). ეს განმეორებადი სიტყვები, ეს საგნები, დემონურად რომ „მრავლდებიან“, უფრო სიზმრის კანონებით არსებობენ, ვიდრე რეალობის. ლოგიკურია, პოეტურია (მაგრამ არა ყოველთვის, რადგან იონესკოს გარკვეული „იდეები“ ეხება ინდივიდისა და საზოგადოების ბუნებას), რომ ეს პიესები უნდა დამთავრდეს ან გამეორებით *da capo*². ანდა წარმოუდგენელი საშინელებით. ზოგიერთი ასეთი მისთვის ტიპური დასასრულია: აუდიტორიის გაყვება (სავარაუდოდ დასასრული „მელოტ სოპრანოში“), თვითმკვლელობა („სკამებში“), დაკრძალვა და დემილი („ახალ მობინადრეში“), გაურკვევლობა და ცხოველის კენესა („ჭკეში“), შემზარავი ფიზიკური ძალადობა („მოვალეობის მსხვერპლში“), სცენის ჩამონგრევა („მომავალი კვერცხებშია“). იონესკოს პიესებში არსებული განმეორებადი კომპარტი საერთოდ მთელი არეული და ჩინში

ყოფი მსოფლიოს ნიშან-თვისებაა (ახალ მობინადრეში“ ეს კომპარტი მოწიწებულად ზუსტია ავეჯთან დაკავშირებით, „მარტორქაში“ მარტორქებთან დაკავშირებით). კლიტომაქს პიესები უნდა დამთავრდეს ქალისთან არარსებობით, ნგრევით ან დემილით.

კლიშეების პოეზიისა და ენის, როგორც ნივთის, აღმოჩენამ არაერთი შესანიშნავი თეატრალური მასალა მიაწოდა იონესკოს. მაგრამ შემდეგ ჩნდება იდეები — მნიშვნელობებისაგან განთავისუფლებული თეატრის თეორია ბინას იღებს იონესკოს ნამუშევრებში. მოზმობილია ყველაზე უფრო მოდერნული მოდერნული ექსპერიმენტები. იონესკო და მისი ქომავლები ამტკიცებენ, რომ მან თავისი ექსპერიმენტით მიმართა თანამედროვე ექსისტენციის მნიშვნელობების არქონას და სწორედ ამის გამოსახატავად განავითარა თავისი კლიშეების თეატრი. უფრო დამაჯერებლად გამოიყურება ის, რომ მან ყველაფერი ბანალობის პოეზიის აღმოჩენით დაიწყო. და შემდეგ მასზე დაყრდნობით შეიმუშავა თეორია. ეს თეორია აერთიანებს „მასობრივი საზოგადოების“ კრიტიციზმის ერთად დახვავებულ ურყევ კლიშეებს — გაუცხოებას, სტანდარტიზაციას, დეპენდენციას. ამ საშინელი და კარგად ნაცნობი დაუქმაციყოფილებლობის შექამებისას იონესკოს ძირითადი სალანძღავი სიტყვაა „ბურჟუა“ ან „წვრილი ბურჟუა“. იონესკოს ბურჟუას მცირე მსგავსება აქვს მემარცხენეთა რიტორიკის საბოლოო მიზანთან, თუმცა შესაძლებელია, რომ მან სწორედ ამ წრიდან შეითვისა ეს. იონესკოსთვის „ბურჟუა“ ნიშნავს ყველაფერს, რაც მას არ მოსწონს; ეს ნიშნავს „რეალიზმს“ თეატრში (ზოგჯერ ბრეხტის „არისტოტელურის“ მნიშვნელობით); ეს ნიშნავს იდეოლოგიას; ეს ნიშნავს კონფორმიზმს. სინამდვილეში, აქედან არაფერს არ შეიძლება მიეცეს მნიშვნელობა, როგორც იონესკოს ნამუშევრის ჩანაფიქრს. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ნამუშევრის დამასწავლებელ ქმედებას. იონესკო თავისი ქმედებით სულ უფრო იხრის ქედს „ინდიკატორული“ უტიფრობის წინაშე (ერთ-ერთი ქედმოხრაა ის, რომ „გაკვეთილის“ ფინალში პროფესორი იკეთებს სვასტიკიან სამკლაურს, როდესაც თავისი სტუდენტის გვამის თავიდან მოსაცილებლად ემზადება). იონესკოს ეწვევა ფანტაზია, ენის თოჯინებით დასა-

ლებული სამყაროს ხილვა. ის არ აკრიტიკებს რაიმეს და გაცილებით ნაკლებად სწვდება იმას, რასაც თავის ადრეულ ესეში „ენის ტრაგედიას“ უწოდებს. იგი ენის გამოყენების მხოლოდ ერთ გზას ხედავს და მხოლოდ მოგვიანებით გამოაქვს ამ არტიკული აღმოჩენიდან შეკოწიწებული, მოუმზადებელი, მიამიტური პოზიციები — პოზიციები ადამიანის თანამედროვე სტანდარტიზაციისა და დეჰუმანიზაციის მიმართ. ყველაფერი გამოკრილია გაბერილი გოლიათის თარგზე, რომელსაც ეწოდება „ბურჟუა“, „სახოგადობა“ და ა. შ. შემდეგ ამ გოლიათის სანაცვლოდ დგება ინდივიდუალური ადამიანის დამკვიდრების პერიოდი. ამგვარად იონესკოს ნამუშევარი იქმნება უიღბლო და ფაშოლარული ფაზების გადაკვეთით: პირველია ანტი-თეატრის ნამუშევრები, პაროდია, ხოლო მომდევნო — სოციალური კონსტრუქციების პიესები. „ბერენერის“ პიესებია — „მკვლელო“ (1957), „მარტორქა“ (1960) და „პაერის ქვეითი“ (1962) — სადაც იონესკო (მისივე თქმით) ქმნის „ბერენერში“ ალტერ ეგოს. „გლობალურ ადამიანს“, ალყაში მოქცეულ გამირს, „შემპასუხებელი ჰუმანიზმისაკენ“ გადახრილ ხასიათს. სირთულე ისაა, რომ ადამიანის დამკვიდრება არ არის ადვილად ასასრულებელი სურვილი, არც მორალში და არც ხელოვნებაში. როდესაც ასეთი გულუბრყვილო სურვილი ჩნდება. შედეგი არადამაჟერებელი, პრეტენზიულია.

ამ შემთხვევაში იონესკოს განვითარება ნამდვილად საპირისპიროა ბრეხტისა. ბრეხტის ძველი ნამუშევრები — „ბაალი“, „ქალაქის ჭუნგლებში“ — გვიჩვენებენ გზას „პოზიტიური“ პიესებისკენ, მისი დრამატურგიული ოსტატობის ნაყოფისაკენ: „სეჩუანელი ქალი“, „კავკასიური ცარცის წრე“, „დღეილიო კურაჟი“, მაგრამ ამასთან — ყოველგვარი დამკველი თეორიების გარეშე — ბრეხტი უფრო უბრალო და დიდი მწერალია, ვიდრე იონესკო. იონესკოსთან შედარებით ბრეხტი მართლაც არქ-არამზადაა, არქ-ბურჟუაა. იგი პოლიტიკურია. მაგრამ იონესკოს შეტევა ბრეხტსა და ბრეხტიანელებზე — და საერთოდ პოლიტიკით აღჭურვილ ხელოვნებაზე — ტრივიალურია. ბრეხტის პოლიტიკური პოზიციები, საუკეთესო თვალსაზრისით, საშუალებაა მისი ჰუმანიზმისა. ისინი მას დრამის ფოკუსირებისა და გაფა-

რთობების საშუალებას აძლევენ. არჩევანი, რასაც იონესკო ნაძალადევად აკეთებს პოლიტიკურ დამკვიდრებასა და ადამიანის დამკვიდრებას შორის, ყალბია და სწავიწკვრივს.

ბრეხტით, ყენეთი და ბეკეტით გაერემოცული იონესკო, საუკეთესო შემთხვევაში პატარა მწერალია. მის ნამუშევრებს არ გააჩნია მსგავსი წონა, სისხლსავსეობა, სიდიადე და დამაჯერებლობა. იონესკოს პიესებს, განსაკუთრებით კი მცირე ნაწილს (იმ ფორმებს, სადაც ყველაზე მეტად მქადნდება მისი ნიჭი) საკუთარი მრავლისმეტყველი ღირსებები აქვს: მიმზიდველობა, გამჭრიახობა, ნაზი გრძნობები დეპრესიისთვის და ყველაზე მეტად — თეატრალურობა. მაგრამ განმეორებადი თემები — მექანიზმიდან გამოსხლეტილი პიროვნებები, სავნის შემზარავი გამრავლება, ერთად ყოფნის საშინელება იმდენად მოქმედი და, შემადრწუნებელია, რამდენადაც შესაძლებელია. შეიძლება იმ მიზეზით („ჩეკის“ გამოკლებით, სადაც იონესკო ამქადნებს ფანტაზიას), რომ საშინელი ყოველთვის რამდენადმე შეზღუდულია სისიამოვნოთი. იონესკოს ავადმყოფური ფარსები ავანგარდული მგრძნობელობის ბულვარული კომედიებია; როგორც ერთი კრიტიკოსი აღნიშნავდა, იონესკოს ერთგულია ზე ახირება რამდენადმე დაფაქტულია ფილოს ახირებისგან დღაღზე. ორივე მოხერხებულია, ცივი, თვითდამოწმებული.

რასაკვირველია, იონესკოს პიესები — და ჩანაწერები თეატრის შესახებ — არაგულწრფელად იხდის აუცილებელ ვალს ემოციების წინაშე. მაგ., „მელოტი სოპრანოს“ შესახებ იონესკო ამბობს, რომ ეს პიესა შეეხება „საუბრებს და გამოხატვამებს არააზზე, რადგანაც იგი შინაგანი ცხოვრების ნაკლებობიდან წარმოდგება“. სმიოტი და მარტინები წარმოადგენენ საკუთარ სოციალურ კონტექსტში ტოტალურად შთანთქმულ ადამიანს, მათ „დაეიწყებული აქვთ ემოციების მნიშვნელობა“. მაგრამ, მერე რა, რომ ეს მრავალრიცხოვანი განმარტებები, რომლებსაც იონესკო გვთავაზობს „შენიშვნებსა და კონტრ-შენიშვნებში“ მისი საკუთარი გრძნობების უნიკობიდან მომდინარეობს — უნიკობიდან, რომელსაც ის განიხილავს, როგორც არსებობიდან მის დამხსნელს და არა პირიქით, „მასის ადამიანის“ კატეგორიაში მომქცევს? ეს არ არის პროტესტი ალუშ-

ფოთველობის წინააღმდეგ, რითაც ასეა მოხიბლული იონესკო, არამედ მიზანთროპიის სახეობაა, რომელსაც იგი კულტურული დიპლომატიის მოღვაწე კლიშეებით აღამაზებს. მგონიბელობა ამ თეატრის უკანა შეყუჩული, იგი თავდაცვითია და გასერილია სექსუალური ზიზღით. ზიზღი მძლავრი მოტორია იონესკოს პიესებში: ზიზღთან ერთად იგი ქმნის უგვან კომედიებს.

ადამიანური მდგომარეობის ზიზღი სრულიად ჯანსაღი მასალაა ხელოვნებისათვის. მაგრამ ზიზღი იდეებისა, გამოხატული იმ ადამიანის მიერ, ვისაც ძალზე კინი იდეები აქვს, სხვა საკითხია. ეს არის ის, რაც აფუჭებს იონესკოს მრავალ პიესას და მისი ნაწერების კოლექციას თეატრზე უფრო გამაღიზიანებლად გამოაჩენს, ვიდრე თავშესაქცევად. მას გულს ურევს იდეები, როგორც მეტად ბინძური ზორცემტები, იონესკო ცხრილავს მთელ ამ მომამზერებელ წიგნს საბოლოო თვითდაჭერებამდე და ყოველგვარი პოზიციის უარყოფამდე. „შენიშვნებისა და კონტრ-შენიშვნების“ გამაერთიანებელი თემა მისი სურვილი, დაიცვას პოზიცია, რომელიც არ არის პოზიცია; მოსაზრება, რომელიც არ არის მოსაზრება — ერთი სიტყვაა. იყოს ინტელექტუალურად უგვები. მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა მას მერე, რაც მან დაიწყო ექსპერიმენტირება იდეით, როგორც კლიშეით: „აზროვნების სისტემები. ნებისმიერი თვალსაზრისით, სხვა არაფერია. თუ არა ალბები ანუ ის, რაც მალავს რეალობას (მორავი კლიშე — სიტყვა) ჩვენთან“. ამ საზიზღარი ამსხლტი არგუმენტიდან გამომდინარე, იდეები ზოგჯერ გაიგივებულია პოლიტიკასთან და ყოველგვარი პოლიტიკა გაიგივებულია ფაქტურ კონსტრუქციულ სამყაროსთან. როდესაც იონესკო ამბობს, „მე მჯერა, რომ რაც ჩვენ ერთმანეთისაგან გვაშორიშორებს არის, უბრალოდ, საზოგადოება, ან — თუ გნებავთ — „პოლიტიკა“. იგი თავის ანტი-ინტელექტუალიზმს უფრო გამოხატავს, ვიდრე პოზიციას პოლიტიკის მიმართ. მეტი სიცხადისათვის ეს შეგიძლიათ იხილოთ წიგნის ყველაზე საინტერესო განყოფილებაში (გვ. 87-108), ეგზერციოდებულ „ლონდონურ კამათში“, სადაც მოთავსებულია ესეები და მიმოწერა კენთ ტაინთან და სადაც ყალბადაა წარმოდგენილი ბრენტიაწული შენედეულებები.

ეს მასალა პირველად გამოქვეყნდა ინგლისურ ყოველკვირეულ „ობსერვერში“ (1955 წელს. ამ კამათში საუბრეთესო ადგილია თქვენი სონ უელსის მშვენიერი და მკვერტი წერილი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ხელოვნებისა და პოლიტიკის გამიჯნვა არასაადინიშნული, მითუმეტეს — ფესვადგმული, თუ არა მხოლოდ საზოგადოების ერთ გარკვეულ ნაწილში. როგორც უელსი ამბობს, „ყველაფერი, რაც ძვირფასია, სულ ადვილად შეიძლება გაისვაროს ბინძური ვაჭრობის სახელით“ და ყოველგვარი დამოუკიდებლობა — იონესკოს პრივილეგიის ჩათვლით, მხრებს იჩეჩავდეს პოლიტიკის მიმართ — „ადრე თუ გვიან პოლიტიკით მთავრდება“. ეს „არ არის პოლიტიკა, რომელიც არქმედობს ხელოვნებისა; იგი ნეიტრალურია... (რაც) უბრალოდ ერთ-ერთი (პოლიტიკური) პოზიციაა, სხვა პოზიციების მსგავსი... თუ ჩვენ მართლა ვძრახავთ, დაე იონესკომ იკადროს შებრძოლება, ჩვენზე სიმშვიდით. მას, ჩვენი უხამსობით წაქეზებულს, უნდა მიეცეს გამბედაობა“.

ის, რაც დაბნეულობას იწვევს მისი ნამუშევრების გარშემო, მისი სპონსორების ინტელექტუალური თავმოწონების დამსახურებაცაა; მე არ ვებრძვი ისეთ ხელოვნების ნიმუშებს, რომლებიც საერთოდ არ უფიცვენ იდეებს; პირიქით, დიდი ხელოვნების მოზრდილი ნაწილი სწორედ ამ ხასიათისაა. მე ვიხსენებ ოზუს ფილმებს, ჯერის „უბუ როის“, ენეს „ჩვენს ლედის ყვავილებიდან“, ნაბოკოვის „ლოლიტას“, როგორც ოთხ თანამედროვე მაგალითს. მაგრამ ინტელექტუალური გამოცარიელება ერთია (და ზიზღად ძალზე სასარგებლოა), ხოლო ინტელექტუალური დათმობა — მეორე. იონესკოს შემთხვევაში, ინტელექტი, რომელიც უშვებს დათმობებს და მოქმედებს სამყაროს ისეთ წარმოდგენაზე მინდობით, რაც წარმოშობს ოპოზიციის სრულ საზარელსა და სრულ ბანალურს შორის, არ არის საინტერესო. თავიდან ჩვენ ვიხიბლებით შემზარავის შემზარავობით. საბოლოოდ კი ვრჩებით ბანალობის ბანალურობის წინაშე.

1964 წ.

შენიშვნები:

- 1 ოჯახი (ფრ.).
- 2 მუსიკალური ტერმინი, ნიშნავს ნაწარმოების გამეორებას თავიდან ბოლომდე.

აკაკი ვასაძის უპანასკნელი ინტერვიუ

სსრკ სახალხო არტისტს აკ. ვასაძეს, როგორც თეატრის ყველა მოყვარული, ბავშვობიდან ვიცნობდი. მისი იაგო („ოტელიო“), ფრანც მოორი („ყაჩაღები“), ბერესტი („პლატონ კრეჩეტი“), დარისპანი („დარისპანის გასაჭირი“), კიკვიძე („კიკვიძე“), კრუტიცკი („ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“), თეატრში და კინოში შექმნილი სხვა სახეები აქტიორული შემოქმედების ჭეშმარიტ, დიდ მიღწევად მიმაჩნდა.

1944 წლიდან ბატონი აკაკი მასხიობის ოსტატობის პედაგოგად მუშაობდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც უფრო ახლოს გავიცანი. აკ. ვასაძეს ძლიერ უყვარდა ახალგაზრდობა, სტუდენტებიც დიდ პატივს სცემდნენ. უფრო მეტიც: გამოსაშვებ კურსებთან მუშაობდა (არ უყვარდა მასხიობის ოსტატობის პირველდანყოფილითი ელემენტების შესწავლაზე წვრთნა), მას მთლიანი საკურსო ან სადიპლომო სპექტაკლების დადგმა ეხერხებოდა, განსაკუთრებით კი ქართულ დრამატურგიაზე (გ. ერისთავი, დ. კლდიაშვილი, პ. კაკაბაძე და სხვა) აჩერებდა თავის ყურადღებას.

იმ წლებში დამწყებ კრიტიკოსს იგი დიდის პატივისცემითა და ყურადღებით მეპყრობოდა. საპროფესოროში ხშირად გვისაუბრია თანამედროვე თეატრის მდგომარეობაზე, მის ამოცანებზე, უყვარდა ხშირად წარსულის გახსენება.

დიდად დასაფასებელი იყო მისი დამოკიდებულება ახალგაზრდა კრიტიკოსებისადმი. არა ერთი რეცენზია დამინერიია იმ სპექტაკლების შესახებ, რომლებშიც აკ. ვასაძე მონაწილეობდა, ისევე როგორც აკ. ხორავა, იგი ყოველთვის კეთილ სიტყვას შემომავლებდა ხოლმე. მაშინაც კი, როცა არ მეთანხმებოდა, ტაქტი და კეთილმოსურნეობა არ ღალატობდა, ახერხებდა შემოდავებას ყოველგვარი შეურაცხყოფელი, დამამცი-

რებელი მომართვების გარეშე. მაშინ სრულიად ახალგაზრდა, დამწყებ კრიტიკოსს მადლობა მიხდიდა და ეს მადლობა, კეთილი ღიმილი მუდამ აღმაფრთოვანებლად, წამახალისებლად მოქმედებდა ჩემზე.

გავიდა წლები. ბატონ აკაკისთან ერთად არაერთგზის ვისვენებდი ბორჯომის ახლოს კურორტ ლიკანში. ერთხელ მას და აკ. ხორავას შესანიშნავი სალამო-შეხვედრა მოუწყე დამსვენებლებთან. ორივე დიდად ნასიამოვნები დარჩა. ბატონ აკაკის კურორტზე ყოფნისას უყვარდა სალამოობით ხელოვნებაზე საუბარი, ენაწყლიანი და საინტერესო მოსაუბრე იყო. ერთ წვიმიან საღამოს შემოვიდა ჩვენს ოთახში და დაიწყო ლაპარაკი ლირის როლზე, რომელსაც იმხანად ამზადებდა; შემდეგ წაგვიკითხა მონოლოგები „ოტელიოდან“, „ჰამლეტიდან“, „ყაჩაღებიდან“, ქართული ხალხური ლექსები. ყველაფერი ეს ჩავინერე მაგნიტოფონის ფირზე, დღეს ამ ჩანაწერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება...

1978 წლის გაზაფხულზე ბატონი აკაკი მძიმე ავადმყოფი იწვა, რადგანაც ამ დროს ორი თვის განმავლობაში მეც იმავე საავადმყოფოში ვიმყოფებოდი, ვინაიდან ვუვლიდი მეუღლეს, მე და ბატონი აკაკი განსაკუთრებით დავახლოვდით. სალამოობით, როცა ხმაური და მისვლა-მოსვლა შეწყდებოდა, იგი შემოდიოდა ჩვენს პალატაში, ან მე და იგი ფოიეში ვისხედით, ხნადამდე ვსაუბრობდით. მე მაკვირვებდა ამ ადამიანის საოცარი სიცოცხლისუნარიანობა და ოპტიმიზმი. დღლით სისხლს გადაუსხამდნენ, სალამოს კი შემოვიდოდა და ხუმრობით გვეტყოდა — „რა მჭირს ასეთი, გადამისხამენ სისხლს, ის კი არ ჩერდება ორგანიზმში“... მე რაც კი შემეძლო იმედს ვაძლევდი, მაგრამ როცა მის მიტკალივით გა-

დათეთრებულ, ფერდაკარგულ სახეს შევხვდავდი, ვხვდებოდი, რომ მისი საქმე ვერ იყო კარგად და გული მეთუთქებოდა... რა ვაყვაცურად იტანდა იგი თავის ავადმყოფობას, არააოღეა ჩიოდა, ხუმრობდა კიდევ, სხვა ავადმყოფებს აიმედებდა, თვითონ კი განწირული იყო, საავადმყოფოდან გამონერის შემდეგ სულ მალე გარდაიცვალა.

ერთხელ აზრად მომივიდა შემედგინა

შეკითხვა: რამ განაპირობა თქვენი ინტერესი თეატრისადმი?

პასუხი: ბავშვობა ცნობისმოყვარეობამ. იმხანად ქუთაისში ეცხოვრობდით. მამა მკერავი მყავდა, მისი სახელოსნო ქუთაისის თეატრის პირდაპირ იყო. მაშინ 6 წლისა ვიყავი. მაგრამ დღესაც მახსოვს თეატრის წინ ჰაღარი (ის დღესაც დგას). თეატრის შენობა, რომელსაც ფანჯრები გემივით ჰქონდა გამოჭრილი და შენობა უჩვეულო, უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ჰადრის ქვეშ გრძელი სკამი იდგა. მის პირდაპირ კი თეატრში პატარა შესასვლელი იყო, რომელშიც პირგაპარსული კაცები შედიოდნენ. ეს მე ძალზე მაკვირვებდა. რადგან მთელ ქუთაისში უწვევრულვამოდ პატრი დამიანეს მეტი არავინ დაიარებოდა. სწორედ იმ წლებში იყო, რომ აღმომაჩნდა ხატვის ნიჭი, ჯერ ვხატავდი მამაჩემის ყურნალებიდან მოდურად გამოწყობილ ქალებს, ვაყებს. შემდეგ ნახშირითა და შავი ფანქრით თეთრი კედლები და ბუხარი მოვხატე სხვადასხვა ადამიანების, ფრინველებისა და ცხოველების გამოსახულებებით, რისთვისაც, რასაკვირველია, დამსაჯეს — სამი დღე არ მაქმევდნენ ტყბილულს.

ერთხელ ჩუმად შევძვერი თეატრის კარებში და დავინახე წვერიანი კაცი, თან გავიგონე სიტყვები „კაიუს, გრაქუს!“.. როცა შემინიშნეს, თეატრიდან გამიყვანეს და მამამ ამიხსნა, რომ მე თეატრში ვიყავი და ლადო მესხიშვილი ვნახე კაი გრაქუსის გრიმში... ამ შეხვედრამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა შემდეგ 12 წლამდე თეატრში აღარ ვყოფილვარ. მერე კი, უკვე სისტემატურად, შაბათ-კვირას დაუყოფიდი მშობლებს,

იმ წლებში არავინ იფიქრებდა ჩემს თეატრისადმი მიდრეკილებაზე, მე კარგად ვხატავდი. ვსწავლობდი მასწავლებელ პავესკისთან. დამატებით ვემზადებოდი მხატვარ ვ.

კითხვარი და ერთგვარი „ინტერვიუ“ ჩემთვის მეთარებინა ბატონ აკაკისთან. იმ დროს ამოვ ჩვენი საუბარი დიდხანს გაგრძელდა, მე ჩავინერე მიაი პასუხები ჩემს შეკითხვებზე და ახლახან, როცა იგი აღარ არის, წავანყდი ჩანაწერებს, რასაც იმ სახით, როგორც ბატონმა აკაკიმ მიპასუხა, ვაცნობ მკითხველებს.

ნადია პალუტაშვილი

კოტკოვთან და სხვა ინტერესი იმ დროს თითქოს არ გამაჩნდა.

1916 წ. რეჟისორმა მ. ქორელმა ქუთაისში დადგა „ოიდიპოს მეფე“. ამ სპექტაკლში სპორტში ნავარჯიშევი მშვენიერი გარეგნობის ყმაწვილები — მოქიდავე კ. ქვარიაძე და მ. ლორთქიფანიძე ლამაზი ათლეტების სახით მეჩირაღდნებდად მოჰყვებოდნენ ოიდიპოსს.

მე და — შემდეგში ცნობილ კინომსახიობსა და რეჟისორს — კ. მიქაბერიძეს, დაგვეაღეს მწყემსი ტირესიას მიყვანა ოიდიპოსთან. ამ წარმოდგენის შემდეგ მე თეატრში სტატიკად დაიწვიე მუშაობა. ოიდიპოსის ალ. იმედაშვილი თამაშობდა, იოკასტეს — ნ. ჩხეიძე, ხოლო ტირესიას — გ. იშხნელი. ამგვარი ტირო ამ პიესაში მე შემდგომ არასოდეს მიხანავს. სპექტაკლს საერთოდ აკლდა მთლიანობა, მაგრამ მ. ქორელის რეჟისურა, სამი დასახლებული მსახიობის თამაში დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა და სპექტაკლი იმდენად პოპულარული გახდა, რომ მას ცირკის შენობაშიც თამაშობდნენ. ამ საქმის ერთ-ერთი ორგანიზატორი კ. პატარიძე იყო.

ჩემი თეატრში დარჩენა გადაწყვიტა მ. ქორელის მიერ 1917 წელს განხორციელებულმა შ. დადიანის „გუშინდელის“ დადგამა, რომელშიც მე პრისტავ ჩალიანის როლზე დამინიშნეს.

სწორედ მაშინ გადაწყვიტე მსახიობობა. თუმცა მხატვრობაზე ფიქრს თავს არ ვანებებდი. ვმუშაობდი ისეთ მხატვრებთან, როგორიც იყვნენ ლანსერე და ფოგელი, ვაპირებდი ლენინგრადში სამხატვრო აკადემიაში შესვლას.

ყველაფერი გადაწყვიტა გ. ჯაბადარის სტუდიის დაარსებამ. შემდეგში ცნობილმა მსახიობმა მ. გელოვანმა მიმიყვანა გ. ჯაბადართან, გამაცნო და გავხდი სტუდიის მოსწავლე. პარალელურად ვსწავლობდი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე შ. ჩხეტიასთან. ვ

თოფურისთან, ნ. ბერძენიშვილთან, ს. ჯანაშიასთან ერთად.

სტუდიაში ვხვდებოდი ჩემს სათაყვანებელ მსახიობებს — ლ. მესხიშვილს, ვ. აბაშიძეს, ნ. ჩხეიძეს, ალ. იმედაშვილს, გ. იშხნელს. მსახიობის ოსტატობას გვაწვავდნენ გ. ჯაბადარი და ვალ. შალიკაშვილი. ამ უკანასკნელმა მაშინ გამაცნო სამხატვრო თეატრის პრინციპები, მუშაობდა ჩემთან ცნობილ ლექსზე „მუშა“. ჯაბადარი კი, რომელიც უფრო მსახიობის შემოქმედების ფრანგული სკოლის, პრინციპებს იზიარებდა, მამუშავებდა ნ. ბართაშვილის ლექსზე — „შემოღამება მთაწმინდაზე“.

ჯერ კიდევ მოსწავლემ მონაწილეობა მივიღე ი. ჭავჭავაძის საღამოში, რომელზეც „მუშა“ წაიკითხე. ვ. გუნიას ძალიან მოეწონა ჩემი გულწრფელობა და რეალიზმი. ასე საბოლოოდ გადაწყდა ჩემი ბედი: ჩემი ცხოვრების მიზანი გახდა თეატრი.

შეკითხვა: ვინ მიგაჩნდათ იმხანად ისეთ რეჟისორად, რომელთანაც მუშაობას ისურვებდით?

პასუხი: მიხ. ქორელი, ვალ. შალიკაშვილი, გ. ჯაბადარის მადლიერიც ვარ. განსაკუთრებით მაინტერესებდა ალ. წუწუნავა. დიდ პატივს ვცემდი აკ. ფალავას ორგანიზატორულ ნიჭს, მის ინიციატივას, იმას, რომ მან მენშევიკების მმართველობის წლებში შესძლო ქართული დასის შედგენა. ვერ დავივიწყებ მის მიერ დადგმულ „ირინეს ბედნიერება“-ს. ჩემი სათაყვანო მსახიობები იყვნენ: ლ. მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, ალ. იმედაშვილი, გ. იშხნელი, ნ. დავითაშვილი და ნ. ჯავახიშვილი.

შეკითხვა: რუსული თეატრის მოღვაწეებს თუ იცნობდით?

პასუხი: ქუთაისში რუსული თეატრის კორიფეათგან პ. ორლენევის მეტი არავინ მინახავს (1915-1916), მაგრამ ჩემთვის დაუფიქსარი დარჩენ მისი რასკოლნიკოვი („დანაშაული და სასჯელი“) და ოსვალდი („მოჩვენებანი“). ეს სახეები დღემდე მომყვება. მე მოცებდა მსახიობის უეცარი გადასვლები, ფსიქოლოგიური ნიუანსები, მაღალი აქტიორული ტექნიკა, ჯანციდის სიღრმე.

საქართველოში იმხანად სამხატვრო თეატრის შესახებ ლეგენდები დადიოდა, ინტერესს აღვივებდნენ ა. ფალავა, ა. წუწუნავა, ვ. შალიკაშვილი. მათი და სხვების მონააზრობით, უნახავად ვეცნობოდი ამ სახელოვნო თეატრის რეჟისორებს, მსახიობებს. ბევრი

რამ მსმენია ალ. სუმბათაშვილის ^{შესახებ} 1920 წელს საქართველოს ეწვია ^{სამხატვრო} თეატრის მსახიობთა ჯგუფი ვ. ი. ^{კახალაძისა} და ო. ლ. კნიპერ-ჩხეიძეს მეთაურობით. თბილისში ჩამოსულთა შორის იყვნენ მ. გერმანოვა, ი. ბერსენევი, მ. თარხანოვი და სხვანი. სტუმრების სპექტაკლებმა ძალიან გაგვიტაცა, ჩვენ აღფრთოვანებული ვიყავით სპექტაკლებით — „ძმები კარამაზოვები“, „ალუბის ბაღი“, „ცხოვრების ბრწყინვალეში“ და სხვა. სამხატვრო თეატრის წარმოდგენები ჩვენთვის ნამდვილი აკადემია იყო. დაუახლოვდით ამ თეატრის მსახიობებს — კაჩალოვს, კნიპერს, თარხანოვს, მათ ხანდისხან ქართულად ვუკითხავდი ლექსებს, ვამოწმებდი ჩემს დიქციას. განსაკუთრებით ბევრს მუშაობდა ჩვენთან ვ. ი. კაჩალოვი. გარდა გ. ჯაბადარისა, კ. შათირიშვილისა და ვ. შალიკაშვილისა. ხუთი თვის განმავლობაში მუშაობდნენ სამხატვრო თეატრის მსახიობები ვ. ანჯაფარიძესთან, ან. ქიქოძესთან, შ. ლამბაშიძესთან, მ. ლორთქიფანიძესთან, უ. ჩხეიძესთან, მ. გელოვანთან, მ. ჭიაურელთან და ჩემთან. ყოველი მათი სპექტაკლი ჩვენთვის სცენური ხელოვნების დიდ სკოლას წარმოადგენდა. ამასთან ერთად, რასაკვირველია, ჩვენს სათაყვანებელ კერებდად რჩებოდნენ ლ. მესხიშვილი და ვ. აბაშიძე.

სამხატვრო თეატრმა, კ. ს. სტანილაფსკის „სისტემა“ დიდი როლი ითამაშა ჩვენს აღზრდაში, სწორედ ამ თეატრის პრინციპებზე დაყრდნობით შეიქმნა მ. ქორელის სპექტაკლი „გუშინდელი“, ალ. წუწუნავას „ვინ არის დამნაშავე?“ და სხვა. სამხატვრო თეატრთან იყო დაახლოებული ვას. ყუშიტაშვილიც, რომელთანაც ჩვენ ახლოს ვიყავით.

შეკითხვა: რა როლი ითამაშეს იმ წლებში ქართული თეატრის ცხოვრებაში კ. მარჯანიშვილმა და ს. ახმეტელმა?

პასუხი: კ. მარჯანიშვილის მოსვლამ ქართულ თეატრში ძველი გზების გადახედვა მოითხოვა. „ცხვრის წყარო“ თავისი რეჟისურით, მიმართულებით არცერთ ჩვენს დადგმას არა ჰგავდა. პირადად მე პირველად შევიცანი. რომ მსახიობმა თავისი გაცნა დაკვეთული რიტმში, ტემპში უნდა მოათავსოს, სათანადოდ გამოხატოს გარეგნულად. მაშინ პირველად შევითვისე სინთეტური თეატრის კანონები, შევიგრძენი რეჟისორის მსახიობთან მუშაობის თავისებურება დეკორაციული ხე-

ლოვნების, ფერის, სინათლის, მუსიკის მეშვეობით.

განსხვავებით კიევის დადგმისაგან, „ცხვირის წყარო“ გამოირჩეოდა ქართველი მსახიობების რომანტიკული ბუნების თავისებურებებით. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს სპექტაკლი ჩვენში რომანტიკული თეატრის საფუძველი გახდა. ამ სპექტაკლში, რომელშიც მე მენგოს როლს ვასრულებდი, პირველად შევიცანი ჩემი თავი, ვიგრძენი, რომ შემიძლია ვიყო მრავალბლანიანი მსახიობი, შემიძლია გადავიდო სიცილიდან ტირილზე, დრამატულიდან — კომიკურზე.

ამ სპექტაკლში კ. მარჯანიშვილმა გამოამჟღავნა ყველა ჩემი აქტიორული შესაძლებლობა. წინ წამოსწია საკითხი მაღალი პროფესიონალიზმის შესახებ.

ამა თუ იმ მსახიობს თუ ადრე ბუნებრივი მონაცემები ჰქონდა, კ. მარჯანიშვილმა მოითხოვა მაღალი პროფესიული მომზადება.

შეკითხვა: რამ განაპირობა კორპორაცია „დურუჯი“-ს დაარსება?

პასუხი: კ. მარჯანიშვილი იმ წლებში ჩვენთვის ხტი იყო, ჩვენ ვცდილობდით ცხოვრებაში გაგვეტარებინა მისი შემოქმედებები იდეები. ამ მიზნით გადავწყვიტეთ შეგვექმნა კორპორაცია „დურუჯი“. ჩვენი სურვილი გავუზიარეთ კ. მარჯანიშვილის მოწაფეს ს. ახმეტელს, რომელმაც სიხარულით მიიღო ჩვენი იდეა. თეატრში, მსახიობ დ. ჩხეიძის ოთახში გავმართეთ ამხანაგობის კრება. კრებას შემოესწრო კ. მარჯანიშვილი. რადგანაც კრებას თავმჯდომარე არ ჰყავდა, მე მოვასხენე კ. მარჯანიშვილს, რომ ჩვენ, ახალგაზრდებს, განზრახული გვაქვს თეატრის პროგრამის ვარეშე კ. მარჯანიშვილთან მეცადინეობა, რეპერტუარის შერჩევა. დასაწყისში ჩვენი სურვილები არ სცილდებოდა მსახიობის ოსტატობის შესწავლას, პროფესიული მომზადების ზრდას. შემდეგ გაფართოვდა ჩვენი სურვილების წრე. კ. მარჯანიშვილმა დაიწყო „ლამარა“-ზე მუშაობა (1925 წ.).

მიხსენებები მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, მუშაობაც დაიწყო, მაგრამ ბრმა ნაწლავის ოპერაციის გამო იძულებული გახდა სავადმყოფოში დაწოლილიყო. მუშაობა ს. ახმეტელმა განაგრძო და დადგა „ლამარა“. პირველი ჩანაფიქრით მწყემს ბიჭებს გოგონები თანაშობდნენ, რაც სპექტაკლს უქმნიდა ლირიკულ ფონს. მაგრამ ასეთი გადაწყვეტით დრამა კარგავდა ვაჟაკურ ქლერადობას. კ.

მარჯანიშვილი ვნებებს ძუნწე ფერებში აცხენდა. ს. ახმეტელმა ვნებები გაათავისუფლა, ერთმანეთს შეაჯახა, გაალრმავე კონფლიქტები, რამაც მსახიობებისთვის ადვილი და სანტიკარესო გახადა მუშაობა. სპექტაკლს დიდ წარმატება ხვდა წილად. როდესაც კ. მარჯანიშვილი თეატრს დაუბრუნდა. უკმაპროთმა ადამიანებმა მას ჩააგონეს, რომ ახმეტელმა „ლამარა“ მის ჰამლეტს დაუპირისპირა.

ბათუმში გასტროლების დროს შეიქმნა კონფლიქტური სიტუაცია, რადგან ვ. ანჯაფარიძე გასტროლებზე არ წამოგვეყვა, ოფელის როლი ბ. გამრეკელს მისცეს, ხოლო ვ. ანჯაფარიძე, რომელიც ახმეტელმა არ დაუშვა თეატრში, მარჯანიშვილმა ქუთაისში გაგზავნა.

სოხუმიდან ჩამოსულმა კ. მარჯანიშვილმა მოითხოვა „ლამარა“-ს დადგმა, მაგრამ არც ბათუმში, არც ზესტაფონში ეს არ მოხერხდა. რეეისორებს შორის ურთიერთობა უფრო გამწვავდა, კ. მარჯანიშვილმა დასს შეტყობინა, რომ იგი ხუთ თვეს კინოში იმუშავებდა, ხოლო შვიდ თვეს თეატრში. გარდა ამისა, კორპორაცია „დურუჯს“ მან მოსთხოვა მ. ჭიაურელის და თეატრიდან წასული სხვა მსახიობების დაბრუნება.

თეატრის მომავალ რეპერტუარში მან შეიტანა პ. გოთუს „სიკვდილი“, ი. გედევანიშვილის „სინათლე“-ს მეორე ნაწილი, უ. ჰაჯიბეკოვის „არშინ მალ აღანი“. კორპორანტებმა ამასთან დაკავშირებით მოითხოვეს დრო მოთათბირებისთვის, მაგრამ კ. მარჯანიშვილი არ დათანხმდა. პასუხს მამუნივე ელოდა. თეატრმა ჩაატარა გასტროლები კახეთში, თბილისში დაბრუნებისას კი კ. მარჯანიშვილს უჩვენეს „ლამარა“. კ. მარჯანიშვილმა ს. ახმეტელს განუცხადა, რომ „ლამარა“ მისი სპექტაკლი არ არის და მოითხოვა თავისი გვარის აფიშიდან ამოღება. ახმეტელმა უპასუხა, რომ არ ესმის რაშია საქმე. ამაზე მარჯანიშვილმა წყრომით თქვა — „უბედურება ის არის, რომ თქვენ ჩემი არ გესმით“ და ამის შემდეგ შემხვდა და მკითხა — „ახალგაზრდა, რატომ მიყურებთ ასე გავირვებითო. მეც ვუპასუხე, რომ არ მესმის რატომ არაა ეს მისი წარმოდგენა, ძირითადად ხომ არაფერი შეცვლილა „ლამარაში“. მან მიპასუხა, სპექტაკლში ტემპერამენტი კი არა, ისტერიკაა. მეორე დღეს მარჯანიშვილმა ნახა „ჰამლეტი“ და უკმაყოფილოდ აღნიშნა, რომ მის დადგმაში შეიჭრა „ლამარიზმი“, დაითხოვა ს. ახმეტელი და კო-

რობორანტები, ხელახლა დაიწყო დასის დაკომპლექტება. ამ ღონისძიებამ დასში გამოიწვია დიდი უკმაყოფილება, „დურუჯის“ წევრები მარჯანიშვილს ეწვიენენ ბინაზე და მოითხოვენ პასუხი, თუ რატომ დაშალა მან დასი, რატომ აირჩია დასადგმელად სუსტი პიესები. გადაწყდა კორპორაციის დაშლა. კ. მარჯანიშვილმა მე დამიბარა სახლში და შემომთავაზა ს. ახმეტელის ადგილი, ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა და, რასაკვირველია, უარი ვუთხარი, ველაბარავე ს. ახმეტელს, მაგრამ ვერ მოხერხდა მათი შეთანხმება. კორპორაცია გაუქმდა. მარჯანიშვილი წავიდა თეატრიდან. რომელსაც სათავეში ს. ახმეტელი ჩაუდგა.

შეკითხვა: როგორი ვანიტარება მიიღო ურთიერთობებმა შემდგომ?

პასუხი: პირველივე სეზონის დასაწყისში ს. ახმეტელმა კ. მარჯანიშვილს წერილი გაუგზავნა, რომელზეც პასუხი არ მიუღია. ს. ახმეტელს ფართო მკაცრებული მანქანა ნაკლებად იცნობდა. დასში, რასაკვირველია, მომხრეებიც (ა. ხორავა, ა. ვასაძე, ი. გარბაგლი, ი. ტუსკია, კ. პატარიძე, ე. ლორთქიფანიძე, თ. ჭავჭავაძე და სხვ.) ჰყავდნენ, იყვნენ მოწინააღმდეგეებიც. მათი ნაწილი კინოში წავიდა, ან გაჰყვა მარჯანიშვილს.

ს. ახმეტელის „ზაგმუკა“, რომელიც მან ამავე სეზონში დადგა, ინტერესი გამოიწვია, თუმცა რეჟისორმა ჯერ კიდევ ვერ გამოამყვანა საკუთარი ხელწერა: სპექტაკლი სტილიზებული იყო.

ს. ახმეტელი გმირულ-რომანტიკული თემატიკით იყო გატაცებული, ეძიებდა სათანადო ლიტერატურულ მასალას და ჰპოვა კიდევ რუს ავტორთა ისეთ გახმაურებულ ნაწარმოებებში, როგორიცაა ბ. ლავრენცის „რღვევა“ და ვს. ივანოვის „ჯავშნოსანი 14-69“.

ს. შანშიაშვილთან ერთად მან რუსული პიესა კავკასიის რევოლუციურ ბრძოლას მიუხადა. აღნიშნულ სპექტაკლებში თვალნათლივ გამოჩნდა ის ახალი თეატრალური საშუალებანი, რასაც ს. ახმეტელი იყენებდა, გამოჩნდა მისი მასობრივი სცენების დადგმის ბრწყინვალე ნიჭი.

რასაკვირველია, რეჟისორი თავის ჩანაფიქრს ვერ განახორციელებდა, რომ მას გვერდით არ ჰყოლოდა თეატრის დასი და ისეთი შესანიშნავი მხატვარი, როგორიც ირ. გამრეკელი იყო. თეატრის წამყვანმა მსახიობებმა

სავსებით გაითავისეს ის მიზნები, რომლებსაც თეატრის ხელმძღვანელი ისახავდა. მე მდგეშიც ეს გმირული, რომანტიკული აღმშენებლობა, რომელიც ქართველი კაცის მსახურს უნდა ემსახურებოდა, „ბოგდან ხმელნიცკი“, „არსენაში“.

ქართველი კერძოდ კი რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობები, რა უცხო პიესაშიც უნდა ეთამაშათ, თავიანთ ეროვნულ ბუნებას არ დალატობდნენ; ყოველ მასალაზე პირველ რიგში, ქართული წარმოდგენა იქმნებოდა, ავიღოთ თუნდაც სცენა „ივანე მრისხანედან“, როდესაც ივანეს შვილი შემოაქვდება. აკ. ხორავა დიდ სიფიქსეს, თავდაფრწყებულ მრისხანებას და უზომოდ სასოფარკვეთილებას გადმოგვცემდა მაღალ, ტრაგიკულ ნოტებში...

შეკითხვა: როგორ მოხვედით რეჟისურაში?

პასუხი: 1925 წელს მიმიწვიეს ა. ფაღავას სტუდიაში მეტყველების მასწავლებლად. უფლება მომცეს სტუდენტებთან დამედგა რომელიმე პიესის ერთი მოქმედება, მე ავიჩიე „ეკვიანობა“ და მესამე კურსზე დავდგი, ნამუშევარი ვერჩენე კ. მარჯანიშვილს, მან ბევრი იცინა და მკითხა — „რატომ გაძარცვე ჩემი გაახუნაურებული მდაბიო?“

მოეწონა მიზანსცენა, რომელიც მე პირადად არაფრად მიმაჩნდა, მაგრამ ამ სცენაში იყო გაერთიანებული ანალიტიკური და ემოციური მომენტები და მან ალბათ, სწორად ამას მიაჩნია ყურადღება. პირველმა ნაბიჯებმა რეჟისურაში იმედოვნებდა, დავიწყე მისი შესწავლა, მასწავლებლად ს. ახმეტელი მყავდა. მე ვტელს ვიხრიდი მისი სპექტაკლების — „რღვევა“, „ანზორი“ და „ინ ტირანოს“ წინაშე.

შეკითხვა: რას ანიჭებთ უპირატესობას რეჟისორის მუშაობაში?

პასუხი: მსახიობს. ყოველთვის ვცდილობდი დავხმარებოდი მსახიობს, თუმცა მხატვრისა და კომპოზიტორის გარეშე არ წარმომიდგენია სპექტაკლი.

შეკითხვა: როგორ მუშაობთ როლზე?

პასუხი: დიდ როლს ვანიჭებ მსახიობის შრომას. თავიდანვე არ დავკმაყოფილდი სტუდიაში მიღებული ცოდნით და განვგარბე მუშაობა — რვა წლის განმავლობაში ვვჭრთინიდი თავს რიტმიკაში ცნობილ პედაგოგ ვ. ბენდეროვიჩ-ჟლენტთან. ხმას მიყენებდა ჩვენი დიდი მომღერალი ივ. სარაჯიშვილი. მისი მითითებით ჩემთან იმუშავა კანშინმა, რვა გვეთილი ჩამიტარა ი. შულგინამ, ოთხი წე-

ლი ვიყენებდი სუნთქვას. მსახიობის მეტყვე-
ლებაში. როგორც ძველ, გამოცდილ მსახიობს
მაქვს საკუთარი დაკვირვებები, რაც აღვნიშ-
ნე ჩემს წერილებში. რაც შეეხება გრიმს, მი-
მანჩია, რომ თუ მსახიობი მიაღწევს ჭეშმარი-
ტად შინაგან გარდასახვას, გრიმს არა აქვს
მნიშვნელობა, მსახიობის სახეც მისაღება
მხედველობაში, სამაგიეროდ დიდად საყურა-
დლებოა კოსტიუმი: მსახიობმა იგი უნდა გაი-
თავისოს, არა მარტო თავისუფლად იმოქმე-
დოს სცენაზე ამა თუ იმ ეპოქისა და ერის წა-
რმომადგენლის ჩაცმულობაში, არამედ მისი
გმარების მანერა გმირის ინდივიდუალობიდან,
მისი ხასიათიდან უნდა გამომდინარეობდეს.

როდესაც როლზე მუშაობას ვიწყებ, პირ-
ველ რიგში ვეძებ მარცვალს, გმირის ხასია-
თის შინაგან არსს, გამჭოლ მოქმედებას; იმას,
თუ რა ადგილი უკავია ნაწარმოებში ჩემს
გმირს, რა ურთიერთობაშია სხვა პერსონაჟე-
ბთან; ვეძებ მის ადგილს ანსამბლში, რათა
ორგანულად შევიღო სპექტაკლის ერთიან ჯა-
ჭვში. ჩემთვის ისიცაა მნიშვნელოვანი, თუ რა
ურთიერთობაშია ნაწარმოები, რომელშიც
ვთამაშობ, თანამედროვეობასთან, რა პირობ-
ლებას სვამს, რადგანაც თეატრის თანამედ-
როვეობასთან კავშირი აუცილებელ პირობად
მიმაჩნია. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ მსახი-
ობის თეიტლისციპლინას: მსახიობი პირველ
რიგში სპექტაკლის ინტერესებიდან უნდა გა-
მომდინარეობდეს.

მაგონდება, როცა პირველად ფრანცი ვი-
თამაშე „ინ ტირანოსში“, კრიტიკამ არ მიმი-
ლო; ამან დამაფიქრა, მივედი დასკვნამდე, რომ
სპექტაკლს არ ვუწყვედი ანგარიშს, „ჩემთვის“
ვთამაშობდი, ვაჭარბებდი, მივხვდი და დავი-
წყე ჩემი შეცდომის გამოსწორება, შევძელი
შემერწყვა წარმოსახვა და განცდა და, როგორც
ცნობილია, გამარჯვებას მივაღწიე ამ როლში.
როდის ვთამაშობ, ეს ერთი კვირით ადრე უნ-
და ვიცოდე, რათა შინაგანად მოვემზადო.
სპექტაკლის დღეს არ ვსაიდლობ, დღისით
ვისვენებ, ვთვლებ, ძირი არ შემიძლია, მი-
ზარება ხმაური, ჭიკჭიანი, ზედმეტი ლაპარაკი.
თანდათან შეუძინებლად მიმდინარეობს გარ-
დასახვის პროცესი, შინაგანად სხვა ადამი-
ანად გარდაქცევის საიდუმლოება.

სპექტაკლზე, როგორც წესი, ისეთი შეგრ-
ძნება მაქვს, თითქოს არ დავდლილვარ. სასა-
ცილოა, მაგრამ ისევ მწყურია თამაში, რომ
მთხოვონ, თავიდან ვითამაშებ სპექტაკლს;
მიხარია, სიამოვნებას ვგრძნობ, მაგრამ თუ

როლი არ გამომივიდა, არ მომწონს: კიდევ
ვიღლები, კიდევ ვიტანჯები. მოვალეობის
გრძნობა მკარანახობს მუდამ ფორმაში: ვიყა-
ეს პროფესიული გრძნობაა. სცენაზე ვერ ვი-
ტან ხუმრობას, საქმისადმი ადგებულ დამოკი-
დებულებას. უმაყურებლოდ თამაში არ შე-
იძლება.

შეკითხვა: რომელი როლია თქვენთვის ყვე-
ლაზე საყვარელი?

პასუხი: მიყვარს ყველა ის როლი, რომელიც
მაყურებელმა შეიყვარა, ყველა, რომელშიც
გამარჯვებას მივაღწიე. არ მიყვარს ოიდიპო-
სი, რომელშიც მარცხი განვიცადე. ეს როლი
ვერ შევისისხლობორცე, შემდეგში ტექსტიც
კი დამავიწყდა. ამ როლში ვერ მოვახერხე
იმის თქმა, რაც მინდოდა.

შეკითხვა: როგორია თქვენი ურთიერთობა
კინოხელოვნებასთან?

პასუხი: ამდენი წელია კინოში ვმუშაობ,
წარმატებაც მქონდა, მაგრამ მაინც ვერ შევე-
გუე. ვფიქრობ, რომ კინოში უფრო მეტი შე-
ვიძინე, როგორც რეჟისორმა, ვიდრე მსახი-
ობმა. როგორც რეჟისორს. კინოში მიტაცება
მისი რიტმი, ტემპი, მოვლენების სწრაფი შე-
ნაცვლება. როგორც თანამედროვე რეჟისორს.
მესმოდა ყოველივე ამის მნიშვნელობა და
ვედილობდი კინოწყობის თეატრში გამოყე-
ნებას. კ. მარქანიშვილმა „პოპლაში“ ამის შე-
ნანიშნავი მაგალითი მოგვცა არა იმიტომ, რომ
თვით კინო გამოიყენა თეატრში, არამედ იმი-
ტომ, რომ ამ წარმოდგენაში იგი კინოს ხერ-
ხებს—მსხვილ პლანს, მეორე პლანს მშვენივ-
რად იყენებდა. კინორეჟისორებიდან დიდის
ხალისით ვმუშაობდი რ. ჩხეიძესთან და თ.
აბულაძესთან მამასახლისის როლზე, საინტე-
რესო იყო მ. ჭიათურელთან, ვ. ტაბლიაშვილ-
თან, ლ. ხოტივართან, გ. ლორთქიფანიძესთან
მუშაობაზე.

შეკითხვა: რა ამოცანას უსახავთ თანამედ-
როვე თეატრს?

პასუხი: ჩემი აზრით, თეატრის გარეშე
ვერცერთი საზოგადოება ვერ იარსებებს, რა-
დგან თეატრი ცხოვრების სარკეა, სკოლა ცხო-
ვრებისა, ესთეტიკური აღზრდის შესანიშნავი
იარაღი. თანამედროვე შეიძლება კლასიკური
ბიესაც იყოს, მთავარია რას წამოსწევენ მასში
წინა პლანზე, რაზე მოახდენენ აქცენტირებას.
დღეს ბევრს ლაპარაკობენ ე. წ. ინტელექტუ-
ალური თეატრის შესახებ: მე საერთოდ ეს
დებულება არ მესმის — როგორ შეიძლება

რომელიმე სპექტაკლი მარტო ემოცია იყოს ყოველგვარი ინტელექტის გარეშე?

შეკითხვა: როგორია თქვენი დამოკიდებულება პოპულარობისადმი?

პასუხი: სახელი ყოველთვის მიწლიდა, რადგან ვგრძნობდი, რომ საზოგადოება ჩემგან ახალს, უკეთესს მოელის, მე კი ყოველთვის როდი ვიყავი სათანადო ღონეზე. ამასთან, პოპულარობა მეხმარება, რადგანაც პასუხისმგებლობის გრძნობას, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობას ზრდის.

შეკითხვა: როგორი იყო თქვენი კავშირები უკრაინასთან?

პასუხი: ჩემი პირველი შეხვედრა უკრაინასთან შედგა 1930 წ. როდესაც ჩვენი თეატრი ხარკოვს ჩავიდა საგასტროლოდ. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა შეხვედრებმა უკრაინის სცენის ისეთ გამოჩენილ ოსტატებთან, როგორც იყვნენ მ. კრუშელნიცი, ნ. უყვი, ლ. სერდიუკი, ა. ბუჩმა, განსაკუთრებით კი რეჟისორი ლ. კურბასი. იგი აღფრთოვანებული იყო „ანზორით“, თავის მოკლე სიტყვაში მან წამოიძახა: „Оце здиорово зрине!..“ (ეს შესანიშნავადაა შექმნილი), მას ძალიან მოეწონა „ლამარაჲ“.

გასტროლების შემდეგ ჩვენი უკრაინელი კოლეგები მივიწვიეთ საქართველოში. ჩვენთან ჩამოვიდა „ბერეზილის“ თეატრი ლ. კურბასის მეთაურობით. ამ დასის წევრებში ჩვენ ვხვდავდით თანამოაზრეებს, ალტაცებაში მოგვიყვანეს თეატრის წამყვანმა მსახიობებმა, შესანიშნავად დადგმულმა მასობრივმა სცენებმა „პაიდამაკებში“, „მაკლენა გრასაში“ და სხვ.

თეატრს ჰყავდა დიდი ოსტატების მთელი კოპორტა, რომლებიც გამოირჩეოდნენ მკვეთრი ინდივიდუალობით, მაღალი მხატვრული სიმართლით. მათ დავგარწმუნეს დებულებაში, რომ ყოველი ღრმად ეროვნული ხელოვნება ინტერნაციონალურია, გასაგები და ახლობელი ყველასათვის. უკრაინელი მსახიობების ტემპერამენტი, მათი ლირიზმი, ჩვენთვის, ქართველი მსახიობებისათვის ძალზე ახლობელი იყო.

როდესაც უკრაინელებმა დადგეს ზ. ფალიაშვილის კლასიკური ოპერა „აბესალომ და ეთერი“, ჩვენ ვუბაძუხეთ „ბოგდან ხმელნიცის“ დადგმით. ამასთან დაკავშირებით მე და მხატვარი ირ. გამრეკელი გავუმგზავრეთ უკრაინაში, ვიმუშავეთ კიევის მუზეუმებში, დიდი დახმარება გავვიწყია პიესის ავტორმა ა.

კორნეიჩუკმა. 1939 წ. ჩვენი თეატრის გასტროლების დამთავრების შემდეგ ჩვენ გემით ჩავედით დნებროპეტროვსკში, ცნობილი ისტორიკოსთან, პროფესორ იავორნიცისთან. ეს მოხუცი დიდი მეცნიერი იყო, მისი სახლი ნამდვილ მუზეუმს წარმოადგენდა. კედლებს ამშვენებდა ძველებური უკრაინული იარაღი, რეპინის, ვერეშჩაგინის, ვრუბელის სურათები. მე პირველად დავინახე ადამიანი, რომელიც მწერლის სახით დახატულია ი. რეპინის ცნობილ სურათზე „ზაპოროჟეელები“. როცა იავორნიცის ავუსხენი, რა მიზნით ჩავედით მასთან, მან გაიღიმა და მითხრა: „მე კი მეგონა ქართველები თავს დამეხსნენ, რათა დაეპყროთ ჩემი უქანასკნელი ციტადელი“...

ჩვენი შეხვედრა ჰუმბოლტად მეგობრული იყო. მასპინძელმა გავგვიხსნა თავისი უნიკალური სახლ-მუზეუმის ყველა კარი, გვამუშავა თავის უმდიდრეს ბიბლიოთეკაში. შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ ამ კაცმა იცის დნებრის ნაპირზე დაგდებული ყოველი ქვის ისტორია. ჩვენ შევაგროვეთ უმდიდრესი მასალა ზაპოროჟიის სეჩის ისტორიიდან, იქ გრავიურაზე ვნახეთ დიდი ნაქვდი კარის გამოხატულება, რომელიც შემდეგმ გამოვიყენეთ ჩვენი სპექტაკლში და იგი უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე.

იქ ნანახი ნახატებიდან, გრავიურებიდან გადმოვიხატეთ „ბოგდან ხმელნიცის“ კოსტიუმების, ყოფის ნივთების ესკიზები.

სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა. თვით პიესის ავტორი ალ. კორნეიჩუკი აღფრთოვანებული დარჩა და თავისი ალტაცება თეატრის სტუმართა წიგნში ჩაწერა.

ჩემთვის ძალიან ახლობლები იყვნენ ი. ფრანკო სახელობის თეატრის მოღვაწეები. განსაკუთრებით ვმეგობრობდი სსრკ სახალხო არტისტტატი ვნატ იურასთან, შესანიშნავ რეჟისორთან, მსახიობთან და ადამიანთან.

როდესაც ის ავად იყო, ჩვენ უკრაინის თეატრალური ყროლობის სტუმრები — თ. ჰავეჯაძე, პროფ. დ. ჭანელიძე და მე შინ ვესტუმრეთ, ბევრი ვისაუბრეთ, წაუფიქთხეთ ქართული ლექსები, მონოლოგები სპექტაკლებიდან. ეს შეხვედრა დაუვიწყარი დარჩა ჩემს ცხოვრებაში.

ყოველი ჩვენი გასტროლის დროს მუდამ ჩემთან იყო ალ. კორნეიჩუკი. დრამატურგი, რომელიც ჩვენ ძალიან გვიყვარდა. 1962 წ. როცა ჩვენ კიევი „ოტელოს“ ვთამაშობდით,

სცენა გაავსეს ალ. კორნეიჩუკის მიერ გამოგზავნილი უამრავი ყვავილით.

ტ. ტაბიძის ოჯახში გაციანი მიკოლა ბაყანი; დიდად ვაფასებ მის ამაგ ქართული კულტურის წინაშე, იგი ჩემს საყვარელ ქართველ მწერლებთან ს. ჩიქოვანთან და გ. ლეონიძესთან ერთად ძმასავით მიყვარს.

დიდად ვაფასებ და მიყვარს მაქსიმ რილსკის პოეზია, რეისორ ალექსანდრე დოვჟენკოს ფილმები. ჩემზე წარუშლელი, დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა გენიალურმა უკრაინელმა მსახიობმა ამბროსი ბუჩმამ ი. ფრანკოს პიესაში „მოპარული ბედნიერება“, რომელშიც შეუდარებლად თამაშობდა ლარის უბედურ გლეხს მიკოლა ზადაროჟინს.

შეკითხვა: რა არის, თქვენი აზრით, ეროვნულის გაგება თეატრში?

პასუხი: ეროვნულია შემოქმედის აზროვნების სისტემა, ფსიქოლოგია, აზროვნება მშობლიურ ენაზე, პლასტიკა, მეტყველება.

შეკითხვა: ვინ არიან თქვენი საყვარელი დრამატურგები?

პასუხი: ს. კლდიაშვილი, ვაჟა-ფშაველა, პ. კაკაბაძე, ნ. დუმბაძე, შექსპირი, ლოპე დე ვეზაჲ

შეკითხვა: პოეტები?

პასუხი: გალაკტიონი, ტიციანი, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეები, ბაირონი.

შეკითხვა: რეჟისორები?

პასუხი: სტანისლავსკი.

შეკითხვა: აქტიორები?

პასუხი: სამხატვრო თეატრის კორიფეები.

შეკითხვა: რას უსურვებდით ჩვენს თეატრს?

პასუხი: ჩვენს თეატრს ვუსურვებდი თანამედროვე ქართველი კაცის სახე გაეხადოს ხატად, მისი შინაგანი და გარეგნული სილამაზე გადმოსცეს ჩვენი ერისათვის დამახასიათებელი სიახლისადმი ლტოლვის მგზნებარებით, გამოხატოს გათავისუფლებული ქართველი საზოგადოების, ჩვენი ხალხის ცხოვრება, მისი სულიერი მშვენიერება, რადგანაც ჩვენი ხალხი — როგორც მისი ბუნება — განუმეორებლად მშვენიერია. ჩემი ღრმა რწმენაა, რომ თუ რასმე დასთეს რომელიმე თაობაში, იგი შემდგომ აუცილებლად გამოიღებს ნაყოფს; მჯერა, რომ 25-30 წლის შემდეგ ქართული თეატრი კვლავ აფეთქდება, როგორც გასულ საუკუნეში, 80-იანი წლები თავისას იტყვიან.

1978 წლის თებერვალი.



ხელოვნება

№ 4

1990 წ.

მოთარ ჩხეიძე

ხეილა ნინო

მცხეთა.

არმაზციხე.

კერპი არმაზისაი:

კაცი ერთი სპილენძისა, ტანთ ჯაჭვი ოქროსი, თავსა ჩაბალახი მყარი, თვალნი ზურმუხტი და ბივრილი, ხელთა ხრმალი ბრწყინვალეი, ვითარცა ელვაი. თუ ვინ შეეხება, განწირულა სასიკვდილოდა. და ძრწინან მეფენი ქართლისანი კარგახანია. ძრწინს ერი ქართლისაი, ძრწინს და ურჩობს: მორჩილნი მორჩილებენ, ურჩნი ურჩობენ რაღა თქმა უნდა. მორჩილებენ მოგენი არმაზისაი, ურჩობენ ქადაგნი ციშებისა, ძველქართული ღმერთისა, კერპი რომლისა რო დაუნგრავია კერპსა არმაზისა და აღმართულა რომლისა ადგილასა. ურჩობენ. შფოთია, იცავენ კერპსა სპარსი მოლაშქრენი. მკაცრად იცავენ. მკაცრი ბრძანება აქეთ შაჰინშაჰისა, რომელს მორჩილებს მრავალი ერი, მეფეი მრავალი, და მირიანისა, მეფეი ქართლისა, რომელს მორჩილებს რა დიმიტრისა, მეფეი ქართლისა, რომელს მორჩილებს და იმორჩილებს კიდევ და კიდევ, ანთუ უნდა რო დაიმორჩილოს, უნდა და ლამოზს, სთოფლიოს რო გასწედს ბატონობაი მისი. უნდა და ლამოზს. მაგრამ პრომი გადაჰლობია. ებრძვის. ამარცხებს. დევნის. გაუძლოლებია ჯვარი ქრისტესი, პროშსა რაღა თქმა უნდა, და დევნის ჯვართა, იარაღითაც რო დევნის. განრისხებულა შაჰინშაჰი სპარსთა, საითაც გაიწეეს ჯვარი ჰხვდება, ზურგში მოჰქცევია ჯვარი, ჯვარცმული. ჯერ ჯვარი აღწევს, მერე მხედრონი პროშთა, განრისხებულა შაჰინშაჰი, ბრძანებს რო მოსპონ ჯვარი, სადაც რო გამოჩნდება, მოსპონ ყველგანა და ქართლშიცა რაღა თქმა უნდა. ქადაგთაც არ მოსწონთ, არ მოსწონთ რო არცა ჯვარი, ჯვარცმული,

კერპით არ მოსწონთ არმაზისა, არ მოსწონთ ცოტა, სძულთ კერპი არმაზისა, — არც ერთი ნებათ. არცა მეორე; ციშები ნებათ, ღმერთი თავიანთი: თავისუფლება ნებათ, დამოუკიდებლობა ნებათ, თავიანთთვის უნდათ, რაც რომ თავიანთია, სხვათა გარეშე რაღა თქმა უნდა; უნდათ და ცდილობენ, ესაა რომ ძალა არა ჰყოფნით. გახირულან ორთა ძლიერთა შორისა. ძლიერთა და უძლიერესთა. და რომ შეზღვილა ორი უძლიერესი, ეს ორი, ეს ორი უძლიერესი, თითქოს ხსნაყ აქ არისო. ოღონდ ესაა, რისი იმედი ჰქონდეთ: ერთ-ერთი დასძლევს, თუ რომელი დასძლევს, თუ რომელი გაჩანადგება. და შეფიქრიანებულია მეფე ქართლისა მირიანი; გადაურჩება თუ არა ერი ამ დიდთა ბრძოლასა, გადაურჩება თუ მოიკეცილებთა იმათზე აღნი, ანთუ იმათთან ერთად მოიხრისებთა. შეფიქრიანებულია. შეწუხებულია. შეძრწუნებულია; თუ რა იღონოს, თუ რა გზას დაადგეს, თუ რა ირჩიოს, თუ რომელი ირჩიოს. გვალვაც დასტეხია თავსა. იწვის ქართლი, იბულებთა ქართლი. იბულებთა მიწი ქართლისაი. და დგას კერპი მიუკარები. მრისხანეი, შეუვალთ. მოლაშქრენი იცავენ, გუშავნი, სპარსი გუშავნი რაღა თქმა უნდა. ლამითაც იცავენ. დღისითაც იცავენ. თქმა უნდა. ჰყოიან ლამის გუშავნი. ჰყოიან. განთიადს ეგებებიან.

მართი ბუშაბი. ზე... გაგვიოთნდა ერთი ღამეცა!..
მართი ბუშაბი. ზო... გაგვიოთნდა...
მართი ბუშაბი. გაგვიოთნდა სჯალიდელიო?..
მართი ბუშაბი. ალაჰმა უწყის!..
მართი ბუშაბი. ვეწვიოთ კიდევ ჩვენს ჰერსა და ჩვენს მიწაწყალსა?..
მართი ბუშაბი. ალაჰმა უწყის!..
მართი ბუშაბი. აქ სად ვათენებთ, სად ვალამებთ, რა გვჩავის, რა გვინდა?..
ჩვენ ჩვენი ცოტა გვაოხრია, აქ რაღას ვდავობთ?!
მართი ბუშაბი. ალაჰმა უწყის!..
მართი ბუშაბი. იქ ვერ ვპატრონობთ, პარტაბდება მამული, ჩვენ სხვის მიწაში ვყრით ძვალ-ბორცსა და ვანთხვეთ სისხლსა.
რადაო?.. რისთვის?..
მართი ბუშაბი. ალაჰმა უწყის!..
მართი ბუშაბი. ალაჰ!..
მართი ბუშაბი. ალაჰ!..
მართი ბუშაბი. მიხსენი ალაჰ!..
მეჩვენება, რომ ჰქრება უცებ ღამით არმაზო, და მის ადგილს ჭვარი იჭრის... ჩვენ ჭვარს ვდარაჯობთ.
მართი ბუშაბი. რას ამბობ, გესმის?!
გვალვია, ცხელა, აგიღუღლა ალბათ გონება, ანთუ ჩავთვლიმა და ეშმაკმა ჩავარტყა თავში, თორემ ეს რაო, — არმაზია... აჰა, ეღვარებხი..
მართი ბუშაბი. ჭვარიც ეღვარებხს, თვალსა მჭრის და ლამის გაგვიღუღა.
მართი ბუშაბი. ნულარ იტყვი!.. გაგიფლდ გიჭობს, ანთუ ეგებოს არაფერი აღარც ვიკლია?!.
მართი ბუშაბი. მიხსენი ალაჰ!..
მართი ბუშაბი. მიხსენი ალაჰ!..
მართი ბუშაბი. იმედია, არავის ეტყვი!..
მართი ბუშაბი. არავის ვეტყვი?!
შენ ვერ დაშფარე საიდუმლო შენი, გაეცო, მერგობარ შევძლებ ვუერთგულო შენს საიდუმლოს?!

მართი ბუშაბი. მაშ დავლუპლუდვარ... ბედისწერად ეს დაშფარა:
ველარ ვეღირსო სამშობლოს ჩემს ღრუბულსა.
მართი ბუშაბი. იმხსენი ალაჰ!..
მართი ბუშაბი. მიხსენი ალაჰ!..
მართი ბუშაბი. ხს... ვილაც მოდის!..
მართი ბუშაბი. ჰეი, ვინ მოდის?..
ხმა ბარბადან. მორწმუნე ალაჰისა და მონა შაჰინშაჰისა!..
დიდება ალაჰს!..
ბუშაბი. დიდება ალაჰს!..
შემოდის რაზმი გუშავთა, სპარსთა ცხადია. გუშავები იცვლებიან. ჯერ ორი რჩება, მერე მატულობს გუშავთა რიცხვი, მატულობს და მატულობს, ხალხიც რომ მატულობს, მავტერბელი ხალხი, ზოგნი რომ არმაზს ევედრება, ზოგნი რომ მოითხოვს ღმერთსა თავისასა. ჯერ იცვლებიან ერთისიტყვითა. მერე შემოდის მოგვთამოვეი, მოუძღვის გუნდსა მოგვებისასა. გვირგვინი მოაქვთ, ყვავილები მოაქვთ, აწყობენ ფერხითა კერპისა, მოწიწებთ აწყობენ; რომ მოაქვთ, მოაქვთ გალობითა: „არმაზ ბრწყინვალე, მნათობო მნათობთა, მოესტევათ შენდა სადიდებლად...“

მომგვამომგვამი. წყალობა შენი მოგვეფინა დიდი ხანია, წყალობით შენთ სიმშვიდე გვაქვს შეურყეველი. არვის ჩვენს ხაზღვრებს სამტროდ აღარ დასვიდებია, აღარ დაღვრილა სისხლი ჩვენი ჩვენიც მიწაზე. ვიბრძვით ჩვენ შენდა სადიდებლად კიდით კიდემით, შორს გატყორცნილა სამზრძანებლო შენი და ვიბრძვით, კიდევ და კიდევ უფრო მეტი შემოგვიმატოთ. ამით ჩვენ ვიცავთ ჩვენს სიმშვიდეს, შენს სიღაძეს, ანუ შენ ვიცავ, დაგვიფარავ მოხისხართაგან. არმაზ ბრწყინვალეც კვლავ გვაფარვიდ, გავისნიდე კვლავაც, ჩვენ შენის ქებით ვათენებთ და ვალამებთ ეგრეც. მომგვამი. არმაზ ბრწყინვალეც, ჩვენ შენის ქებით ვათენებთ და ვალამებთ ეგრეც, შენს შემძლეობას შთავაგონებთ ერს ღვინადაც; ვარწმუნებთ, ჰირო რომ არ არის ჰირო და სხვა, რომ არც სიმშვილი, არც სიტეტულე არაფერი, რომ არც კავკასის დაფხავება არაფერია, არაფერია, არაფერი არაფერია, რომ ეს გავლავაცა, ეს გადაწვა მამულ-ღედულის, ისევ და ისევ რა თქმა უნდა არაფერია, — რომ ამით მხოლოდ ჩვენ გვაშფრებებს არმაზ ბრწყინვალე ჩვენს გამძლეობას, ერთგულეობას ჩვენსას ამოწმებს, რომ მოგვედლოს და სიუვარულით დაგვაჭლოდოს. ვარწმუნებთ ასე, და გაიურთ მოვაქცევთ ასე. ჩვენ შენის ქებით ვათენებთ და ვალამებთ ეგრეც, არმაზ ბრწყინვალეც!..
მომგვამომგვამი. არმაზ ბრწყინვალეც, განერთხობა შენს ფერხითი ყველა, ვინც შეხსძლებს თვალს გაგისწორის თუნდ ერთის წუთით, ჩვენ ასე გვაწამს და ერსაც ჩვენსას ასევე სჭერა: აქ არის იგი აღსასრული ჭვარცმულისაი, ჰრომის ხმალი რომ სადიდებლად წამოსძლიდა; აქ არის იგი აღსასრული იმპერატორის.

აქ შაჰინშაჰის უძლეველი ღვთაება სახლობს.
ჩვენ ერთგულება შევფიცეთ და ჩვენ ის ხალხი ვართ,
ვისაც რო ღმერთი ფიცად სწამს და ფიცი —
ღმერთად.

არმაზ ბრწყინვალე,
ჩვენ შენი ვართ აწ და მარადის,
შენ დაგვიხსნივარ, შენ დაგვიხსნი თუ რამ
მისტიკარდეს,

არმაზ ბრწყინვალეც..

მომავალი. არმაზ ბრწყინვალეც!

დაშრა მტკვარი, დაშრა არაგვი,
წყაროთა ძუძუ დაორიბო, ტუბები იწვის,
ყანები თაგვმა გადასძოვა, ვიკვამა — ვაწი,
ხალხი ქაქასებს, საქონელი ქაქასებს ეგრევ,
თუ არ გავიმდა, წეზეულა ჩავიხოცებოთ.
არა, არ ვჩივით, შენ ეს იცი, შენ უკეთ იცი,
სამწყუსოა შენსაჲ რა ეკუთვნის, შენ უკეთ იცი,
გვიხსნის რამე თუ არც რა გვიხსნის, შენ უკეთ იცი;
როდემდის ვახტანს, ან რა გველის, შენ უკეთ იცი,
გვიხსნის რამე თუ არც რა გვიხსნის, შენ უკეთ იცი, —
არა, არ ვჩივით, ყველაფერი ჩვენი ბრალაა,
და ერს ვუმოდვებთ, რომ შეიგნოს ცოდვა თავისი.
არმაზ ბრწყინვალეც..

მომავალი. არმაზ ბრწყინვალე არმაზ..

მომავალი. არმაზ ბრწყინვალეც..

და მოჰყვება იგივე საგალობელი: „არმაზ ბრწყინ-
ვალე, მნათობო მნათობო...“ რაც რომ თითქოსდა
შეუმჩნევლად გადაიზრდა სხვა საგალობელში: „(ცი-
შუბ დიადო, ღმერთო ღმერთო, ღმერთო ყოველთა,
შენ გვედრებოთ, გამოგვიხსნე, ვადაგვიარჩიე...“ ამ-
სი ქადაგი მომიღვრიან, მოდიან, უახლოვდებიან ცი-
შუბის ძველსა სავანესა, არამზი სიდავს რომ აღუ-
მართათ. უახლოვდებიან და შემოდიან. ჩამოქმეძი-
ლნი. მტკერიც აყრიათ, მოსდებიან მტკერი, ამოცე-
ბიან თვალნიცა მტკერითა. გამოირჩევიან მოგვთა-
განა, დიდებულად რომ მოსილან მოგინს. გამოირჩე-
ვიან წაუთლებელნი წარმატებულთაგანა. შემოდიან
და შემოაქვთ ქვები, გამოთლილი და გამოყვანილი
ქვები, ყერ რომ არ ეტყობა, რა არის თუ რისთვის
არისო.

ქადაგობა. ციშუბ დიადო..

ქადაგობა. ციშუბ.. ციშუბ..

ქადაგობა. აქ იყო შენი სავანე და საბრძანებელი,
აქედან იყო, თვალსა ნათელს არ გვაცილებდი,
თუ არ გვიჭირდა, მოგვხედავდი, დაგვიფარავდი.
ჩვენ არ ვიცოდით არც ეს გავლდა, არც ეს დამშვევა,
არც ეს სიბიტველი, არც ქურდობა და არც ღალატი,
არც ხიზარამაც, უქნარობა ჩვენ არ ვიცოდით;
ჩვენსაჲ რომ ეტყვა ჩვენი, ჩვენდა, ჩვენს ოფელსა
ვღვრიდით,

ჩვენვე ნაშრომი ჩვენდა წილად ჩვენ რომ გვრჩებოდა;
ყუზარებდით ჩვენის ნებით თუ ვის უჭირდა,
კარი გაგველო ხტუმარათვის, გულიც გაგველო,
ჩვენ მასხანდობა შეგვეფეროდა, იმით ხტუმარობა,
ციშუბ დიადო, შენის მადლით, შენის წყალობით.
სიციხედ ჩვენი აღარად ჰქონდა, რაც შენ არ
გაწყალობო.

რაც რომ გავყავით და წაგვართვის თავისუფლება,
აქ იყო შენი სამყოფელი ციშუბ დიადო..
ქადაგობა. ციშუბ.. ციშუბ..

აქ იყო შენი სამყოფელი, აქაც იქნება,
იწვის მიწა და იწვის იგი შენს მტკერსა შექვეშ.
ველარ განუძლებს, დაინთქმება, ამოვარდება,
ამოვარდება სამუდამოდ, სამარადამოდ,
რო თავისუფლად გაიხაროს ყველამ თავისთვის,
შრომას ნაყოფი რომ დედოს, სიციხედ ფანი,
ერს ერი ერკვას, აღამაინს ადამიანი,
და სანახირო აღარ იყოს ესე ქვეყანა.
ციშუბ.. ციშუბ..
აქ იყო შენი სამყოფელი, დაგვიბრუნდები,
აღმართები შენის ძალით, შენის სრულყოფით,
და თავწარის დასიკვმ ურჯულოთა, მძარცველთ,
ვერავებს.

და აღგავშორებ მძიმე უღელს, უღელს მონობის, —
ციშუბ.. ციშუბ..

მომავალი. არმაზ ბრწყინვალე, გამოლოდნენ
ქვეყარმავლნი
და შხამს ანთხევენ შხამიანი, შხამის მთხეველნი,
ამთ ჰგონიან, რომ დამართუნდა დროი ამითვის,
და გავლდა მოლოდენ ჩვენ დაგვბუგავს და ამით არა,
რო უნათლო ციშუბია თითქოს რომ მხსნელი,
თითქოს რომ მორჩა აღარ გინდა შენ გვიპატრონო;
ამთ ჰგონიან, მოკლე ჰკუთი ამთ ჰგონიან,
შენს მომინებას, შენს სიმშვიდეს ასე ახსნიან.
არმაზ ბრწყინვალე, ამოქუხნდი, ასტებე ქვეშ,
კვლავ მოაგინე შენი რისხვა არმაზ ბრწყინვალეც!

მომავალი. არმაზ ბრწყინვალეც..

ქადაგობა. ციშუბ.. ციშუბ..

ქადაგობა. მაგ თქვენმა ლიქვანამ დაგვლუბა და
გვაქცია მონად.

წილილილილებს შესწირვეთ რწმენა, ღირსება,
წარსული, აწმყო, მომავალი იმას შესწირეთ,
ერთ წვიცაქარავშიც გაიმეტებთ ცოლის ნაშუსსა,
თავმოყვარება აღარა გაქვთ, აღარც გექნებათ.
თქვენ უვლად ღმერთი გასწირვეთ, ყველა გაყავით,
არცერთი ღმერთი ამის მერე არ შეგვირდობეთ.
ციშუბ დიადო..

ქადაგობა. ციშუბ.. ციშუბ..

ისევ შენ ციშუბ, ორენანი შენ მოაქციე,
ორენაობამ დაგვლუბა და გავანოიწყულა.
თუ სარგებლობა აღარ ძალუძოთ თვანთ ქვეყნისთვის,
ნუ გაუწევენ მტრობას შინაც, იკმაროს მტრობა.
ციშუბ.. ციშუბ..

ისევ შენ ციშუბ, შენ ხარ ღმერთი და ღმერთთა
ღმერთი,
შენა ხარ ჩვენი, ჩვენი შენი ვართ, შენი ვიქნებით,
უცხოეს გარეგანს მოვიშორებო, რაც უნდა იყოს,
რო ჩვენი ერი, ენა ჩვენი ბარობდეს მარად,
ჩვენი ხმა ვასწვდეს დედამიწას კლით კიდედმე.
ციშუბ.. ციშუბ..

მომავალი. არმაზ ბრწყინვალეც..

ქადაგობა. ციშუბ.. ციშუბ..

მომავალი. არმაზ ბრწყინვალე, გულმორწყალებ, ბურჯო
მშვიდობის
და მიგობობის ერთაშორის დამფუძნებლო,
შენს სულგრძელობას აიგდებენ ასე აბუხად
და მსახურთ შენთა ღაფს ახსამენ ასე უწყალოდ.

არმაზ ბრწყინვალე სულგარძელთა შენ კლავ არ
დათმობ,
რო ამავეყნად ერთს გსახადენ, ერთს გსახობდენ,
ერთსა, შენ ერთსა, ერთადერთსა განუყოფელად;
იქვე მინც, დაიჭუხე არმაზ ბრწყინვალე,
შენის სსახეობთ განათე ღალადი ჩენი.
არმაზი..

ძალბანი. ციშუბი..

მომბნი. არმაზი..

ძალბანი. ციშუბი..

და აასხაპო ქალღანი აღმართვენ ციშუბის კერ-
სა. ქეები რო მოქონდათ; დათლილი ქეები, აასხა-
მენ იმა ქეებისაგანა. მოგნი შეიცნობენ რალა თქმ-
უნდა. ქალღანი შემოერთყმიან თვინათ კერსა, ივე-
რიებენ მოგვთა.
მომბნი. არმაზი..

მომბნი. არმაზი.. რა ჩაიღნეთ უფუნურნო, ბრიყვნო,
უხგავსნო,

ამ წმინდა ადგილს ვით შეტადრეთ ეს უღირსობა?!
ძალბანი. არმაზი.. ამ წმინდა ადგილს იგი მფლობდა
და იგვე მფლობს,

ამ წმინდა ადგილს კლავ სიწმინდეს მომტენს იგვე-
ამ წმინდა ადგილს, გვალეხისგან აწ გადაბუჯულს,
კლავ აღაუვაგებს, დაახვაგებს კლავაც დღვლათსა,
და მაშრალთ ჩვენთა თავისუფლად ამოახუნთქებს.
მომბნი. არმაზი..

ძალბანი. არმაზი.. უგნურება შენი მსმენია,
ლაღატოც შენი, ვერაგობაც შენი მსმენია.

მომბნი. არმაზი.. ხმა ჩაიწყოფილი..

ძალბანი. არმაზი.. ამა ღვთისა, ვერცინ ჩაგვიწყვებს;
ჩვენც იმისნი ვართ, ის გვიძღვის და ის
გვაშოქმედებს.

მომბნი. არმაზი.. იხილეთ ჩვენი მოქმედებაც...
ჩამოგვეცალეთ!..

მომბნი. ჩამოგვეცალეთ!.. ჩამოგვეცალეთ!

ძალბანი. ხელი არ ახლო!.. უკან!.. უკან!.. თქვე
ბედკრულგობო!

აქ ჩაერვიან გუშაგნი არმაზისანი. გამოპყრიან ქა-
დაგთა. ისინი ღაბის შუბზე აეგონ. კიდევაც დაიჭრება
ზოგი. გამოპყრიან. შიგინთ მოიქცევენ ციშუბის კერსა-
ცა. გზას გაუხსნიან მოგვთა. ანგრევენ ისინი კერსა ცი-
შუბისასა, გახლებულნი, გამალებულნი ანგრევენ.
ზრალეებს მიწაი. ძაგძაგებს მიწაი. ძაგძაგებს კერსაც
არმაზისაი.

მომბნი. ხელსაც ვახლებთ და უფსკრულშიც
გადავუძახებთ,
დაგვიღვებს მართლაც თუ ღმერთთა თუ ძალა
შესივც,

თქვენი ნათქვამი მართლა ღმერთის ნათქვამი თუა,
თქვენი სურვილი მართლა ღმერთის სურვილი თუა.

ძალბანი. მართლაც უგნურნო, გარდასულნო
გონებისაგან,
დანგრავის გარდა არაფერი მოგვიბრძნებდა,
და ანგრევთ, ანგრევთ, რაც არსებობთ, ანგრევთ
და ანგრევთ,

სხვა რამ სიკეთე თქვენგან არაფერს წარმოსდინდება.
ჩვენ ავაშენებთ, თქვენ ანგრავთ, და ანგრავთ,—
თავისუფლებას მოვიპოვებთ და ავაშენებთ.
ეს თქვენი კერა თქვენიან ერთად გადაშენდება.
ციშუბი..

ძალბანი. ციშუბი..

მომბნი. არმაზი..
მევე გადმოღვება ბანზედა ციხეღარბაზადანა, მე-
ვე მირიანი, ხანდაზმული, ოღონდ მხენი ისევე, თუმცა
რო გაწამებული შინააშლილობითა თუა გარემოებებში
ბრძოლებითა. სპარსთა და პროთა გაუთავებელი ომ-
ებითა, ომებითა, ამის სამეფოს რა მოსწვდენია,
ჩაუთრენია, და ვადურება თუ არა, რო აღარ იცის
რომელი იმპლავრებს, რო აღარ იცის, რომელს მიუ-
დგეს, რო აღარ იცის. ჭერ ჰო სპარსის გამბატონე-
ბიან, სპარსთა ჯარი შინ ჩასდგამია, ამისი მეომარნი
სპარსთა შაჰს აღაგვიან პროთა წინააღმდეგა, —
ხმა აღწევს პროთა გამარჯვებისა, — რა ჰქნას, აღ-
არ იცის: ერთიც ეპოტინება, მეორეცა, ამას რო არ
უნდა არცერთი ცხადია. მევე დედლოლიც გამოჩნ-
დება. ნანა დედლოლი, თანამეცხედრე მირიანისა,
თანამოაზრე მირიანისა, ოღონდ აშკარამოძული პრო-
თა და ჭვარციულის სარწმუნოებისა, რადგან რო
ეგი პონტრანაა და ასსოცის თუ როგორ დაიპყრო
სამშობლო მისი პროთა, — ჭვარცი დიაპრო.
მევე მირიან. რა ამბავია?! რამ აგშალათ?! რამ
გადაკრათ?!

არ იცით თუ რა უფაშაია სამეფო ჩვენი?!

გვარგებს ჩვენ ახლა ერთმანეთსაც რო დავერიოთ,
იხედაც ძლივსა რო გვიპირავს სული კილითა?!
საუკეთესო ვაუტაციები იქ შაჰს ახლავან,
სხვა — ციხეებში უმწყურვითა მფარველთა
ჩვენთა, —

იხეც ჩვენევე დასაფარად რალა თქმა უნდა,
ეს გვალვაც ახლა შემოგვიჩინდა, დამშა ერი,
და შრომა გვმართებს აოკეცი და აღბთა ასკეცი,
რო გადავივრჩენ დედლოლი, არ გადავშენდეთ.
რო არ გადავიცეთ კალთო, სხვათა ვახალეწავად,—
არ იცით თუ რა უფაშაია სამეფო ჩვენი?!

თქვენს აშლილობას რა მოჰყვება, არ იცით ნუთუ
რამდენი მტერი და დუშმანი დაგვტყობენა?!

ძალბანი. ვიცით მეფო, სხვა რა ვიცით,
სხვა რა გვალგონებს?!

ჩვენც მაგას მოვქვამთ, ჩვენი ურვაც მხოლოდ ეს
არის,

და ჩვენსაც ვიქონებთ, ჩვენს ღმერთს ვუხობთ,
სალოცავს ჩვენსას,

რადგან სხვის ღმერთებს არაფერი ჩვენი არ ესმით.

მევე მირიან. არ იცით თუ რა უფაშაია სამეფო
ჩვენი?!

მე რასაც ვამბობ, თქვენ იმაზე მეტო გესმოდეთ.
მიმოხედეთ, ალახილეთ თვალნი ბედკრულნი,
უფრო მიუგადათ გმინვას ერის და მიეშველეთ.
არ იცით თუ რა უფაშაია სამეფო ჩვენი?!

ძალბანი. ვიცით მეფო, მიწა იწვის, იწვის ყანები,
მტევანი ცვივა, ხილი ცვივა დაუშვიფებლად,
რუტუბში წყალი აღარ მოდის, მდინარე დაშრა,
მტკვარში გუბებებს თუ მივავნებთ, არაფერი აღარც...

მევე მირიან. და ამბავით გუბებები, აქ რას
უღვებართ,

და მიაშველეთ მიწას დაშკადარს, მიწას დაშველთ.
მიწა ჩვენი ხიცოცხლევაც და ღმერთიც ჩვენი,
ჩვენ უიმისოდ არ ვიქნებით, არც ის აქნება,
სხვა პატრონების ხელში ისიც გადავიშლები, —
ჩვენცა და ისიც, ორივენი გადავიშლებით.
და მიეშველეთ, მიეშველეთ, აქ რას უღვებართ?!

ძალბმტპაღმბნი. უნდა იკურთხოს შრომა მადლით.

უნდა იკურთხოს.

მადლი არა აქვს განუკითხავს კვეყნად არაფერს.
შრომას არა აქვს ბარაჟა და მადლი არა აქვს,
თუ თვალთ დეოსია არ დაპყურებს ნათელმოსილი.

მომავტამომბნი. არმაზ ბრწყინვალე დაპყურებს და
შეძარწყუნებულა. —

განდგომილებას პედღავს ერის და აღარ სწყალობს,
გადავარებას ჰხედავს ერის და აღარ სწყალობს,
უღმერთობას მხედღავს ერის და აღარ სწყალობს.

მომბენი. არმაზ ბრწყინვალე!...

ჩვენ გვედღრებით, მიუტებო. რაც რო შესცოდეს, —
მიუტებო რო ბეგრჯერა და კიდევ ვერხელაჲც. —
მოქცევიან მართალ ჭაზზე შენდა ედღრებად,
შენს სასობად, შენს მლოცველად მოიქცევიან,
არმაზ ბრწყინვალე!..

ძალბმნი. ციშუბ, შენ გიხმობთ, შენ დაპყურებ ჩვენს
ბედკრულობას,

ჩვენ შენ დაგიხსნით, შენ ჩვენ გვიხსნი
სამარადეამოდ.

დამგომიან მტერნი ჩვენნი როცა იქნება,
როცა იქნება დამპყრობელნი დემგომიან,
ცაში ღმერთები იხარებენ, მიწაზე კაცნი,
ახლა ცაცა და დედამიწაც რო ათქვეფილა.
ციშუბ შენ გიხმობთ, მორიგეო შენ გადმოგვხედე!..

მომბენი. არმაზ ბრწყინვალე!..

მეშე მირინან. არმაზ ბრწყინვალე, მნათობო და
მნათობო მნათობო,

იხე მნათობო, დღე და ღამეც რო გავგვისწორე,
უშენო არც რა ვიქნებოდით, არც რო რანი ვართ, —
მოგვეც ცის ნაში.. თუმც შენ იცი, როგორ თუ
რა სჯობს,

თუ რა შევცოდეთ, თუ სასქელად რა გვეკუთვნება, —
მოგვეც ცის ნაში და განგვსაჭე მით უარსხად.
აღრეულობაც დაგვიშვიდე, ვიწამით ერთი:

ის, რაც გვარგია,
ის, რაც ხიციებს ალაზევებს, დაამხობს ბორბოს,
ის, რაც დაგვიხსნის..

ძალბმნი. ციშუბ შენა ხარ!..

მომბენი. არმაზ, ო, არმაზ, დაცალეწე ეს ურწმუნონი, —
ო, არმაზ, არმაზ, დაცალეწე, ნულარ აუოვნებს!..

ძალბმნი. ციშუბ გვიხსენი!..

მოღიან დიდელა და დღენი მოსიღნი ძაძებითა.
შვილები დალუბით, ვინ უწყის თუ სადა, — სადაც
რო ომობინ სპარსნი ქვეყნიერების დასაპყრობადა.
დილეგებშიაც უსხედან შვილები, რო ეურჩებიან
სპარსთა ბატონობასა, ანთუ ქურდობაც, ქიშობაც,
ძალადობაც რო განხრებულა უსხოთა უღელქვეშა.
გლოვაცა და ხარკის სიმძიმეც რო ამით დასწოლია,
დღაღათა, ძეალტყავად ქვეუღათა.

ღირღებდა. გვირჩიე მეფეც, რა ვიღონოთ, ვის
შევივედროთ,

რომელი ღმერთი გამოკვიხნის, ვიწამით თუ რა —
გვირჩიე მეფეც, აღარ ვიციო, დავღავებულვართ:
რაც გვიღმერთებს, არა ღმერთობს, ჩვენ არას

გვეშეღობს,

სხევიხისთვის ღმერთი, ჩვენთვის რისხვად
მოკვირებულა

ღმედანი. ამის სახელით უსაშველო ხარკე. დაგვაღებს,

ველარ ავღვიართ ველარც იფლით, ველარც
ისხსლითა;

მაირიც წმინდა მოგვიწამლებს, ველარცა ვსუნთქეთ,
წყალიც დაგვიშრა, ვითარც თევზნი ვურეკონს
რეიუზე.

ო, დაგვიბრუნეთ ჩვენი ღმერთი, სხვას არასა
გთხოვთ,
ამოგვანსთქეთ ერთის წამით, სხვას არასა გთხოვთ,
წყალი მოგვეცით, წყალი, წყალი, სხვას არასა
გთხოვთ!..

ო, დაგვიბრუნეთ ჩვენი ღმერთი, იწამეთ ღმერთი!..
ძალბმნი. ციშუბ დიადო, შენ გიხმობენ ციშუბ
დიადო!..

მომბენი. არმაზ შენ აქ ხარ!..

წარიწიროს, ვინც რო შეგებოს,
ვინც შენი რწმენა დაადლოს და არ გეთუყვანოს, —
არმაზ შენ აქ ხარ, აქ იქნები აწ და მარადის!..
ძალბმნი. ციშუბ მოგვხედე!..

მეშე მირინან. იწამეთ, რასაც რო გვირჩიევენ ჩვენნი
მფარველნი,

სხვა რო ვიწამოთ, სხვის უფლებას რო არ
მოგვეცემა, —

იწამეთ შრომა, მოწოდება ეს ღვთაებრივი,
იწამეთ შრომა, გადარჩენაც ხსნაც რო ეს არის.

ღმედანი. ხარკს ვერ ავღვიართ, ვერ გავწვედებით
უძღვებთა მადას,

და ან შრომითი საღაა გვივის, საღაა ვინ არის:
მიმოგანტულან, მოსდებან კიდით კიდება,
ვის დილეგებია, ვინ ლაშქარში, აღარც ხმა ისმის,
ვინთუ ველადი, ვინ ვიტიროთ, ვერ გავგვიცა.

მომბმამომბნი. აი აღმრევენი ჩვენი მშვიდი
უოცაუბოგრების,

აი აღმრევენი თვით დედათა სათნოებისა, —
მიმალულუკვინენ აქამბის რა მეთში, ღრეებში,
ჩამოღოდღენ და ამბუტეტს გონება ხალხის, —
აი ამათი დათრგუნვა თუ გვიშველის მხოლოდ.
სხვა ამათა ამ აწეწილ წუთისოფელში.

ძალბმტპაღმბნი. დათრგუნვა მხოლოდ!.. რა მწირია
გონება თქვენი, —

ველარ შეგანეთ, რო დათრგუნვით ვერას ერეგით,
ვერც ვის გააძობთ. ვერც შემოსავთ, ვერც წყალს
მოიყვანთ.

ვერც დაშრეტლი ძეძუებით ძეს ვერ გამოზრდით.

მომბმამომბნი. ვის მოუწოდებთ?! შემოსეთ და
შემოსენით,

მიმხედეთ მიწას, ჩარხება და სახელოხსნოების,
ლოცვით აგრეთვე ილოცეთ და იშრომეთ კიდვე, —

ილოცეთ იგი, მფარველებმა რაც დაგისახებს.

ღმედანი. ო, რას გვარგია მორღვეულები ეს ენა-პირი,
ხიტყვათა ზევი რას გვარგია?.. მაგან დაგვლუპა!..

წყალი, ო, წყალი, წყალი გვინდა, წყალი გვეწურვიან.
